KAFKA

FRANZ

THE TRIAL

UNABRIDGED • READ BY GEOFFREY HOWARD

TRANSLATED BY BREON MITCHELL

84.4. გერ. — 4
კ 355

ფრანც კაფკას რომანის „პროცესის“ ცხოვრებისეული ფონი პირობითი და აბსტრაქტულია. ნაწარმოებში მთელი სისრულითაა გადმოცემული მწერლის მსოფლმხედველობის ძირითადი მრწამსი, რომ ადამიანი ფატალურად უძლურია მასზე მაღლა მდგომი ყოვლისშემძლე იდუმალი ძალების წინაშე. რომანის მთავარი გმირი, ბანკის მოხელე იოზეფ კ., სრულიად უმწეო აღმოჩნდა შემზარავი და ულმობელი სამსჯავროს წინაშე.

რედაქტორი **მ. თურქია**, მხატვარი **რ. მაჭარაშვილი**, მხატვრული რედაქტორი **აკ. თევზაძე**, ტექნიკური რედაქტორი **ზ. გვიმრაძე**, კორექტორი **ქ. ქავთარაძე**, გამომშვები **ნ. ჩხეტიანი**

გადაეცა წარმოებას 28.01.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.05.92. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,6. პირ. საღ.-გატ. 10,9. სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,44. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 60.

ფასი 15 მან.

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი საქმის
დეპარტამენტის № 4 სტამბა
380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 29.

4702460100—013
ბ ——————— —92
М 601 (08)—013

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი, 1992



თავი პირველი

დაპატიმრება
საუბარი ფრაუ გრუბახთან
ფროილაინ ბიურსთნერი

ეტყობა, ვიღაცამ ცილი დასწამა იოზეფ კ-ს, რადგან არაფერი დაუშავებია და ერთ მშვენიერ დილას მაინც დააპატიმრეს. ბინის პატრონის, ფრაუ გრუბახის მზარეული ქალი, რომელსაც ყოველდღე, დილის რვა საათზე, საუზმე მოჰქონდა მისთვის, ამჯერად არ გამოჩენილა. ამგვარი რამ არასოდეს მომხდარა. კ. მცირე ხანს მოთმინებით აღიჭურვა და ბალიშზე თავმიდებული უყურებდა მოპარდაპირე სახლში მცხოვრებ დედაბერს, რომელიც რაღაცნაირი უჩვეულო ცნობისმოყვარეობით ფანჯრიდან უმზერდა, შემდეგ კი გაოგნებულმა და მოშიებულმა დარეკა ზარი. კარზე იმწამსვე დააკაკუნეს. ოთახში შემოვიდა უცხო მამაკაცი, რომელიც ამ ბინაში არასოდეს ენახა. სტუმარი ტანადიც იყო და ძვალმსხვილიც. ტანთ ეცვა შავი, მორგებული კოსტიუმი, რომელსაც გარდა ქამრისა, იმდენი ნაკეცი, ჯიბე, ბალთა და ღილი ჰქონდა, რომ სამგზავრო ტანსაცმელს უფრო ჰგავდა. თუმცა ერთბაშად ვერც მიხვდებოდა კაცი, რა დანიშნულება ჰქონდა ყოველივე ამას, მაგრამ სახმარად ძალზე პრაქტიკული ჩანდა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა კ-მ და საწოლიდან ნახევრად წამოიწია.

მამაკაცმა ყურიც არ შეიბერტყა, თითქოს მისი სტუმრობა ჩვეულებრივ ამბად უნდა მიეჩნიათ და კ-ს მხოლოდ ეს უთხრა:

— თქვენ დარეკეთ?

— ანამ საუზმე უნდა მომიტანოს, — თქვა კ-მ და შეეცადა ჯერჯერობით ხმის ამოუღებლად დაკვირვებოდა და ალღოთი მიმხვდარიყო, ვინ უნდა ყოფილიყო ეს ვაუბატონი. მაგრამ ახალმოსულმა თვალი აარიდა მის ხანგრძლივ მზერას, კარისკენ შეტრიალდა, ოდნავ გამოაღო და კარს უკან ვიღაცას უთხრა:

— მას სურს, ანამ საუზმე მოუტანოს.

მეზობელ ოთახში სიცილი გაისმა და მაშინვე შეწყდა. ხმის მიხედვით ძნელი მისახვედრი იყო, ერთი კაცი იცინოდა თუ რამდენიმე. და თუმცა უცხო მამაკაცს ისეთი რა უნდა შეეტყო, რაც ადრევე არ იცოდა, კ-ს მაინც ოფიციალურ კილოზე მოახსენა:

— ეს შეუძლებელია.

— აი, ახალი ამბავი, — ჩაილაპარაკა კ-მ, საწოლიდან წამოხტა და სწრაფად ჩაიცვა შარვალი. — მინდა ვნახო, ვინ არიან მეზობელ ოთახში და რით გაამართლებს ფრაუ გრუბახი, მყუდროება რომ დამირღვიეს.

ეს კი თქვა, მაგრამ მაშინვე გაუელვა აზრმა, ამგვარი რამ ხმამაღლა არ უნდა დასცდენოდა, რადგან ამით თითქოს ზედამხედველობის უფლებას აძლევდა უცხო მამაკაცს. თუმცა ამჯერად მისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. უცხო მამაკაცმა მაინც სწორად გაიგო მისი აზრი და უთხრა:

— უმჯობესია აქ დარჩეთ.

— მე არც აქ დარჩენა მსურს და არც თქვენთან ლაპარაკი, ვიდრე არ მეტყვით, ვინა ხართ.

— თქვენთვის კარგი მინდა, — უთხრა უცნობმა და თვითონვე გაულო კარი.

მეზობელ ოთახში, სადაც კ. უფრო ნელა გავიდა, ვიდრე სურდა, ერთი შეხედვით ყველაფერი თითქმის ისე გამოიყურებოდა, როგორც წინა საღამოს. ეს გახლდათ ფრაუ გრუბახის საერთო ოთახი. შეიძლება ავეჯით, გადასაფარებლებით, ფაიფურითა და ფოტოსურათებით გამოტენილ ოთახში დღეს ოდნავ მეტი ხალვათობა იყო, ვიდრე სხვა დროს, მაგრამ ამას მაშინვე ვერ შეამჩნევდა კაცი, რადგან გადასხვაფერება უმთავრესად იმან გამოიწვია, რომ ოთახში ღია ფანჯარასთან ვიღაც მამაკაცი იჯდა, რომელსაც ხელში წიგნი ეჭირა და კ-ს ქვემოდან შესცქეროდა.

თქვენს ოთახში უნდა დარჩენილიყავით! განა ფრანცმა არ გაგაფრთხილათ?

— გამაფრთხილა, მაგრამ გამაგებინეთ, რა გინდათ ჩემგან? — ჰკითხა კ-მ, ახალ ნაცნობს თვალი მოარიდა და ახლა იმას შეხედა, ვისაც ფრანცს ეძახდნენ და კარებში იდგა, მერე კი ისევ სავარძელში მჯდომს მიაპყრო მზერა. ღია ფანჯრიდან ისევ მოჩანდა დედაბერი. ჭეშმარიტად ბებრული ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს ახლა მეორე ფანჯარასთან გადაენაცვლებინა, რათა უკეთ დაენახა, რა ხდებოდა ოთახში.

— ფრაუ გრუბახის ნახვა მინდოდა,—თქვა კ-ნ და თუმცა მასა და მამაკაცებს შორის საკმაო მანძილი იყო, ისე გაიწია კარისაკენ, თითქოს უნდოდა ხელიდან დასხლტომოდა ორივეს, მაგრამ ამ დროს ფანჯარასთან მჯდარმა მამაკაცმა დაუყვირა:

— არ შეიძლება, — შემდეგ წიგნი მაგიდაზე დააგდო და ფეხზე წამოდგა. — აქედან გასვლის უფლება არა გაქვთ, დაპატიმრებული ბრძანდებით.

— ეტყობა, ასეა, — თქვა კ-მ და იკითხა: — კი მაგრამ, რისთვის?

— ამის ახსნა ჩვენთვის არავის დაუვალებია. შედით თქვენს ოთახში და მოთმინებით აღიჭურვეთ. თქვენ წინააღმდეგ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და თავის დროზე ყველაფერს შეიტყობთ: ისედაც ზედმეტი უფლება მივეცი ჩემს თავს ასე მეგობრულად რომ გელაპარაკებით. მაგრამ, იმედია, ფრანცის გარდა არავინ გვისმენს, ფრანცი კი წესდებას ანგარიშს არ უწევს და თავაზიანად გეპყრობათ. თუ ბედმა კვლავაც ისე გაგიღიმათ, როგორც მცველების შერჩევაში, შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ.

კ-ს უნდოდა დამჯდარიყო, მაგრამ მთელ ოთახში ფანჯარასთან დადგმული სავარძლის გარდა დასაჯდომი ვერაფერი აღმოაჩინა.

— თქვენ არაერთხელ დარწმუნდებით, რომ მართალს გეუბნებით, — თქვა ფრანცმა და ორივე ერთდროულად მიიჭრა კ-სთან. მეორე მამაკაცი კ-ზე ბევრად მაღალი იყო და წამდაუწუმ ხელს ურტყამდა მხარზე. მცველებმა კ-ს ღამის პერანგს დაუწყეს სინჯვა და თან ეუბნებოდნენ, ამიერიდან ბევრად უარესი პერანგის ჩაცმა მოგიწევთ, ამ პერანგს და საერთოდ თქვენს საცვლებს კი შევინახავთ და თუ საქმე თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება, უკანვე დაგიბრუნებთო.

— უმჯობესია ჩვენ მოგვცეთ, ვიდრე საწყობში ჩააბაროთ, — განაგრძობდნენ ისინი. — საწყობში ხშირად ნივთებს იპარავენ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი, სულ ერთია, საქმე დამთავრდება თუ არა, ყველაფერს ყიდიან. ამგვარი პროცესები დიდხანს გრძელდება, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. მართალია, საბოლოოდ საწყობი აგინაზღაურებთ ნივთების საფასურს, მაგრამ, ჯერ ერთი, თანხა თავისთავად უმნიშვნელოა, რადგან ნივთის შეფასებისას გადამწყვეტია ქრთამი და არა მისი ნამდვილი ფასი, მეორეც, გამოცდილებით ვიცით, რომ ფული ყოველწლიურად ხელიდან ხელში გადადის და ილევა.

კ. ყურადღებას არ აქცევდა კაცების ლაპარაკს, განა სულ ერთი არ იყო, ვინ დაეპატრონებოდა თეთრეულს, ჯერჯერობით ვითომც მის საკუთრებად რომ ითვლებოდა? ახლა მთავარი იყო გარკვეულიყო იმ ამბავში, რაც თავს დაატყდა. მაგრამ უცხო მამაკაცების თანდასწრებით ფიქრსაც კი ვერ ახერ-

ხებდა ხეირიანად. მეორე მცველი — სხვა ვინ უნდა ყოფილიყვნენ, თუ არა მცველები! — თითქოსდა მეგობრულად წამდაუწუმ მუცლით ეჯახებოდა, მაგრამ როცა კი ახედავდა, თვალში ხვდებოდა სქელი ტანისათვის სრულიად შეუფერებელი ჩამომხმარი გაძვალტყავებული სახე, მსხვილი, გვერდზე მოქცეული ცხვირი. იმასაც ამჩნევდა, თვალით რომ ანიშნებდა რაღაცას მეორე მცველს. მაინც ვინ არიან, რა ხალხია? რაზე ლაპარაკობენ? რომელ უწყებას ეკუთვნიან? კ. ხომ სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრობს, ირგვლივ სიმშვიდე სუფევს, ყველა კანონი ძალაშია, ვინ ბედავს თავს დაესხას საკუთარ ბინაში? იგი იმთავითვე როგორღაც იოლად უყურებდა ცხოვრებას და მხოლოდ მაშინ აღიარებდა, საქმე ცუდადაა, როცა უარესი ძნელი წარმოსადგენი იყო. მომავლის დარდი არ ჰქონდა, მაშინაც კი, როცა ყოველმხრივ საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ ახლა გული ეუბნებოდა, ამჯერად ასე არ ივარგებსო. თუმცა მთელი ეს ამბავი იქნებ უხეში ხუმრობაც იყო, რაც ღმერთმა იცის, რისთვის მოიგონეს კოლეგებმა, მასთან ერთად რომ მსახურობენ ბანკში; იქნებ იმიტომ იმასხრეს, რომ დღეს ოცდაათი წელი შეუსრულდა? ნამდვილად ასე იქნება. მცველებს სიცილით რომ შეგებებოდა, მათაც გაეცინებოდათ; ან იქნებ სულაც მებარგულები არიან, ქუჩის კუთხეში რომ დგანან ჩვეულებრივ? ჰგვანან კიდეც მათ. მიუხედავად ამგვარი ფიქრებისა, როგორც კი თვალი შეავლო ფრანცს, გადაწყვიტა ხელიდან არ გაეშვა სულ მცირე უპირატესობაც კი, რაც შეიძლება ამ ადამიანებთან შედარებით ჰქონდა. კ-ს ყველაზე ნაკლებად აფრთხობდა ის ამბავი, რომ შემდეგ ამხანაგები უსაყვედურებდნენ, ხუმრობა არ გცოდნიაო, სამაგიეროდ კარგად ახსოვდა — თუმცა საერთოდ არ სჩვეოდა შეძენილი გამოცდილების ხარჯზე ჭკუა ესწავლა — ისეთი თავისთავად უმნიშვნელო შემთხვევებიც, როცა მეგობრებისაგან განსხვავებით შეგნებულად არ უწევდა ანგარიშს მოსალოდნელ შედეგებს, დაუდევრად იქცეოდა და ამის გამო საბოლოოდ ისჯებოდა. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს, ამჯერად მაინც და თუ ეს კომედიაა, იგი მათ მხარს აუბამს.

მაგრამ ჯერ ხომ თავისუფალია.

— გამატარეთ,—თქვა მან, მცველებს შორის სწრაფად გაიარა და თავის ოთახში შევიდა.

— ეტყობა, გონიერი კაცია, — მოესმა უკნიდან ერთ-ერთი მცველის სიტყვები.

ოთახში შესულმა სწრაფად გამოსწია საწერი მაგიდის უჯრები, სადაც სანიმუშო წესრიგი სუფევდა, მაგრამ მიუხედავად გულმოდგინე ძებნისა, აღელვებულმა ვერაფრით ვერ იპოვა საბუთები. ბოლოს მიაგნო ველოსიპედის ფლობისა და

ტარების მოწმობას და უკვე აპირებდა მცველებისათვის ეჩვენებინა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, ვერაფერი საბუთიაო, კვლავ მიუბრუნდა უჯრებს და მანამდე იქექებოდა, სანამ დაბადების მოწმობა არ აღმოაჩინა. როცა კ. კვლავ დაბრუნდა მეზობელ ოთახში, მოპირდაპირე კარი გაიღო და ზღურბლზე ერთი წამით გამოჩნდა ფრაუ გრუბახი, რომელიც შემოსვლას აპირებდა, მაგრამ როგორც კი კ-ს თვალი მოჰკრა, უმალ შეცბა, ბოდიში მოიხადა, უკან დაიხია და ძალზე ფრთხილად დახურა კარი.

— მობრძანდით, — კ-მ მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. შუა ოთახში გაჩერებულს ხელში საბუთები ეჭირა და შეჰყურებდა კარს, რომელიც აღარ იღებოდა. იგი მცველების შეძახილმა მოიყვანა გონს. ისინი ღია ფანჯარასთან მაგიდას მისხდომოდნენ და კ. იმწამსვე მიხვდა, რომ მის საუზმეს მირთმევდნენ.

— რატომ არ შემოვიდა? — იკითხა კ-მ.

— უფლება არა აქვს, — უპასუხა მაღალმა მცველმა. — თქვენ ხომ დაპატიმრებული ხართ.

— რას ჰქვია დაპატიმრებული, განა დაპატიმრება ასე ხდება?

— დაიწყეთ ისევ თქვენებური, — თქვა მცველმა და კარაქიანი პური თაფლის ქილაში ამოავლო. — ასეთ კითხვებზე ჩვენ პასუხს არ ვიძლევით.

— პასუხის გაცემა მაინც მოგიწევთ, — უთხრა კ-მ, — აი, ჩემი პიროვნების დამადასტურებელი საბუთები, ახლა კი თქვენი მაჩვენეთ, პირველ რიგში დაპატიმრების ორდერი.

— ღმერთო ჩემო! — თქვა მცველმა, — რატომ ვერ ეგუებით თქვენს მდგომარეობას, რატომ დაგისახავთ მიზნად ტყუილუბრალოდ გაგვაღიზიანოთ ქვეყანაზე ამჟამად თქვენთვის ალბათ ყველაზე ახლობელი ადამიანები!

— ასეა, ასე, დაგვიჯერეთ, — თქვა ფრანცმა და ყავის ფინჯანი, ხელში რომ ეჭირა, პირთან აღარ მიიტანა, ხანგრძლივი, მრავლისმეტყველი, მაგრამ უცნაური მზერა კ-ს მიაპყრო. კ-მ მისდა უნებურად ამგვარივე მზერით უპასუხა ფრანცს, მცირე ხნის შემდეგ კი ისევ თავის საბუთებს დაუბრუნდა და თქვა:

— აი, ჩემი საბუთები.

— რა თავში ვიხლით თქვენს საბუთებს?—წამოიძახა ახლა მაღალმა მცველმა. — ბავშვზე უარესად იქცევით. რა გინდათ? ნუთუ გგონიათ, რომ ისეთი დიდი საშინელი პროცესი, როგორიც თქვენია, მალე დამთავრდება თუ რაღაც მოწმობებზე და დაპატიმრების ორდერზე დაგვიწყებთ დავას? ჩვენ დაბალი რანგის მოხელეები ვართ, მოწმობებისა არაფერი

გაგვეგება და თქვენს პროცესთანაც არაფერი გვესაქმება. ჩვენი მოვალეობა მხოლოდ ისაა, დღეში ათი საათი გიდარაჯოთ, ამ საქმისთვის გვიხდიან ფულს, ამის მეტი არაფერი გვეკითხება. თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ უმაღლესი ხელისუფლება, რომელსაც ჩვენ ვემორჩილებით, სანამ ვინმეს დააპატიმრებს, ზუსტად ადგენს დაპატიმრების მიზეზსაც და დაპატიმრებულის ვინაობასაც. ამ საქმეში შეცდომა გამორიცხულია. ჩვენი უწყება, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, — მე კი იქ მხოლოდ ყველაზე დაბალი რანგის მოხელეებს ვიცნობ,— თავად კი არ ეძებს დანაშაულს მოსახლეობაში, არამედ, როგორც ეს კანონში წერია, დანაშაული თვითონ იზიდავს მას და ამის გამო უწყებას ჩვენი, მცველების, დაგზავნა უხდება. ასეთია კანონი, რა შეცდომა შეიძლება იყოს აქ?

— მე ასეთ კანონს არ ვიცნობ, — თქვა კ-მ.

— მით უარესი თქვენთვის, — უთხრა მცველმა.

— ამგვარი კანონი მხოლოდ თქვენს თავში არსებობს, — მიუგო კ-მ. მას სურდა როგორმე ჩასწვდომოდა მცველთა აზრებს, თავის სასარგებლოდ წარემართა, ან თვითონაც გამსჭვალულიყო ამ აზრებით, მაგრამ ამ დროს მცველმა აგდებით უთხრა:

— ამ კანონის ძალას საკუთარ ტყავზე გამოსცდით.

— აი, ხომ ხედავ, ვილემ, მან აღიარა, კანონს არ ვიცნობო და ამავე დროს ამტკიცებს, უდანაშაულო ვარო, — ჩაერია საუბარში ფრანცი.

— მართალს ამბობ, მაგრამ ამას ვერაფერს გააგებინებ,— მიუგო ვილემმა.

კ-ს მათთვის ხმა აღარ გაუცია. ნუთუ, ფიქრობდა იგი, ამ უმდაბლეს მოხელეებს—ისინი ხომ თვითონ აღიარებენ უმდაბლესნი ვართო — თავიანთი ლაყბობით უნდა ავაბნევინო თავგზა? ისინი ხომ აშკარად ისეთ ამბებზე ლაპარაკობენ, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. თავდაჯერებულნი კი მხოლოდ სიბრიყვის გამო არიან. ჩემი წრის კაცს ორიოდე სიტყვაც რომ ვუთხრა, ყველაფერს გავაგებინებ, ამათთან კი დღედაღამ ლაპარაკითაც ვერაფერს გახდები. კ-მ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, მოპირდაპირე სახლში დაინახა დედაბერი, რომელსაც მასზე უფრო ხანდაზმული ბერიკაცი მოეთრია ფანჯარასთან და რომ არ წაქცეულიყო, ხელი მოეხვია. დრო იყო, ბოლო მოღებოდა ამ სანახაობას.

—წამიყვანეთ თქვენს უფროსთან,—მიმართა კ-მ მცველებს.

— მხოლოდ მაშინ, როცა თავად მოისურვებს, მანამდე ვერა, — უპასუხა მცველმა, რომელსაც ვილემი ერქვა და დასძინა: — ახლა კი გირჩევთ თქვენს ოთახში შეხვიდეთ, დამშ-

ვიდდეთ და დაელოდოთ უფროსების განკარგულებას. გირჩევთ აგრეთვე უსარგებლო ფიქრით ნუ დაიღლით თავს, ჯობია გონიერებას მოუხმოთ, რადგან დიდ მოთხოვნებს წამოგიყენებენ. თქვენ ისე არ მოგვექეცით, როგორც ჩვენი თავაზიანობით დავიმსახურეთ. ეტყობა, დაგავიწყდათ, ვინც არ უნდა ვიყოთ, ახლა თქვენთან შედარებით მაინც თავისუფალი ადამიანები ვართ, ეს კი მცირე უპირატესობა როდია. მიუხედავად ამისა, თუ ფული გაქვთ, შეგვიძლია ქუჩის მეორე მხარეს მდებარე კაფედან საუზმე მოგიტანოთ.

კ-ს პასუხი არ გაუცია და ერთხანს ჩუმად იდგა. იგი რომ მეზობელ ოთახში ან წინკარში შევიდეს, შეიძლება მცველებმა ვერც გაბედონ მისი შეჩერება, იქნებ ესაა ყველაზე მარტივი გადაწყვეტა ამ ამბისა, ასე რომ აზვიადებს, მაგრამ ხომ შეიძლება ხელი სტაცონ, და თუ ერთხელ მოთოკავენ, მაშინ იმ უპირატესობასაც დაკარგავს, რასაც გარკვეული თვალსაზრისით მათთან შედარებით ჯერ კიდევ ინარჩუნებს. ამიტომ ამ-ჯობინა კვანძის უფრო საიმედო გახსნას დალოდებოდა, რაც მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას უნდა მოჰყოლოდა. კ. ისე შევიდა თავის ოთახში, რომ არც მას დასცდენია სიტყვა და არც მცველებს.

იგი საწოლზე წამოწვა და პირსაბანიდან ლოყაწითელი ვაშლი აიღო. ვაშლი წუხელის მოიმარაგა საუზმეზე დასაყოლებლად. ახლა მხოლოდ ეს იყო მისი საუზმე. კ-მ ვაშლი მაგრად ჩაკბიჩა და საკუთარი თავი დაარწმუნა, ბინძურ ღამის კაფეში ნაყიდ და მცველების სამადლოდ მოტანილ საუზმეს ისევ ეს ვაშლი სჯობიაო. თავს კარგად, მხნედ გრძნობდა. მართალია, დღის პირველი ნახევარი გააცდინა, ვერ წავიდა ბანკში, სადაც მსახურობდა, მაგრამ მას საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და დაგვიანებას ადვილად აპატიებდნენ, თუმცა იქნებ უმჯობესია, თავის გასამართლებლად დაგვიანების ნამდვილი მიზეზი თქვას? გადაწყვიტა ასეც მოქცეულიყო. ხოლო თუ არ დაუჯერებდნენ, რაც ამ შემთხვევაში გასაგები იქნება, შეუძლია მოწმედ ფრაუ გრუბახი ან მოპირდაპირე სახლში მცხოვრები მოხუცები დაასახელოს, ახლა ალბათ მეორე ფანჯრისაკენ რომ ინაცვლებენ ადგილს. კ-ს უკვირდა, უფრო სწორად, მცველებისა ვერაფერი გაეგო, როგორ მოუვიდათ აზრად, რომ საკუთარ ოთახში შეაგდეს და მარტო დატოვეს, აქ ხომ მას თავისუფლად შეეძლო თავის მოკვლა, მაგრამ იმწამსვე აწონ-დაწონა მდგომარეობა და გაიფიქრა: რა მჭირს თავის მოსაკლავი, ნუთუ ის, რომ გვერდით ოთახში ორი კაცი ზის და ჩემს საუზმეს მიირთმევს? ამის გამო თავის მოკვლა ისეთი უაზრობა იქნებოდა, რომ სდომოდა კიდეც,

ამ განზრახვაზე თვითონ უაზრობა ააღებინებდა ხელს; მცველების გონებრივი შეზღუდულობა რომ ცხადზე ცხადი არ ყოფილიყო, შეეძლო ევარაუდა, ისინიც ამ დასკვნამდე მივიდნენ და არავითარ საფრთხეს არ ხედავენ, მარტომ რომ დატოვეს. თუ მოისურვებდნენ, შეეძლოთ დაენახათ, როგორ მივიდა იგი კედლის კარადასთან, სადაც საუცხოო არაყი ჰქონდა გადანახული, როგორ გადაჰკრა ჯერ ერთი პატარა ჭიქა საუზმის მაგივრად, ხოლო მეორე გასამხნევებლად, მერე მესამეც მიაყოლა, — სიფრთხილეს თავი არა სტკივა ვითუ სიმხნევე დამჭირდესო, თუმცა ასეთი შემთხვევა დაუჯერებელი ეჩვენებოდა.

უეცრად გვერდით ოთახიდან ძახილი მოესმა: „ზედამხედველი გიხმობთ!“ კ-ს ისე შეეშინდა, კბილებს კაწკაწი აუტეხა ჭიქაზე. იგი მხოლოდ შეძახილმა შეაკრთო, მოკლე, წყვეტილმა, ჯარისკაცურმა შეძახილმა, რასაც არაფრით არ მოელოდა მცველი ფრანცისგან, თვით ბრძანებამ კი პირიქით, დიდად გაახარა.

— როგორც იქნა! — გასძახა მან პასუხად, კედლის კარადა დაკეტა და იმწამსვე გაეშურა მეორე ოთახისაკენ. კართან ორივე მცველს გადააწყდა და ისევ უკან, თავის ოთახში შეაგდეს, თითქოს ასე იყო საჭირო.

— როგორ ბედავთ! — უყვირეს მათ. — პერანგის ამარა გინდათ გამოეცხადოთ ზედამხედველს? იგი თქვენს თავსაც მიაბეგვინებს და არც ჩვენ დაგვაყრის კარგ დღეს!

— დალახვროს ეშმაკმა, გამიშვით! — წამოიძახა კ-მ, რომელიც ამასობაში ტანსაცმლის კარადასთან მიეგდოთ. — კაცს ლოგინში ესხმიან თავს და ახლა იმასაც მოითხოვენ, საზეიმოდ გამოეწყვეო.

— სხვა გზა არ არის, — უთხრეს მცველებმა, რომლებიც კ-ს ყოველ აყვირებაზე შესამჩნევად მშვიდდებოდნენ, სევდაც კი ერეოდათ, რაც კ-ს თავგზასაც უბნევდა და გონზეც მოჰყავდა.

— სასაცილო ცერემონიაა! — ჩაიბუზღუნა კ-მ, მაგრამ მაინც დაავლო ხელი სკამზე გადაკიდებულ პიჯაკს და ერთხანს ისე ეჭირა გაშლილი, თითქოს მცველების აზრის გაგება სურდა, თუ ივარგებსო. მათ უარის ნიშნად თავი გაიქნიეს.

— შავი პიჯაკია საჭირო, — უთხრეს მცველებმა. კ-მ ამ სიტყვების გაგონებაზე პიჯაკი იატაკზე დააგდო და თვითონაც არ იცოდა, რა აზრი ჩადო ამ სიტყვებში: „კი მაგრამ, ახლა ხომ არ ირჩევა საქმე“.

მცველებს გაეღიმათ, მაგრამ მაინც დაჟინებით გაუმეორეს: შავი პიჯაკია საჭირო.

— რა გაეწყობა, თუ ეს საქმეს დააჩქარებს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — თქვა კ-მ, გააღო ტანსაცმლით გამოტენილი კარადა; დიდხანს იქექებოდა, ბოლოს შეარჩია საუკეთესო შავი კოსტიუმი, რომელიც ისე ადგა ტანზე, რომ ნაცნობების საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. შემდეგ ახალი პერანგიც გამოიღო და გულმოდგინედ შეუდგა ჩაცმას. თან გუნებაში გაივლო, ახლა მე მგონი, აღარაფერი დამაყოვნებს, რაკი მცველებს დაავიწყდათ და არ მაიძულეს მებანავაო. იგი თვალყურს ადევნებდა მათ, იქნებ უეცრად გაახსენდეთო, მაგრამ მცველებს ამგვარი რამ აზრადაც არ მოსდიოდათ, სამაგიეროდ ვილემს არ დავიწყებია ფრანცი ზედამხედველთან გაეგზავნა იმის მოსახსენებლად, კ. იცვამსო.

როცა ჩაცმა მოათავა, კ. ოთახიდან გავიდა და ვილემიც ფეხდაფეხ მიჰყვა უკან. მათ ცარიელი ოთახი გაიარეს და მომდევნო ოთახში შევიდნენ, სადაც უკვე ფართოდ გაეღოთ კარი. კ-მ დანამდვილებით იცოდა, რომ ცოტა ხნის წინათ ამ ოთახში ვიღაც მემანქანე, ფროიდაინ ბიურსთნერი დასახლდა. ქალიშვილი ძალიან ადრე მიდიოდა სამსახურში, შინ გვიან ბრუნდებოდა და ამიტომ მათ შორის სალამისა და მოკითხვის მეტი არაფერი თქმულა. ახლა კი ფროილაინ ბიურსთნერის პატარა მაგიდა, რომელიც აქამდე საწოლთან იდგა, შუა ოთახში გადაედგათ დაკითხვისათვის და მაგიდასთან ზედამხედველი დამჯდარიყო, ფეხი ფეხზე გადაედო, ცალი მკლავი კი სკამის ზურგზე გადაეკიდა.

ოთახის ერთ კუთხეში სამი ახალგაზრდა კაცი იდგა და ფროილაინ ბიურსთნერის ფოტოსურათებს ათვალიერებდნენ, კედელზე გაკრულ ჭილოფში რომ იყო ჩამაგრებული. ღია ფანჯრის სახელურზე ქალის თეთრი კოფთა ეკიდა. მოპირდაპირე ფანჯარას უკვე მოსდგომოდნენ მოხუცები, მაგრამ მათ კიდევ შემატებოდა ერთი მაყურებელი, მათზე ბევრად მაღალი მკერდგაღეღილი მამაკაცი, რომელიც მოხუცების ზურგს უკან იდგა და ჟღალ, წაწვეტებულ წვერს ბღუჯავდა და იგრეხდა.

— იოზეფ კ. ბრძანდებით? — ჰკითხა ზედამხედველმა ალბათ უფრო იმიტომ, რომ ყურადღებაგაფანტულ კ-ს მისთვის შეეხედა. კ-მ თავი დაუქნია.

— თქვენ ალბათ ძალიან გაგაკვირვათ ამდილანდელმა ამბავმა? — უთხრა ზედამხედველმა და ორივე ხელით ისე მისწია თავისკენ მაგიდაზე დალაგებული ნივთები — სანთელი, ასანთი, წიგნი და ნემსების დასაბნევი ბალიში, თითქოს დაკითხვისათვის სჭირდებოდა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კ-მ და სასიამოვნო გრძნობამ შეიპყრო; როგორც იქნა, ჭკვიანი კაცი შეხვდა და შეუძლია საქმეზე ელაპარაკოს. — რა თქმა უნდა, გაკვირვებული ვარ, თუმცა არც ისე ძლიერ.

— არც ისე ძლიერ? — ჰკითხა ზედამხედველმა და ახლა სანთელი შუა მაგიდაზე დადგა. სხვა ნივთებს კი მის ირგვლივ მოუყარა თავი.

— ეტყობა სხვაგვარად გაიგეთ ჩემი სიტყვები, — აჩქარებით დასძინა კ-მ. — მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა...—მაგრამ მან ლაპარაკი შეწყვიტა და თვალით სავარძელს დაუწყო ძებნა. — ხომ შეიძლება დავჯდე? — იკითხა მან.

— წესი არ არის, — უპასუხა ზედამხედველმა.

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, — განაგრძო კ-მ სხაპასხუპით, — მართალია, ძლიერ გაკვირვებული ვარ, მაგრამ როცა ქვეყანაზე ოცდაათ წელიწადს ბოგინებ და მარტოს გიხდება თავის გატანა, როგორც ეს მე მარგუნა ბედმა წილად, ძალაუნებურად ეჩვევი ყოველგვარ მოულოდნელობას და გულთან ახლოს არ მიგაქვს; განსაკუთრებით ისეთი ამბები, როგორიც დღევანდელია.

— რატომ მაინცდამაინც ისეთი, როგორიც დღევანდელია?

— მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ყველაფერი რაც მოხდა, ხუმრობად მიმაჩნია! სად გაგონილა ხუმრობით ამდენი დავიდარაბის ატეხა. პანსიონის მდგმურები და თქვენ ყველანი თუ აწრიალდით, ეს ხომ ყოველგვარი ხუმრობის საზღვრებს სცილდება. ამიტომაც არ მინდა იმის თქმა, რომ ეს ხუმრობაა.

— მართალი ბრძანდებით, — თქვა ზედამხედველმა და ასანთის კოლოფში ჩაიხედა, რამდენი ღერი დარჩა შიგო.

— მეორე მხრივ, — განაგრძო კ-მ ყველას გასაგონად, მას უნდოდა იმ სამი ახალგაზრდა კაცის ყურადღებაც მიეპყრო, ფოტოსურათებს რომ ათვალიერებდნენ, — მეორე მხრივ არ შეიძლება ეს საქმე დიდად მნიშვნელოვანი იყოს. ამ დასკვნამდე იმიტომ მივედი, რომ რაღაცაში მადანაშაულებენ, მაგრამ არაფერი დამიშავებია ისეთი, რის გამოც შეუძლიათ ბრალი დამდონ. თუმცა არსებითი არც ესაა. მთავარია, ვინ მდებს ბრალს, რომელი უწყება აწარმოებს ჩვენს საქმეს? თქვენ მოხელეები ხართ? — მაშინ რატომ არ გაცვიათ ფორმა, თუ ფორმად არ ჩავთვლით, — მიმართა მან ფრანცს, — თქვენს ტანსაცმელს, რომელიც სამგზავრო ტანსაცმელს უფრო ჰგავს. ამიტომ მე ამ საკითხების გარკვევას ვითხოვ და დარწმუნებული ვარ, როგორც კი გაირკვევა, ჩვენ გულთბილად დავშორდებით ერთმანეთს.

ზედამხედველმა ასანთის კოლოფი მაგიდას დაჰკრა.—მწარედ ცდებით, — თქვა მან, — არც ამ ბატონებს და არც მე არავითარი კავშირი არა გვაქვს ამ საქმესთან, უფრო მეტიც, ამის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ნამდვილი ფორმაც რომ გვცმოდა, თქვენი საქმე ამის გამო ოდნავადაც არ გაუარესდებოდა. მე იმასაც კი ვერ დაგიდასტურებთ, ბრალს გდებენ თუ არა თქვენ რამეში და საერთოდ არც ვიცი, ხართ თუ არა ბრალდებული. ცხადი მხოლოდ ისაა, რომ დაპატიმრებული ხართ. ძეტი მე არაფერი ვიცი. შესაძლოა მცველებმა აქ რაღაც მოჩმახეს, მაგრამ მათ ლაყბობას ყურს ნუ დაუგდებთ. მართალია, კითხვებზე პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ ერთ რამეს გირჩევთ — ნაკლებად იფიქრეთ ჩვენზე და იმაზე, რაც გელით, უმჯობესია მეტი იფიქროთ საკუთარ თავზე. თანაც რატომ ტეხთ ამდენ აურზაურს თქვენი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, გრძნობების აყოლა აფუჭებს იმ საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას, საერთოდ რომ ახდენთ. ერთი სიტყვით, მეტი თავდაჭერა გმართებთ ლაპარაკის დროს. თითქმის ყველაფერი, რაც აქამდე თქვით, მაინც გასაგები იქნებოდა თქვენი ქცევის მიხედვით, ორიოდე სიტყვაც რომ გეთქვათ. გარდა ამისა ისეთი არაფერი წამოგცდენიათ, თქვენთვის რომ სახეირო ყოფილიყო.

კ. ზედამხედველს მიაშტერდა. მოწაფესავით ჭკუას აიგებდა კაცი, რომელიც შეიძლება მასზე უმცროსიც კი იყო. გულახდილობისათვის საყვედური დაიმსახურა. ამავე დროს ვერაფერი გაიგო ვერც დაპატიმრების მიზეზსა და ვერც იმ კაცზე, ვინც ამგვარი ბრძანება გასცა. კ. აღშფოთებამ მოიცვა, ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა, ხელს არავინ უშლიდა. შემდეგ მანჟეტები სახელოებს ქვეშ შემალა, გულისპირი გაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა, და როცა სამ ახალგაზრდას ჩაუარა, ჩაილაპარაკა: „რამხელა უაზრობაა!“ ამ სიტყვების გაგონებაზე სამივე ახალგაზრდა მისკენ შემობრუნდა და თანაგრძნობით, მაგრამ მკაცრად შეხედეს. ბოლოს ისევ ზედამხედველის მაგიდის წინ გაჩერდა.

— პროკურორი ჰასტერერი ჩემი კარგი მეგობარია,—თქვა მან, — შეიძლება დავურეკო?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ზედამხედველმა, — მაგრამ თუ პირად საქმეზე არაფერი გაქვთ სალაპარაკო, არ მესმის, რა აზრი აქვს დარეკვას.

— რა აზრი? — წამოიძახა კ-მ უფრო გაოგნებულმა, ვიდრე გაბრაზებულმა. — ბოლოს და ბოლოს ვინა ხართ? ეძებთ აზრს და ისეთ უაზრობას სჩადიხართ, წარმოდგენაც კი ჭირს! მოდი და ნუ გაცეცხლდები! ეს ვაჟბატონები ჯერ თავს დამესხნენ, ახლა კი დამსხდარან აქ და უნდათ თავიანთ ჭკუაზე მატარონ. გამომიცხადეთ, დაპატიმრებული ხართო და ახლა მეუბნებით, რა აზრი აქვს პროკურორთან დარეკვასო? კარგი, არ დავრეკავ.

— რატომ, — უთხრა ზედამხედველმა და ხელი გაიშვირა წინკარისაკენ, სადაც ტელეფონი ეკიდა, — დარეკეთ, თუ გნებავთ!

— არა, აღარ მინდა, — თქვა კ-მ და ფანჯარასთან მივიდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯარასთან კვლავ შეჯგუფულიყვნენ დედაბერი და მისი ამალა, მაგრამ კ-ს ფანჯარასთან მისვლამ ხელი შეუშალა მშვიდად ეცქირათ. მოხუცები წამოდგომას აპირებდნენ, მაგრამ ისინი მათ უკან მდგარმა მამაკაცმა დაა-შოშმინა.

— შეხედეთ ერთი, რას გვიყურებენ, — მიმართა კ-მ მეტისმეტად ხმამაღლა ზედამხედველს და მოპირდაპირე ფანჯარაზე მიუთითა. — მოსცილდით ფანჯარას, — გასძახა შემდეგ მოთვალთვალეთ.

სამივემ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მოხუცები მამაკაცის ზურგს ამოეფარნენ და მანაც თავისი დიდი სხეულით ისინი თითქმის მთლიანად დაფარა. მამაკაცს ტუჩების მოძრაობაზე ეტყობოდა, რაღაცას ამბობდა, მაგრამ ამ სიშორიდან აბა რას გაიგონებდი! წასვლით მაინც არსად წასულან, თითქოს იმ წამს ელოდნენ, როდის მიეცემოდათ საშუალება, კვლავ შეუმჩნევლად მიახლოვებოდნენ ფანჯარას.

— რა აბეზარი, რა მოურიდებელი ხალხია, — თქვა კ-მ და ოთახისაკენ შემობრუნდა.

ზედამხედველი თითქოს დაეთანხმა. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა კ-ს, როცა ალმაცერად გახედა. თუმცა, შეიძლება სულაც არ უსმენდა, რადგან ცალი ხელი ისე ბრტყლად დაედო მაგიდაზე, თითქოს თითებს ატოლებსო ერთმანეთს. ორივე მცველი ფარდაგადაფარებულ სკივრზე ჩამომჯდარიყო და მუხლებს იზელდნენ. სამი დოინჯშემოყრილი ახალგაზრდა უმიზნოდ იცქირებოდა აქეთ-იქით. ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, როგორიც მიგდებულ დაწესებულებაში იცის.

— ბატონებო! — წამოიძახა კ-მ და ერთი წუთით მოეჩვენა, ყველაფერი მე დამაწვა მხრებზეო. —სახეზე გეტყობათ, ჩემი საქმე დამთავრებულია. ჩემის აზრით, ჯობს ნუღარ ჩავუფიქრდებით, თქვენი საქციელი გამართლებულია თუ გაუმართლებელი. ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი და მშვიდობიანად დავასრულოთ ეს საქმე. თუ ჩემს აზრს იზიარებთ, მაშინ... — იგი მაგიდას მიადგა და ზედამხედველს ხელი გაუწოდა.

ზედამხედველმა თავი ასწია და გამოწვდილ ხელს ტუჩების კვნეტით შეხედა. კ-ს ერთხანს ეგონა ხელს ჩამომართმევსო, მაგრამ ზედამხედველი წამოდგა, ფროილაინ ბიურსთნერის საწოლზე დაგდებული გახევებული, მრგვალი ქუდი აიღო და ორივე ხელით ისე ფრთხილად დაიხურა, როგორც ეს ახალი ქუდის მორგების დროს იციან.

— რა მარტივად წარმოგიდგენიათ ყველაფერი, — უთხრა კ-ს ზედამხედველმა, — თქვენ ბრძანეთ, საქმე მშვიდობიანად დავამთავროთო? არა, არა, აქედან არაფერი გამოვა. თუმცა

არც იმის თქმა მინდა, გული გაიტეხეთ-მეთქი. პირიქით, რა გჭირთ ასეთი? ჯერჯერობით დაპატიმრებული ხართ და მეტი არაფერი. მე მხოლოდ ამის შეტყობინება მევალებოდა, შეგატყობინეთ და ისიც ვნახე, როგორ მიიღეთ ეს ამბავი. დღეისათვის კმარა, შეგვიძლია დროებით გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს. თქვენ ალბათ ბანკში წასვლას მოისურვებთ?

— ბანკში? — იკითხა კ-მ, — მე ხომ დაპატიმრებული ვარ. — კ-მ ეს სიტყვები გამომწვევად წარმოთქვა: თუმცა გააწბილეს და ხელი არ ჩამოართვეს, ამ ადამიანებისაგან სულ უფრო დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზედამხედველი წამოდგა. იგი მათ ეთამაშებოდა. ის კი არადა, განიზრახა, როცა წავიდოდნენ, ალაყაფის კარებამდე გაჰკიდებოდა და ეთხოვა, დამაპატიმრეთო, ამიტომაც გაიმეორა:

— როგორ უნდა წავიდე ბანკში, თუკი დაპატიმრებული ვარ?

— აი, თურმე რა, — უთხრა კართან მისულმა ზედამხედველმა, — ეტყობა, კარგად ვერ გამიგეთ. დაპატიმრებული კი ხართ, მაგრამ ხელი არ უნდა შეგეშალოთ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში და საერთოდ თქვენი ცხოვრება ჩვეულებრივად უნდა მიმდინარეობდეს.

— თუ ასეა, პატიმრობა არც ისე ცუდი ყოფილა, — თქვა კ-მ და ზედამხედველს მიუახლოვდა.

— სხვანაირად არც მე მიფიქრია, — უპასუხა ზედამხედველმა.

— მაშინ არც იმის შეტყობინებას ჰქონია აზრი, რომ დაპატიმრებული ვარ, — უთხრა კ-მ და კიდევ უფრო მიუახლოვდა ზედამხედველს. მათ დანარჩენებიც შეუერთდნენ, ყველა ერთ ადგილას, კართან შეჯგუფდა.

— ეს იყო ჩემი მოვალეობა, — თქვა ზედამხედველმა.

— სულელური მოვალეობაა, — უთხრა კ-მ ჯიუტად.

— შეიძლება, — უპასუხა ზედამხედველმა, — მაგრამ არ ღირს ასეთ საუბარზე დროის დაკარგვა. მეგონა, ბანკში გინდოდათ წასვლა. რადგან ყველა სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებთ, დავსძენ: ბანკში წასვლას არ გაძალებთ, მეგონა თვითონ გინდოდათ წასვლა, ხოლო ამ ნაბიჯის გადადგმა რომ გამეადვილებინა თქვენთვის და ბანკში თქვენი მისვლაც შეუმჩნეველი დარჩენილიყო, აი, ეს სამი ახალგაზრდა კოლეგა აქ მოგგვარეთ.

— როგორ? — იყვირა კ-მ და სამ ახალგაზრდას გაკვირვებით მიაჩერდა. ეს უსახური, უხერხემლო ახალგაზრდები წეღან ჯგუფად რომ იდგნენ და ფოტოსურათებს ათვალიერებდნენ, სინამდვილეში მისი ბანკის მოხელეები აღმოჩნდნენ და

არა კოლეგები; კოლეგობას ბევრი უკლდათ, ეს კი იმაზე მეტ-
ყველებდა, რომ ვითომდა ყოვლისმცოდნე ზედამხედველმა
ყველაფერი როდი იცოდა. საკვირველია, როგორ ვერ იცნო
კ-მ ისინი. როგორ შეიყოლიეს ზედამხედველმა და მცველებმა
ისე, რომ ამ სამ ახალგაზრდას ყურადღება არ მიაქცია! რო-
გორ ვერ იცნო სარგადაყლაპული რაბენშთაინერი, ხელებს
რომ იქნევს წარამარა, ან ეს თვალებჩაცვენილი ქერა ქული-
ჰი, და ან კიდევ ქამინერი, რომელსაც სახის კუნთები განუწ-
ყვეტლივ უთამაშებს და ამის გამო საძაგელი ღიმილი აქვს.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმა მათ კ. მცირე ხნის
შემდეგ და სამივე ვაჟბატონს ხელი გაუწოდა. მათ თავაზიანად
დაუკრეს თავი. — სულ ვერ გიცანით, მაშასადამე, ერთად
წავალთ სამსახურში, არა?

ვაჟბატონებმა გაიცინეს და ისეთი მონდომებით დაუკრეს
თავი, თითქოს მთელი ამ ხნის მანძილზე ამის თქმას ელოდნე-
ნო, ხოლო როცა კ-მ ქუდი მოისაკლისა, ისინი ქუდის მო-
სატანად მის ოთახში ფაცხაფუცხით გაცვივდნენ, რაც მათ
ერთგვარ დაბნეულობაზე მეტყველებდა. კ. ჩუმად იდგა და
ორივე მოღიავებულ კარში შეეძლო თვალი გაეყოლებინა მათ-
თვის. ბოლოში, რა თქმა უნდა, გულგრილი რაბენშთაინერი მო-
ექცა, იგი ელეგანტურად მითოხარიკობდა. ქამინერმა ქუდი
მოართვა და კ-მ გაიფიქრა, — ეს აზრი ბანკშიც ხშირად
სწვევია, — ქამინერი განზრახ კი არ იღიმებოდა ასე, არამედ
სხვაგვარად გაღიმება საერთოდ არ შეეძლო. წინკარში ფრაუ
გრუბახმა, რომელსაც სრულიად არ ჰქონდა დამნაშავე ადა-
მიანის გამომეტყველება, მთელ ჯგუფს კარი გაუღო და კ-მ,
ჩვეულებისამებრ, თვალი შეავლო მისი წინსაფრის თასმას,
რომელიც ყოველთვის ღრმად იყო შეჭრილი ქალის მსუქან
სხეულში. ქუჩაში კ-მ დახედა საათს, ხელში რომ ეჭირა და
გადაწყვიტა ტაქსი გაეჩერებინა, რათა ნახევარი საათით ისე-
დაც დაგვიანებულს კიდევ უფრო არ დაეგვიანებინა. ქამინერი
ქუჩის კუთხისკენ გაიქცა მანქანის დასაჭერად, დანარჩენი
ორი კი აშკარად ცდილობდა კ. გაერთო. უეცრად ქულიჰმა
ხელი გაიშვირა მოპირდაპირე სახლის ალაყაფის კარისაკენ,
საიდანაც ის იყო გამოვიდა მაღალი, ჟღალწვერა მამაკაცი, და
ოდნავ შემცბარმა იმის გამო, რომ მთელი ტანით გამოჩნდა,
უკან დაიხია და იქვე კედელს მიეყრდნო. მოხუცები, ეტყობა,
ჯერ კიდევ კიბეზე ჩამოდიოდნენ. კ. გაბრაზდა, ქულიჰმა რომ
ყურადღება მიაქცევინა მამაკაცზე, რომელიც წეღან თვითონ
დაინახა ფანჯარაში და რომლის გამოჩენას ელოდა კიდეც.

— ნუ იყურებით იქით! — წამოიძახა მან ისე, რომ არ
გაუთვალისწინებია, რა გამომწვევია ასეთი კილო მოზრდილ
ადამიანებთან ურთიერთობაში. მაგრამ არაფრის ახსნა აღარ

დასჭირდა, რადგან ამ დროს ავტომანქანა გაჩერდა, ყველანი
ერთად ჩასხდნენ და წავიდნენ. მხოლოდ ავტომანქანაში გაახ-
სენდა კ-ს, რომ ზედამხედველისა და მცველების წასვლა ვერ
შეამჩნია, ჯერ იყო და ზედამხედველის გამო ბანკის სამი მო-
ხელე ვერ იცნო, ახლა კი სამი მოხელის გამო ზედამხედველი
გაეპარა თვალსა და ხელს შუა. ეს კი იმაზე მეტყველებდა,
რომ სულის სიმხნევე აკლდა და კ-მ გადაწყვიტა უფრო ყუ-
რადღებით დაკვირვებოდა საკუთარ თავს. მიუხედავად ამისა,
მაინც მოტრიალდა, მანქანიდან თავი გამოყო და ერთხელ კი-
დევ სცადა თვალი მოეკრა ზედამხედველისა და მცველები-
სათვის. მაგრამ იმწამსვე გასწორდა, მოხერხებულად მოიკალა-
თა მანქანის კუთხეში და აღარავის მოძებნა აღარ უცდია. გა-
რეგნულად თითქოს არაფერი ეტყობოდა, მაგრამ სწორედ ახ-
ლა სჭირდებოდა ყველაზე მეტად, ვინმე გამოლაპარაკებოდა.
ბანკის მოხელეები დაღლილი ჩანდნენ, რაბენშთაინერი მარჯვ-
ნივ იყურებოდა, ქულიჰი მარცხნივ, ლაპარაკის ხასიათზე თით-
ქოს მხოლოდ ულაზათოდ მომღიმარი ქამინერი იყო, მაგრამ
კაცთმოყვარე ადამიანი ხომ ვერ იკადრებდა მის აბუჩად აგ-
დებას, აქაოდა, სულ იკრიჭებაო.

ამ გაზაფხულზე კ. საღამოებს ჩვეულებრივ ასე ატარებდა:
სამსახურის შემდეგ ხშირად ცხრა საათამდე ბანკში რჩებო-
და, ხოლო როცა მოიცლიდა, მარტო ან რომელიმე თანამშ-
რომელთან ერთად სეირნობდა, ბოლოს კი ლუდხანაში შედიო-
და და იქაურ თანამეინახეებთან, ხანში შესულ მამაკაცებთან
ერთად ღამის თერთმეტ საათამდე უჯდა მაგიდას, ხანდახან ამ
განრიგს არღვევდა: ზოგჯერ ბანკის დირექტორი, რომელიც
ძალიან აფასებდა კ-ს შრომისმოყვარეობას და მისდამი ნდობით
იყო განწყობილი, ავტომანქანით გასეირნებას შესთავაზებდა
ან საკუთარ აგარაკზე მიიწვევდა ვახშმად. გარდა ამისა, კ.
კვირაში ერთხელ ერთ ქალთან, ელზასთან, დადიოდა, რომე-
ლიც მთელი ღამე გათენებამდე ღვინის სარდაფში ოფიციან-
ტად მუშაობდა, დღისით კი მხოლოდ საწოლში ღებულობდა
სტუმრებს.

მაგრამ ამ საღამოს — მთელმა დღემ დაძაბულ მუშაობა-
ში, ქებასა და მეგობრულ მოლოცვებში სწრაფად ჩაიარა —
კ-მ გადაწყვიტა მაშინვე შინ წასულიყო. როგორც კი მუშაო-
ბის დროს მცირე ხნით შეისვენებდა, სულ ერთსა და იმავე-
ზე ფიქრობდა, თვითონაც არ იცოდა, რას გულისხმობდა, მაგ-
რამ რატომღაც ეჩვენებოდა, თითქოს დილით მომხდარმა ამ-
ბავმა ფრაუ გრუბახის ბინა ყირაზე დააყენა და წესრიგსაც
მის გარდა ვერავინ აღადგენდა. თუ წესრიგის აღდგენა სახელ-
დახელოდ მოხერხდებოდა, მაშინ დილით მომხდარი ამბის
ყოველგვარი კვალი წაიშლებოდა და ყველაფერი ძველი გზით

წარიმართებოდა. იმ სამი მოხელისა არ ეშინოდა, რადგან ბანკის მრავალრიცხოვან თანამშრომლებში გაითქვიფნენ და საეჭვოდაც არ იქცეოდნენ. იმ დღეს კ-მ დაკვირვების მიზნით, ისინი რამდენჯერმე გამოიძახა კაბინეტში ცალ-ცალკე და ერთადაც, მაგრამ ყოველთვის კმაყოფილი ისტუმრებდა.

საღამოს ათის ნახევარზე, როცა კ. თავის სახლს მიადგა, ალაყაფის კარებში შეეჩეხა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ფეხები ფართოდ გაედგა და ჩიბუხს ეწეოდა.

— ვინა ხართ? — ჰკითხა კ-მ იმწამსვე, ყმაწვილს მიუახლოვდა და სახეში შეაშტერდა. ნახევრად ბნელ შესასვლელში ძნელი იყო რაიმეს დანახვა.

— მე ამ სახლის მეკარის ვაჟი ვარ, ბატონო, — უპასუხა ყმაწვილმა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და გვერდზე გადადგა.

— მეკარის ვაჟი? — ჰკითხა კ-მ და მოუთმენლად დაჰკრა ჯოხი მიწაზე.

— ბატონო ჩემო, იქნებ რამე გსურთ? მამას დავუძახებ.

— არა, არა, — თქვა კ-მ და მის ხმაში რაღაც შემწყნარებლობის მაგვარი გაისმა, თითქოს ყმაწვილმა რაღაც დააშავა, მან კი აპატია.

— ყველაფერი რიგზეა, — დასძინა კ-მ და გზა განაგრძო, მაგრამ სანამ კიბეზე ავიდოდა, კიდევ ერთხელ შემობრუნდა.

მას შეეძლო პირდაპირ თავის ოთახისაკენ წასულიყო, მაგრამ რადგან ფრაუ გრუბახთან საუბარი სურდა, კარზე დაუკაკუნა. ფრაუ გრუბახს ხელით ნაქსოვი წინდა ეჭირა და მაგიდას მისჯდომოდა. მაგიდაზე ძველი ყელიანი წინდების გროვა ეყარა. კ-მ დაბნეულად მოიხადა ბოდიში გვიანი სტუმრობისათვის. მაგრამ ფრაუ გრუბახი ძალზე თავაზიანად შეხვდა და არავითარი ბოდიშის გაგონება არ უნდოდა. სასაუბროდ მაშინ მობრძანდით, როცა გნებავთ, კარგად იცით, რომ ჩემი საუკეთესო და უსაყვარლესი მდგმური ბრძანდებითო, უთხრა ფრაუ გრუბახმა. კ-მ ოთახს თვალი მოავლო. ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა. ის ჭურჭელიც აელაგებინათ, რითაც დილით საუზმე მოუტანეს და ფანჯარასთან პატარა მაგიდაზე დატოვეს. „რას არ გააკეთებს ქალის ხელი“, გაიფიქრა კ-მ, თვითონ ალბათ მარტო გატანასაც ვერ მოახერხებდა და მთელ ჭურჭელს დაამსხვრევდა. კ-მ მადლიერების გრძნობით შეხედა ფრაუ გრუბახს და ჰკითხა:

— რატომ მუშაობთ ასე გვიანობამდე? — ახლა ორივენი მაგიდასთან ისხდნენ, კ. დროდადრო წინდების გროვაში აფათურებდა ხელს.

— ბევრი საქმე მაქვს, — თქვა ქალმა, — მთელი დღე მდგმურებს ვუნდები, საკუთარი საქმეების მოსაწესრიგებლად კი მხოლოდ საღამო მრჩება.

— დღეს მე ალბათ ზედმეტი საქმე გაგიჩინეთ, არა?

— როგორ? — ჰკითხა ოდნავ გამოცოცხლებულმა ფრაუ გრუბახმა და წინდა მუხლებზე დაიდო.

— იმ მამაკაცებზე მოგახსენებთ, ამ დილით რომ იყვნენ აქ.

— აი, თურმე რა, — თქვა ქალმა და ისევ დამშვიდდა.— ამ ამბის გამო ზედმეტი საქმე სულაც არ გამჩენია.

კ. მდუმარედ უყურებდა, ფრაუ გრუბახმა ხელახლა როგორ აიღო წინდა ხელში. „მგონი, გაკვირვებულია, ამ ამბავზე რომ ჩამოვუგდე საუბარი, — გაიფიქრა კ-მ — და მგონი, უადგილოდაც მიაჩნია ამაზე ლაპარაკი. თუ ასეა, დიახაც მართებულად ვიქცევი. მხოლოდ ასეთ ხანდაზმულ ქალს შემიძლია ვუთხრა სათქმელი“.

— რას ბრძანებთ, საქმე როგორ არ გაგიჩინეთ? — თქვა კ-მ, — მაგრამ ამგვარი რამ აღარ განმეორდება.

— დიახ, — ამგვარი რამ არ შეიძლება განმეორდეს, — დაუდასტურა ფრაუ გრუბახმა თავგამოდებით და კ-ს ოდნავ ნაღვლიანად გაუღიმა.

— თქვენ მართლა ასე ფიქრობთ? — ჰკითხა კ-მ.

— დიახ, — უპასუხა ქალმა ჩუმად, — მაგრამ მთავარია, ეს ამბავი გულთან ახლოს არ მიიტანოთ. ქვეყანაზე რა არ ხდება! რადგან ასე გულახდილად მესაუბრებით, გამოგიტყდებით, ბატონო კ., კართან მიყურადებულმა ცოტა რამ გავიგონე, ზოგიც მცველებმა მიამბეს. საქმე თქვენს ბედს ეხება, მე კი თქვენზე მართლა შემტკივა გული, შეიძლება იმაზე მეტადაც, ვიდრე უფლება მაქვს. მე ხომ მხოლოდ დიასახლისი ვარ თქვენი. ჰოდა, რაღაც-რაღაცებს მოვკარი ყური და ვერ ვიტყვი, საქმე ძალიან ცუდადაა-მეთქი. არა, მართალია, დაპატიმრებული ბრძანდებით, მაგრამ ქურდივით კი არ დაგაპატიმრეს. საქმე მაშინაა ცუდად, როცა ქურდივით გიჭერენ, მაგრამ თქვენი დაპატიმრება... ამ ამბავში არის რაღაც მეცნიერული, მაპატიეთ თუ სისულელეს ვროშავ, აქ მართლაც არის რაღაც მეცნიერული. შეიძლება მე ამისა არაფერი გამეგება, მაგრამ ეს არც უნდა იყოს გასაგები.

— რაც თქვენ ბრძანეთ, სისულელე როდია, ფრაუ გრუბახ, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მეც ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ ამ ამბავს მე თქვენზე მკაცრად ვუყურებ. ამ საქმეში არათუ მეცნიერულს, საერთოდ ვერაფერს ვერ ვხედავ. მოულოდნელად დამესხნენ თავს, ესაა და ეს, გაღვიძებისთანავე ლოგინიდან რომ ავმდგარიყავი, თანაც თავგზა არ დამბნეოდა, ანამ საუზმე არ მომიტანა-მეთქი, არ მიმექცია ყურადღება იმათთვის, ვინც გზა გადამიღობა, პირდაპირ თქვენთან მოვსულიყავი და ამ ერთხელ მაინც სამზარეულოში მესაუზმა, თქვენთვის კი მეთხოვა, ჩემი ოთახიდან ტანსაცმელი გამოგე-

ტანათ, ერთი სიტყვით, გონივრულად რომ მოვქცეულიყავი, არაფერი მოხდებოდა, ყველაფერი ჩანასახშივე ჩაიხშობოდა. მაგრამ წინასწარ არავინ არაფრისთვის არ არის მომზადებული. მაგალითად, ბანკში ვაგლახად არავის დავეჩაგვრინები, შეუძლებელია, იქ ასეთი რამ დამემართოს, მყავს საკუთარი შიკრიკი, მაგიდაზე ქალაქისა და შიდა ტელეფონი მიდგას. ყოველ წუთს შემოდიან და გადიან როგორც კლიენტები, ასევე ბანკის თანამშრომლები. გარდა ამისა, ჩაფლული ვარ სამუშაოში, რაც სულის სიმტკიცეს მოითხოვს. იქ რომ ასეთი ამბავი დამმართოდა, უბრალოდ სიამოვნებას მომანიჭებდა, მაგრამ ახლა ყველაფერმა ჩაიარა, აღარც კი მსურს ამაზე ლაპარაკი, მე მხოლოდ თქვენი აზრის გაგება მინდოდა, გონიერი ქალის აზრისა და ძალიან მიხარია, რომ ამ ამბავზე ჩვენ ერთხაირი შეხედულებისა ვართ. ახლა კი მინდა ხელი გამოგიწოდოთ. ასეთი ერთსულოვნება ხელის ჩამორთმევით უნდა განმტკიცდეს.

„საინტერესოა, გამომიწვდის ხელს თუ არა? ზედამხედველმა ხომ არ გამომიწოდა“, — გაიფიქრა კ-მ და დიასახლისს სხვაგვარი, გამომცდელი თვალით შეხედა. ფრაუ გრუბახი წამოდგა, რადგან მასზე ადრე კ. ადგა. ქალი ოდნავ დარცხვენილი ჩანდა იმის გამო, რომ კ-ს ნათქვამიდან ბევრი რამ ვერ გაეგო, ამგვარმა დაბნეულობამ კი ათქმევინა რაღაც ისეთი, რის თქმაც სრულიად არ უნდოდა და ამიტომ მისი ნათქვამი ძალზე უადგილო აღმოჩნდა.

— ნუ მიიტანთ ყოველივე ამას ასე ახლოს გულთან, ბატონო კ., — თქვა ქალმა ცრემლმორეული ხმით და, რა თქმა უნდა, ხელის ჩამორთმევა დაავიწყდა.

— თითქოს არც მიმაქვს არაფერი გულთან, — თქვა კ-მ., უეცრად დაღლილობა იგრძნო და მიხვდა, ამ ქალის მხარდაჭერას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის.

— ფროილაინ ბიურსთნერი თუა შინ? — იკითხა კართან მისულმა კ-მ.

— არა, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა და ეს მშრალი ცნობა დაგვიანებული, მაგრამ თანაგრძნობის გამომხატველი გონივრული ღიმილით შეარბილა. — თეატრშია, იქნებ გჭირდებათ? გადავცი რამე?

— არა, მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა მისთვის.

— სამწუხაროდ, არ ვიცი, როდის დაბრუნდება, თეატრიდან ჩვეულებრივ გვიან მოდის.

— არა უშავს, — თქვა კ-მ და თავდახრილი შებრუნდა კარისაკენ, — მე მხოლოდ მინდოდა ბოდიში მომეხადა იმის გამო, რომ დღეს მის ოთახში შევიჭერი.

— რა საჭიროა ბოდიშის მოხდა, ბატონო კ., თქვენ მეტისმეტად მორიდებული ბრძანდებით, ფროილაინ ბიურსთნერმა ხომ დილანდელ ამბავზე არაფერი იცის, ადრე გასული ჯერაც არ დაბრუნებულა შინ. გარდა ამისა, ოთახში ყველაფერი მილაგებულია, თუ გნებავთ, თვითონ ნახეთ,—უთხრა ფრაუ გრუბახმა და ფროილაინ ბიურსთნერის ოთახის კარი საკუთარი ხელით გაუღო.

— გმადლობთ, თქვენი ისედაც მჯერა, — უპასუხა კ-მ, მაგრამ მაინც მივიდა ღია კართან. მთვარე მშვიდად ანათებდა ბნელ ოთახს. რამდენადაც ამის დანახვა შესაძლებელი იყო, ოთახში მართლაც ყველაფერი თავის ალაგას იყო, კოფთაც კი აღარ ეკიდა ფანჯრის სახელურზე. განსაკუთრებით აკოკოლავებული ჩანდა საწოლზე დაწყობილი ბალიშები, რომელთაც მთვარის შუქი ნაწილობრივ ეცემოდა.

— ფროილაინ ბიურსთნერი ხშირად ბრუნდება შინ გვიან? — თქვა კ-მ და ისე შეხედა ფრაუ გრუბახს, თითქოს მდგმურის წასვლა-მოსვლა მას ეკითხებოდა.

— ასე ცხოვრობს ყველა ახალგაზრდა, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა ისე, თითქოს ქალიშვილს ამართლებდა.

— გასაგებია, გასაგებია, — თქვა კ-მ., — მაგრამ ასე შეიძლება შორს შეტოპოს.

— ადვილი შესაძლებელია, — თქვა ფრაუ გრუბახმა, — იცით, ამ შემთხვევაში მართალი ბრძანდებით, ბატონო კ., რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი არა მაქვს, ცილი დავწამო ფროილაინ ბიურსთნერს, იგი კარგი, საყვარელი, თავაზიანი, წესიერი, გულმოდგინე, შრომისმოყვარე ქალიშვილია, მის ამ თვისებებს ძალიან ვაფასებ, მაგრამ ერთ რამეში მართალი ბრძანდებით, მეტი სიამაყე, მეტი თავდაჭერილობა მართებს. ამ თვეში უკვე მეორეჯერ ვნახე მიყრუებულ ქუჩებში და ორჯერვე სხვადასხვა ვაჟბატონთან. ღმერთს გეფიცებით, ძალიან არ მსიამოვნებს ეს ამბავი, ბატონო კ., ყოველივე ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით, მაგრამ, ეტყობა, მასთან ლაპარაკიც არ ამცდება, თუმცა მარტო ამის გამო არ ვუყურებ ეჭვის თვალით.

— რა ძალიან ცდებით,—კ. ისე გაცხარდა, რომ თავს ძლივს იკავებდა, — და საერთოდ თქვენ არასწორად გაიგეთ ჩემი სიტყვები ფროილაინ ბიურსთნერზე, სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა. გულწრფელად გაფრთხილებთ, ფროილაინ ბიურსთნერს ნურაფერს ეტყვით. როგორ მოტყუვდით; მე ძალიან კარგად ვიცნობ მას, თქვენს ნათქვამში სიმართლის ნატამალიც კი არ ურევია. თუმცა, იქნებ ბევრის უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, ვინ მეკითხება, უთხარით, რაც გნებავთ, ღამე მშვიდობისა.

— ბატონო კ., — მუდარით გაეკიდა ფრაუ გრუბახი კ-ს,

რომელსაც უკვე თავისი ოთახის კარი გამოეღო, — სულაც არ ვაპირებ ახლავე დაველაპარაკო ფროილაინ ბიურსთნერს, რა თქმა უნდა, ჯერ თვალყური უნდა ვადევნო, მე ხომ მხოლოდ თქვენ გაგიმხილეთ ის, რაც ვიცი. ბოლოს და ბოლოს ყველა მდგმურს სურს, პანსიონში სისუფთავე სუფევდეს და მეც მხოლოდ ეს სურვილი მამოძრავებს.

— სისუფთავე? — იკითხა კ-მ ახლა უკვე კარის ღრიჭოდან, — თუ მართლა გინდათ თქვენს პანსიონში სისუფთავე სუფევდეს, ყველაზე ადრე მე უნდა დამითხოვოთ.—კ-მ კარი მიაჯახუნა და მორიდებულ კაკუნს ყურადღება აღარ მიაქცია.

კ-ს სულაც არ ეძინებოდა, ამიტომ გადაწყვიტა არ დაწოლილიყო და ამჯერად მაინც დაედგინა, როდის დაბრუნდებოდა ფროილაინ ბიურსთნერი შინ. იქნებ ამ უდროო დროს მაინც მოახერხოს და გამოელაპარაკოს ქალიშვილს. როცა ფანჯარაში გადაეყუდა და დაღლილი თვალები მოჭუტა, ერთი წუთით ისიც კი გაიფიქრა, ფრაუ გრუბახი დაესაჯა და ფროილაინ ბიურსთნერი დაეყოლიებინა, ერთად გადასულიყვნენ ამ სახლიდან. მაგრამ იმწამსვე მიხვდა, რომ ყველაფერს მეტისმეტად აზვიადებს და ეჭვიც კი შეეპარა, ბინის გამოცვლა ამ დილით მომხდარი ამბის გამო მსურს ალბათო. ამაზე უფრო უაზრო და რაც მთავარია, უსარგებლო და უხამსი რა შეიძლებოდა ყოფილიყო.

როცა ცარიელი ქუჩის თვალიერება მობეზრდა, დივანზე წამოწვა, მაგრამ მანამდე კარი ოდნავ გამოაღო, რათა დივანიდან წამოუდგომლად დაენახა ბინაში ყველა შემომსვლელი. დაახლოებით თერთმეტ საათამდე მშვიდად იწვა და სიგარას ეწეოდა. მაგრამ შემდეგ მოუთმენლობამ შეიპყრო და წინკარში გავიდა, თითქოს ამით ფროილაინ ბიურსთნერი მოსვლას დააჩქარებდა. მაინცდამაინც დიდად არ სურდა მისი ნახვა, იმასაც კი ვერ იხსენებდა ხეირიანად, როგორ გამოიყურებოდა ფროილაინ ბიურსთნერი, მაგრამ მასთან საუბარი უნდოდა და აღიზიანებდა ის ამბავი, რომ მისი დაგვიანების გამო დღის ბოლოც კი მოუსვენრობითა და უწესრიგობით იყო აღსავსე. ქალიშვილს იმასაც აბრალებდა, რომ დღეს ვერ ივახშმა და ვერ წავიდა ელზასთან; მასთან სტუმრობა ხომ დღეისათვის ჰქონდა გათვალისწინებული. თუმცა, იმის ანაზღაურება, რაც დაკარგა, არ გაუჭირდებოდა; ყოველ წუთს შეეძლო წასულიყო იმ ღვინის სარდაფში, სადაც ელზა მუშაობდა. სწორედ ასე მოიქცევა, როგორც კი ფროილაინ ბიურსთნერს დაელაპარაკება.

თორმეტის ნახევარი გადასული იყო, როცა კიბეზე ვილაცის ფეხის ხმა გაისმა. დაფიქრებული კ. ისე მძიმედ დააბიჯებდა წინკარში, თითქოს მისი ოთახი ყოფილიყო, მაგრამ ფეხის

ხმის გაგონებისთანავე საკუთარ ოთახში შევარდა. ფროილაინ ბიურსთნერი შინ დაბრუნდა. სანამ ბინის კარს ჩაკეტავდა, შემცივნებული კიდევ უფრო მაგრად გაეხვია ვიწრო მხრებზე წამოსხმულ აბრეშუმის შალში. ერთი წუთიც და თავის ოთახში შეავიდოდა, სადაც კ-ს ამ შუაღამისას შესვლის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ ახლავე უნდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ საუბედუროდ, ოთახში სინათლის ანთება დაავიწყდა და ახლა რომ ბნელი ოთახიდან გამოსულიყო, ეს თავდასხმას ემგვანებოდა, ყოველ შემთხვევაში, ქალიშვილს ძალიან შეეშინდებოდა. დაბნეულმა და დამფრთხალმა, დრო არ დაკარგოო, ქალიშვილს კარის ღრიჭოდან წასჩურჩულა: — ფროილაინ ბიურსთნერ! — მის ხმაში მუდარა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ძახილი.

— ვინა ხარ? — იკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა და ფართოდ გახელილი თვალებით ირგვლივ მიმოიხედა.

— მე ვარ, — უპასუხა კ-მ და ოთახიდან გამოვიდა.

— აჰ, ბატონო კ.! საღამო მშვიდობისა, — ღიმილით მიეგება ფროილაინ ბიურსთნერი და ხელი გაუწოდა.

— რამდენიმე სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი, დამრთავთ ახლა ამის ნებას?

— ახლა? — იკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა, — მაინცდამაინც ახლა? ცოტა უცნაურია, არა?

— მე ცხრა საათიდან გელოდებით.

— თეატრში ვიყავი, აბა რა ვიცოდი, რა განზრახვა გქონდათ.

— საქმე ისა, რომ ჩვენი საუბრის საბაბი სწორედ დღეს წარმოიშვა.

— თუ ასეა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მხოლოდ ესაა, რომ დაღლილობისაგან ძლივს ვდგავარ ფეხზე. შემოდით რამდენიმე წუთით ჩემს ოთახში, აქ არაფრით არ შეიძლება ლაპარაკი, ყველას გავაღვიძებთ, სხვებზე დიდად არ ვწუხვარ, ჩვენვე აღმოვჩნდებით უხერხულ მდგომარეობაში. ერთი წუთით დაიცადეთ, ჩემს ოთახში სინათლეს ავანთებ, შემდეგ კი ეს სინათლე ჩააქრეთ.

კ. ასეც მოიქცა და მანამდე არ დაძრულა ადგილიდან, სანამ ფროილაინ ბიურსთნერმა კიდევ ერთხელ არ დაუძახა თავისი ოთახიდან ჩურჩულით, შემოდითო.

— დაბრძანდით, — უთხრა ქალიშვილმა და დივანზე მიუთითა, ხოლო თვითონ საწოლის საზურგესთან გაჩერდა, თუმცა სულ ახლახან თქვა, დაღლილი ვარო. ყვავილებით მორთულ-მოკაზმული პატარა ქუდიც არ მოუხდია. — აბა, მითხარით ახლა, რა გინდათ? ერთი სული მაქვს, სანამ გავიგებ,— უთხრა ქალმა და ფეხები ოდნავ გადააჯვარედინა.

— ალბათ იტყვით, ეს საქმე არც ისეთი გადაუდებელი ყოფილა და შეიძლებოდა სხვა დროს გვემსჯელა ამაზეო, მაგრამ...

— შესავლის მოსმენა არ მიყვარს, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— ეს ამოცანას მიიოლებს,—უთხრა კ-მ.—ამ დილით, ნაწილობრივ ჩემი მიზეზით, თქვენი ოთახი ცოტათი არივ-დარიეს. ეს მოხდა ჩემი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ და ჩაიდინეს უცხო ადამიანებმა, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ბრალი მე მიმიძღვის. სწორედ ამის გამო მინდოდა ბოდიში მომეხადა.

— ჩემი ოთახი? — ჰკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა და ოთახი კი არა, კ. შეათვალიერა გამომცდელი თვალით.

— დიახ, — თქვა კ-მ და ამჯერად ორივემ პირველად შეხედა ერთმანეთს თვალებში, — მაგრამ იმაზე ლაპარაკი, რა როგორ მოხდა, არ ღირს.

— ყველაზე საინტერესო სწორედ ესაა, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— არა, საინტერესო აქ არაფერია, — უპასუხა კ-მ.

— რა გაეწყობა, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა, — თქვენს საიდუმლოებაში არ ჩავერევი, რაკი ამტკიცებთ, რომ ეს საინტერესო არაა, თქვენთან კამათს არ ვაპირებ. რადგან მთხოვთ, სიამოვნებით გაპატიებთ ყველაფერს, მით უმეტეს, რომ აქ არეულ-დარეულობის ვერავითარ კვალს ვერ ვხედავ.

ქალმა დოინჯი შემოიყარა, მთელი ოთახი შემოიარა და უეცრად ფოტოსურათებიან ჭილოფთან შეჩერდა.

— შეხედეთ ერთი! — წამოიძახა მან. — ჩემი ფოტოსურათები მართლაც აურ-დაურევიათ, რა უხამსობაა! ეტყობა, აქ ნამდვილად დაპარპაშებდა ვიღაც, რა უფლებით?

კ-მ თავი დაუქნია და გუნებაში შეაჩვენა ქამინერი იმის გამო, რომ ასეთი უნიათოა და ნიადაგ უთავბოლოდ, უაზროდ ფუსფუსებს.

— საოცარია, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა, — მე მიხდება აგიკრძალოთ ის, რაც თქვენ თვითონ უნდა აგეკრძალათ საკუთარი თავისთვის, კერძოდ, ჩემს აქ არყოფნაში ჩემს ოთახში არ უნდა შემოსულიყავით.

— აკი აგიხსენით, ფროილაინ, — თქვა კ-მ და ისიც მივიდა ფოტოსურათებიან ჭილოფთან, — მე არ მოვპყრობივარ თქვენს ფოტოსურათებს უდიერად, მაგრამ რადგან ჩემი არ გჯერათ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ საგამომძიებლო კომისიამ თან მოიყვანა ბანკის სამი მოხელე და ერთმა მათგანმა, — პირველი შემთხვევისთანავე გავაძევებ ბანკიდან, — სურათებს დაუწყო თვალიერება. დიახ, აქ იყო საგამომძიებლო კომისია, —

დასძინა კ-მ, რადგან ფროილაინ ბიურსთნერი ეჭვის თვალით უყურებდა.

— თქვენს გამო? — ჰკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— დიახ, — უპასუხა კ-მ.

— შეუძლებელია! — წამოიძახა ფროილაინ ბიურსთნერმა და გაიცინა.

— რატომაა შეუძლებელი, — ჰკითხა კ-მ,—თქვენ გგონიათ, უდანაშაულო ვარ?

— უდანაშაულო... აბა, რა გითხრათ, — უთხრა ქალიშვილმა, — არ მინდა ახლავე გამოვთქვა ჩემი აზრი, რასაც შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს, გარდა ამისა, არც ისე ახლოს გიცნობთ. კაცს მძიმე დანაშაული უნდა ჰქონდეს ჩადენილი, რომ საგამომძიებლო კომისია კარზე მიაყენონ. მაგრამ რადგან თავისუფალი ხართ — ყოველ შემთხვევაში, სიმშვიდეზე გეტყობათ, ციხიდან არ გამოქცეულხართ—არ შეიძლება მძიმე დანაშაული გქონდეთ ჩადენილი.

— დიახ, — თქვა კ-მ. — მაგრამ საგამომძიებლო კომისიას ხომ შეეძლო დაედგინა, რომ დამნაშავე არა ვარ, ყოველ შემთხვევაში, არც ისეთი დამნაშავე, როგორც ეგონათ.

— რა თქმა უნდა, ესეც შესაძლებელია, — უპასუხა ფროილაინ ბიურსთნერმა მეტისმეტად თავაზიანად.

— ხომ ხედავთ, — თქვა კ-მ, — მართლმსაჯულების დარგში თქვენ გამოცდილება გაკლიათ.

— მართალია, მაკლია, — უპასუხა ფროილაინ ბიურსთნერმა, — და ხშირად ვნანობ კიდეც, რადგან მინდა ყველაფერი ვიცოდე, სასამართლო საქმეები კი ყველაზე მეტად მაინტერესებს. სასამართლოს თავისებური მიმზიდველობის ძალა აქვს, არა? მე უსათუოდ შევივსებ ცოდნას ამ დარგში, რადგან მომავალი თვიდან ერთი ვექილის კანტორაში ვიწყებ მუშაობას კანცელარიის თანამშრომლად.

— ძალიან კარგი, — თქვა კ-მ, — ამ შემთხვევაში ცოტას მაინც დამეხმარებით ჩემი პროცესის წარმართვაში.

— ადვილი შესაძლებელია, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა, — რატომაც არა? ძალიან მიყვარს, როცა ცოდნას ვიყენებ ცხოვრებაში.

— მე სერიოზულად გელაპარაკებით, — თქვა კ-მ. — ან ყოველ შემთხვევაში, თქვენსავით ნახევრად სერიოზულად. ეს საქმე ისე უმნიშვნელოა, რომ ვექილის დაქირავება არ ღირს, მაგრამ მრჩეველი მართლაც შეიძლება დამჭირდეს.

— კი მაგრამ, თუ თქვენი მრჩეველი ვიქნები, ხომ უნდა ვიცნობდე საქმის ვითარებას, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი, — უპასუხა კ-მ, — თავადაც რომ არაფერი ვიცი.

— მაშ, მასხარად მიგდებთ, — წამოიძახა ფროილაინ ბიურსთნერმა გულგატეხილი ადამიანივით, — რა საჭირო იყო ამისათვის ასეთი გვიანი დრო შეგვერჩიათ. — ქალიშვილი მოშორდა ფოტოსურათებიან კედელს, სადაც აქამდე ერთად იდგნენ.

— რას ბრძანებთ, ფროილაინ, — თქვა კ.-მ. — რა მეხუმრება, რატომ არ გჯერათ? მე თქვენ ყველაფერი გითხარით, გითხარით იმაზე მეტიც, რაც ვიცი. სინამდვილეში არავითარი საგამომძიებლო კომისია არ მოსულა, ეს მე დავარქვი მათ ასე, რადგან სხვა ვერაფერი მოვიგონე. საერთოდ არავითარი გამოძიება არ ჩატარებულა, უბრალოდ, აქ რაღაც კომისია მოვიდა და დამპატიმრეს.

დივანზე ჩამომჯდარ ფროილაინ ბიურსთნერს კვლავ გაეცინა.

— მაინც როგორ მოხდა ეს ყველაფერი? — ჰკითხა კ-ს.

— საშინელებაა! — თქვა კ-მ და მოეშვა იმაზე ფიქრს, რაც დილით მოხდა, რადგან ფროილაინ ბიურსთნერის გარეგნობამ მოხიბლა: ქალიშვილი იდაყვით დივანის ბალიშში ჩაფლულიყო, სახე იმავე ხელზე დაეყრდნო, ხოლო მეორე ხელს ნაზად ისვამდა თეძოზე.

— მეტისმეტად ზოგადი სურათი დამიხატეთ, — უთხრა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— მეტისმეტად ზოგადი? — გაიკვირვა კ-მ, შემდეგ რაღაც გაახსენდა და ჰკითხა: — გინდათ გაჩვენოთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი? — მას სურდა ემოძრავა, რაღაც გაეკეთებინა, ოღონდ აქედან არსად წასულიყო.

— მე ისედაც დაღლილი ვარ, — უპასუხა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— გვიან მობრძანდით, — უთხრა კ-მ.

— ეგლა მაკლდა. მსაყვედურობთ კიდეც, თუმცა ახია ჩემზე, არ უნდა შემომეშვით ოთახში, თანაც, როგორც გამოირკვა, ეს არც ისე აუცილებელი ყოფილა.

— რას ჰქვია აუცილებელი არ ყოფილა, ახლავე დაგანახვებთ. შეიძლება გადმოვდგა აი, ეს მაგიდა, საწოლთან რომ დგას?

— ეგ რამ გაფიქრებინათ? — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა. — რა თქმა უნდა, არა!

— მაშინ ვერც ვერაფერს გიჩვენებთ, — თქვა კ-მ ისეთი გულისტკივილით, თითქოს დიდი უსიამოვნება მიაყენესო.

— აბ, თუ თვალსაჩინოებისათვის გჭირდებათ, გადადგით მაგიდა, სადაც გნებავთ, — უთხრა ფროილაინ ბიურსთნერმა

და მცირე ხნის შემდეგ მისუსტებული ხმით დასძინა: — ისე ვარ დაღლილი, რომ ზედმეტ უფლებას გაძლევთ და ეს არ ვარგა.

კ-მ მაგიდა შუა ოთახში დადგა და მიუჯდა.

— თქვენ სწორი წარმოდგენა უნდა შეგექმნათ. ვინ სად იჯდა ან იდგა, ეს ძალზე საინტერესოა. მე ზედამხედველი ვარ, აქ სკივრზე ორი მცველი ჩამომჯდარა, აქ ფოტოსურათებთან სამი ახალგაზრდა კაცი დგას, ფანჯრის სახელურზე, ამას სხვა თაშორის ვამბობ, თეთრი კოფთა ჰკიდია და აი, იწყება. მართლა, სულ დამავიწყდა საკუთარი თავი, მთელი ამ ამბის მთავარი მოქმედი პირი, მე აქ, მაგიდის წინ ვდგავარ. ზედამხედველი მეტისმეტად მოხერხებულად ზის. ფეხი ფეხზე გადაუდვია, ხელი სკამის ზურგზე გადაუკიდებია. ამგვარ ხეპრეს იშვიათად შეხვდებით. აი, ახლა კი მართლა იწყება ყველაფერი. ზედამხედველი ისეთი ხმით მეძახის, თითქოს უნდა გამაღვიძოს, ლამის ბღავის; სამწუხაროდ, რომ გაგაგებინოთ, რა როგორ იყო, მეც უნდა ვიყვირო. თუმცა უნდა ითქვას, იგი მხოლოდ ჩემს სახელს გაჰყვიროდა.

ფროილაინ ბიურსთნერმა საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა სიცილით და კ-ს ანიშნა, არ იყვიროთო, მაგრამ გვიანღა იყო, კ. ისე შეიჭრა როლში, რომ ნელა და გაბმით დაიყვირა: „იოზეფ კ!“. მართალია, ეს ყვირილი არც ისე ხმამაღლა გამოუვიდა, როგორც იმუქრებოდა, მაგრამ მთელ ოთახს კი მოედო.

ამ დროს მეზობელი ოთახის კარზე რამდენჯერმე დააკაკუნეს ძლიერად, წყვეტილად და გაბმით. ფროილაინ ბიურსთნერი გაფითრდა, ხელი გულზე მიიდო. ამის გამო კ. კიდევ უფრო დაფრთხა, რადგან მთელი ამ ხნის მანძილზე დილანდელ ამბებზე ფიქრობდა და უნდოდა, რაც შეიძლება ზუსტად წარმოედგინა ქალიშვილისათვის. როგორც კი გონს მოეგო, ფროილაინ ბიურსთნერთან მიიჭრა, ხელში სწვდა და ჩურჩულით უთხრა:

— ნუ გეშინიათ! ყველაფერს მოვაგვარებ. მაგრამ ნეტავ ვინ დააკაკუნა? გვერდით საერთო ოთახია, სადაც არავინ არ იძინებს.

— როგორ არა, — ყურში ჩასჩურჩულა ფროილაინ ბიურსთნერმა კ-ს,—გუშინდლიდან საერთო ოთახში სძინავს კაპიტანს, ფრაუ გრუბახის ძმისწულს, სხვა ოთახი თავისუფალი არ აღმოჩნდა. მე ეს სულ დამავიწყდა. რა იყო, ასე რომ აყვირდით! რა მეშველება ახლა?

— შემაშფოთებელი არაფერია, — თქვა კ-მ და ბალიშზე მისვენებულ ქალიშვილს შუბლზე აკოცა.

— მომშორდით, მომშორდით, — წამოიძახა ფროილაინ

ბიურსთნერმა და სწრაფად წამოჯდა დივანზე, — გადით, გადით აქედან, რა გინდათ ჩემგან, იგი კართანაა ატუზული და ყველაფერი ესმის, ო, როგორ მაწამებთ!

— არ გავალ, სანამ ცოტათი მაინც არ დამშვიდდებით, — უპასუხა კ-მ. — გადავინაცვლოთ იმ კუთხეში, იქიდან ვერაფერს გაიგონებს.

ქალი მორჩილად ეაჰყვა კუთხისაკენ.

— თქვენ არ გაითვალისწინეთ ერთი რამ, — უთხრა კ-მ, — შეიძლება უსიამოვნება არ აგცდეთ, მაგრამ ხიფათი კი ნამდვილად არ გელით. თქვენ ხომ იცით, ფრაუ გრუბახი, რომელსაც ამ საქმეში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს, რამდენადაც კაპიტანი მისი ძმისწულია, ლამის თაყვანს მცემს და უყოყმანოდ სჯერა ყოველი ჩემი სიტყვა. იგი სხვა მხრივაცაა ჩემგან დავალებელი, საკმაოდ დიდი თანხა ვასესხე. მზადა ვარ მივიღო ყოველი თქვენი წინადადება ჩვენი ასე გვიან შეხვედრის ასახსნელად, თუ ოდნავ მაინც დამაჯერებელი იქნება და გპირდებით, იმდენს მოვახერხებ, რომ ფრაუ გრუბახი არა მარტო სხვების დასანახავად, არამედ გულწრფელადაც ირწმუნებს ამ ახსნა-განმარტებას. პირადად მე არაფერში დამინდოთ. თუ გსურთ, ქვეყანას მოსდეთ, რომ მოულოდნელად შემოგეჭერით ოთახში, მეც სწორედ ასე მოვახსენებ ფრაუ გრუბახს და ნათქვამს ისე დამიჯერებს, რომ ჩემდამი ნდობა არ შეერყევა, რადგან დიდად ერთგულია ჩემი.

მხრებში მოხრილი ფროილაინ ბიურსთნერი უხმოდ დასცქეროდა იატაკს.

— რატომ არ უნდა დაიჯეროს ფრაუ გრუბახმა, რომ მე მოულოდნელად შემოგეჭერით ოთახში? — დასძინა კ-მ და ქალიშვილის შუაზე გაყოფილ მოწითალო თმას შეხედა. მას ეგონა, ფროილაინ ბიურსთნერი თვალს გაუსწორებდა, მაგრამ ქალიშვილმა ისე მიმართა, არც შერხეულა:

— მაპატიეთ, მოულოდნელმა დაკაკუნებამ შემაშინა, მაგრამ მარტო იმიტომ კი არა, რომ კაპიტანი კუდს გამოაბამს ამ ამბავს. თქვენი ყვირილის შემდეგ საშინელი სიჩუმე ჩამოწვა და სწორედ ამ დროს გაისმა კაკუნი, რამაც ძალზე შემაშინა. მე ხომ კართან ვიჯექი ახლოს და კაკუნი თითქმის ჩემ გვერდით გაისმა. თქვენი წინადადებისათვის მადლობას გწირავთ, მაგრამ ვერ მივიღებ. იმაზე, რაც ჩემს ოთახში ხდება, მე ვაგებ პასუხს ყველას წინაშე. თქვენს კეთილგანზრახვაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ საოცარია, ნუთუ არ გესმით, რა შეურაცხმყოფელია ჩემთვის თქვენი წინადადება. ახლა კი წადით, მარტო დამტოვეთ, ამ წუთში უფრო მჭირდება სიმარტოვე, ვიდრე აქამდე. თქვენ მხოლოდ რამდენიმე წუთი მთხოვეთ, ამასობაში კი ნახევარ საათზე მეტი გავიდა.

კ. ჯერ ქალის ხელს დასწვდა, შემდეგ კი მაჯას წაეპოტინა: — ხომ არ მიწყრებით? — ჰკითხა ქალს.

ქალმა ხელი გამოსტაცა და უპასუხა: — არა, არა, მე არასოდეს არავის არ ვუწყრები.

კ-მ ისევ წაავლო მაჯაზე ხელი. ამჯერად ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია და ასე ხელჩაჭიდებულმა ვაჟი კართან მიიყვანა. კ-ს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი წასულიყო, მაგრამ კარის წინ ისე შეჩერდა, თითქოს არ იცოდა, რომ აქ გასასვლელი იყო. ფროილაინ ბიურსთნერმა ამით ისარგებლა, ხელიდან დაუსლტაა კარი გამოიღო, წინკარში გაძვრა და კ-იქიდან უჩურჩულა:

— აბა, ჩემო კარგო, გამოდით, ხედავთ? — ქალმა მიუთითა კაპიტნის ოთახის კარზე, რომლის ქვემოდან სინათლის ზოლი გამოკრთოდა. — სინათლე აანთო, გვითვალთვალებს და ერთობა.

— მოვდივარ! — წამოიძახა კ-მ, ქალთან მიიჭრა, ხელი მოხვია, ტუჩებში აკოცა და უეცრად ისე დაუკოცნა მთელი სახე, როგორც მოწყურებული ნადირი ეწაფება წყაროს წყალს, რომელსაც ძლივს მიაგნო. ბოლოს ყელზე დააკვდა და დიდხანს არ მოუცილებია ტუჩები. კაპიტნის ოთახში ატეხილმა ხმაურმა თავი ააწევინა.

— ახლა კი მივდივარ, — თქვა კ-მ და უნდოდა ფროილაინ ბიურსთნერისათვის სახელით მიემართა, მაგრამ არ იცოდა, რა ერქვა. დაღლილმა ქალმა თავი დაუქნია, ნახევრად შებრუნებულმა ისე გაუწოდა ხელი საკოცნელად, თითქოს მისი ხელი არ ყოფილიყო და მხრებში მოხრილი თავის ოთახში დაბრუნდა. მალე კ. ლოგინში იწვა. სწრაფად ჩაეძინა, მაგრამ სანამ დაეძინებოდა, საკუთარ საქციელს ჩაუფიქრდა და კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ ერთი აკვირვებდა, კიდევ უფრო კმაყოფილი რომ არ იყო. უზომოდ კი იმაზე წუხდა, კაპიტნის გამო ფროილაინ ბიურსთნერს რაიმე უსიამოვნება არ შეხვდესო.

თავი მეორე

პირველი დაკითხვა.

კ-ს ტელეფონით აცნობეს, თქვენი საქმის წინასწარი გამოძიება დაიწყო და მომავალ კვირა დღეს დაკითხვაზე გიბარებენო. თანაც გააფრთხილეს, დაკითხვაზე ხშირად გამოგიძახებენ, შეიძლება ყოველ კვირა დღეს არა, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირადო. ერთის მხრივ ყველა დაინტერესებულია,

პროცესი რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს, უთხრეს მას, მეორე მხრივ კი გამოძიება ყველა თვალსაზრისით საფუძვლიანად უნდა ჩატარდეს. და რადგან ასეთი გამოძიება დიდ ძალასა და ენერგიას მოითხოვს, დაკითხვა დიდხანს ვერ გაგრძელდება: ამიტომაც ნახეს ერთადერთი გამოსავალი — ხშირი, მაგრამ ხანმოკლე დაკითხვები. ხოლო კვირაობით დაკითხვები იმიტომ დანიშნეს, რომ კ-ს ხელი არ შეუშალონ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში. ვარაუდობენ, რომ კ. ამ პირობებზე დათანხმდება, ხოლო თუ სხვა დღე ურჩევნია დაკითხვისათვის, შეძლებისდაგვარად გაუწევენ ანგარიშს. დაკითხვის ჩატარება შეიძლება მაგალითად ღამღამობითაც, მაგრამ ღამით კ. მთლად საღად ვერ იაზროვნებს. ერთი სიტყვით, სანამ კ-ს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, კვირა დღე ძალაში რჩება. თავისთავად ცხადია, რომ იგი აუცილებლად გამოცხადდება დაკითხვაზე და შეხსენება არ დასჭირდება, ბოლოს აცნობეს იმ სახლის ნომერი, სადაც უნდა გამოცხადებულიყო. სახლი გარეუბანში, რომელიღაც მიყრუებულ ქუჩაზე იდგა, ამ უბანში კ. აქამდე არასოდეს ყოფილა.

კ-მ მოისმინა ყველაფერი და უსიტყვოდ დაკიდა ყურმილი, გადაწყვიტა, კვირას აუცილებლად მისულიყო დანიშნულ ადგილას, პროცესი იწყებოდა, თავი უნდა დაეცვა, პირველი დაკითხვა უკანასკნელიც უნდა ყოფილიყო. იგი ჯერ კიდევ ჩაფიქრებული იდგა ტელეფონთან, როცა ზურგს უკან დირექტორის მოადგილის ხმა მოესმა. მოადგილეს დარეკვა უნდოდა, კ. კი ხელს უშლიდა ტელეფონთან მისულიყო.

— ცუდი ამბებია? — ჰკითხა დირექტორის მოადგილემ, უფრო იმიტომ, რომ კ. ტელეფონს მოშორებოდა.

— არა, არა, — უპასუხა კ-მ და გვერდზე გადგა, მაგრამ იქაურობას მაინც არ მოსცილებია.

დირექტორის მოადგილემ ყურმილი აიღო და სანამ დაუკავშირებდნენ, კ-ს ყურმილის ზემოდან უთხრა:

— ერთი რამ მინდა გკითხოთ, ბატონო კ., ხომ არ ინებებდით კვირა დილით ჩემი იახტით გასეირნებას? დიდ სიამოვნებას მომანიჭებდით. დიდძალი საზოგადოება მოიყრის თავს, თქვენი ნაცნობებიც იქნებიან, მათ შორის პროკურორი ჰასთერერიც. მოხვალთ? მოდით აუცილებლად!

კ. თავს ძალას ატანდა ჩასწვდომოდა დირექტორის მოადგილის ნათქვამს, მისთვის ეს უმნიშვნელო ამბავი როდი იყო. ეპატიჟებოდა კაცი, ვისთანაც მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. მოადგილემ შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, ეს კი იმაზე მეტყველებდა, თუ რარიგ საჭირო კაცი გახდა კ. ბანკში და რამდენად აფასებდა ბანკში თანამდებობით მეორე მოხელე მის მეგობრობას ან უკიდურეს

შემთხვევაში, მის მაუკერძოებლობას. თუმცა კ. ტელეფონის ზარის მოლოდინში დაპატიჟეს და თანაც ყურმილის ზემოდან, დირექტორის მოადგილის ხმრივ ეს მაინც თავის დამცირება იყო. ერთ დამცირებას მეორე მოჰყვა, როცა კ-მ უთხრა:

— დიდად გმადლობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, კვირას არ მცალია, უკვე სხვას შევუთანხმდი.

— დასანანია, — თქვა დირექტორის მოადგილემ და ტელეფონზე ლაპარაკი დაიწყო, რადგან სწორედ ამ დროს დააკავშირეს.

მოადგილე დიდხანს ლაპარაკობდა. ყურადღებაგაფანტული კ. კი მთელი ეს ხანი იქვე იდგა, ხოლო, როცა დირექტორის მოადგილემ ლაპარაკი დაამთავრა, შეშინებულმა კ-მ, ტელეფონთან უქმად დგომა რომ გაემართლებინა, თქვა:

— ახლახან დამირეკეს, მთხოვეს, ერთ ადგილას მოდიო, მაგრამ დაავიწყდათ ეთქვათ, რომელ საათზე.

— დარეკეთ და დააზუსტეთ, — უთხრა დირექტორის მოადგილემ.

— ისეთი არაფერია, — თქვა კ-მ და ამით გადაშალა თავისი პირველი ისედაც უაზრო მობოდიშება.

სანამ წავიდოდა, დირექტორის მოადგილემ კიდევ რაღაცრაღაცებზე ჩამოუგდო ლაპარაკი, კ. თავს ძალას ატანდა, ეპასუხა, სულ იმაზე ფიქრობდა, კვირას სჯობს დილის ცხრა საათზე მივიდე დანიშნულ ადგილას, რადგან სამუშაო დღეებში ყველა სასამართლო ამ დროს იწყებს მუშაობასო.

კვირა დღე მოღრუბლული გათენდა. კ-მ დროზე ვერ გაიღვიძა და კინაღამ დააგვიანდა. შაბათს უზომოდ დაიღალა, რადგან ლუდხანის თანამეინახეებმა ქეიფი გამართეს და გვიანობამდე არ დაიშალნენ. მან ისე სწრაფად ჩაიცვა, რომ ვერც კი მოასწრო გაეაზრებინა და დაეზუსტებინა მთელი კვირის მანძილზე მოფიქრებული სხვადასხვაგვარი გეგმები და ისე გაიქცა დასახელებული გარეუბნისაკენ, რომ არც კი უსაუზმია. მართალია, აქეთ-იქით ყურების დრო არ ჰქონდა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, გზაში მაინც დაინახა ის სამი მოხელე, მის საქმეში რომ მიიღეს მონაწილეობა — რაბენშთაინერი, ქულიჰი და ქამინერი. პირველმა ორმა მის წინ ტრამვაით ჩაიქროლა, ხოლო ქამინერი კაფეს ტერასაზე იჯდა და კ-მ გვერდით რომ ჩაუარა, ცნობისმოყვარეობით გადმოაწვა მოაჯირს. სამივემ ალბათ თვალი გააყოლა და გაუკვირდა, რა მიარბენინებდა მათ უფროსს.

კ-ს რაღაცნაირმა სიჯიუტემ მოუარა და ტრამვაიში არ ჩაჯდა. ამ საქმეში გარეშე პირთა სრულიად უმნიშვნელო დახმარებაც კი ზიზღს ჰგვრიდა, არც ის უნდოდა, ვინმესთვის მიემართა და ოდნავ მაინც გაერია რამეში; და ბოლოს არ სურ-

და, ზედმეტი სიზუსტით საგამომძიებლო კომისიის წინაშე დაემცირებინა თავი. თუმცა ზუსტად ცხრა საათისათვის არაფის დაუბარებია, მაინც გარბოდა, რათა ამ დროისათვის ადგილზე გამოცხადებულიყო.

ეგონა, რაიმე ნიშნის მიხედვით შორიდანვე იცნობდა ამ სახლს, სადაც დაიბარეს, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ნიშანი. შეიძლება იმის იმედი ჰქონდა, რომ შესასვლელთან მოფუსფუსე ხალხს დავინახავო. მაგრამ იულიუსშთრასეზე, სადაც ის სახლი უნდა მდგარიყო და რომლის დასაწყისშიც კ. ერთი წამით შეჩერდა, ქუჩის ორივე მხარეს თითქმის ერთნაირი, მაღალი, რუხი ფერის ღატაკთა შენობები იყო ჩამწკრივებული. იმ კვირა დილით ხალხი ფანჯრებში გამოფენილიყო. პერანგისამარა მამაკაცები პაპიროსს ეწეოდნენ, ზოგსაც პატარა ბავშვები ფრთხილად, საოთუთად ეჭირათ ფანჯრის რაფასთან. აქა-იქ ფანჯრებზე ქვეშაგებელი დაეხვავებინათ, რომლის ზემოთ ხანდახან ქალის გაჩეჩილი თავი გამოჩნდებოდა. ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეს ვიღაცეები ერთმანეთს რაღაცას უყვიროდნენ. ერთმანეთმა შეძახილმა სწორედ კ-ს თავზე გადაუქროლა და გულიანი ხარხარი გამოიწვია. გრძელი ქუჩის გასწვრივ, ნახევრად სარდაფებში, სადაც რამდენიმე საფეხურიანი კიბით ჩადიან, პატარა სასურსათო მაღაზიები იყო მოთავსებული. მაღაზიებში ქალები შედიოდნენ ან კიბეზე იდგნენ და ლაყბობდნენ. ერთმა კ-სავით დაბნეულმა გამყიდველმა, ფანჯრებში გამოფენილ ხალხს ხილს რომ სთავაზობდა, ურიკით კ. კინაღამ წააქცია, სადღაც საშინლად აყვირდა გრამოფონი, რომელსაც თავისი დრო მოეჭამა ქალაქის მდიდარ უბნებში.

კ. ისე ნელა მიჰყვებოდა ვიწრო ქუჩას, თითქოს დრო თავსაყრელი ჰქონოდა, ანდა თითქოს ერთ-ერთი ფანჯრიდან გამომძიებელმა დაინახა და მაშასადამე იცოდა, რომ კ. გამოცხადდა. ცხრა საათი უკვე გადასული იყო. სახლი საკმაოდ შორს იდგა და არაჩვეულებრივად გრძელი და ფართო მოჩანდა, განსაკუთრებით მაღალი და განიერი აღმოჩნდა ეზოს გადახურული ჭიშკარი. ეტყობა, ჭიშკარი იმ ფურგონებისათვის იყო გათვალისწინებული, საქონელი რომ გადააქვთ სხვადასხვა საწყობებში. ამჯერად ეზოში განლაგებულ ყველა საწყობს ბოქლომი ედო, მაგრამ აბრებზე კ-მ ამოიკითხა ზოგიერთი იმ ფირმის დასახელება, მათ ბანკთან რომ აწარმოებდა საქმეს. კ-ს საერთოდ არ სჩვეოდა ასე ყურადღებით დაკვირვებოდა წვრილმანებს, მაგრამ ამჯერად ერთი წუთით ეზოს შესასვლელშიც კი გაჩერდა. შორიახლო ყუთზე ფეხშიშველი კაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა, ხელის ურიკაზე ორი ბიჭი ქანაობდა, წყლის საქაჩავთან შილიფად ჩაცმული მისუსტებული ქალიშვილი იდგა და სანამ დოქი წყლით ივსებოდა, კ-სათვის თვალი არ მოუშორებია. ეზოს ერთ კუთხეში ორ ფანჯარას შორის თოკს ჭიმავდნენ, თოკზე უკვე ეკიდა გასაშრობი სარეცხი. ქვევით ვიღაც მამაკაცი იდგა და მთელ ამ საქმიანობას შეძახილებით ხელმძღვანელობდა.

კ. კიბესთან მივიდა, რათა გამომძიებლის კაბინეტში ასულიყო, მაგრამ ისევ შეჩერდა. ამ კიბის გარდა სახლს კიდევ სამი კიბიანი შესასვლელი ჰქონდა, ხოლო ეზოს ბოლოში ვიწრო გასასვლელი მოჩანდა, რომელიც, ეტყობა, მეორე ეზოში გადიოდა. კ. გაბრაზდა, რატომ უფრო ზუსტად არ ამიწერეს კაბინეტის ადგილსამყოფელიო, საერთოდაც ძალიან უყურადღებოდ და გულგრილად მოექცნენ და ამიტომ გადაწყვიტა ხმამაღლა და გარკვევით განეცხადებინა პროტესტი. ბოლოს მაინც აჰყვა კიბეს და გაახსენდა ერთ-ერთი მცველის, ვილემის ნათქვამი — დანაშაული თვითონ იზიდავსო მართლმსაჯულებას, აქედან კი დაასკვნა, შემთხვევით არჩეულმა კიბემ გამომძიებლის კაბინეტამდე უნდა მიმიყვანოსო.

კიბეზე ასვლისას კ. ხელს უშლიდა იქ მოთამაშე ბავშვებს და ამიტომ ისინიც გაბრაზებული აყოლებდნენ თვალს.

— მეორეჯერ თუ მომიხდა აქ მოსვლა, ან ტკბილეული უნდა წამოვიღო მათი გულის მოსაგებად ან ჯოხი მისაბეგვად, — ჩაილაპარაკა კ-მ. მეორე სართულზე ასულს ლოდინიც კი დასჭირდა, სანამ ბურთი დაგორდებოდა. ამასობაში შარვლის ტოტებში სწვდა ორი პატარა ბიჭი, რომელთაც პირწავარდნილი არამზადებივით კუშტი სახეები ჰქონდათ. მათი თავიდან მოცილება მხოლოდ ძალით შეიძლებოდა, მაგრამ კ-ს შეეშინდა, ვაითუ რამე ვატკინო და აბღავლდნენო.

საგამომძიებლო კომისიის ნამდვილი ძებნა მხოლოდ მეორე სართულიდან დაიწყო. პირდაპირ ხომ ვერ იკითხავდა, სად ზის გამომძიებელიო, ამიტომ მოიგონა, ვითომ დურგალ ლანჩს ეძებდა — ეს გვარი იმიტომ ამოტივტივდა მის მეხსიერებაში, რომ ფრაუ გრუბახის ძმისწულის, კაპიტნის გვარი იყო — და გადაწყვიტა ყველა ბინაში იკითხა, ხომ არ ცხოვრობს აქ დურგალი ლანჩიო, თან ამ საბაბით ოთახებშიც შეიხედავდა, მაგრამ ოთახში შეხედვა არც ისე ძნელი აღმოჩნდა, ოთქმის ყველა კარი ღია იყო და ყველგან ბავშვები შერბოდნენ და გამორბოდნენ. ოთახები, როგორც წესი, პატარა და ერთფანჯრიანი იყო, საჭმელიც იქვე იხარშებოდა. ბევრ ქალს ცალ ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა, ხოლო მეორეთი ქუჩას დასტრიალებდა. ყველაზე დაუზარებლად დაფუსფუსებდნენ წამოჩიტული გოგოები, რომელთაც, გეგონებოდა, მხოლოდ წინსათარი უფარაისო ტანს. ყველა ოთახში იდგა ჯერ კიდევ აულაგებელი საწოლები, მობინადრეთაგან ზოგი ავად

იყო, ზოგს ეძინა, ზოგიც ტანსაცმლიანად გაშოტილიყო. თუ ბინის კარი დაკეტილი იყო, კ. აკაკუნებდა და კითხულობდა, აქ ხომ არ ცხოვრობს დურგალი ლანციო.

უმეტეს შემთხვევაში კარს ქალი აღებდა და როგორც კი შეკითხვას გაიგონებდა, მიუბრუნდებოდა ვიღაც ოთახში მყოფს, რომელიც ამ დროს საწოლიდან წამოიწევდა.

— ერთი ბატონი კითხულობს, დურგალი ლანცი ხომ არ ცხოვრობსო აქ.

— დურგალი ლანცი? — იკითხავდა საწოლიდან წამოწეული.

— დიახ, — ეუბნებოდა კ., თუმცა კარგად ხედავდა, რომ ოთახში არავითარი საგამომძიებლო კომისია არ იჯდა და ამ ბინაში აღარაფერი ესაქმებოდა. ბევრს ეგონა, კ-ს ძალიან სჭირდება დურგალი ლანციო და დიდხანს ფიქრობდნენ: ზოგი ამბობდა, ერთ დურგალს ვიცნობ, მაგრამ ლანცი არ არისო გვარად. ზოგიც ირწმუნებოდა, ამ გვარს ჰგავს ერთი დურგლის გვარიო. ეკითხებოდნენ მეზობლებს, კარგა მანძილზე მიაცილებდნენ კ-ს, იგებ მოშორებით მდებარე ოთახებში აქვს დურგალს კუთხე დაქირავებული, ან იქნებ ისეთი ვინმე ცხოვრობს, ჩვენზე უკეთ რომ იცნობს მეზობლებსო. ბოლოს კ-ს აღარაფრის კითხვა აღარ უხდებოდა, რადგან ამნაირად დაათრევდნენ სართულიდან სართულზე. კ. ნანობდა, რომ ასეთ დღეში აღმოჩნდა, არადა, ეს ხერხი თავიდან დიდად პრაქტიკული ეჩვენა, მეექვსე სართულზე ასულმა გადაწყვიტა საგამომძიებლო კომისიის ძებნას მოშვებოდა, დაემშვიდობა თავაზიან ახალგაზრდა მუშას, რომელსაც უნდოდა შემდეგ სართულზე აეყვანა, და ჯიბეზე დაეშვა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, მთელი ამ აურზაურით გაოგნებული, კიდევ ერთხელ ავიდა მეექვსე სართულზე და პირველივე კარზე დააკაკუნა. პირველი, რაც მან ოთახში დაინახა, დიდი კედლის საათი იყო, ათს რომ უჩვენებდა.

— აქ ცხოვრობს დურგალი ლანცი? — იკითხა კ-მ.

— მობრძანდით, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც შავი, ბრიალა თვალები ჰქონდა. იგი გეჯაში ბავშვის საცვლებს რეცხავდა და სველი ხელით კ-ს მეზობელი ოთახის ღია კარზე ანიშნა.

კ-ს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს კრებაზე მოხვედა. სხვადასხვა ჯურის ხალხი — მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია — ირეოდა საშუალო ზომის, ორფანჯრიან ოთახში, რომელსაც ჭერთან ახლოს ქანდარა უვლიდა ირგვლივ და ისიც ხალხით იყო გაჭეოილი. ქანდარაზე მყოფთ მხოლოდ წელში მოხრილებს შეეძლოთ დგომა — თავით და ზურგით ჭერს ებჯინებოდნენ. კ-ს სული შეეხუთა, უკან გამობრუნდა

და ახალგაზრდა ქალს, რომელმაც მისი აზრით, სწორედ ვერ გაიგო შეკითხვა, ხელმეორედ მიმართა:

— მე ვეძებ დურგალ ლანცს.

— ვიცი, — უთხრა ქალმა, — გთხოვთ შებრძანდეთ.

შეიძლება კ-ს მისთვის არც დაეჯერებინა, ქალი რომ ჯიქურ არ დაძრულიყო ადგილიდან, კარის სახელურს არ ჩასჭიდებოდა და არ ეთქვა:

— თქვენს შემდეგ კარი უნდა დავკეტო, აღარავის შეშვება აღარ შეიძლება.

— უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდით, — უთხრა კ-მ,— იქაურობა ისედაც გაჭედილია. — მიუხედავად ამისა, ოთახში მაინც შევიდა.

კ-მ შუაში ჩაუარა ზედ კართან მოსაუბრე ორ მამაკაცს, ერთ-ერთი მათგანი ისე ამოძრავებდა წინ გაწვდილ ხელებს, თითქოს ფულს ითვლისო, მეორე კი თვალებში მიშტერებოდა. უეცრად კ-ს ვიღაცამ ხელი წაავლო. მის გვერდით პატარა, ლოყებლაჟღაჟა ბიჭი იდგა.

— წამოდით, წამოდით, — უთხრა მან და კ-ც გაჰყვა.

არეულ-დარეულ ბრბოში მაინც გამოინახა ვიწრო გასასვლელი, რომელიც ალბათ ორ მოწინააღმდეგე ჯგუფს ერთმანეთისაგან ჰყოფდა; ამას ისიც მოწმობდა, რომ კ-მ პირველ რიგებში ვერც ერთი მისკენ მობრუნებული სახე ვერ დაინახა. ადამიანები ზურგშექცეული იდგნენ და ყველანი სიტყვითაც და მოძრაობითაც მხოლოდ თავის ჯგუფის წევრებს მიმართავდნენ. უმეტესობას ეცვა შავი, ძველი, განიერი და გრძელი საზეიმო სერთუკი. ამგვარი ტანსაცმელი რომ არა, კ-ს რა დააბნევდა, ითქვრებდა, რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაციის სარაიონო კრებაზე მოვხვდიო.

დარბაზის ბოლოში, სადაც კ. მიიყვანეს, მეტისმეტად დაბალ, ასევე ხალხით გაჭედილ ფიცარნაგზე ირიბად დაედგათ პატარა მაგიდა, ხოლო ამ მაგიდასთან, იქ, სადაც ფიცარნაგი თავდებოდა, იჯდა პატარა, ჩასუქებული, მქშინავი კაცი, იგი ილაპარაკებოდა მისი სავარძლის ზურგს იდაყვით დაყრდნობილ, ფეხებგადაჯვარედინებულ კაცს და ორივე გულიანად ხარხარებდა. ზოგჯერ ჩასუქებული ხელს ისე სწევდა მაღლა, თითქოს ვიღაცას აჯავრებსო. კ-ს მეგზურ ბიჭს გაუჭირდა ჩასუქებულისათვის მოეხსენებინა, კ. მოვიყვანეო. ფეხის წვერებზე შემდგარმა ორჯერ სცადა რაღაც ეთქვა, მაგრამ ჩასუქებული ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს, როცა ფიცარნაგზე მყოფმა ერთმა კაცმა ბიჭზე მიუთითა, ჩასუქებული შემობრუნდა და იმისათვის, რომ მოსახსენებელი ჩუმად მოესმინა, ბიჭისაკენ დაბლა დაიხარა, შემდეგ საათი ამოიღო და კ-ს სწრაფად შეავლო თვალი.

— თქვენ ერთი საათისა და ხუთი წუთის წინ უნდა გამოცხადებულიყავით, — თქვა მან.

კ-ს უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ვერ მოასწრო; როგორც კი ჩასუქებულმა სათქმელი დაამთავრა, დარბაზის მარჯვენა ნახევარი ერთხმად აბუზღუნდა.

— თქვენ ერთი საათისა და ხუთი წუთის წინ უნდა გამოცხადებულიყავით, — გაიმეორა ჩასუქებულმა უფრო ხმამაღლა და სწრაფად გადახედა დარბაზს. ბუზღუნი კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ რადგან ჩასუქებულს აღარაფერი უთქვამს, ხმაური თანდათან მიწყდა. ახლა დარბაზში გაცილებით მეტი სიწყნარე სუფევდა, ვიდრე კ-ს შემოსვლისას. მხოლოდ ქანდარაზე მყოფთა შენიშვნებიღა ისმოდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა ამის გარჩევა მტვერში, ბუღსა და ნახევრად ბნელში, ისინი უარესად იყვნენ ჩაცმულნი, ვიდრე დაბლა მდგომნი. ბევრს თან მოეტანა ყურთბალიში და თავსა და ჭერს შორის დაეტანებინა, რომ მიხეთქებისას თავზე იარა არ გასჩენოდათ.

კ-მ გადაწყვიტა ნაკლები ელაპარაკათ და კარგად დაკვირვებოდა ყველაფერს, ამიტომ დაგვიანების გამო თავი არ უმართლებია და მხოლოდ ეს თქვა: ვთქვათ და დავიგვიანე, მაგრამ ახლა ხომ აქ ვარ.

დარბაზის მარჯვენა ნახევარმა ტაში დაუკრა. რა ადვილი ყოფილა ამათი გულის მოგება, გაიფიქრა კ-მ. მას მხოლოდ დარბაზის მარცხენა ნახევრის, მის ზურგს უკან გაჩერებულთა დუმილი აწუხებდა, რადგან იქიდან კანტიკუნტად გაისმა ტაში. კ. ჩაფიქრდა, რა შეეძლო ეთქვა ისეთი, რომ ყველას გული ერთბაშად მოიგო. ხოლო თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, დროებით მაინც გადმოებირებინა მეორე ნახევარიც.

— მართალია. — თქვა ჩასუქებულმა. — მაგრამ ახლა ვალდებული აღარა ვარ დაგკითხოთ... — დარბაზში ისევ გაისმა ბუზღუნი, მაგრამ ამჯერად ეს გაუგებრობამ გამოიწვია, რადგან ჩასუქებულმა იქ მყოფთ ხელით ანიშნა, გაჩუმდითო და განაგრძო: — დღეს გამონაკლისს დავუშვებ და არ გავაწბილებთ, მაგრამ მეორედ აღარ დაიგვიანოთ, აბა, წინ გამობრძანდით.

ფიცარნაგიდან ვიღაც წამოხტა და კ-ს ადგილი დაუთმო. კ. ზივით ავიდა. მაგრამ მაშინვე მაგიდას მიაჭეჭყეს, მის უკან იმდენი ხალხი ირეოდა, რომ არ ემარჯვა, შეიძლება გამომძიებელი თავისი მაგიდიანად ფიცარნაგიდან გადაეგდო.

მაგრამ გამომძიებელს ეს ამბავი სრულიად არ აწუხებდა, საკმაოდ მოხერხებულად იჯდა სავარძელში და როცა მის უკან მდგარ კაცთან ლაპარაკი დაამთავრა, თავის მაგიდაზე დადებულ ერთადერთ ნივთს, უბის წიგნაკს დასწვდა. წიგნაკი სასკოლო რვეულს ჰგავდა და ხშირი ფურცვლისაგან საკმაოდ გაცვეთილიყო.

— ამგვარად, — თქვა გამომძიებელმა, რვეული გადაფურცლა და კ-ს ისეთი კილოთი მიმართა, თითქოს თავის სიტყვებში ერთი ბეწო ეჭვიც კი არ ეპარებოდა, — თქვენ მღებავი ხართ, არა?

— არა, —უპასუხა კ-მ, — მე დიდი ბანკის პირველი პროკურისტი გახლავართ.

მისმა პასუხმა ქვემოთ, დარბაზში მარჯვენა ნახევრის ისეთი გულიანი ხარხარი გამოიწვია, რომ კ-საც კი გაეცინა. ხალხი ხელებს მუხლებზე იტყაპუნებდა, ისე თახთახებდნენ, როგორც გაუთავებელი ხველების დროს იცის. კანტიკუნტად ქანდარაზეც გაიცინეს, უზომოდ გაცოფებულმა გამომძიებელმა, რომელიც, ეტყობა, დარბაზში თავმოყრილთა წინააღმდეგ უძლური იყო, სცადა ჯავრი იმათზე ეყარა, ქანდარაზე რომ წამოსკუპებულიყვნენ. ფეხზე წამოიჭრა, მუშტით დაემუქრა და აქამდე შეუმჩნეველ წარბებს ახლა ბუჩქებივით მოუყარა თავი თვალებს ზემოთ.

მაგრამ დარბაზის მარცხენა ნახევარი ისევ დუმდა. ფიცარნაგისაკენ პირშექცეული ადამიანები რიგ-რიგად იდგნენ და ერთნაირი სიმშვიდით უსმენდნენ როგორც აქაქანებულ ქანდარას, ასევე მარჯვენა მხარის ხმაურს. ისინი იმასაც კი ითმენდნენ, მათი რიგებიდან ზოგიერთი რომ მოწინააღმდეგეს უჭერდა მხარს. მარცხენა ჯგუფი უფრო მცირერიცხოვანი იყო და შესაძლოა მარჯვენა ჯგუფივით მასაც არ ჰქონდა დიდი წონა, მაგრამ მისი წარმომადგენლების დარბაისლობა კაცს აფიქრებინებდა, უფრო ანგარიშგასაწევნი არიანო. როცა კ-მ ხელახლა დაიწყო ლაპარაკი, დარწმუნებული იყო, რომ სწორედ იმას ამბობდა, რაც მათ სულისკვეთებას შეესაბამებოდა.

— ბატონო გამომძიებელო, თქვენ მკითხეთ, ვარ თუ არა მღებავი. უფრო სწორად არც გიკითხავთ, პირდაპირ მომახალეთ, გინდა თუ არა, ასეაო. აი, ამგვარი მიდგომაა დამახასიათებელი მთელი იმ საქმისათვის, ჩემს წინააღმდეგ რომ აღძრით. შეგიძლიათ შემედავოთ, ჯერჯერობით არავითარი სისხლის სამართლის საქმის გარჩევა არ მიმდინარეობსო და მართალიც იქნებით, რადგან საქმის გარჩევა მხოლოდ მაშინ შეიძლება დაერქვას, თუ მე ამ ფაქტს ვცნობ. ვთქვათ და, ამ შემთხვევაში ერთგვარ თანაგრძნობას გიწევთ და პროცესს ვცნობ. ამგვარ ამბავს თანაგრძნობის გარეშე ვერც მიუდგები, თუკი გინდა ანგარიში გაუწიო. არ ვამბობ, საქმეს მთლად უთავბოლოდ აწარმოებთ-მეთქი, მაგრამ მსურს გირჩიოთ ერთი რამ, იქნებ გაერკვეთ, რა ხდება.

კ. გაჩუმდა და დარბაზს გადახედა. მან მკაცრად ილაპარაკა, ბევრად უფრო მკაცრად, ვიდრე უნდოდა, მაგრამ ამჯერად სიმართლე ითქვა. წესით ან ერთი ან მეორე მხრიდან ტაშ-

საც კი იმსახურებდა, მაგრამ დარბაზი მიჩუმდა და საერთო დაძაბულობაში ყველა აშკარად ელოდა, რა მოხდებოდა შემდეგ, შეიძლება სწორედ სიჩუმეში ბერფდებოდა ის ამაფეთქებელი ძალა, ყველაფერს რომ ბოლოს მოუღებდა. მყუდროება დაარღვია დარბაზის ბოლოში კარის გაღებამ. შემოვიდა ახალგაზრდა მრეცხავი ქალი, რომელმაც, ეტყობა, საქმე მოათავა და თუმცა ფეხაკრეფით მოიკვლევდა გზას, ზოგიერთების ყურადღება მაინც მიიქცია. კ-ს მხოლოდ გამომძიებლის გამომეტყველებამ მოჰგვარა სიხარული. ეტყობოდა, მისი სიტყვები გულზე მოხვედროდა. წეღან ქანდარის დასაშოშმინებლად წამოდგა, მაგრამ კ-ს სიტყვებმა გააოცა და აქამდე ფეხზე მდგომი უსმენდა. ახლა კი, ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში, ისე ნელა ჩაეშვა საავარძელში, თითქოს ცდილობდა შეუმჩნევლად დამჯდარიყო და აღელვება რომ არ გამოემჟღავნებინა, ხელში კვლავ რვეული აიღო.

— ვეღარაფერი გიშველით, — განაგრძო კ-მ, — ჩემს ნათქვამს, ბატონო გამომძიებელო, თქვენი რვეულიც ადასტურებს.

კ. კმაყოფილი იყო იმით, რომ ამ უცხო ხალხის თავყრილობაზე მხოლოდ საკუთარი მშვიდი სიტყვები ესმოდა და ისე გათამამდა, გამომძიებელს მოურიდებლად გამოსტაცა რვეული ხელიდან, თითის წვერებით, თითქოს ეზიზღებაო, შუა ფურცელით იმგვარად ასწია მაღლა, რომ ორივე მხარეს მიჯრით ნაწერი, დალაქავებული, კიდეებგაყვითლებული ფურცლები ჩამოეკიდა.

— აი, ამას ჰქვია გამომძიებლის დოკუმენტაცია, — თქვა მან და რვეული მაგიდაზე დააგდო, — შეგიძლიათ მშვიდად განაგრძოთ ამ რვეულის კითხვა, ბატონო გამომძიებელო, დანაშაულობათა ასეთი ნუსხა მართლაც არ მაშინებს. მერწმუნეთ, მე ამ რვეულის შინაარსს არ გავეცნობი, რადგან აი, ასე ორი თითით თუ ავიღებ, თორემ ხელში რა დამაჭერინებს.

როგორც კი რვეული მაგიდაზე დავარდა, გამომძიებელი იმწამსვე დასწვდა, ფურცლები მიასწორ-მოასწორა და ისევ შეუდგა კითხვას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თავი საშინლად დამცირებულად იგრძნო, ყოველ შემთხვევაში, მისი ქცევა ასე აღიქმებოდა.

პირველ რიგში მდგარ ადამიანებს ისეთი დაძაბული სახეები ჰქონდათ, რომ კ. უნებურად დააკვირდა მათ. თითქმის ყველა მამაკაცი ხანში შესული იყო, ზოგს წვერი გასჭაღარავებოდა. იქნებ სწორედ მათ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმის უფლება და შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მთელ კრებაზე; ისინი გამომძიებლის დამცირებამაც კი ვერ გამოიყვანა იმ უძრავი მდგომარეობიდან, კ-ს ლაპარაკისას რომ დაეუფლათ.

— რაც მე შემემთხვა, — განაგრძო კ-მ, ოღონდ უფრო ჩუმად, ვიდრე მანამდე ლაპარაკობდა და ამავე დროს თვალმოუშორებლად აკვიროდებოდა პირველ რიგში მდგომთა სახეებს, რის გამოც სიტყვებს რიხი მოაკლდა,—რაც მე შემემთხვა, მხოლოდ კერძო შემთხვევაა, თავისთავად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, და გულთან ახლოს არც მიმიტანია, მაგრამ ეს იმის სანიმუშო მაგალითია, თუ როგორ არჩევენ მრავალი ადამიანის საქმეს. ამჯერად მე იმათ ინტერესებს ვიცავ და არა საკუთარს.

კ-მ მისდა უნებურად ხმას აუწია. დარბაზში ვიღაცამ ხელები ასწია, ტაში დაუკრა და წამოიძახა: „ვაშა! ესეც მაგათ, ვაშა! და კიდევ ვაშა!“

პირველ რიგში მდგომთა შორის ზოგი წვერს იწიწკნიდა, მაგრამ იქითკენ, საიდანაც გამამხნევებელი სიტყვები გაისმა, არც ერთს არ მიუბრუნებია თავი. ამ წამოძახილისთვის არც კ-ს მიუნიჭებია მნიშვნელობა, მაგრამ ცოტათი მაინც გამხნევდა: ახლა აღარც ის მიაჩნდა საჭიროდ, ყველას დაეკრა ტაში. მთავარი იყო, ხალხი ამ საქმეს ჩაკვირვებოდა, ზოგიერთი მაინც დაერწმუნებინა და თავის მხარეზე გადმოებირებინა.

— მე არ მჭირდება ორატორის დიდება,—თქვა ამ მოსაზრებით გათამამებულმა კ-მ,—ეს ჩემთვის მიუწვდომელიცაა. გარდა ამისა ბატონი გამომძიებელი ალბათ ჩემზე ბევრად უკეთ ლაპარაკობს, რადგან ეს მისი ხელობაა. ჩემი სურვილია მხოლოდ, საჯაროდ ვამხილო სოციალური უწესრიგობა. აბა, განსაჯეთ: დაახლოებით ათი დღის წინათ დამაპატიმრეს, თვით დაპატიმრების ფაქტი ჩემთვის სასაცილოა, მაგრამ ამჯერად ეს საქმეს არ ეხება. დილაადრიან ლოგინში დამესხნენ თავს, ალბათ მართლაც მიიღეს ასეთი ბრძანება — თუ გამომძიებლის სიტყვებს ვირწმუნებთ, ამგვარი რამ გამორიცხული არ არის — დაეპატიმრებინათ ვიღაც მღებავი, ისეთივე უდანაშაულო ადამიანი, როგორიც მე ვარ, მაგრამ დაპატიმრება მე მხვდა წილად. მეზობელი ოთახი დაიკავა ორმა უხეშმა მცველმა. მეტ წინდახედულებას ალბათ მაშინაც ვერ გამოიჩენდნენ, მე რომ საშიში ბოროტმოქმედი ვყოფილიყავი. გარდა ამისა, მცველები სულით ხორცამდე გათახსირებული არამზადები აღმოჩნდნენ, ყბედობით ყურები გამომიჭედეს, ცდილობდნენ ქრთამი წაეგლიჯათ. რაღაცას იმიზეზებდნენ და ჩემი საცვლებისა და ტანსაცმლის მითვისება სურდათ, ფულიც მომთხოვეს, საუზმეს მოგიტანთო. ამავე დროს კი ჩემი საუზმე ჩემს თვალწინ უტიფრად შესანსლეს. ესეც არ იკმარეს, ამის შემდეგ მესამე ოთახში გამიყვანეს ზედამხედველთან. ის ოთახი ეკუთვნის ერთ ბანოვანს, რომელსაც მე დიდად ვაფასებ. მაიძულეს მეყურებინა, როგორ წაიბილწა მისი ოთახი ჩემი მიზეზით ზე-

დამხედველისა და მცველების იქ ყოფნის გამო, თუმცა ამაში მე არავითარი ბრალი არ მიმიძღოდა. ასეთ ვითარებაში ადვილი როდია სიმშვიდე შეინარჩუნოს კაცმა. მაგრამ მე თავი შევიკავე და სრულიად მშვიდად ვკითხე ზედამხედველს, აქ რომ იყოს, უთუოდ დამიდასტურებდა, — რისთვის დამაპატიმრეთ-მეთქი? და იცით, რა მიპასუხა ზედამხედველმა, რომელიც ახლაც კი თვალწინ მიდგას ხსენებული ბანოვანის საკარძელში გამოჭიმული, როგორც უჩლუნგესი ქედმაღლობის განსახიერება? არა, ბატონებო, არაფერიც არ მიპასუხა, უბრალოდ დამაპატიმრა და ამით დაკმაყოფილდა. ეს კიდევ ცოტაა, მან იცით, რა გააკეთა? იმ ბანოვანის ოთახში ბანკის სამი დაბალი რანგის მოხელე მოიყვანა, რომლებიც იმით ირთობდნენ თავს, რომ ბანოვანის პირად საკუთრებას, მის ფოტოსურათებს ათვალიერებდნენ და არივ-დარიეს კიდეც. ამ მოხელეების მოყვანა, რა თქმა უნდა, სხვა მიზნითაც იყო განპირობებული, მათ, ისევე როგორც ჩემს დიასახლისს და მის მოსამსახურე გოგოს, უნდა გაევრცელებინათ ხმები ჩემი დაპატიმრების შესახებ, რათა საზოგადოებაში ჩემი რეპუტაცია შეელახათ და, რაც მთავარია, შეერყიათ ჩემი მდგომარეობა ბანკში, მაგრამ აქედან არაფერი, სრულიად არაფერი არ გამოვიდა, ჩემს დიასახლისსაც კი, ძალზე უბრალო პიროვნებას, დიდი მოწიწებით დაგისახელებთ მის გვარს, ფრაუ გრუბახი გახლავთ, თვით ფრაუ გრუბახსაც ეყო საღი აზრი, მიმხვდარიყო, რომ ასეთ დაპატიმრებას თითქმის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბიჭების ქუჩაში ჩხუბს, ვიმეორებ, მეთლმა ამ ამბავმა პირადად მე მხოლოდ უსიამოვნება მომაყენა და დროებით გამაღიზიანა, მაგრამ შეიძლებოდა შედეგები ბევრად უარესი ყოფილიყო, განა ასე არ არის?

კ-მ მცირე ხნით ლაპარაკი შეწყვიტა და დადუმებულ გამომძიებელს შეხედა. მან შეამჩნია, რომ გამომძიებელმა ქვემოთ მყოფთაგან ერთს თვალით რაღაცა ანიშნა. კ-ს გაეღიმა და თქვა:

— ეს წუთია ბატონმა გამომძიებელმა, რომელიც ჩემს გვერდით ზის, რომელიღაც თქვენგანს საიდუმლოდ რაღაც ანიშნა, მაშასადამე, თქვენს შორისაც არიან ადამიანები, რომელთაც აქედან, ზევიდან ხელმძღვანელობენ. არ ვიცი, ამ ნიშანს რა უნდა მოჰყოლოდა — სტვენა თუ ტაში, მაგრამ წინასწარ ვამხელ მათ შეთქმულებრივ მოქმედებას და ამით უგულებელვყოფ ამ ნიშნის მნიშვნელობას. ჩემთვის სრულიად სულ ერთია რას მოიმოქმედებთ, ბატონ გამომძიებელს უფლებას ვაძლევ დაუფარავად უხელმძღვანელოს თავის დაქირავებულ დამქაშებს, მანდ, ქვემოთ რომ დგანან და იდუმალი

ნიშნებით კი არა, ხმამაღლა, სიტყვიერად უბრძანოს; „დაუსტვინეთ!“ შემდეგ კი მიაყოლოს: „ტაში დაუკარით!“

უხერხულობისა და მოუთმენლობისაგან გამომძიებელი საკარძელში წრიალებდა. მის ზურგს უკან გაჩერებული მამაკაცი, რომელსაც ადრე ელაპარაკებოდა, კვლავ დაიხარა გამომძიებლისკენ, რათა ეაუმხნევებინა, ანდა რიღიანი რჩევა მიეცა. ქვევით მდგომნი ხმადაბლა, მაგრამ გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ორი ჯგუფი, რომელთაც ადრე თითქოს ვერაფერი მოარიგებდა, ერთმანეთში აირია, ზოგი კ-საკენ იშვერდა თითს, ზოგიც გამომძიებლისაკენ.

ოთახი ნისლივით სქელი ბუღით აივსო და კ-ზე დამთრგუნველად მოქმედებდა, ხელს უშლიდა გულდაგულ დაკვირვებოდა მოშორებით მდგომთ. განსაკუთრებით უჭირდათ ქანდარაზე შესკუპულთ. ისინი გამომძიებლისკენ აპარებდნენ შემკრთალ მზერას და წამდაუწუმ ჩუმად ეკითხებოდნენ კრების მონაწილეებს, გაგვაგებინეთ, რა ხდებაო დარბაზში. მათ ასევე ჩუმად, პირზე ხელაფარებული უპასუხებდნენ.

— ახლავე დავამთავრებ, — თქვა კ-მ და რადგან ზარი არსად ჩანდა, მაგიდას დაჰკრა მუშტი. შეშინებული გამომძიებელი და მისი მრჩეველი იმავ წამს მოშორდნენ ერთმანეთს: — ეს საქმე მე არ შეხება და ამიტომ მშვიდად ვმსჯელობ, თქვენთვის კი დიდად სასარგებლო იქნება მომისმინოთ, ცხადია იმ პირობით, თუ თქვენთვის ეს ეგრეთ წოდებული პროცესი რაღაცას ნიშნავს. იმის განხილვა, რასაც ახლა მოგახსენებთ, გთხოვთ შემდეგისთვის გადაიდოს, რადგან მეტი დრო არა მაქვს და მალე უნდა წავიდე.

დარბაზში ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. კ-მ ამასობაში ისე დაიპყრო კრება, რომ აღარავინ ყვიროდა უთავბოლოდ, როგორც დასაწყისში, ტაშსაც კი აღარ უკრავდნენ, ეტყობა, რაღაცაში დარწმუნდნენ, ან ის იყო რწმუნდებოდნენ.

— უდავოა, — თქვა კ-მ ძალიან ჩუმად, რადგან ახარებდა, კრება დაძაბული ყურადღებით რომ უსმენდა; ამ სიჩუმეში იბადებოდა ზუზუნი, რაც აღტაცებულ ტაშისკვრაზე უფრო აგულიანებდა, — უდავოა, რომ სასამართლოს ღონისძიებების ანუ ამ შემთხვევაში ჩემი დაპატიმრებისა და დღევანდელი გამოძიების უკან დგას დიდი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას ემსახურებიან არა მარტო ქრთამის მოყვარული მცველები, უგუნური ზედამხედველები და გამომძიებლები, — რომლებიც, თუ ბედმა გაგვიღიმა, სანაქებო თავმდაბლობას იჩენენ,— არამედ კმაყოფაზე ჰყავს აგრეთვე, როგორც ეს მიღებულია, მაღალი და დაბალი რანგის მოსამართლეები მოსამსახურეების, მდივნების, ჟანდარმებისა და სხვა დამხმარე პერსონალის მთელი ამალით. იქნებ მათ შორის ჯალათებიც არიან, მე ამ

სიტყვის არ მეშინია. რა აზრი აქვს ამოდენა ორგანიზაციის
არსებობას, ბატონებო? ის, რომ დააპატიმროს უდანაშაულო
ადამიანები და მათ წინააღმდეგ აღძრას უაზრო და მეტწილად
უშედეგო სისხლის სამართლის საქმე, როგორც, მაგალითად,
მე მომექცნენ. როცა მთელი სისტემა ერთიანად ასე უაზროა,
როგორ შეიძლება ავიცდინოთ თავიდან ძოხელეთა უსაშინელე-
სი კორუფცია? ამას ვერსად გავექცევით, ასეთ შემთხვევაში
უზენაესი მოსამართლეც კი ვერ დარჩება პატიოსანი, სწორედ
ამიტომ ცდილობენ მცველები დაპატიმრებულს ტანსაცმელი
წაგლიჯონ, ამიტომ იჭრებიან ზედამხედველები სხვათა ბი-
ნაში, ამიტომ ელის დამნაშავეს დაკითხვის ნაცვლად მთელი
კრების წინაშე ღირსების შელახვა. მცველებმა მიამბეს იმ საწ-
ყობებზე, სადაც პატიმრების პირადი ნივთები ინახება. ერთი
შემახედა ამ საწყობებში, სადაც პატიმართა გაჭირვებით მო-
ნაგარი ქონება ლპება, თუ ეს ქონება მანამდე საწყობებში მო-
კალათებულმა ქურდებმა არ დაიტაცეს.

კ-ს სიტყვა შეაწყვეტინა დარბაზის ბოლოდან წამოსულმა
კივილმა; კ-მ თვალები მოიჩრდილა, რადგან დღის მქრქალი სი-
ნათლე ბუღს ანაცრისფერებდა და აბრმავებდა. ყვირილი იმ
მხრიდან მოდიოდა, სადაც მრეცხავი ქალი იდგა; როგორც კი
იგი დარბაზში შემოვიდა, კ. მიხვდა, ეს ქალი ხელს შეუშლიდა.
მაგრამ ამჯერად კაცი ვერ გაიგებდა, დამნაშავე იყო იგი თუ
არა. კ-მ მხოლოდ ის დაინახა, რომ ვიღაც მამაკაცს ქალი კარ-
თან, კუთხეში მიემწყვდია და მაგრად მიეკრა მკერდზე. მაგ-
რამ ქალი კი არა, მამაკაცი კიოდა, მას პირი ფართოდ გაეღო
და ჭერს მისჩერებოდა. მათ ირგვლივ პატარა წრე შეიკრა. ეტ-
ყობა, ქანდარის იმ მხარეს, რომლის ახლოს ქალ-ვაჟი აღმოჩ-
ნდა, გაეხარდათ: ამ ამბავმა დაარღვია ის სერიოზულობა, რაც
კ-მ კრებას თავს მოახვია, პირველი შთაბეჭდილების ზეგავლე-
ნით კ. კინაღამ გაიქცა იქითკენ, სადაც ჩოჩქოლი ატყდა, ამა-
ვე დროს იმასაც ვარაუდობდა, წესრიგის აღდგენას სხვებიც
მოინდომებენ და ამ ქალსა და კაცს დარბაზიდან გააძევებენო,
მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა, პირიქით, პირველი რი-
გები მის წინ მჭიდროდ შეიკრა და გზა არ დაუთმეს. კ-მ ვერა-
ფრით ვერ გაარღვია ეს კედელი, მოხუცმა მამაკაცებმა ხელე-
ბიც კი გაიშვირეს წინ, ვიღაცის ხელი კი—მოსაბრუნებელი
დრო არ ჰქონდა—უკნიდან ჩაეჭიდა საყელოში. კ. აღარ ფიქ-
რობდა იმ ქალ-ვაჟზე, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავი-
სუფლებას ართმევდნენ, თითქოს მართლა აპატიმრებდნენ. იგი
ანგარიშმიუცემლად გადმოხტა ფიცარნაგიდან და ბრბოს პირის-
პირ აღმოჩნდა. ნუთუ მან არასწორად შეაფასა ეს ადამიანები?
ნუთუ ამაოდ იმედოვნებდა, სიტყვით მოვახდენ ზემოქმედება-
სო? ნუთუ სანამ ლაპარაკობდა, თვალთმაქცობდნენ, ახლა კი,

როცა დასკვნების გამოტანის დრო მოვიდა, თვალთმაქცობა მო-
ბეზრდათ? ღმერთო, რა სახეები ერტყა გარს! წვრილ, შავ
თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ლოყები ლოთებივით ჩამო-
კიდებოდათ, გრძელი წვერი ერთი შეხედვით თხელი და ხეშე-
ძი უჩანდათ, მაგრამ თუ ჩაბღუჯავდი, ასე გეგონებოდა,
ბრჭყალებს წავავლე ხელიო. წვერს ქვემოთ — კ-სთვის ეს
ნამდვილი აღმოჩენა იყო — სერთუკის საყელოზე ნაირ-ნაი-
რი სიდიდისა და ფერის სამკერდე ნიშნები უბრწყინავდათ.
სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, ნიშნები ყველას ეკეთა. ეს
კი იმას ნიშნავდა, რომ ყველანი ერთი ჯურისა იყვნენ, ხო-
ლო გაყოფა მარცხენა და მარჯვენა ჯგუფებად მხოლოდ მოჩ-
ვენებითი იყო. კ. უეცრად შემობრუნდა და იგივე ნიშნები და-
ინახა გამომძიებლის საყელოზეც. გამომძიებელს ხელები მუხ-
ლებზე დაეწყო და მშვიდად იყურებოდა ქვემოთ.

—აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე, — დაიყვირა კ-მ და
ხელები მაღლა აღმართა, რადგან თვალის უეცარ ახელას სუ-
ლის მოსათქმელი დრო სჭირდებოდა. — როგორც ვხედავ,
ყველანი მოხელეები ბრძანებულხართ. თქვენ განასახიერებთ
იმ ბანდიტურ კორუფციას, რის წინააღმდეგაც მე აქ გავილაშ-
ქრე. თქვენ ერთდროულად მსმენელებიც ხართ და ჯაშუშებიც.
თვალის ასახვევად დაიყავით ორ ჯგუფად და ერთი ჯგუფი
მხოლოდ ჩემს გამოსაცდელად უკრავდა ტაშს, გინდოდათ გაგე-
გოთ, როგორ შეიძლება აცდუნოთ უდანაშაულო ადამიანი!
იმედი მაქვს, უქმად არ დაგიკარგავთ დრო, თქვენ ან იმით გა-
ირთეთ თავი, რომ უდანაშაულო ადამიანი თქვენნაირებისგან
დაცვას ელოდა, ანდა... მომშორდი, თორემ გაგარტყამ, — შე-
უყვირა კ-მ ერთ-ერთ აკანკალებულ ბერიკაცს, რომელიც მე-
ტისმეტად ახლოს მიჩოჩებულიყო მასთან, — ანდა შეიძლება
დღეს მართლაც ისწავლეთ რაღაც. წარმატებას გისურვებთ
თქვენს საქმიანობაში.

კ-მ სწრაფად დაავლო ხელი ქუდს, რომელიც მაგიდის კი-
დეზე იყო და სრულ სიჩუმეში, რაც იქ მყოფთა უკიდურეს
გაოგნებას გამოხატავდა, კარისაკენ დაიძრა. მაგრამ, ეტყობა,
გამომძიებელმა დაასწრო, რადგან კართან დახვდა.

— ერთი წუთით, — უთხრა მან კ-ს, რომელსაც ხელი უკვე
კარის სახელურზე ედო. კ. შეჩერდა და გამომძიებლის ნაცვ-
ლად კარს მიაჩერდა.—მე მხოლოდ იმისთვის მინდოდა მიმექ-
ცია თქვენი ყურადღება,—თქვა გამომძიებელმა,—რომ დღეს—
ეს ალბათ ჯერ შეგნებულიც არა გაქვთ, — საკუთარ თავს წა-
ართვით ის უპირატესობა, რასაც ასეთი დაკითხვა პატიმარს
ყველა შემთხვევაში ანიჭებს.

კ-მ კარს გაუცინა: „არამზადებო, ყველა დაკითხვა თქვენ-
თვის დამითმია“ — იყვირა მან, კარი გააღო და სირბილით

დაეშვა კიბეზე. მის ზურგს უკან ხმაური ატყდა, ეტყობა, კრება ისევ გამოცოცხლდა და მომხდარ ამბებზე მოსწავლეებივით გააბეს მსჯელობა.

თავი მესამე

ცარიელ სხდომათა დარბაზში. სტუდენტი. კანცელარიები.

მთელი მომდევნო კვირა კ. ყოველდღე ელოდა გამომძიებელთან ხელმეორედ გამოძახებას. არ სჯეროდა, რომ მისი სიტყვები, დაკითხვაზე აღარ გამოვცხადდებიო, პირდაპირ გაიგეს, და რადგან შაბათიც ისე მიიწურა, რომ არავის გამოუძახებია, კ-მ ივარაუდა, ალბათ იმავე საათზე და იმავე სახლში ვარ მიწვეული გამოუძახებლადო. ამიტომ კვირას ისევ იქითკენ გასწია. ამჯერად მოურიდებლად აიარა კიბე, და დერეფნებს გაუყვა. კარებში გაჩერებული მდგმურებიდან ზოგმა იცნო და ესალმებოდა, მაგრამ კ-ს საკითხავი აღარაფერი ჰქონდა და მალე იმ ოთახის კარს მიადგა, რომელიც სჭირდებოდა. კარი დაკაკუნებისთანავე გაუღეს. კ. ისე ჩქარობდა მეზობელ ოთახში გასულიყო, რომ კარებში გაჩერებული ნაცნობი ქალისათვის ზედაც არ შეუხედავს.

— დღეს სხდომა არ ტარდება, — უთხრა ქალმა.

— როგორ თუ არ ტარდება? — ჰკითხა კ-მ ისე, თითქოს დაჯერება უჭირსო.

ქალმა დასარწმუნებლად მეზობელი ოთახის კარი გააღო. ოთახი მართლაც ცარიელი იყო და ამის გამო კიდევ უფრო უბადრუკი ჩანდა, ვიდრე წინა კვირას. მაგიდაზე, რომელიც კვლავ ფიცარნაგზე იდგა, რამდენიმე წიგნი იდო.

— შეიძლება გადავხედო ამ წიგნებს? — ჰკითხა კ-მ ქალს არა იმ მიზნით, რომ ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, არამედ იმიტომ, რომ მისი აქ მოსვლა მთლად უსარგებლო არ ყოფილიყო.

— არა, — უპასუხა ქალმა და ისევ დახურა კარი, — წიგნების ხელის ხლება არ შეიძლება, ისინი გამომძიებლის საკუთრებაა.

— აჰ, ასეა საქმე? — თქვა კ-მ და თავი დაუქნია, — ეს წიგნები, ალბათ, კანონთა კრებულებია. აქაური მართლმსაჯულების დანიშნულება კი ისაა, რომ არა მარტო უდანაშაულო ადამიანს დასდონ მსჯავრი, არამედ უმეცარსაც.

— შეიძლება ეს მართლაც ასეა, — უპასუხა ქალმა, რომელმაც ხეირიანად ვერც გაიგო კ-ს ნათქვამი.

— რა გაეწყობა, თუ ასეა, მე წავალ, — უთხრა კ-მ ქალს.

— რას დამაბარებთ გამომძიებელთან? — ჰკითხა ქალმა.

— იცნობთ კი? — ჰკითხა კ-მ.

— რა თქმა უნდა. — უპასუხა ქალმა, — ჩემი ქმარი ხომ სასამართლოში შიკრიკად მუშაობს.

კ-მ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ოთახი, სადაც წინა კვირას მხოლოდ სარეცხის გეჯა იდგა, ახლა ნამდვილი საცხოვრებელი ოთახივით იყო მოწყობილი. ქალმა კ-ს გაკვირვება შეამჩნია და უთხრა:

— დიახ, ჩვენ ეს ბინა უფასოდ დაგვითმეს. მაგრამ სხდომის დღეებში ოთახი უნდა დავცალოთ. ჩემი ქმრის თანამდებობას უსიამო მხარეებიც ახლავს.

— თქვენი ოთახი ისე არ მაკვირვებს, — უთხრა კ-მ და ქალს გაბრაზებულმა შეხედა, — როგორც ის, რომ გათხოვილი ბრძანდებით.

— თქვენ ალბათ იმ შემთხვევაზე მელაპარაკებით, უკანასკნელი სხდომის დროს რომ მოხდა დარბაზში და რის გამოც სიტყვის დასრულება ვეღარ შეძელით? — ჰკითხა ქალმა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კ-მ, — მართალია, ეს ამბავი წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ მაშინ გაცოფებას აღარაფერი მაკლდა. ახლა კი თქვენი პირით მეუბნებით, გათხოვილი ვარო.

— სიტყვა რომ გაგაწყვეტინეთ, ამას თქვენთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, თქვენზე შემდეგ ბევრი არასახარბიელო რამ ითქვა.

— შეიძლება. — უპასუხა კ-მ ორჭოფულად, — მაგრამ თქვენ ეს არ გამართლებთ.

— მე ყველა მამართლებს, ვინც კი მიცნობს, — უპასუხა ქალმა. — ის კაცი, მაშინ რომ მეხვეოდა, დიდი ხანია დამდევს, შეიძლება სხვებისათვის მიმზიდველი არა ვარ, მაგრამ მას ჩემზე მზე და მთვარე ამოსდის. რას იზამ, ამ ამბავს ჩემი ქმარიც კი შეიგება. თუ უნდა თანამდებობა შეინარჩუნოს, უნდა მოითმინოს კიდეც, რადგან ის კაცი სტუდენტია და მალე ალბათ დიდ ძალაუფლებას მოიპოვებს. განუწყვეტლივ კუდში დამდევს. იგი ახლახან, თქვენს მოსვლამდე წავიდა.

— ეგ კაცი აქაურობისათვის ზედგამოჭრილია, — უთხრა კ-მ, და ამიტომ ეს ამბავი არც მაკვირვებს.

— ეტყობა. თქვენ აქ რაღაცების გაუმჯობესებას აპირებთ, — უთხრა ქალმა ისე წყნარად და გამომცდელად, თითქოს რაღაც საშიშს ამბობდა როგორც საკუთარი თავისათვის, ასევე კ-სთვისაც — ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნა გამოვიტანე თქვენი სიტყვებიდან, რაც პირადად მე ძალიან მომეწონა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ თქვენი სიტყვის მხოლოდ ნაწილი მოვისმინე, დასაწყისს ვერ მოვესწარი, ხოლო დასასრულის დროს სტუდენტთან ერთად ვიწექი იატაკზე, რომ იცოდეთ, რა გულისამრევია აქაურობა, — უთხრა ქალ-

მა კ-ს მცირე ხნის დუმილის შემდეგ და ხელში სწვდა. — თქვენ გჯერათ, რომ აქ რაიმეს გამოაკეთებთ?

კ-მ გაიღიმა და ქალის ფაფუკ ხელებში მოქცეული ხელი ოდნავ შეათამაშა.

— მართალი რომ გითხრათ, — უთხრა კ-მ, — ჩემთვის არავის დაუვალებია, როგორც თქვენ ბრძანეთ, აქ რაიმე გამოვაკეთო, და თუ თქვენ ამას, მაგალითად, გამომძიებელს ეტყვით, ან დაგცინებენ ან დაგსჯიან. გარდა ამისა, ნებაყოფლობით არასოდეს ჩავერეოდი ამ საქმეში. არც იმის სურვილი მაქვს, რამე მოვიგონო ამნაირი სასამართლოს გასაუმჯობესებლად და ამისათვის ღამეები თეთრად ვათიო. მაგრამ იმის გამო, რომ ვითომც დამაპატიმრეს, — მე ხომ დაპატიმრებული ვარ, — იძულებული გავხდი რაიმე მეღონა საკუთარი თავის დასაცავად. თუ რამეში თქვენც გამოგადგებით, დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით და ამას მხოლოდ კაცთმოყვარეობა კი არ მკარნახობს, არამედ იმის იმედიც, რომ თქვენც დამეხმარებით.

— კი მაგრამ, რით შემიძლია დაგეხმაროთ? — ჰკითხა ქალმა.

— რით და, თუნდაც აი, ის წიგნები მაჩვენეთ, მაგიდაზე რომ დევს.

— კი ბატონო, — წამოიძახა ქალმა და სწრაფად გაუძღვა მაგიდისაკენ. წიგნები ძველი და დაფლეთილი აღმოჩნდა, ერთი წიგნის ყდა შუაზე იყო გადატეხილი და ორივე ნახევარი ძაფებზეღა ეკიდა.

— რა ჩაბინძურებულია აქაურობა, — თავი გააქნია კ-მ და სანამ იგი წიგნებს დაჰწვდებოდა, ქალმა წინსაფრის კალთით სწრაფად გადაწმინდა მტვერი, კ-მ ის წიგნი გადამალა, ზემოდან რომ იდო და უხამსი სურათი დაინახა. დივანზე შიშველი მამაკაცი და ქალი ისხდნენ. მხატვრის უგვანო ჩანაფიქრი ადვილი ამოსახსნელი იყო, მაგრამ მისი უვიცობა მაინც ისე ცხადად მოეცინებოდა, რომ სურათზე მამაკაცისა და ქალის სხეულების გარდა არაფერი ჩანდა. ისინი სარგაოაყლაპულებივით ისხდნენ და მცდარი პერსპექტივის გამო ოდნავ იყვნენ ერთმანეთისაკენ შებრუნებულნი. კ. მოეშვა ამ წიგნის გადათვალიერებას და მეორე წიგნის მხოლოდ თავფურცელი გადაშალა. ის იყო რომანი „რა წამებას ითმენდა გრეთე თავის ქმრის ჰანსისაგან“.

აი, თურმე რა კანონებს სწავლობენ აქ, — თქვა კ-მ, — და ასეთმა ხალხმა მე ინდა გამასამართლოს!

— თანახმა თუ იქნებით, მე დაგეხმარებით, — უთხრა ქალმა.

— ნუთუ მართლა შეგიძლიათ დამეხმაროთ ისე, რომ თავი

საფრთხეში არ ჩაიგდოთ? აკი წეღან მითხარით, ჩემი ქმრის ბედი დიდადაა დამოკიდებული უფროსებზეო.

— მიუხედავად ამისა, მაინც დაგეხმარებით, — უთხრა ქალმა.—მოდით აქ, ყველაფერზე უნდა მოვილაპარაკოთ. მეღოის თუ არა საფრთხე, ეს საოაპარაკო არაა. მე მხოლოდ მაშინ მეშინია საფრთხისა, როცა მინდა, რომ მეშინოდეს. მობრძანდით.—ქალმა კ-ს ფიცარნაგზე მიუთითა და სთხოვა, მასთან ერთად ჩამომჯდარიყო საფეხურზე—მშვენიერი შავი თვალები გაქვთ.—უთხრა ქალმა, როცა საფეხურზე ჩამოსხდნენ და კ-ს შეაჩერდა სახეში, მეც მიუბნებიან. ლამაზი თვალები გაქვსო, მაგრამ თქვენ ბევრად უფრო ლამაზი გაქვთ. მაშინვე მომეწონეთ, როგორც კი პირველად შემოდგით ფეხი. მე სწორედ თქვენი გულისათვის შემოვიპარე იმ დღეს მოგვიანებით სხდომათა დარბაზში. სხვა დროს მე ამგვარი რამ არასოდეს არ გამიკეთებია, მით უმეტეს, რომ აქ შემოსვლა აკრძალული მაქვს.

„აი, თურმე რა ყოფილა, — გაიფიქრა კ-მ, — თავის თავს მთავაზობს: აქაურებივით ესეც გარყვნილი ყოფილა. ეტყობა, მობეზრდა სასამართლოს მოხელეები, რაც გასაგებია, და აქ შემოსულ უცხო მამაკაცებს თვალებს უქნებს“. კ. ისე უხმოდ წამოდგა, თითქოს ეს აზრები ხმამაღლა გამოეთქვას და ქალს თავისი საქციელი აუხსნა.

— არა მგონია რითიმე დამეხმაროთ, — თქვა კ-მ, — ნამდვილად რომ დამეხმაროთ, მაღალი თანამდებობის პირებთან უნდა გქონდეთ საქმე. თქვენ კი, ალბათ, იცნობთ მხოლოდ ოაბალი რანგის მოხელეებს, რომლებიც აქ ბლომად ირიეიან. აი, მათ კი, ცხადია, კარგად იცნობთ და რაოაც-რაღაცებს გააკეთებინებთ კიდეც, მაგრამ თქვენთვის ნემსის ყუნწშიც რომ გაძვრნენ, ჩემი პროცესის დამთავრებაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ. თქვენ კი შეიძლება ამის გამო ზოგიერთი მეგობარი დაკარგოთ. მე არ მინდა ამგვარი რამ მოხდეს, ასე რომ, ნუ გაითუჭებთ ურთიერთობას ძველ ნაცნობებთან, ჩემის აზრით, ისინი თქვენთვის საჭირონი არიან. განა არ ვნანობ, რომ ამის თქმა მიხდება, მით უმეტეს, რომ თქვენი ქათინაურის საპასუხოდ მინდა გითხრათ, მეც მომწონხართ, განსაკუთრებით ახლა, როცა ასეთი სიდიადენი თვალებით მიყურებთ. თუმცა ამისათვის არავითარი მიზეზი არა გაქვთ. თქვენ იმ საზოგადოებას ეკუთვნით, რომელსაც მე ენდა შეეებრძოლო ოა ამავე ოროს მათ გვერდით თავს კარგად ვრძნობდ. თქვენ ის სტუდენტიც კი გიყვართ, და თუ არ გიყვართ, ქმარს მაინც ამჯობინებთ. ამაზე თვით თქვენი სიტყვები მიტყველებს ცხადად.

— არა! — იყვირა ქალმა და კ-ს ისე სწვდა ხელში, რომ

ადგილიდან არც წამომდგარა. არც კ-ს უცდია სწრაფად გა-
ენთავისუფლებინა ხელი. — თქვენ უფლება არა გაქვთ ახლა-
ვე გამეცალოთ, უფლება არა გაქვთ ისე წახვიდეთ, ცუდი
წარმოდგენა დაგრჩეთ ჩემზე! ნუთუ მართლა შეგიძლიათ ახ-
ლა ადგეთ და წახვიდეთ? ნუთუ მართლა ისეთი არარაობა
ვარ, რომ თავაზიანობის გამოც კი არ ძალგიძთ მცირე ხანი მა-
ინც დაჰყოთ ჩემს გვერდით.

— თქვენ ვერ გამიგეთ, — უთხრა კ-მ და ქალის გვერდით
ჩამოჯდა, — თუ თქვენთვის მართლაც რამეს ნიშნავს ჩემი აქ
დარჩენა, სიამოვნებით დავრჩები, დრო ბევრი მაქვს, დღეს აქ
იმიტომ მოვედი, რომ მეგონა, დაკითხვა გაგრძელდებოდა. ყვე-
ლაფერი რაც აქამდე გითხარით, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახუ-
რებოდა, მინდოდა მეთხოვა, თავს ნუ შეიწუხებთ ჩემი პრო-
ცესისათვის-მეთქი. ეს არ უნდა გეწყინოთ, რადგან, დამიჯე-
რეთ, ჩემთვის სულ ერთია, რით დამთავრდება პროცესი და
თუ რამეს მომისჯიან, მხოლოდ გამეცინება და ესეც იმ შემ-
თხვევაში, თუ პროცესს ბოლომდე მიიყვანენ, რაშიც დიდად
მეპარება ეჭვი. მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ საქმის წარმოება
მოხელეთა სიზარმაცის, გულმავიწყობის ანდა სიმხდალის გა-
მო უკვე შეწყდა ან უახლოეს მომავალში შეწყდება. შესაძ-
ლოა, დიდი ქრთამის აღების იმედით ამ პროცესის წარმოება
მოსაჩვენებლად განაგრძონ, მაგრამ ახლავე შემიძლია ვთქვა,
ტყუილუბრალოდ გაირჯებიან, რადგან ქრთამს არავის არ
ვაძლევ. და მაინც დიდ სამსახურს გამიწევთ, თუ გამომძიე-
ბელს ან სხვა ვინმის, ვისაც ეხალისება ყოველგვარი ხმების
გავრცელება, აცნობებთ, ვერასოდეს, ვერავითარი ხრიკებით,
რასაც ეს ვაჟბატონები ალბათ ხშირად მიმართავენ, ვერ დამ-
ციენცლავენ ქრთამს. ამის მცირეოდენი იმედიც ნუ ექნებათ და
შეგიძლიათ ეს მათ პირისპირ უთხრათ. თუმცა იქნებ თვითო-
ნაც მიხვიონენ უკვე ამას, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, არც ის
მაღელვებს დიდად, ამ წუთშიც რომ გაიგონ ეს ამბავი. ამით
მაგ ვაჟბატონებს მხოლოდ შრომას ვუადვილებთ და, ცხადია,
მეც ნაკლები უსიამოვნება შემხვდება, თუმცა მზადა ვარ ყო-
ველგვარი უსიამოვნება ავიტანო, ოღონდ მაგათაც მოხვდეთ
და ეს რომ აღსრულდეს, ამისთვის როგორმე ვიზრუნებ. მარ-
თლა იცნობთ გამომძიებელს?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ქალმა,—მე სწორედ გამომ-
ძიებელზე ვფიქრობდი. როცა დახმარება შემოგთავაზეთ, ის
თუ დაბალი რანგის მოხელე იყო, ეგ არ ვიცოდი, მაგრამ რად-
გან თქვენ ბრძანეთ, ალბათ მართლაც ასეა. მიუხედავად ამი-
სა. ჩემის აზრით, მოხსენებები, რომელთაც იგი ზევით აგზავ-
ნის, რაოაც გავლენას ახდენენ. იგი კი უამრავ მოხსენებით ბა-
რათს წერს. თქვენ ბრძანეთ, ყველა მოხელე ზარმაციაო, ცხა-

დია, ყველა ასეთი არაა, განსაკუთრებით აქაური გამომძიე-
ბელი. იგი სულ წერს და წერს. მაგალითად, გასულ კვი-
რას სხდომა საღამომდე გაგრძელდა, ყველა წავიდ-წამო-
ვიდა, გამომძიებელი კი დარბაზში დარჩა. ის კი არადა, ლამ-
პაც მივუტანე, მე მხოლოდ პატარა, სამზარეულოს ლამპა
მაქვს, მაგრამ გამომძიებელი ამითაც კმაყოფილი დარჩა. და
მაშინვე შეუდგა წერას. ამასობაში ჩემი ქმარიც დაბრუნდა, იმ
კვირა დღეს იგი თავისუფალი იყო. ჩვენ ავეჯი შემოვიტანეთ
და ოთახი კვლავ მივალაგ-მოვალაგეთ. მალე მეზობლებიც
გვესტუმრნენ, სანთლის შუქზე ვსაუბრობდით. ერთი სიტყვით,
გამომძიებლის არსებობა ყველას დაგვავიწყდა და დასაძინებ-
ლად დავწექით. უეცრად, შუაღამე ალბათ გადაცილებული იქ-
ნებოდა, ვიღვიძებ და რას ვხედავ: საწოლის გვერდით გამომ-
ძიებელი დგას და ლამპის შუქს ხელს აფარებს, რათა სინათ-
ლე ჩემს ქმარს არ დასცემოდა. ამგვარი სიფრთხილე ზედმეტი
იყო, ჩემმა ქმარმა ისეთი ძილი იცის, ვერავითარი სინათლე
ვერ გააღვიძებს. ისე შემეშინდა, კინაღამ ყვირილი ავტეხე,
მაგრამ გამომძიებელი მეტისმეტად თავაზიანად მომექცა, ჩუ-
მად იყავითო, წამჩურჩულა, აქამდე ვწერდი, ახლა ლამპას
გიბრუნებთ და არასოდეს დამავიწყდება, რა სანახავი იყავით
მძინარეო. ამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გამომძიე-
ბელი მართლაც ბევრ მოხსენებით ბარათს წერს, განსაკუთ-
რებით თქვენზე, ეტყობა, გასული კვირის სხდომაზე თქვენი
დაკითხვა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო. ვერ დავიჯერებ,
რომ მის გრძელ მოხსენებით ბარათებს არავითარი მნიშვნე-
ლობა არ ექნება .გარდა ამისა, ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ
გამომძიებელს მოვწონვარ. მან ეს-ეს არის მომაქცია ყურად-
ღება და ახლა, როგორც ახალ ცოცხს, მართლაც შემიძლია
მოვახდინო მასზე დიდი გავლენა. მე რომ გულში ჩავუვარდი,
ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთებიც მომეძოვება. გუშინ
სტუდენტის ხელით, რომელიც მისი თანამშრომელია და დი-
დად ენდობა, საჩუქრად ერთი წყვილი აბრეშუმის წინდა გა-
მომიგზავნა, თითქოსდა იმის სანაზღაურად, რომ მე სხდომათა
დარბაზს ვალაგებ. მაგრამ ეს მხოლოდ საბაბად გამოიყენა, რად-
გან დარბაზის დალაგება ჩემი მოვალეობაა და ჩემს ქმარს
ამისათვის ხელფასს უხდიან. წინდები კი მშვენიერია, აი, შე-
ხედეთ! — ქალმა ფეხები წინ გაიშვირა, კაბა მუხლებამდე
აიწია და თვითონაც დახედა წინდებს, — მშვენიერი წინდებია,
მაგრამ მეტისმეტად თხელია და მე არ გამომადგება.

უეცრად ქალმა ლაპარაკი შეწყვიტა, კ-ს ხელზე ხელი ისე
დაადო, თითქოს მისი დამშვიდება სურდა და წასჩურჩულა: —
წყნარად, ბერთოლდი თვალს გვადევნებს.

კ-მ ნელა ასწია თავი. სხდომათა დარბაზის კარებში ტანდა-

ბალი, ფეხებმოღრეცილი ახალგაზრდა კაცი იდგა და მოკლე, თხელ წითურ წვერს წამდაუწუმ იწიწკნიდა, ალბათ ეგონა, წვერი კაცურ ღირსებას მმატებსო. კ-მ ცნობისმოყვარეობით შეხედა მოსულს, ეს იყო კ-სთვის უცნობი დარგის, იურიდიულ მეცნიერებას დაწაფებული პირველი სტუდენტი, ვისაც, ასე ვთქვათ, ადამიანისათვის საკადრის ვითარებაში შეხვდა, ვინც ალბათ როდისმე დიდ თანამდებობას დაიკავებდა. სტუდენტი კი, პირიქით, თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კ-ს, მხოლოდ ერთი წუთით მოეშვა წვერის წიწკნას, ქალი თითით მიიხმო და ფანჯარასთან მივიდა. ქალი კ-სკენ დაიხარა და წასჩურჩულა:

— ძალიან გთხოვთ, ნუ გამიწყრებით, ნურც ნურაფერს იფიქრებთ ჩემზე ცუდს, მაგრამ ახლა ამ გულისამრევ კაცთან უნდა მივიდე; შეხედეთ ერთი, რა მოღრეცილი ფეხები აქვს. ახლავე დავბრუნდები და თუ წამიყვანთ, უთუოდ წამოგყვებით, წამიყვანეთ სადაც გნებავთ და შეგიძლიათ ისე მომექცეთ, როგორც მოგესურვებათ. ბედნიერი ქალი ვიქნები, ოღონდ აქაურობას გავეცალო რაც შეიძლება დიდი ხნით, უმჯობესი კი იქნება სამუდამოდ.

ქალი კ-ს ხელზე მიეფერა, შემდეგ წამოხტა და ფანჯრისაკენ გაიქცა. კ. უნებლიეთ წაეპოტინა ქალის ხელს, მაგრამ მხოლოდ სიცარიელე შერჩა. ამ ქალს ჰქონდა რაღაც უაღრესად მაცდუნებელი და კ-ს არაფრით არ შეეძლო ამ ცდუნებას გაქცეოდა. ერთი წუთით ასეთმა აზრმაც კი გაუელვა, იქნებ ეს ქალი სასამართლომ მომიჩინა სათვალთვალოდო, მაგრამ ეს აზრი ჭკუაში არ დაუჯდა. რაში უნდა გამოიჭიროს ამ ქალმა? კ. ხომ ჯერჯერობით სრულიად თავისუფალია და ძალაც შესწევს, ერთი ხელის მოსმით გააცამტვეროს მთელი მათი მართლმსაჯულება, ყოველ შემთხვევაში, მის საქმესთან დაკავშირებით მაინც. ნუთუ ოდნავადაც აღარ ენდობა საკუთარ თავს? ქალის ხმა გულწრფელად ჟღერდა, როცა დახმარებას სთავაზობდა და ეგებ მართლაც გამოადგეს. იქნებ გამომძიებელზე და მის დამქაშებზე შურისსაძიებლად არც არსებობს უკეთესი გზა, ვიდრე ამ ქალის წართმევა და დასაკუთრებაა? ხომ შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო, კ-ზე ცრუ მოხსენებითი ბარათების წერით დაქანცული გამომძიებელი გვიან ღამით ქალის ოთახში შესულიყო და მისი საწოლი ცარიელი დახვედროდა. საწოლი კი იმიტომ დახვდებოდა ცარიელი, რომ ქალი კ-მ დაისაკუთრა, რომ ფანჯარასთან მდგარი ქალის უხეში ქსოვილის კაბაში გახვეული ფაშფაშა, მოქნილი, თბილი სხეული მისი საკუთრება გახდა.

როცა კ-მ თავი დაიშოშმინა, ტყუილად შემეპარა ეჭვი ამ ქალშიო, ფანჯარასთან გამართული ჩუმი საუბარი მეტისმეტად გაჭიანურებული მოეჩვენა, და ჯერ თითებით დააკაკუნა ფიცარნაგზე, შემდეგ კი მუშტი დასცხო. სტუდენტმა კ-ს სხვათა შორის გამოხედა ქალის მხარს ზემოდან, მაგრამ სულაც არ შემცბარა, პირიქით, ქალს ხელი მოხვია და კიდევ უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე. ქალმა თავი ისე დახარა, თითქოს სურდა ყურადღებით მოესმინა მისი სიტყვები. ამ დროს სტუდენტმა ხმამაღლა აკოცა კისერში და ისევ განაგრძო ლაპარაკი. კ. დარწმუნდა, ქალმა ტყუილად როდი შესჩივლა, სტუდენტი ცუდად მეპყრობაო. იგი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, თანაც ალმაცერად გადახედავდა ხოლმე სტუდენტს და იმაზე ფიქრობდა, როგორ გაებრძანებინა აქედან რაც შეიძლება სწრაფად ეს ვაჟბატონი, ხოლო როცა სტუდენტმა უთხრა: — თუ მოთმინება არ გყოფნით, შეგიძლიათ აქედან მიბრძანდეთო, — გაეხარდა კიდეც.

სტუდენტს, ეტყობა, აწუხებდა კ-ს ფეხის ხმა, მძიმე, მოუთმენელი.

— აქამდეც შეგეძლოთ გასცლოდით აქაურობას და თქვენს აქ ყოფნას ვერავინ შეამჩნევდა. დიახ, უნდა წასულიყავით სწრაფად, იმ წუთშივე, ჩემი შემოსვლისთანავე, — დასძინა სტუდენტმა.

ამ სიტყვებში რისხვაც იგრძნობოდა და ქედმაღლობაც სასამართლოს მომავალი მოხელისა, რომელიც ათვალისწუნებულ ბრალდებულს ელაპარაკებოდა. კ. სტუდენტს მიუახლოვდა და ღიმილით უთხრა:

— დიახ, მართალი ბრძანდებით, მოთმინება არ მყოფნის, მაგრამ ჩემს მოუთმენლობას ყველაზე ადვილად იმით მოეღება ბოლო, თუ თქვენ აქაურობას გაეცლებით. თუ თქვენ სამეცადინოდ მობრძანდით — მითხრეს, სტუდენტი ყოფილხართ, — მაშინ სიამოვნებით დაგითმობთ ადგილს და აქედან ამ ქალთან ერთად წავალ. სხვათა შორის, მოსამართლე რომ გახდეთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოთ. მართალია, თქვენს მართლმსაჯულებას ჯერჯერობით კარგად არ ვიცობ, მაგრამ, ჩემის აზრით, მხოლოდ უხეში და უტიფარი ლაპარაკით, ასე კარგად რომ გემარჯვებათ, ფონს ვერ გახვალთ.

— ამ ვაჟბატონისთვის არ უნდა მიეცათ ასე თავისუფლად წანწალის უფლება, — უთხრა სტუდენტმა ქალს ისე, თითქოს ამით უნდოდა აეხსნა კ-ს შეურაცხმყოფელი სიტყვების მიზეზი. — შეცდომა დაუშვეს, ასეც მოვახსენე გამომძიებელს. იგი შინაურ პატიმრობაში უნდა აგვეყვანა, თუნდაც დაკითხვიდან დაკითხვამდე, მაგრამ ზოგჯერ გამომძიებელსაც ვერ გააგებინებ ხეირიანად ვერაფერს.

— ტყუილად ირჯებით, — უთხრა კ-მ და ხელი ქალისაკენ გაიწოდა, — წავიდეთ!

— აი, თურმე რა გსურთ, — წამოიძახა სტუდენტმა, — არა,

არა, ამ ქალს ვერ დაისაკუთრებთ.—უეცრად მან ისეთი ღონ
გამოავლინა, კაცი რომ ვერ იფიქრებდა, ქალი ცალი ხელით
აიტაცა და მხრებში მოხრილი კარისკენ გაიქცა, თან ალერსი
ანად შესცქეროდა ქალს. ეტყობა, სტუდენტს მართლაც შეე
შინდა კ-სი, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და მის გასაბრა
ზებლად თავისუფალი ხელით ქალს მკლავზე ეალერსებოდა
კ. ერთხანს გვერდიგვერდ მისდევდა, მზად იყო დაეჭირა დ
თუ დასჭირდებოდა, მიეხრჩო კიდეც, მაგრამ ამ დროს ქალმ
უთხრა:

— რა გაეწყობა, გამომძიებელმა დაავალა ჩემი მიყვანა. ვე
რაფრით ვერ წამოგყვებით, ეს პატარა საფრთხობელა, — ქალ
მა სტუდენტს სახეზე გადაუსვა ხელი, — ეს პატარა საფრ
თხობელა არ გამომიშვებს.

— თვითონ არ გსურთ გათავისუფლდეთ! — იყვირა კ-
და მხარზე ხელი დაადო სტუდენტს, რომელიც კინაღამ კბი
ლებით ჩააფრინდა ხელში.

— არა! — წამოიძახა ქალმა და კ-ს ორივე ხელი ჰკრა, —
არა, არა, ოღონდ ეს არა, ხომ არ გაგიჟდით, დამღუპავთ, და
ანებეთ თავი, გემუდარებით, თავი დაანებეთ, იგი მხოლოდ
გამომძიებლის ბრძანებას ასრულებს, მასთან მივყავარ.

— თუ ასეა, სადაც უნდა, იქ წაეთრიოს, აღარც თქვენი და
ნახვა მსურს!—მიაძახა სასოწარკვეთილებისაგან გაცოფებულმ
კ-მ ქალს და სტუდენტს ისე ჰკრა ხელი ზურგში, რომ მა
ოდნავ წაიფორხილა, სტუდენტს გაუხარდა, რომ არ წაიქ
და თავის ტვირთიანად წამსვე კიდევ უფრო მაღლა ახტა.

კ. ნელი ნაბიჯით გაჰყვა მათ და მიხვდა, ამ ადამიანებმ
პირველი სერიოზული დამარცხება აგემეს. თუმცა დიდა
შესაშფოთებელი აქაც არაფერი იყო. დამარცხდა მხოლოდ
იმიტომ, რომ თვითონ ეძებდა მათთან შეტაკების საბაბს. ში
რომ დარჩენილიყო და ჩვეულებრივი ცხოვრებით ეცხოვრა, ა
ხალხზე ათასჯერ მაღლა იდგებოდა და შეეძლო თითოეულ
მათგანი პანღურის კვრით ჩამოეცილებინა გზიდან. და მა
წარმოიდგინა უჩვეულოდ სასაცილო სცენა, როგორიც შეიძ
ლებოდა მომხდარიყო, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ე
უბადრუკი სტუდენტი, ეს გაფხორილი ყმაწვილი, ეს ფეხებ
მოღრეცილი წვეროსანი, ელზას საწოლის წინ დაჩოქილი აღ
მოჩნდებოდა და გულხელდაკრეფილი მისგან შეწყალება
ითხოვდა. კ. ისე აღაფრთოვანა წარმოდგენილმა სურათმა, რო
გადაწყვიტა, სტუდენტი წაეყვანა ელზასთან, როგორც კ
ამის მცირედი შესაძლებლობა მაინც მიეცემოდა.

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი კ. მაინც მიჰყვა მა
კარამდე, უნდოდა დაენახა საით წაიყვანდა სტუდენტი ქალს
ქუჩაშიც ხომ ასე ხელში ატატებულს არ გაატარებდა. გზა გ

ცილებით უფრო მოკლე ალმოჩნდა, ვიდრე ეგონა. იქვე, ბინის
პირდაპირ იწყებოდა ვიწრო ხის კიბე, რომელიც ალბათ სხვენ-
ზე ადიოდა, მაგრამ იქვე უხვევდა და მისი ბოლო არ ჩანდა.
სტუდენტი სწორედ ამ კიბეს შეუდგა თავის ტვირთიანად. ამ-
ჯერად ნელა, ხვნეშით მიიწევდა ზევით, ეტყობა, წელანდელმა
სირბილმა დაღალა. ქალმა კ-ს ხელი დაუქნია და მხრები ისე
აიჩეჩა, თითქოს თავს იმართლებდა, საკუთარ გატაცებაში
ბრალი არ მიმიძღვისო, მაგრამ მაინცდამაინც დიდი წუხილი
არ ეტყობოდა. კ-მ გულგრილად, უცხოსავით შეხედა ქალს.
მას არც იმის გამომჟღავნება უნდოდა, რომ სასოწარკვეთი-
ლია და არც იმისა, რომ ამ სასოწარკვეთილების დაძლევა
იოლად შეეძლო.

სტუდენტი და ქალი გაუჩინარდნენ, კ. კი ისევ კარებში
იდგა. იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ქალმა არა მარ-
ტო იმედი არ გაუმართლა, არამედ მოატყუა კიდეც, როცა
უთხრა, გამომძიებელთან მივყავარო. გამომძიებელი მის ლო-
დინში სხვენზე ხომ არ იჯდებოდა. ხის კიბეს კი რამდენიც
არ უნდა უცქირო, მაინც ვერაფერს აგიხსნის. უეცრად კ-მ
კიბესთან კედელზე გაკრული პატარა ქაღალდი შენიშნა, ახ-
ლოს მივიდა და გაუვარჯიშებელი ბავშვური ხელით ნაწერი
წაიკითხა: „სასამართლოს კანცელარიებში შესასვლელი“. მაშ
ამ მრავალბინიანი სახლის სხვენზე ყოფილა მოთავსებული სა-
სამართლოს კანცელარიები? ამგვარი დაწესებულება დიდ პა-
ტივისცემას ვერ შთაუნერგავს ადამიანს და ბრალდებულზე
ალბათ დამამშვიდებლად მოქმედებს ის გარემოება, რომ ასე
მცირე თანხაა სასამართლოს განკარგულებაში, რაკი კანცელა-
რიები იქ მოაწყვეს, სადაც ამ სახლის ღატაკი მდგმურები
თავიანთ ძველმანებს ყრიან, თუმცა არც ის არის გამორიცხუ-
ლი, რომ საკმარისი თანხის მფლობელნი არიან, მაგრამ სანამ
ამ თანხას სასამართლოს მიზნებისათვის გამოიყენებენ, მოხე-
ლეები გვარიანად მოითბობენ ხელს. თუ იმის მიხედვით ვიმ-
სჯელებთ, რაც კ-ს აქამდე გადახდა თავს, ასეთი რამ მოსალოდ-
ნელიც იყო, და თუმცა სასამართლოს ამგვარი მორალური
დაკვემა ბრალდებულისათვის დამამცირებელია, მაინც უფრო
დამამშვიდებლად მოქმედებს, ვიდრე სასამართლოს სიღარიბე,
ახლა კ-სთვის გასაგები იყო ისიც, თუ რატომ შერცხვათ პირ-
ველი დაკითხვის დროს სხვენზე გამოეძახებინათ და ამჯობი-
ნეს საკუთარ ბინაში დასცხრომოდნენ თავს. რაოდენ უკეთესი
იყო კ-ს მდგომარეობა მოსამართლის მდგომარეობასთან შედა-
რებით, რომელიც სხვენზე იჯდა, კ-ს კი ბანკში ჰქონდა დიდი
ოთახი მისაღებით და შეეძლო ფართო ფანჯრებიდან ქალაქის
ხალხმრავალი მოედანი დაენახა. მართალია, კ-ს არ ჰქონდა
არავითარი დამატებითი შემოსავალი, არც მეექრთამე იყო, არც

სხვისი ფულის მითვისება შეეძლო და ვერც დაბალი რანგის მოხელეს დაავალებდა, ატატებული ქალი შემომიყვანეო ოთახში, მაგრამ ამ ცხოვრებაში ამგვარ უპირატესობაზე სიამოვნებით იტყოდა უარს.

კ. ჯერ კიდევ კედელზე გაკრული ქაღალდის წინ იდგა, როცა კიბეზე ვიღაც კაცი ამოვიდა. ახალმოსულმა ღია კარიდან საცხოვრებელ ოთახში შეიხედა, საიდანაც სხდომათა დარბაზის დათვალიერებაც შეიძლებოდა, შემდეგ კი კ-ს ჰკითხა, ახლახან აქ ქალი ხომ არ დაგინახავთო.

— თქვენ სასამართლოს შიკრიკი ბრძანდებით, არა? — ჰკითხა კ-მ.

— დიახ, — უპასუხა მამაკაცმა, — თქვენ კი ბრალდებული კ. ხომ? ახლა მეც გიცანით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — და კ-ს, რომელიც ამას სრულიად არ მოელოდა, ხელი გაუწოდა, — მაგრამ დღეს სხდომა რომ არ არის დანიშნული? — დასძინა ბოლოს, რადგან კ. დუმდა.

— ვიცი, — თქვა კ-მ და შიკრიკის სამოქალაქო პიჯაკი შეათვალიერა. მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ერთადერთი ნიშანი იყო რამდენიმე ჩვეულებრივი ღილისაგან განსხვავებული ორი მოოქრული ღილი, რომლებიც, ეტყობა, ოფიცრის ძველ ფარაჯას ააწყვიტეს.

— ეს-ეს არის თქვენს ცოლს ველაპარაკე, მაგრამ აქ აღარ ბრძანდება, სტუდენტმა გამომძიებელთან წაიყვანა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა შიკრიკმა, — ყოველთვის მიჰყავთ სადღაც. დღეს კვირაა და ვალდებული არა ვარ ვიმუშაო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან მომიშორონ, რაღაც წვრილმანი, უმნიშვნელო დავალების აღსასრულებლად გამგზავნეს. თანაც აქვე, ახლოს და იმედი მქონდა, თუ ვიჩქარებ, დროზე დავბრუნდები-მეთქი უკან. მივრბივარ, მივქრივარ იმ დაწესებულებისაკენ, სადაც გამგზავნეს, კარის ღრიჭოდან სულმოუთქმელად მივაძახე ყველაფერი, რაც დამბარეს, ხეირიანად ალბათ ვერც გაიგეს ვერაფერი, გამოვიქეცი უკან, მაგრამ სტუდენტმა მაინც მომასწრო, გზაც უფრო მოკლე ჰქონდა გასავლელი, მხოლოდ კიბე უნდა ჩამოერბინა სხვენიდან. სხვებზე რომ არ ვიყო დამოკიდებული, ამ სტუდენტს დიდი ხანია მივაჭყლეტდი კედელზე, აი აქ, წარწერის გვერდით. ეს არის ჩემი ერთადერთი ოცნება. სწორედ აქ, იატაკს ცოტა ზემოთ ჰკიდია მთლიანად გაჭეჭყილი სტუდენტი, ხელები განზე გადაუყრია, თითები გაუფარჩხავს, მოღრეცილი ფეხები უარესად მოუკაკვავს. ირგვლივ კი ყველაფერი სისხლითაა მოთხვრილი, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება.

— ნუთუ სხვა გამოსავალი არ არსებობს? — ჰკითხა კ-მ ღიმილით.

— ვერ ვხედავ, — უპასუხა შიკრიკმა. — მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება, აქამდე მხოლოდ თავის ოთახში მიათრევდა, ახლა კი გამომძიებელთანაც დაათრევს, რასაც მართალი რომ გითხრათ, დიდი ხანია ველოდი.

— განა თქვენი ცოლი თავად სულ არ არის დამნაშავე? — ჰკითხა კ-მ და ისიც ისე ძლიერ შეიპყრო ეჭვიანობამ, თავი ძლივს შეიკავა.

— როგორ არა, — თქვა შიკრიკმა, — ყველაზე მეტად სწორედ იგია დამნაშავე. თვითონ ჩამოეკიდა კისერზე. რაც შეეხება იმ ვაჟბატონს, ყველა დედაკაცს დასდევს კუდში. ამ სახლში იგი უკვე ხუთი ბინიდან გამოაძევეს. მართალია, მთელ სახლში ჩემი ცოლი ყველაზე ლამაზია, მაგრამ სწორედ მე არა მაქვს თავდაცვის უფლება.

— თუ საქმე მართლაც ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, საშველი არ ყოფილა, — თქვა კ-მ.

— არსებობს ერთი გამოსავალი, — უთხრა შიკრიკმა, — ეს ლაჩარი სტუდენტი ისე უნდა დაიჟეჟოს, რომ ჩემი ცოლის ხელის ხლება ვეღარ გაბედოს, მაგრამ მე ამის უფლება არა მაქვს, ჩემი ხათრით ამას არავინ გააკეთებს, რადგან მისი ძალაუფლებისა ეშინიათ. მხოლოდ თქვენისთანა კაცს შეუძლია ხელის გამოღება.

— მე რა შუაში ვარ? — გაუკვირდა კ-ს.

— თქვენ ხომ ბრალდებული ბრძანდებით, — უთხრა შიკრიკმა.

— დიახ, — დაუდასტურა კ-მ, — ამიტომ მე კიდევ უფრო მეტი საფუძველი მაქვს მეშინოდეს მისი, რადგან შეიძლება ამან პროცესის შედეგზე ვერ იქონიოს გავლენა, მაგრამ წინასწარ გამოძიებაზე უთუოდ მოახდენს.

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა შიკრიკმა ისე, თითქოს კ-ს აზრი მისას ემთხვეოდა, — მაგრამ ჩვენთან, როგორც წესი, უშედეგო პროცესები არ იმართება.

— მე კი ცოტა სხვაგვარად ვფიქრობ, — თქვა კ-მ, — მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის ერთ მშვენიერ დღეს თქვენს სტუდენტს შავი დღე ვაყარო.

— დიდად მადლობელი ვიქნები, — უთხრა შიკრიკმა ცოტა უფრო ოფიციალურად, რადგან არ სჯეროდა, რომ მისი უდიდესი სურვილი აღსრულდებოდა.

— მაგრამ, — განაგრძო კ-მ, — შეიძლება ამას თქვენი ზოგიერთი მოხელე და იქნებ ყველანიც იმსახურებენ.

— დიახ, დიახ, — უპასუხა შიკრიკმა ისე, თითქოს თავისთავად ცხადი ამბებზე ყოფილიყო საუბარი. შემდეგ კ-ს ნდობით აღსავსე მზერა მიაპყრო, რაც მიუხედავად გულითადობი-

სა, აქამდე არ უცდია და დასძინა: — რას იზამ, მეამბოხეებს რა გამოლევს ამქვეყნად.

შიკრიკმა უეცრად შეწყვიტა საუბარი, რადგან, ეტყობა, რაღაც არ ესიამოვნა და წამოიძახა:

— ახლა კანცელარიაში უნდა გამოვცხადდე, წამოხვალთ ჩემთან?

— რა საქმე მაქვს კანცელარიაში, — უპასუხა კ-მ.

— შეგიძლიათ კანცელარიები დაათვალიეროთ, ყურადღებას არავინ მოგაქცევთ.

— ღირს კი დათვალიერება? — ჰკითხა კ-მ ყოყმანით, მაგრამ ამავე დროს დიდი სურვილი ჰქონდა თან წაჰყოლოდა.

— როგორც გნებავთ, — უთხრა შიკრიკმა, — ვიფიქრე, იქნებ დაინტერესდეს-მეთქი.

— თანახმა ვარ, მოვდივარ, — თქვა კ-მ ბოლოს და შიკრიკზე უფრო სწრაფად აირბინა კიბე.

კანცელარიების შესასვლელში კ. კინაღამ წაიქცა, რადგან კარს მიღმა კიდევ ერთი საფეხური აღმოჩნდა.

— ეტყობა, მომსვლელებს აქ არც ისე დიდ ანგარიშს უწევენ, — თქვა კ-მ.

— საერთოდ აქ არავის არ უწევენ ანგარიშს, — უპასუხა შიკრიკმა. — გადაავლეთ ერთი თვალი ამ მოსაცდელ ოთახს.

ეს იყო გრძელი დერეფანი, სადაც უხეშად გამოჩორკნილი კარები სხვენის სხვადასხვა ოთახში შეგიყვანდათ. სინათლის უშუალო წყარო არსად ჩანდა, მაგრამ იქაურობა ჩაბნელებული მაინც არ იყო, რადგან ზოგიერთ ოთახს დერეფნის მხრიდან ერთიანი ხის კედლის ნაცვლად ჭერამდე აწვდილი ხის გისოსები ჰქონდა დატანებული; იქიდან სუსტი სინათლე შემოდიოდა და რაღაცის გარჩევა შეიძლებოდა. გისოსებს მიღმა ზოგი მოხელე მაგიდას უჯდა და წერდა, ზოგიც ზედ გისოსს მოსდგომოდა და დერეფანში თავმოყრილ ხალხს აკვირდებოდა. კვირა დღე იყო და ამიტომაც დერეფანში ცოტა ხალხს მოეყარა თავი. გარეგნულად მეტისმეტად უბადრუკი ჩანდნენ. დერეფნის ორივე კედელთან გრძელი მერხები იდგა და ამ მერხებზე ადამიანები ჩამომსხდარიყვნენ ერთმანეთისაგან თითქმის თანაბრად დაშორებულ მანძილზე. ყველას ცუდად ეცვა, მაგრამ ბევრი მათგანი, თუ სახის გამომეტყველების, თავდაჭერის, მოვლილი წვერისა და მრავალი სხვა ძნელად შესამჩნევი წვრილმანის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი იყო, არსად არ ჩანდა ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელი, ქუდები ყველას მერხის ქვეშ დაეწყო. ეტყობა, ერთმა დადო იატაკზე ქუდი და მერე სხვებმაც მიჰბაძეს. კართან ახლოს მსხდომნი კ-ს და შიკრიკის დანახვაზე ფეხზე წამოდგნენ და მიესალმნენ, ამის დანახვაზე სხვებმაც იფიქრეს,

ჩვენც უნდა მივესალმოთო და მოსულთა მიახლოვებისას საოთითაოდ ფეხზე დგებოდნენ. წელში თითქმის არავინ იმართებოდა, იდგნენ მხრებში მოხრილნი, მუხლები უკანკალებდათ და მათხოვრებს ჰგავდნენ. კ-მ მოშორებით მომავალ შიკრიკს დაუცადა და უთხრა:

— რა დაბეჩავებულნი არიან.

— დიახ, — უპასუხა შიკრიკმა, — ესენი ბრალდებულები არიან. ყველა, ვისაც აქ ხედავთ, ბრალდებულია.

— ნუთუ? — იკითხა კ-მ, — მაშასადამე, ჩემი კოლეგები ყოფილან. — ამის შემდეგ კ-მ თავაზიანად მიმართა ყველაზე ახლო მდგომ, მაღალ ტანწყობილ, თითქმის ჭაღარა მამაკაცს: — რას ელოდებით აქ?

მაგრამ მოულოდნელმა გამოლაპარაკებამ მამაკაცი შეაკრთო და ეს მით უფრო სავალალო იყო, რომ ცხოვრებისეული გამოცდილება აშკარად არ აკლდა და სხვაგან ალბათ თავის დაჭერაც იცოდა და ტოლსაც არ დაუდებდა ვინმეს, მაგრამ აქ კი უბრალო კითხვაზეც ვერ მოეხერხებინა პასუხის გაცემა და მეზობლებს ისე შესცქეროდა, თითქოს ავალდებულებდა, დამეხმარეთ, თორემ უთქვენოდ ვერაფერს გავხდებიო. ამ დროს მათ შიკრიკი მიუახლოვდა და მამაკაცს დასამშვიდებლად და გასამხნევებლად უთხრა:

— ეს ბატონი მხოლოდ იმას გეკითხებათ, რას ელოდებითო აქ, უპასუხეთ!

ეტყობა, შიკრიკის ნაცნობმა ხმამ მამაკაცზე უკეთ იმოქმედა:

— ველოდები, — დაიწყო მან და მაშინვე დაება ენა. ამ სიტყვით იმიტომ დაიწყო, რომ სურდა ზუსტად ჩამოეყალიბებინა პასუხი, მაგრამ მეტის თქმა ვეღარ მოახერხა. მომლოდინეთაგან ზოგიერთნი კარს შემოეხვივნენ ამ პატარა ჯგუფს. შიკრიკმა მაშინვე ბრძანა:

— დაიშალეთ, დაიშალეთ, გაანთავისუფლეთ დერეფანი!

მათ ოდნავ დაიხიეს უკან, მაგრამ თავიანთ ადგილებზე არ დასხდნენ. ამასობაში იმან, ვისაც შეეკითხნენ, აზრი მოიკრიბა და ოდნავ შესამჩნევადაც გაიღიმა:

— ამ ერთი თვის წინათ განცხადება შემოვიტანე, ჩემს საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დამამტკიცებელი საბუთი მიეღოთ და ახლა გადაწყვეტილებას ველოდები.

— როგორც ვხედავ, თავს არ ზოგავთ, — უთხრა კ-მ.

— დიახ, — უპასუხა მამაკაცმა, — ეს ხომ ჩემი საქმეა.

— ყველა თქვენსავით როდი ფიქრობს, — უთხრა კ-მ, — მაგალითად, მეც ბრალდებული ვარ, მაგრამ ღმერთმანი, არც განცხადება შემომიტანია დამამტკიცებელი საბუთების მიღე-

ბის თაობაზე და არც სხვა რამ მსგავსი მომიმოქმედებია. ნუთუ ეს საჭიროდ მიგაჩნიათ?

— ზუსტად არ ვიცი, — უპასუხა მამაკაცმა ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ; მან, ეტყობა, გადაწყვიტა, კ. მასხარად მიგდებსო, ამავე დროს იმისიც ეშინოდა, რაიმე ახალი შეცდომა არ დავუშვაო და წელანდელი პასუხის გამეორება ამჯობინა, მაგრამ კ-ს თვალებში ისეთი მოუთმენლობა ამოიკითხა, რომ მხოლოდ ესღა თქვა:

— პირადად მე განცხადება შევიტანე, ჩემს საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დამატებითი საბუთი მიიღონ.

— თქვენ, რა თქმა უნდა, არ გჯერათ, რომ მეც ბრალდებული ვარ? — ჰკითხა კ-მ.

— რას ბრძანებთ, როგორ არ მჯერა, — უპასუხა მამაკაცმა და ოდნავ გვერდზე გადგა, მაგრამ მის პასუხში რწმენა კი არა, მხოლოდ შიში იგრძნობოდა.

— მაშ არ გჯერათ ჩემი, არა? — ჰკითხა კ-მ და მამაკაცის ბეჩავმა გამომეტყველებამ ქვეცნობიერად აიძულა მკლავში სწვდომოდა, თითქოს ძალით სურდა დაერწმუნებინა. კ. სატკენად როდი წაეპოტინა, მაგრამ მამაკაცმა ისე იყვირა, თითქოს ორი თითით კი არ შეეხნენ მსუბუქად, არამედ გავარვარებული მარწუხი მოუჭირესო. ამ უაზრო ყვირილმა კ-ს საბოლოოდ დააკარგვინა მოთმინება: მით უკეთესი, თუ არ უჯერებენ, რომ იგიც ბრალდებულია; იქნებ სულაც მოსამართლე ვგონივარო, გაიფიქრა მან და გამომშვიდობებისას ისე ძლიერ ჰკრა იმ კაცს ხელი, რომ მერხზე მიაგდო და გზა განაგრძო.

— ბრალდებულთა უმეტესობა ასეთი მგრძნობიარეა, — უთხრა კ-ს შიკრიკმა.

მათ ზურგს უკან თითქმის ყველა მომლოდინე ხელნაკრავი კაცის ირგვლივ შეჯგუფდა. ის ახლა აღარ ყვიროდა, ალბათ დაწვრილებით ეკითხებოდნენ რა მოხდაო. კ-ს მოპირდაპირე მხრიდან უახლოვდებოდა მცველი, მისი განმასხვავებელი ნიშანი იყო მხოლოდ ხმალი, რომლის ქარქაში, თუ ფერის მიხედვით ვიმსჯელებთ, ალუმინისა უნდა ყოფილიყო. კ. გააკვირვა ამ ამბავმა და ქარქაშს ხელიც კი შეავლო. მცველის ყურადღება, ეტყობა, ყვირილმა მიიქცია, მაშინვე იკითხა, რა მოხდაო. შიკრიკი შეეცადა რამდენიმე სიტყვით დაემშვიდებინა იგი, მაგრამ მცველმა განაცხადა, თავად უნდა შევამოწმო ყველაფერიო, მხედრულად გამოემშვიდობა მათ და ძალიან სწრაფი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით განაგრძო გზა. ეტყობა, ნიკრისის ქარები სტანჯავდა.

კ-ს არც მცველისა და არც დერეფანში მსხდომთა დარდი არ ჰქონდა, ნახევარი დერეფანი რომ გაიარა, დაინახა, კარის

სიოდან მარჯვნივ შეეძლო გაეხვია და შიკრიკს ჰკითხა, სწორად თუ მივდივარო. შიკრიკმა თავი დაუქნია და კ-მ მართლაც გაუხვია მარჯვნივ. არ სიამოვნებდა, შიკრიკი რომ არ შორდებოდა და ორიოდე ნაბიჯზე უკან მოსდევდა: შეიძლება აქ ვინმეს ჰგონებოდა, პატიმარი მოჰყავთო. ამიტომ დროდადრო შიკრიკს უცდიდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ შიკრიკი კვლავ უკან რჩებოდა. ბოლოს კ-მ, რომელსაც სურდა თავიდაეღწია ამ უსიამო მდგომარეობისათვის, შიკრიკს უთხრა:

— მე უკვე დავათვალიერე აქაურობა, ახლა კი მირჩევნია წავიდე.

— არა, ჯერ ყველაფერი არ გინახავთ, — უთხრა შიკრიკმა ორაზროვნად.

— ყველაფრის ნახვა არც მინდა, — უპასუხა კ-მ, რომელიც უკვე მართლაც დაიღალა, — მინდა წავიდე აქედან, სადაა გასასვლელი.

— ნუთუ ასე მალე აგებნათ გზა? — ჰკითხა შიკრიკმა გაკვირვებით,—აი, იმ კუთხემდე მიხვალთ, შემდეგ მარჯვნივ გაჰყვებით დერეფანს და პირდაპირ კარს მიადგებით.

— წამომყევით. — უთხრა კ-მ, — გზა მაჩვენეთ, თორემ იქ იმდენი შესასვლელი და გასასვლელია, დავიბნევი.

— ესაა ერთადერთი გზა, — უპასუხა შიკრიკმა საყვედურით, — ვერ წამოგყვებით, ჯერ პასუხი უნდა მივიტანო იქ, სადაც ჯერ არს, ისედაც ბევრი დრო დამაკარგვინეთ.

— წამომყევით! — გაიმეორა კ-მ ისე უკმეხად, თითქოს შიკრიკი ტყუილში გამოიჭირა.

— ნუ ყვირით, — წასჩურჩულა შიკრიკმა, — აქ ხომ ყველგან კანცელარიებია. მარტოკას თუ არ გინდათ გაბრუნდეთ, მაშინ ცოტა ხანს კიდევ გამომყევით, ანდა აქ დამიცადეთ, სანამ საქმეს მოვრჩები.

— არა, არა, დაცდა არ შემიძლია, — უთხრა კ-მ,—ახლავე უნდა წამომყვეთ.

კ-ს არც კი მიუთვალ-მოუთვალიერებია ის ადგილი, სადაც იდგნენ და მხოლოდ მაშინ მიაბრუნა თავი იქითკენ, როცა უამრავი ხის კარიდან ერთ-ერთი გაიღო, დერეფანში შემოვიდა ვიღაც ქალიშვილი, რომლის ყურადღება ალბათ კ-ს ხმამაღალმა ლაპარაკმა მიიპყრო და ჰკითხა:

— რა გნებავთ, ბატონო? — ქალიშვილის ზურგს უკან, მოშორებით, ნახევრად ბნელში გამოჩნდა მამაკაცი, რომელიც მათ უახლოვდებოდა. კ-მ შიკრიკს შეხედა. აკი ამ კაცმა უთხრა, ყურადღებას არავინ მოგაქცევსო, ახლა კი ორნი უახლოვდებოდნენ, კიდევ ცოტაც და სხვა მოხელეებიც შეამჩნევდნენ და მოსთხოვდნენ ახსნა-განმარტებას, აქ რა გინდათო. ერთადერთი გასაგები და ანგარიშგასაწევი ახსნა ის იქნებოდა, თუ

იტყოდა, ბრალდებული ვარ და აქ იმის გასაგებად მოვედი, როდის შედგება შემდეგი დაკითხვაო, მაგრამ სწორედ ასეთი ახსნა-განმარტების მიცემა არ შეეძლო, რადგან სიმართლეს არ შეესაბამებოდა: კ. ხომ აქ ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ სასამართლოს შინაგანი მხარეც ისევე ამაზრზენი იყო, როგორც გარეგნული, მაგრამ ამის თქმა კიდევ უფრო გაუჭირდებოდა. ყველაფერი, რასაც ფიქრობდა, მართლდებოდა. და აღარ სურდა, უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ამ დაწესებულებას; ისედაც ცუდ გუნებაზე დააყენა ნანახმა და სწორედ ახლა არ ჰქონდა იმის თავი, შეჰფეთებოდა უფრო მაღალი რანგის მოხელე, რომელსაც შეეძლო ყოველი კარიდან გამომძვრალიყო. ერჩია შიკრიკთან ერთად გასცლოდა აქაურობას, ხოლო თუ ეს არ მოხერხდებოდა, მარტო წასულიყო.

მაგრამ მისი ერთ ადგილზე დგომა და დუმილი თავისთავად იქცევდა ყურადღებას და მართლაც შიკრიკმა და ქალიშვილმა ისე შეხედეს, თითქოს მათ წინ მდგომი კაცი სადაცაა უჩვეულოდ გარდაიქმნებოდა და არ უნდოდათ ამგვარი სანახაობა გამორჩენოდათ. კარებში სწორედ ის კაცი იდგა, კ-მ რომ ადრევე შორიდან შეამჩნია. იგი დაბალი კარის ზედა წირთხლს ჩასჭიდებოდა და ფეხის წვერებზე შემდგარი მოუთმენელი მაყურებელივით ოდნავ ირწეოდა. ყველაზე ადრე ქალიშვილი მიხვდა, რომ კ. შეუძლოდ იყო და ამიტომ იქცეოდა ასე უცნაურად. ქალიშვილმა სწრაფად მოუტანა სავარძელი და ჰკითხა:

— ხომ არ დაბრძანდებით?

კ. იმწამსვე დაჯდა და თითქოს საყრდენს ეძებსო, იდაყვები სავარძლის სახელურებს დააბჯინა.

— ცოტათი თავბრუ გეხვევათ, არა? — ჰკითხა ქალიშვილმა და სახე ძალიან ახლოს მიუტანა; მას ისეთი მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, ზოგიერთი ქალიშვილისათვის ადრეულ სიყმაწვილეში რომ არის დამახასიათებელი.

— ნუ ღელავთ, — უთხრა ქალიშვილმა, — არაჩვეულებრივი აქ არაფერია, ამგვარი რამ თითქმის ყველას ემართება, ვინც კი პირველად მოხვდება ჩვენთან. თქვენც ხომ პირველად ხართ? დიახ, არაჩვეულებრივი მართლაც არაფერია. მზე საშინლად აცხუნებს ნივნივს, ხოლო გადახურებული ხისგან ჰაერი იხუთება და მძიმდება. ამიტომ, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ეს შენობა კანცელარიებისათვის მაინც არ ვარგა. ხოლო რაც შეეხება ჰაერს, იმ დღეებში, როცა აქ უამრავი მომჩივანი იყრის თავს, — და ასეა თითქმის ყოველდღე, — სუნთქვა ჭირს. გარდა ამისა, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ აქ ხშირად ფენენ სარეცხს — სულ ხომ ვერ ავუკრძალავთ მდგმურებს სხვენზე სარეცხის გაფენას, — მაშინ აღარ გაგიკვირდებათ, უქეიფოდ რომ შეიქენით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ასეთ ჰაერსაც მშვენივრად ეჩვევა კაცი. მეორე და მესამე მოსვლაზე სული აღარ შეგეხუთებათ. ხომ უკეთ გრძნობთ თავს?

კ-ს პასუხი არ გაუცია. მეტისმეტად არ სიამოვნებდა, უეცარი სისუსტის გამო ამ ადამიანების ხელში რომ აღმოჩნდა. თანაც როცა გაიგო, რამ გახადა ცუდად, უკეთესად კი არა, ცოტათი უარესადაც კი იგრძნო თავი. ქალიშვილმა ეს მაშინვე შენიშნა და შენობაში რომ სუფთა ჰაერი შემოეშვა, კედელზე მიყუდებულ ბარჯს ხელი დაავლო და ზუსტად კ-ს თავს ზემოთ საჰაერო სარკმელი გააღო. მაგრამ სარკმლიდან იმდენი ჭვარტლი ჩამოცვივდა, რომ ქალიშვილი იძულებული გახდა მაშინვე დაეხურა და კ-ს ჭვარტლიანი ხელები საკუთარი ცხვირსახოცით გაუწმინდა, რადგან კ. მეტისმეტად დაღლილი იყო და არაფრის თავი არ ჰქონდა. იგი სიამოვნებით იჯდებოდა ამ სავარძელში, ძალ-ღონეს მოიკრებდა და მერე წავიდოდა, თანაც რაც ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდნენ, მით უფრო სწრაფად მოვიდოდა გონს, მაგრამ სწორედ ამ დროს ქალიშვილმა უთხრა:

— აქ დარჩენა არ შეიძლება, მოძრაობას ვაბრკოლებთ.

კ-მ თვალებით ჰკითხა ქალიშვილს, რომელ მოძრაობას ვაბრკოლებთო.

— თუ გნებავთ, საექიმო პუნქტამდე მიგაცილებთ. თუ შეიძლება, დამეხმარეთ, — უთხრა ქალიშვილმა კარებში გაჩერებულ მამაკაცს, რომელიც მაშინვე მიუახლოვდა მათ. მაგრამ კ-ს არ უნდოდა საექიმო პუნქტში აღმოჩენილიყო, სწორედ იმას ერიდებოდა, კიდევ სადმე წაეყვანათ, რადგან რაც უფრო შორს შეტოპავდა, მით უარესი იქნებოდა მისთვის.

— უკვე შემიძლია სიარული, — თქვა მან და თუმცა სავარძელში კარგად გრძნობდა თავს, კანკალით წამოდგა; მაგრამ ფეხზე გაჩერება გაუჭირდა. — არა, არ შემიძლია, — თქვა მან, თავი გააქნია, ამოიოხრა და ისევ ჩაეშვა სავარძელში. კ-ს გაახსენდა შიკრიკი, ვისაც მისი აქედან გაყვანა შეეძლო, მაგრამ, ეტყობა, იგი უკვე გამქრალიყო. კ-მ მის წინ მდგომ ქალიშვილსა და მამაკაცს შორის დარჩენილი ადგილიდან გახედა დერეფანს, მაგრამ შიკრიკი ვერსად დალანდა.

— ჩემის აზრით, — თქვა მამაკაცმა, რომელსაც საკმაოდ მოხდენილად ეცვა. განსაკუთრებით კალთებწაწვეტებული ნაცრისფერი ჟილეტი იყო მოსაწონი, — ეს ბატონი აქაურმა ატმოსფერომ გახადა ცუდად და ამიტომ ყველაზე გონივრული და მისთვის სასიამოვნო იქნება, საექიმო პუნქტში წაყვანის ნაცვლად, აქედან გავიყვანოთ.

— მართალს ბრძანებთ, — წამოიძახა უზომოდ გახარე-

ბულმა კ-მ და მამაკაცს ლაპარაკი აღარ აცალა, — ცხადია, მაშინვე უკეთ გავხდები, თუმცა არც ისე დასუსტებული ვარ. საკმარისია ოდნავ მომეხმაროთ, მხრებში ამომიდგეთ, დიდად არ შეგაწუხებთ, არც გზაა გრძელი, მხოლოდ კარამდე მიმიყვანეთ, შემდეგ ცოტა ხანს საფეხურზე ჩამოვჯდები და მაშინვე მოვითქვამ სულს. საქმე ისაა, რომ ამგვარი შეტევა არასოდეს მქონია, ეს ჩემთვისაც მოულოდნელია. მეც მოხელე გახლავართ და დაწესებულების ჰაერს შეჩვეული, მაგრამ აქ მეტისმეტად მძიმე ჰაერია, ამას ხომ არც თქვენ უარყოფთ. ჰქენით სიკეთე, გამაცილეთ ცოტაზე, თავბრუ მეხვევა და თუ მარტომ გადავდგი ნაბიჯი, ცუდად გავხდები. — ამ უცხო ხალხისთვის მხრებში ამოდგომა რომ გაეადვილებინა, კ-მ ხელები ასწია.

მაგრამ მამაკაცმა მის დაჟინებულ თხოვნას ყური არ ათხოვა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ხმამაღლა გაიცინა.

— ხედავთ, — უთხრა მან ქალიშვილს, — ხომ სწორად მივხვდი. ამ ბატონს საერთოდ არაფერი სჭირს, მხოლოდ აქ გრძნობს თავს ცუდად.

ქალიშვილს გაეღიმა, მაგრამ თითის წვერები მაინც დაჭკრა მამაკაცს მკლავზე, აქაოდა, მეტისმეტად ხომ არ იგდებთ ამ კაცს სასაცილოდო.

— როგორ გეკადრებათ, — უთხრა მამაკაცმა ქალიშვილს სიცილით, — მე მართლა მინდა ეს ბატონი აქედან გავიყვანოთ.

— კარგს იზამთ, — უთხრა ქალიშვილმა და ერთი წამით ლამაზი თავი დახარა. — ამ სიცილს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ, — მიმართა ქალიშვილმა მცირე ხნის შემდეგ კ-ს, რომელმაც ისევ მოიწყინა, მზერა ერთ წერტილს მიაპყრო და არავითარი ახსნა-განმარტება არ აინტერესებდა, — ეს ბატონი — ხომ შემიძლია თქვენი თავი წარვუდგინო? (მამაკაცმა ხელის მოძრაობით ნება დართო) — ეს ბატონი ცნობათა ბიუროს განაგებს. მომლოდინე ხალხს იგი აძლევს ყოველნაირ საჭირო ცნობას, მაგრამ რადგანაც ხალხი არ იცნობს ჩვენს სასამართლო პროცედურას, მეტისმეტად ბევრი ცნობის გაცემა უხდება. ამ კაცს შეუძლია გიპასუხოთ ყველა კითხვაზე. თუ ოდესმე მოგეხალისებათ, შეგიძლიათ გამოსცადოთ. მაგრამ ეს არ არის მისი ერთადერთი ღირსება. მეორე მისი ღირსება ის არის, რომ მოხდენილად აცვია. ჩვენ, ესე იგი, სასამართლო მოხელეებმა, ერთხელ ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ცნობათა ბიუროს გამგეს დაუსრულებლად და თანაც პირველს უწევს მომჩივან-მოპასუხესთან მოლაპარაკება, და იმთავითვე კარგი შთაბეჭდილება რომ მოახდინოს, მოხდენილად უნდა ეცვას. დანარჩენებს,

როგორც თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ თუნდაც ჩემს მაგალითზე, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად, ძველმოდურად გვაცვია, თუმცა ტანსაცმელზე ფულის ხარჯვას აზრი არა აქვს, ჩვენ ხომ თითქმის მთელ დროს კანცელარიებში ვატარებთ და ხშირად ღამესაც აქ ვათევთ. მაგრამ, როგორც გითხარით, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ცნობათა ბიუროს გამგეს კარგად ეცვას. ჩვენი უფროსები ამ საკითხის მიმართ ცოტა უცნაურად არიან განწყობილნი და რადგან არაფერი გაიღეს, თანამშრომლებმა შევაგროვეთ ფული, ცოტაოდენი თანხა კლიენტებმაც შემოგვწირეს და მარტო ეს ლამაზი კოსტიუმი კი არა, სხვაც ვუყიდეთ, თითქმის ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს კაცი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდეს, მაგრამ თავისი სიცილით ყველაფერს აფუჭებს და ხალხს აფრთხობს.

— მართალია, — თქვა ცნობათა ბიუროს გამგემ, — მაგრამ ერთი რამ არ მესმის, ფროილაინ, რატომ უამბობთ ამ ბატონს მთელ ჩვენს შინაურულ ამბებს, ან უკეთ რომ ვთქვათ, თავს ახვევთ იმას, რაც მას სრულიად არ აინტერესებს. განა ვერ ხედავთ, რომ ახლა იგი მხოლოდ საკუთარ საქმეებზე ფიქრობს?

კ-ს არავითარი სურვილი არ ჰქონდა შეჰკამათებოდა მათ. ქალიშვილს ალბათ კეთილი სურვილები ამოძრავებდა, სურდა კ-ს ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა, ხელი შეეწყო გონს მოსულიყო, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

— ხომ უნდა ამეხსნა მისთვის, რატომ იცინოდით, — მიმართა ქალიშვილმა მამაკაცს, — ხომ შეიძლებოდა შეურაცხყოფად მიეღო.

— იგი ალბათ მეტ შეურაცხყოფასაც აიტანს, ოღონდ აქედან გავიყვანო. — უპასუხა მამაკაცმა.

კ-ს არაფერი უთქვამს, თავიც კი არ აუწევია. მოთმინებით იტანდა იმას, რომ ეს ორნი მასზე ისე მსჯელობდნენ, როგორც უსულო ნივთზე და არც აწუხებდა ეს ამბავი. უეცრად ცალ ხელში ცნობათა ბიუროს გამგემ წაავლო ხელი, მეორეში ქალიშვილმა.

— აბა წამოდექით, დასუსტებულო ადამიანო, — უთხრა ცნობათა ბიუროს გამგემ.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ ორივეს, — უთხრა მათ გახარებულმა და გაოცებულმა კ-მ, შემდეგ ნელა წამოიწია და ისე მოიმარჯვა უცხო ხელები, რომ უფრო მოხერხებულად დაყრდნობოდა.

— თქვენ ალბათ ფიქრობთ, — წასჩურჩულა ქალიშვილმა კ-ს, როცა ისინი დერეფანს უახლოვდებოდნენ, — რად დასჭირდა ამ ქალს ცნობათა ბიუროს გამგის ცამდე აყვანაო, მაგ-

რამ დამიჯერეთ, მართალი გითხარით. იგი ბოროტი გულის კაცი როდია. სულაც არ ევალება, ავადმყოფი კლიენტები აქედან გაიყვანოს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამას მაინც აკეთებს. შეიძლება ჩვენ ყველანი არც ისე ბოროტნი ვართ, შეიძლება სიამოვნებითაც კი დავეხმარებოდით ყველას, მაგრამ ჩვენ ხომ სასამართლოს მოხელეები ვართ და ამიტომაც ყველას მივაჩნივართ გულქვა ადამიანებად, რომელთაც არ სურთ ვინმეს დახმარების ხელი გაუწოდონ. ამ ამბის გამო მე ჭირადად ძალზე ვიტანჯები.

— ხომ არ ინებებთ მცირე ხნით ჩამოჯდეთ აქ? — ჰკითხა ცნობათა ბიუროს გამგემ.

ისინი უკვე დერეფანში გასულიყვნენ და სწორედ იმ ბრალდებულის წინ იდგნენ, წეღან რომ კ. გამოელაპარაკა. კ-ს ცოტათი შერცხვა მისი; აქ რომ შემოვიდა, თავდაჯერებული გამოეჭიმა, ახლა კი ორი ადამიანი ამოსდგომოდა მხრებში, მის ქუდს გაფარჩხული თითებით ათამაშებდა ცნობათა ბიუროს გამგე, თმა ასწეწოდა და ოფლიან შუბლზე ჩამოშლოდა. მაგრამ ბრალდებულმა თითქმის ვერაფერი შენიშნა, მორჩილად იდგა ცნობათა ბიუროს გამგის წინ, და ცდილობდა აეხსნა თავისი მოსვლის მიზეზი, მაგრამ გამგე მას თითქოს ვერც ამჩნევდა.

— ვიცი, — თქვა ბრალდებულმა, —ჩემი განცხადება ჯერ არ იქნება განხილული, მაგრამ მაინც მოვედი. ვიფიქრე, დავიცდი-მეთქი, დღეს ხომ კვირაა, დრო მაქვს, აქ კი ხელს არავის ვუშლი.

— ტყუილად იხდით ბოდიშს, — უპასუხა ცნობათა ბიუროს გამგემ. — თქვენი თადარიგიანობა ქების ღირსია. მართალია, აქ ტყუილად გიჭირავთ ადგილი, მაგრამ სანამ ხელს არ მიშლით, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჩვენ ისეთებიც გვინახავს, უტიფრად რომ უგულვებელყოფენ თავიანთ მოვალეობას და თქვენისთანა ადამიანებს როგორ არ უნდა მოეპყრას კაცი მეტი მოთმინებით. დაბრძანდით.

— ხედავთ როგორ ეხერხება კლიენტებთან ლაპარაკი, — წასჩურჩულა ქალიშვილმა კ-ს.

კ-მაც თავი დაუქნია და როცა ცნობათა ბიუროს გამგემ კვლავ ჰკითხა, ხომ არ გსურთ ჩამოჯდეთო, შეკრთა.

— არა, — უპასუხა კ-მ.—სულაც არ მჭირდება შესვენება.

მან სცადა ეს სიტყვები მტკიცედ წარმოეთქვა, მაგრამ ჩამოჯდომა უთუოდ დიდ შვებას მოჰგვრიდა. ასე ეგონა, ზღვის ავადმყოფობის მაგვარი რაღაც მჭირსო, თითქოს ძლიერ ღელვაში გემზე აღმოჩნდა, ტალღები ხის კედლებს ეხეთქებოდა, აქაფებული ღმუილით მოედინებოდა დერეფნის სიღრმიდან. იატაკი კედლიდან კედლამდე ქანაობდა, ხოლო ორივე მხარეს

ჩამომჯდარი კლიენტები ხან მაღლა ადიოდნენ, ხან დაბლა ეშვებოდნენ. ამიტომ კიდევ უფრო გაუგებარი იყო მისთვის თანმხლები ქალიშვილისა და მამაკაცის სიმშვიდე. იგი მათ მიენდო, საკმარისი იყო ხელი გაეშვათ და, მოჭრილ ხესავით დაეცემოდა იატაკზე. ქალიშვილი და მამაკაცი წვრილ, გამჭრიახ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. კ. გრძნობდა, რა მწყობრად მიაბიჯებდნენ ისინი, თვითონ კი ფეხს ვერ უწყობდა, რადგან გაჭირვებით მიათრევდნენ. ბოლოს მიხვდა, რაღაცას ეუბნებიან, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო, რას. მის ყურამდე მხოლოდ ხმაური აღწევდა, ყველაფრის დამტევი ხმაური, და ამ ხმაურს თითქოს აპობდა ერთი გაბმული, მაღალი, უცვლელი ბგერა. გეგონებოდა, სირენა კივისო.

— გამაგონეთ, რას ამბობთ,—ჩაიჩურჩულა მან და თავი ჩაქინდრა, რცხვენოდა, რომ საკმაოდ ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ, მას კი არაფერი ესმოდა. ბრლოს, თითქოს მის წინ კედელი გაირღვაო, საიდანღაც სუფთა ჰაერი შემოიჭრა და გაიგონა, როგორ თქვა მამაკაცმა:

— თითქოს წასვლა უნდოდა, ახლა კი ასჯერ ვუმეორებ, აქაა გასასვლელი-მეთქი და მაინც არ იძვრის ადგილიდან.

ბოლოს კ-მ დაინახა, რომ გასასვლელი კარის წინ იდგა. კარი ქალიშვილმა გაუღო. კ-ს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი ძალ-ღონე ერთბაშად დაუბრუნდა და წინასწარ რომ დამტკბარიყო თავისუფლებით, მაშინვე კიბის საფეხურს დაადგა ფეხი და გამცილებლებს, რომლებიც მისკენ დაიხარნენ, კიბიდან გამოემშვიდობა:

— დიდად გმადლობთ, — იმეორებდა იგი. ორივეს მრავალგზის ჩამოართვა ხელი და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა შეატყო, კანცელარიის ჰაერს მიჩვეული ქალი და კაცი კიბიდან შემოჭრილი შედარებით სუფთა ჰაერისაგან ლამის ცუდად გახდნენ. მათ პასუხის თავი აღარ ჰქონდათ და ქალიშვილი ალბათ წაიქცეოდა, კ-ს რომ სწრაფად არ მიეხურა კარი. იგი ერთი წუთით შეჩერდა, ჯიბის სარკეში ჩაიხედა, თმა დაივარცხნა, კიბეზე დაგდებულ ქუდს დასწვდა, — ეტყობა, ცნობათა ბიუროს გამგემ დააგდო, — და ისე სწრაფად, ისეთი დიდი ნახტომებით დაეშვა კიბეზე, რომ ამ უეცარმა გარდატეხამ თითქოს შიშიც კი მოჰგვარა. ჯანმრთელ, გაკაჟებულ სხეულს ჯერ არასდროს გაუკვირვებია კ. ასე. ნუთუ სხეული აუჯანყდა და ახალი სასიცოცხლო პროცესისათვის ემზადება, რადგან ძველს გაუჭირვებლად იტანდა, როგორმე ექიმს უნდა ვეჩვენოო, გაიფიქრა მან და მტკიცედ გადაწყვიტა, ამიერიდან კვირა დღის პირველი ნახევარი უკეთ გამოეყენებინა, ვიდრე დღეს — ამას სხვისი რჩევის გარეშეც გაართმევდა თავს.

თავი. მეოთხე

ფროილაინ ბიურსთნერის მეგობარი ქალი.

რამდენიმე დღე კ-მ ვერაფრით ვერ მოახერხა, ფროილაინ ბიურსთნერისათვის ორიოდე სიტყვა ეთქვა, ყოველნაირად ცდილობდა მცირე ხნით მაინც დაემარტოხელებინა ქალიშვილი, მაგრამ ფროილაინ ბიურსთნერი მოხერხებულად არიდებდა თავს. სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. პირდაპირ შინ ბრუნდებოდა, თავის ოთახში ტახტზე ჯდებოდა, სინათლეს არ ანთებდა და სხვა არაფერი საქმე ჰქონდა, წინკარში შემოსულთ თვალყურს ადევნებდა. თუ მოახლე გოგო ჩაივლიდა და კარს მიუხურავდა — გოგოს ალბათ ეგონა, ჩაბნელებულ ოთახში არავინ არისო, — კ. ცოტა ხნის მერე წამოდგებოდა და კარს ისევ აღებდა. დილით ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე დგებოდა, რათა სამსახურში მიმავალ ფროილაინ ბიურსთნერს მარტო შეხვედროდა, მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო იყო. ბოლოს წერილი მისწერა სახლშიც და კანტორაშიც, ცდილობდა კიდევ ერთხელ გაემართლებინა საკუთარი საქციელი, სთხოვდა, როგორც მოგესურვებათ, ისე მიმსახურეთო, პირდებოდა, არასოდეს არ გადავალ თქვენ მიერ დადგენილ ზღვარსო, ემუდარებოდა, ერთხელ მაინც მომეცით თქვენთან დალაპარაკების შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ ფრაუ გრუბახს ვერ დაგველაპარაკები, თუ წინასწარ თქვენ არ გკითხავთ რჩევასო. ბოლოს ატყობინებდა, მომავალ კვირას მთელი დღე ოთახში ვიჯდები და თქვენს ნიშანს დაველოდები, ყოველ შემთხვევაში, ან ჩემს სურვილს დააკმაყოფილებთ და შემხვდებით. ანდა იმას მაინც ამიხსნით, რატომ არ გსურთ ჩემთან შეხვედრა. მე ხომ პირობას გაძლევთ, მთლიანად თქვენს ნებას დავემორჩილოო. კ-ს არც თავისი წერილები დაბრუნებია უკან და არც ფროილაინ ბიურსთნერის პასუხი მიუღია. სამაგიეროდ მომდევნო კვირას რაღაც ისეთი ანიშნეს, რაც ეჭვს არ იწვევდა. დილაადრიან კ-მ კარის ჭუჭრუტანიდან დაინახა, შემოსასვლელში დიდი ფუსფუსი იყო ამტყდარი, რისი მიზეზიც მალე გაირკვა. ფრანგული ენის მასწავლებელი—სხვათაშორის ეს სუსტი, ფერმკრთალი, ოდნავ კოჭლი ქალიშვილი გერმანელი იყო, გვარად მონთაგი — აქამდე ცალკე ოთახში ცხოვრობდა, ახლა კი ფროილაინ ბიურსთნერის ოთახში გადადიოდა. იგი რამდენიმე საათი დაჩანჩალებდა წინკარში, ხან საცვალი ავიწყდებოდა, ხან საბანი, ხან წიგნი, ყოველი ნივთისათვის საგანგებოდ ბრუნდებოდა უკან და ახალ ოთახში გადაჰქონდა.

როდესაც ფრაუ გრუბახმა საუზმე შემოუტანა — მას შემდეგ, რაც კ. გაუბრაზდა, დიასახლისი მოახლის უმნიშვნელო წვრილმანის შესრულებასაც კი არ ანდობდა, — კ-მ ვერ

ლარ მოითმინა და ხუთი დღის დუმილის შემდეგ, პირველად გამოელაპარაკა ქალს.

— რატომაა დღეს ასეთი ხმაური წინკარში? — ჰკითხა მან ფრაუ გრუბახს და ყავა დაისხა, — ნუთუ არ შეიძლება ამას ბოლო მოეღოს, ნუთუ მაინცდამაინც კვირა დღესაა აუცილებელი ბერტყვა-დალაგება?

თუმცა კ. ფრაუ გრუბახს არ უყურებდა, მაგრამ მაინც შენიშნა, რომ ქალმა შვებით ამოისუნთქა. ეს მკაცრი შეკითხვები პატიებად თუ არა, პატიებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად მაინც მიიჩნია.

— არავინ არაფერს არ ალაგებს, ბატონო, კ., — უპასუხა ფრაუ გრუბახმა. — მხოლოდ ფროილაინ მონთაგი გადადის საცხოვრებლად ფროილაინ ბიურსთნერთან და თავის ბარგ-ბარხანა გადააქვს.

ქალს მეტი არაფერი უთქვამს, ელოდა, როგორ მიიღებდა მის სიტყვებს კ. და მისცემდა თუ არა უფლებას, განაგრძო საუბარი. მაგრამ კ-მ მისი გამოცდა გადაწყვიტა, ერთხანს დაფიქრებული ურევდა კოვზით ყავას და დუმდა, შემდეგ კი თავი ასწია და ჰკითხა:

— აღარ უყურებთ ეჭვის თვალით ფროილაინ ბიურსთნერს?

— ო, ბატონო, კ., — წამოიძახა ფრაუ გრუბახმა, რომელიც აშკარად ელოდა ამ კითხვას და მიტყუპებული ხელები კ-სკენ გაიშვირა, — თქვენ ძალიან ახლოს მიიტანეთ გულთან ამასწინანდელი სრულიად შემთხვევითი შენიშვნა. აზრადაც არ მომსვლია მეწყენინებინა თქვენთვის ან სხვა ვინმესთვის. თქვენ ხომ კარგა ხანია მიცნობთ, ბატონო კ., და უნდა დამიჯეროთ. არც კი იცით, როგორ ვიტანჯებოდი მთელი ეს ბოლო დღეები! ნუთუ მე მდგმურებს ცილს დავწამებ! ნუთუ თქვენ ეს დაიჯერეთ, ბატონო კ.! თანაც მითხარით, ბინიდან დამითხოვეთო! თქვენ როგორ გაკადრებთ ამას! — უკანასკნელი სიტყვები ცრემლებმა ჩაახშო, ქალმა სახეზე წინსაფარი აიფარა და ხმამაღლა აქვითინდა.

— ნუ ტირით, ფრაუ გრუბახ, — უთხრა კ-მ და ფანჯარაში გაიხედა. იგი მხოლოდ ფროილაინ ბიურსთნერზე და იმ ამბავზე ფიქრობდა, ოთახში რომ უცხო ქალი შეისახლა. — ნუ ტირით, — გაიმეორა მან, როცა მოიხედა და დაინახა, ფრაუ გრუბახი კვლავ ტიროდა. — მაშინ არც მე არ გამივლია გულში არაფერი ცუდი, უბრალოდ ერთმანეთს ვერ გავუგეთ, ასეთი რამ ძველ მეგობრებს შორისაც ხდება.

ფრაუ გრუბახმა თვალებიდან წინსაფარი მოიშორა, სურდა დარწმუნებულიყო, კ. მართლა შემირიგდა თუ არაო.

— დიახ, დიახ, ეს ასეა,—დასძინა კ-მ. ფრაუ გრუბახის

ქალევამ დაარწმუნა, რომ კაპიტანს ისინი არ გაუცია, ამიტომ გაბედა და უთხრა, — ნუთუ მართლა დაიჯერეთ, რომ ვიღაც უცნობი ქალიშვილის გულისათვის წაგეჩხუბებოდით.

— საქმეც ეს არის, ბატონო კ., — უთხრა ფრაუ გრუბახმა, ამ ქალს ერთი უბედურება სჭირდა, როგორც კი შვებას იგრძნობდა, მაშინვე წამოროშავდა სისულელეს, — წამდა უწუმ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ იცავს ასე თავგამოდებით ბატონი კ. ფროილაინ ბიურსთნერს, რატომ მეჩხუბებ მის გამო, განა არ იცის, რომ ყოველი მისი მწარე სიტყვა ძილ მიფრთხობს-მეთქი? ფროილაინ ბიურსთნერზე მე ხომ მხოლოდ ისა ვთქვი, რაც საკუთარი თვალით ვნახე.

კ-მ არაფერი უპასუხა, ქალს კიდევ რომ ეთქვა რამე, ოთახიდან უნდა გაეგდო, ეს კი არ უნდოდა. კ. მდუმარედ სვამდა ყავას, რითაც ფრაუ გრუბახს აგრძნობინა, ზედმეტი ხარო. გარედან ისევ მოისმა, როგორ დაფრატუნებდა ფროილაინ მონთაგი წინკარში.

— გესმით? — ჰკითხა კ-მ და ხელით კარზე ანიშნა.

— დიახ, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა და ამოიოხრა. — მინდოდა მივხმარებოდი, მოახლესაც მივაშველებდი, მაგრამ ჯიუტია. უნდა ყველაფერი თვითონ გადაზიდოს. მაკვირვებს ფროილაინ ბიურსთნერის საქციელი. მე ისიც კი არ მსიამოვნებს, ფროილაინ მონთაგი რომ ჩემი მდგმურია. ფროილაინ ბიურსთნერს კი თავის ოთახში გადაჰყავს.

— თქვენ ეს არ უნდა გაწუხებდეთ, — უთხრა კ-მ და ფინჯანში ჩარჩენილ შაქარს კოვზი მოურია.—განა თქვენთვის ეს საზარალოა?

— არა, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა, — პირიქით, ხელსაც მაძლევს. ოთახი მინთავისუფლდება, და იქ ჩემს ძმისწულს, კაპიტანს გადავიყვან. უკვე კარგა ხანია არ მშორდება იმაზე ფიქრი, რომ ჩემი ძმისწული გაწუხებთ, რაკი ეს რამდენიმე დღეა საერთო ოთახში მივუჩინე კუთხე. დიდად მორიდებული არ ბრძანდება.

— ეს რამ გაფიქრებინათ! — უთხრა კ-მ და ფეხზე წამოდგა, — ეს რა სალაპარაკოა, თქვენ, ალბათ, მეტისმეტად მგრძნობიარე გგონივართ, რაკი ფროილაინ მონთაგის წაღმა-უკუღმა ტანტალს — ახლა იგი ისევ უკან ბრუნდება — ვერ ვითმენ.

ფრაუ გრუბახი უმწეოდ შესცქეროდა კ-ს.

— ხომ არ ვუთხრა, ბატონო კ., დანარჩენი ნივთების გადაზიდვა ხვალისათვის გადადეთ-მეთქი? თუ გნებავთ ახლავე ვეტყვი.

— მაინც ხომ უნდა გადასახლდეს ფროილაინ ბიურსთნერთან, — უპასუხა კ-მ.

— დიახ, — თქვა ფრაუ გრუბახმა, რომელსაც ხეირიანად ვერ გაეგო, რისი თქმა სურდა კ-ს.

— ამიტომ ჯობია თავისი ნივთები დღესვე გადაიტანოს,— უთხრა კ-მ.

ფრაუ გრუბახმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ქალის ესტყვო უმწეობა, რაც ყველაზე მეტად სიჯიუტეს ჰგავდა, კიდევ უფრო აღიზიანებდა კ-ს. მან დაიწყო ოთახში აქეთ-იქით სიარული კარიდან ფანჯრამდე, რის გამოც ფრაუ გრუბახს არაფრით არ შეეძლო ოთახიდან გასვლა, არადა, ძალიან უნდოდა გასულიყო.

კ. სწორედ იმ დროს მივიდა კართან, როცა დააკაკუნეს. ოთახში შემოვიდა მოახლე გოგო და განაცხადა, ფროილაინ მონთაგს სურს ორიოდე სიტყვა უთხრას ბატონ კ-ს და ამიტომ სთხოვს შევიდეს სასადილო ოთახში, სადაც ელოდებაო. კ-მ ყურადღებით მოუსმინა მოახლეს, შემდეგ კი მიუბრუნდა შეშინებულ ფრაუ გრუბახს და დამცინავად შეხედა. მისი მზერა იმაზე მეტყველებდა, თითქოს დიდი ხანია წინასწარ იცოდა, რომ ფროილაინ მონთაგი მის ნახვას მოისურვებდა და ესეც ერთ-ერთი იმ ტანჯვათაგანი იყო, რაც მას ამ კვირა დილას უნდა აეტანა ფრაუ გრუბახის მდგმურებისაგან. მან მოახლე უკანვე გაგზავნა და დაავალა ეთქვა ფროილაინისათვის, ახლავე მოვალო, მერე ტანსაცმლის კარადასთან მივიდა პიჯაკის გამოსაცვლელად, ხოლო ფრაუ გრუბახს, რომელიც ჩუმად ბუზღუნებდა, რა აბეზარია ეს ქალიშვილიო, სთხოვა ჭურჭელი საუზმიანად გაეტანა ოთახიდან.

— თითქმის არაფრისათვის არ გიხლიათ ხელი, — უთხრა ფრაუ გრუბახმა.

— რაღას უყურებთ, წაიღეთ, — შეუყვირა კ-მ, რომელსაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფროილაინ მონთაგს რაღაც მანქანებით ყველაფერში ურევია ხელი და ეს გულს უმღვრევდა.

როცა წინკარი გაიარა, ფროილაინ ბიურსთნერის ოთახის დაკეტილ კარს შეავლო თვალი, მაგრამ მას ამ ოთახში კი არა, სასადილოში ეპატიჟებოდნენ, რომლის კარიც ჯიქურად, დაუკაკუნებლად შეაღო.

ეს იყო მეტისმეტად გრძელი, ვიწრო, ცალფანჯრიანი ოთახი, სადაც უადგილობის გამო მხოლოდ ორი კარადა ეტეოდა. კარადები ირიბად დაედგათ კარის მხარეს კუთხეებში, დანარჩენი ფართობი კი ეჭირა გრძელ სასადილო მაგიდას, რომელიც კართან ახლოს იწყებოდა და თითქმის ფანჯარას ებჯინებოდა. ამის გამო ფანჯარასთან მისვლა ჭირდა. მაგიდა უკვე გაეწყოთ, თანაც ბევრ სულზე, რადგან კვირაობით თითქმის ყველა მდგმური ამ ოთახში სადილობდა.

როგორც კი კ. სასადილოში შევიდა, ფროილაინ მონთაგი ფანჯარას მოსცილდა და მაგიდის გასწვრივ სტუმრის შესაგებებლად გამოეშურა. ისინი უხმოდ მიესალმნენ ერთმანეთს. შემდეგ ფროილაინ მონთაგმა, რომელსაც არაბუნებრივად სწორად ეჭირა თავი, კ-ს უთხრა:

— არ ვიცი, მიცნობთ თუ არა?

კ-მ თვალები მოჭუტა, ქალიშვილს შეხედა და უპასუხა:

— რა თქმა უნდა, გიცნობთ, თქვენ უკვე კარგა ხანია ცხოვრობთ ფრაო გრუბახთან.

— მე მეგონა სრულიად არ გაინტერესებდათ პანსიონის ცხოვრება, — უთხრა ფროილაინ მონთაგმა.

— მართალია, — უპასუხა კ-მ.

— ხომ არ დაბრძანდებით? — ჰკითხა ფროილაინ მონთაგმა.

ორივემ მდუმარედ გამოსწიეს სავარძლები და მაგიდის ბოლოში ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ. მაგრამ ფროილაინ მონთაგი იმწამსვე წამოდგა, რადგან ფანჯრის რაფაზე ხელჩანთა დარჩენოდა, მთელი ოთახი ფრატუნით გაიარა, უკან გამობრუნებული ჩანთას ნელა მოაქანავებდა.

— ჩემმა მეგობარმა დამავალა ორიოდე სიტყვა მეთქვა თქვენთვის, თვითონ სურდა მოსვლა, მაგრამ დღეს ცოტა შეუძლოდ გახლავთ. გთხოვთ აპატიოთ და მის მაგივრად მე მოძღვნილნოთ. თუმცა იმაზე მეტს, რასაც მე გეტყვით, თავადაც ვერ გეტყოდათ. პირიქით, მეტის თქმაც კი შემიძლია, რადგან მასთან შედარებით, მიუკერძოებელი ვარ. ხომ გჯერათ ჩემი? — უთხრა ფროილაინ მონთაგმა კ-ს.

— საინტერესოა, რა გაქვთ სათქმელი?—უპასუხა კ-მ, რომელიც დაღალა იმან, რომ ფროილაინ მონთაგი თვალს არ აშორებდა მის ტუჩებს და წინასწარ ხვდებოდა, რისი თქმა უნდოდა. — მიუხედავად ჩემი თხოვნისა, ეტყობა, ფროილაინ ბიურსთნერს არ სურს პირადად ჩემთან ლაპარაკი.

— დიახ, ასეა, — თქვა ფროილაინ მონთაგმა, — უფრო სწორად, ასე არ არის, თქვენ მეტისმეტად მკაცრად ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი. საერთოდ კი, საუბარზე არც თანხმობას იძლევიან და არც უარს ამბობენ. მაგრამ ხდება ისიც, საუბარს უბრალოდ ზედმეტად თვლიან. აქ სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ახლა კი, თქვენი შენიშვნის შემდეგ, შემიძლია გულახდილად მოგახსენოთ, თქვენ ჩემს მეგობარს სთხოვეთ სიტყვიერად ან წერილობით მოგლაპარაკებოდათ; მაგრამ ჩემი ვარაუდით, ჩემმა მეგობარმა იცის, რაზე გსურთ მასთან საუბარი და რაღაც მიზეზების გამო, რაზედაც წარმოდგენა არა მაქვს, დარწმუნებულია, რომ ამგვარი საუბარი არც ერთ მხარეს არ მოუტანს სარგებლობას. თუმცა

მან ეს გუშინ და ისიც გაკვრით მითხრა, ამავე დროს ამიხსნა, რომ ამ საუბარს არც თქვენთვის შეიძლება ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა, რადგან ამგვარი აზრი მხოლოდ შემთხვევის წყალობით გაგიჩნდათ და თუ ახლავე არა, სულ მალე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიხვდებით თქვენი თხოვნის უაზრობას. მე მას ვუთხარი, შეიძლება ყველაფერი ეს მართლაც ასეა, მაგრამ საკითხის ბოლომდე გასარკვევად საჭიროდ მიმაჩნია ამომწურავი პასუხი გასცე-მეთქი, ამასთანავე შევთავაზე, ამ საქმეს მე მოვაგვარებ-მეთქი. მცირე ყოყმანის შემდეგ ჩემი მეგობარი დამეთანხმა. ვიმედოვნებ, თქვენი გულისთქმის შესაბამისად ვმოქმედებ, რადგან ყოველგვარი გაურკვევლობა სრულიად უმნიშვნელო საქმეშიც კი მეტისმეტად გამაწამებელია და თუ ასე ადვილად შეიძლება მისი აღმოფხვრა, როგორც ამ შემთხვევაში, საქმე გადაუდებლად უნდა გაკეთდეს.

— დიდად გმადლობთ, — უთხრა კ-მ სწრაფად, შემდეგ ნელა წამოდგა, ჯერ ფროილაინ მონთაგს შეხვდა, მერე მაგიდას, ბოლოს ფანჯარაში გაიხედა — მოპირდაპირე სახლი მზით იყო განათებული — და კარისკენ წავიდა. ფროილაინ მონთაგი ისე გაჰყვა უკან, თითქოს ბოლომდე არ ენდობოდა. კართან მისულნი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, რადგან ამ დროს კარი გაიღო და ოთახში კაპიტანი ლანცი შემოვიდა. ასე ახლოს კ-მ პირველად დაინახა იგი. კაპიტანი მაღალი, ორმოც წელს მიტანებული, მზემოკიდებული მამაკაცი იყო და ხორციანი სახე ჰქონდა. სალმის ნიშნად მან ოდნავ დახარა თავი, რაც კ-საც ეხებოდა, შემდეგ ფროილაინ მონთაგთან მივიდა და ხელზე მოწიწებით ეამბორა. მეტისმეტად მსუბუქი მიხრა-მოხრა ჰქონდა. კ-სგან განსხვავებით უაღრესად თავაზიანად ექცეოდა ქალიშვილს. მაგრამ ფროილაინ მონთაგი, ეტყობა, მაინც არ იყო გულმოსული კ-ზე და, როგორც შეამჩნია, ქალიშვილს ისიც კი უნდოდა, კ. კაპიტნისათვის გაეცნო. მაგრამ კ-ს არავის გაცნობა არ სურდა, სულ ერთია, ვერც ფროილაინ მონთაგს მოექცეოდა თავაზიანად და ვერც კაპიტანს. ოფიცრის ხელზე კოცნამ ქალიშვილი იმ ბანაკში გადაისროლა, რომელიც უკიდურეს უწყინარობას და მიუკერძოებლობას ამოფარებული, ცდილობდა კ. ფროილაინ ბიურსთნერთან არ მიეშვა. მაგრამ კ-მ მარტო ეს კი არ დაინახა, მან დაინახა ისიც, რომ ამ საქმისათვის ფროილაინ მონთაგმა თუმცა გონივრული, მაგრამ ორლესული ხერხი გამოიყენა. ქალი აზვიადებდა კ-სა და ფროილაინ ბიურსთნერს შორის დამყარებულ ურთიერთობას, უპირველეს ყოვლისა, აზვიადებდა იმ მოლაპარაკების მნიშვნელობას, რასაც კ. ითხოვდა და ამავე დროს ცდილობდა საქმე ისე წარმოედ-

გინა, თითქოს თვით კ. აზვიადებდა ყველაფერს. მაგრამ ფროილაინ მონთაგი ცდებოდა. კ. არაფერს არ აზვიადებდა, მან კარგად იცოდა, ფროილაინ ბიურსთნერი ერთი საცოდავი მემანქანე იყო და დიდხანს ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას. ამავე დროს, კ-მ განზრახ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რაც ფრაუ გრუბახისაგან ფროილაინ ბიურსთნერზე შეიტყო. ყოველივე ამან ერთბაშად გაიელვა კ-ს გონებაში, როცა ქალიშვილსა და კაპიტანს ოდნავ დაუკრა თავი და ოთახიდან გავიდა. უნდოდა პირდაპირ თავის ოთახში შესულიყო, მაგრამ ამ დროს მის ზურგს უკან ფროილაინ მონთაგის სიცილი მოესმა და გადაწყვიტა კაპიტანი და ფროილაინ მონთაგი ძლიერ გაეკვირვებინა. მან ირგვლივ მიმოიხედა, შეამოწმა რომელიმე ოთახიდან ვინმე ხელს ხომ არ შემიშლისო, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ სასადილო ოთახიდან ისმოდა საუბარი, სამზარეულოსაკენ მიმავალი დერეფნიდან კი — ფრაუ გრუბახის ხმა. უფრო ხელსაყრელ შემთხვევას ვერც ინატრებდა. იმწამსვე ფროილაინ ბიურსთნერის კართან გაჩნდა და ნელა დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. კიდევ ერთხელ დააკაკუნა, ხმა ამჯერადაც არ გაუცია არავის. ნუთუ სძინავს, იქნებ მართლაც შეუძლოდაა, ან იქნებ განგებ არ ძრავს კრინტს, გული უგრძნობს, ასე ჩუმად მხოლოდ კ-ს შეუძლია დააკაკუნოსო? განგებ მემალებაო, გაიფიქრა კ-მ და უფრო მაგრად დააკაკუნა. ბოლოს, როცა დაკაკუნებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, კარი ფრთხილად შეაღო, თუმცა გრძნობდა, უწესოდ და უაზროდ იქცეოდა. ოთახი ცარიელი დახვდა, თანაც არაფრით არ ჰგავდა ნაცნობ ოთახს. კედელთან ერთმანეთის მიყოლებით ორი საწოლი იდგა, კარის მახლობლად დადგმულ სამ სავარძელზე კაბები და საცვლები დაეხვავებინათ, კარადა ღია იყო. ფროილაინ ბიურსთნერი ალბათ მაშინ გავიდა სახლიდან, როცა სასადილო ოთახში ფროილაინ მონთაგი კ-ს ელაპარაკებოდა. მაგრამ ამ ამბავს კ. დიდად არ შეუწუხებია, არც უფიქრია. ადვილად მოვახერხებ ფროილაინ ბიურსთნერის ნახვას. ეს ნაბიჯი მხოლოდ ფროილაინ მონთაგის ჯიბრზე გადადგა. მაგრამ როცა კარი გამოხურა, მეტისმეტად არ ესიამოვნა, სასადილო ოთახის კართან საუბარში გართული კაპიტანი და ფროილაინ მონთაგი რომ დაინახა. იქნებ ისინი მაშინაც იქ იდგნენ, როცა კ-მ კარი შეაღო. თუმცა სულ არ ეტყობოდათ, რომ კ-ს უთვალთვალებდნენ. ისინი ჩუმად საუბრობდნენ და კ-ს მოძრაობას ისე ადევნებდნენ თვალყურს, როგორც ჩვეულებრივი საუბრის დროს ხდება ხოლმე, უყურებ კაცს, მაგრამ ვერ ხედავ, და მაინც კ-ს მძიმედ აწვებოდა მათი მზერა. იგი კედელს გაჰყვა და სწრაფად შეიძვრა თავის ოთახში.

თავი მეხუთე

გამწკეპლავი.

ერთ-ერთ უახლოეს საღამოს კ. მიჰყვებოდა დერეფანს, რომელიც მის კაბინეტს მთავარი კიბისაგან ჰყოფდა — ამჯერად იგი თითქმის ყველაზე გვიან ბრუნდებოდა შინ, მხოლოდ ორი შიკრიკიღა მუშაობდა ექსპედიციაში ნათურის მბჟუტავ შუქზე, — და უეცრად კვნესა მოესმა იმ კარს მიღმა, სადაც საკუჭნაო ეგულებოდა, თუმცა პირადად მას არასოდეს შეუხედავს შიგ. გაკვირვებული შეჩერდა და კიდევ ერთხელ მიაყურადა, ხომ არ მომეჩვენაო. ერთხანს კარს უკან სიჩუმე სუფევდა, მაგრამ შემდეგ კვლავ მოესმა კვნესა. კ-ს უნდოდა ერთ-ერთი შიკრიკისათვის დაეძახა, მოწმედ დაესწრო, მაგრამ მერე ისეთმა დაუოკებელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, რომ იმწამსვე კარი ღონივრად გამოაღო. მისი ვარაუდი გამართლდა, ეს სწორედ საკუჭნაო იყო. ზღურბლს მიღმა დაეხვავებინათ ძველი, გამოუსადეგარი ნაბეჭდი პროსპექტები. და თიხის ცარიელი სამელნე ბოთლები. საკუჭნაოში სამი კაცი იდგა, ჭერის სიდაბლის გამო წელში მოხრილიყვნენ. სამივეს თაროზე დამაგრებული სანთლის შუქი ეცემოდა.

— რას აკეთებთ აქ? — ჰკითხა მათ აღელვებისაგან სულშეგუბებულმა კ-მ საკმაოდ ხმადაბლა. ერთ-ერთ მამაკაცს, რომელიც ეტყობა, თანამდებობით უფროსი იყო და თავიდანვე იქცევდა ყურადღებას, უცნაური, ღრმად ამოჭრილი და უსახელო მუქი ტყავის ტანსაცმელი ეცვა, მკერდი და მკლავები შიშველი ჰქონდა. უფროსს მისი შეკითხვისთვის ყურადღება არ მიუქცევია. დანარჩენი ორნი კი აყვირდნენ:

— ბატონო, გაწკეპვლას გვიპირებენ, რადგან გამომძიებელთან გვიჩივლეთ.

კ-მ მხოლოდ ახლა იცნო მცველები ფრანცი და ვილემი, მესამეს კი ხელში წკეპლა ეჭირა და ცემას უპირებდა მათ.

— არა, — თქვა კ-მ და მცველებს თვალი გაუსწორა, — მე თქვენთვის არ მიჩივლია, მე მხოლოდ ის მოვყევი, რაც ჩემს ბინაში მოხდა. თუმცა სანიმუშოდ არც თქვენ მოქცეულხართ.

— ბატონო, — თქვა ვილემმა იმ დროს, როცა ფრანცი აშკარად ცდილობდა მის ზურგს უკან მესამეს დამალვოდა, — რომ იცოდეთ, რა ცოტას გვიხდიან, მაშინ უკეთესი აზრი შეგექმნებოდათ ჩვენზე. მე ოჯახი მყავს შესანახი, ფრანცს კი ცოლის შერთვა უნდა, ამიტომ ცდილობ წაღლიტო ყველას ყველაფერი, რისი წაღლეტაც კი შეიძლება. მარტო ხელფასით ვერ იცხოვრებ, თუნდაც დღე და ღამე გაასწორო. თქვენს ძვირფას საცვლებზე თვალი დამრჩა. მცველებს, ცხადია, ეკ-

რძალებათ ამგვარად მოიქცნენ, ეს მართლაც საძრახისია, მაგრამ ტრადიციის თანახმად პატიმრის საცვლები მცველების საკუთრებაა. დამიჯერეთ, ეს წესი დიდი ხანია არსებობს და გასაგებიცაა: აბა დაფიქრდით, რაში სჭირდება ამგვარი ნივთები ისედაც გაუბედურებულ პატიმარს? მაგრამ თუ პატიმარი ამას საჯაროდ განაცხადებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, სასჯელი არ აგვცდება.

— რასაც ახლა ამბობთ, ეგ მე არ ვიცოდი, თქვენი დასჯა არ მომითხოვია. ჩემთვის ამას მხოლოდ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

— ფრანც, — მიმართა ვილემმა მეორე მცველს, — ხომ გითხარი, ეს ბატონი ჩვენს დასჯას არ მოითხოვდა-მეთქი, ახლა ხომ გესმის, არც კი სცოდნია, ჩვენ რომ უნდა დაგვსაჯონ.

— გულს ნუ აიჩუყებთ ამათი ლაყბობით,—უთხრა კ-ს მესამემ, — ორივეს დასჯა სამართლიანიცაა და გარდაუვალიც.

— ყურს ნუ უგდებთ, — უთხრა ვილემმა კ-ს, მაგრამ მაშინვე ჩაიწყვიტა ხმა და ტუჩებთან მიიტანა ხელი, რომელზეც წკეპლა მოხვდა. — მხოლოდ იმიტომ გვსჯიან, რომ დაგვაბეზღეთ, თორემ, რომ გაეგოთ კიდეც, ამგვარი საქციელისათვის თითსაც არ დაგვაკარებდნენ. ნუთუ ესაა სამართლიანობა? ჩვენ ორივე, განსაკუთრებით მე, დიდი ხანია ვმსახურობთ და ამ ხნის მანძილზე, როგორც მცველებმა, თავი გამოვიჩინეთ — თუ ამ ამბავს ხელისუფლების თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა აღიაროთ, რომ კარგად გიცავდით, — იმედი გვქონდა, დაგვაწინაურებდნენ და მალე ისეთივე გამწკეპლავები გავხდებოდით, როგორიც, აი ეს კაცია, რომელსაც ბედმა გაუღიმა და არავის დაუბეზღებია, რადგან ამგვარი დაბეზღება მეტისმეტად იშვიათად ხდება. ახლა კი, ჩემო ბატონო, ყველაფერი დაიღუპა, ჩვენს კარიერას ბოლო მოეღო, ყველაზე შავ სამუშაოს შეგვასრულებინებენ, მცველობა მოგვენატრება, გარდა ამისა, ახლა ამ საზარელი წკეპლით აგვიჭრელებენ ზურგს, რა გაუძლებს ამხელა ტკივილს.

— ნუთუ ეს წკეპლა ასე მწარეა? — იკითხა კ-მ და ხელით მოსინჯა წკეპლა, რომელსაც გამწკეპლავი მის ცხვირწინ იქნევდა.

— ჩვენ ხომ მთლიანად უნდა გავშიშვლდეთ, — უპასუხა ვილემმა.

— დავიჯერო, — თქვა კ-მ და დაკვირვებით შეათვალიერა გამწკეპლავი, რომელიც მეზღვაურივით იყო გარუჯული და გაველურებული, ჯანმრთელი კაცის სახე ჰქონდა. — ნუთუ არავითარი საშუალება არ არსებობს, ამ ორს გაწკეპვლა ასცდეს? — ჰკითხა კ-მ გამწკეპლავს.

— არა, — უპასუხა გამწკეპლავმა და სიცილით გაიქნ-გამოიქნია თავი. — გაიხადეთ! — უბრძანა მან მცველებს, ხოლო კ-ს უთხრა: — ამათ ყველაფერი კი არ დაეჯერებათ, გაწკეპვლის შიშით ცოტა ჭკუა დააკლდათ. მაგალითად, რასაც, აი, ეს — მან ვილემზე მიუთითა, — თავის კარიერაზე მეეთმოეთობდა, პირდაპირ სასაცილოა. შეხედე რა მსუქანია. წკეპლა მაგის ქონში პირველად ვერც გაატანს, მერე იცი, რატომ დაედო ამდენი ქონი? ჩვეულებად ექცა, ყველა დაპატიმრებულის საუზმე შესანსლოს. შენი საუზმეც ხომ შესანსლა? აკი გითხარი, ასეთი ფაშვიანი კაცი გამწკეპლავი გამხდარიყოს, ჯერ არასდროს მომხდარა.

— არიან ასეთი გამწკეპლავებიც, — თქვა დაბეჯითებით ვილემმა, რომელიც ამ დროს შარვლის ქამარს იხსნიდა.

— არ არიან, — უპასუხა გამწკეპლავმა და წკეპლა იმნაირად დაჰკრა კისერში, რომ ვილემი შეკრთა, — შენ ჩვენ კი არ უნდა გვისმენდე, ტანსაცმელს უნდა იხდიდე.

— ფულს არ დავიშურებ, თუ ამათ გაანთავისუფლებ, — უთხრა კ-მ გამწკეპლავს და საფულე ისე ამოიღო, მისთვის არც შეუხედავს, ასეთ საქმეებს ორივე მხარე თავდახრილი მშვენივრად აკვარახჩინებს.

— არა, არა, შენ ალბათ გინდა მეც დამაბეზღო, — უპასუხა გამწკეპლავმა, — ჩემი თავიც გააწკეპლინო.

— ნუ სულელობ, — უთხრა კ-მ, — მე რომ მცველების დასჯა მდომოდა, მათ გამოსყიდვას არ შევეცდებოდი, უბრალოდ კარს გავიჯახუნებდი, აღარაფერს დავინახავდი, აღარაფერს მოვისმენდი და შინ წავიდოდი. მაგრამ, როგორც ხედავ, ასე არ ვიქცევი. პირიქით, ამათი განთავისუფლება მე მართლა მსურს. რომ მცოდნოდა, დასჯიდნენ, მათ სახელებს არასგზით არ ვახსენებდი. საქმე ისაა, რომ მე მათ სრულიად არ ვთვლი დამნაშავედ, დამნაშავე მთელი ორგანიზაციაა. დამნაშავენი არიან მაღალი რანგის მოხელეები.

— მართალია! — იყვირეს მცველებმა და მათ შიშველ ზურგზე წკეპლაც ასისინდა.

— შენ რომ აქ გავლენიან მოსამართლეს წკეპლავდე, — განაგრძო კ-მ და გამწკეპლავს შემართული წკეპლა ძირს დააშვებინა, — მაშინ ხელს კი არ შეგიშლიდი, პირიქით, ფულსაც კი მოგცემდი, რომ ამ სასიკეთო საქმისათვის მეტი ძალა მოგეკრიბა.

— რასაც ამბობ, ჭკუაში მიჯდება, — უთხრა გამწკეპლავმა, — მაგრამ თავს მაინც ვერ მოგასყიდვინებ. მიბრძანეს, გაწკეპლეო და გავწკეპლავ კიდეც.

მცველი ფრანცი, რომელიც აქამდე თავს იკავებდა იმის იმედით, ეგებ კ-მ გვიხსნასო, ახლა შარვლის ამარა მივიდა

კართან, დაიჩოქა, კ-ს მკლავზე ჩამოეკიდა და ჩურჩულით უთხრა:

— თუ ორივეს დახსნა არ ძალგიძთ, იქნებ მარტო ჩემი გამოხსნა მაინც სცადოთ. ვილემი ჩემზე ხნიერია, ჩემთან შედარებით ნაკლებ მგრძნობიარეა და ამავე დროს ორი წლის წინათ ერთხელ უკვე დაისაჯა — მაშინ მსუბუქად გაწკეპლეს. მე კი ჯერ პატივაყრილი არა ვარ და თუ ასე მოვიქეცი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვილემმა წამაქეზა, მე ხომ კარგსაც და ცუდსაც მისგან ვსწავლობ. ქვემოთ ბანკის წინ ჩემი საბრალო საცოლე მელოდება, ძალიან მრცხვენია.—ფრანცმა კ-ს პიჯაკის კალთით შეიმშრალა ცრემლით ერთიანად დასველებული სახე.

— მეტს ვეღარ დავიცდი, — თქვა გამწკეპლავმა, წკეპლას ორივე ხელი ჩაავლო და ფრანცს გადაუჭირა. ამ დროს ვილემი კუთხეში მიყუჟულიყო და ამ ამბავს ისე მალულად უყურებდა, რომ თავის მობრუნებას ვერ ბედავდა.

უეცრად ფრანცმა ისეთი გაბმული და ცივი ყვირილი მოართო, თითქოს ეს ხმა ადამიანს კი არ აღმოხდა, არამედ რომელიღაც მუსიკალურ საკრავს აწვალებენო. ყვირილი მთელ დერეფანს მოედო, მთელ შენობაში ისმოდა.

— ნუ ღრიალებ! — დაუყვირა კ-მ, რომელიც დაძაბული იყურებოდა დერეფნისაკენ, საიდანაც შიკრიკებს უნდა მოერბინათ. ბოლოს თავი ვერ შეიკავა და ფრანცს დაეჯახა, თითქოს მსუბუქად, მაგრამ მაინც ისეთი ძალით, რომ ფრანცი მოცელილივით წაიქცა იატაკზე და დაკრუნჩხული ხელებით რაღაცას ეძებდა; მაგრამ დარტყმები მაინც ვერ აიცდინა, წკეპლამ იატაკზეც მონახა და სანამ იგი ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა, წკეპლის წვერი გამოზომილად ადიოდა და ჩადიოდა. მოშორებით უკვე გამოჩნდა ერთი შიკრიკი, მას რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩებოდა მეორე. კ-მ სწრაფად მიაჯახუნა კარი, ეზოში გამავალ ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო. ღრიალი შეწყდა. შიკრიკები რომ ახლოს არ მიეშვა, კ-მ შორიდან გასძახა მათ:

— მე ვარ!

— საღამო მშვიდობისა, ბატონო პროკურისტო! — გამოსძახეს შიკრიკებმა, — მოხდა რამე?

— არა, არაფერი, — უპასუხა კ-მ. — ძაღლი ყეფს ეზოში. — მაგრამ როცა მათ ადგილიდან ფეხი მაინც არ მოიცვალეს, დასძინა: შეგიძლიათ განაგრძოთ მუშაობა!

შიკრიკებთან რომ ლაპარაკი არ გაება, მან თავი ფანჯარაში გაჰყო და როცა მცირე ხნის შემდეგ ისევ დერეფნისაკენ შემობრუნდა, ისინი ადგილზე აღარ დახვდნენ. მაგრამ კ. მაინც არ მოსცილდა ფანჯარას, საკუჭნაოში შესვლა ვეღარ გაბედა, აღარც სახლში წასვლა უნდოდა. პატარა ეზო, რომელსაც იგი გადაჰყურებდა, ოთხკუთხა იყო. ირგვლივ განლაგებული სამუშაო ოთახების ყველა ფანჯარა ბნელს მოეცვა, მხოლოდ სულ ზემო ფანჯრებში ირეკლებოდა მთვარის შუქი. კ. დაძაბული იყურებოდა ეზოს ბნელი კუთხისაკენ, სადაც არეულად დაეხვავებინათ ხელის საზიდრები. კ-ს სინდისი ქენჯნიდა, მცველები გაწკეპლისაგან რომ ვერ იხსნა, თუმცა რა მისი ბრალი იყო. ფრანცი რომ არ აყვირებულიყო, — გასაგებია, ძალიან ეტკინა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კაცს უნდა შეეძლოს თავის შეკავება — ფრანცი რომ არ აყვირებულიყო, მაშინ ალბათ იპოვიდა გამოსავალს და გამწკეპლავს დაიყოლიებდა. თუ ყველა დაბალი რანგის მოხელე არამზადაა, გამონაკლისს რატომ უნდა წარმოადგენდეს გამწკეპლავი, რომელსაც ყველაზე არაადამიანური მოვალეობა აკისრია. კ-ს მხედველობიდან არ გამოჰპარვია, როგორ გაუბრწყინდა თვალები ფულის დანახვაზე. ფრანცს იმიტომ წკეპლავდა ასე თავგამოდებით, რომ უნდოდა კ-სათვის მეტი ფული დაეცინცლა. კ. ფულს არ დაიშურებდა, მცველების დახსნა მართლაც გულით სურდა. რაკი დაიწყო გახრწნილ მართლმსაჯულებასთან ბრძოლა, ამ მხრივაც უნდა გამოეღო ხელი. მაგრამ როგორც კი ფრანცმა ყვირილი მოართო, ყველაფერი ჩაშალა. კ-ს სულაც არ უნდოდა, შიკრიკებს და ღმერთმა იცის კიდევ ვის, მოერბინათ და თავზე წასდგომოდნენ საკუჭნაოში იმ დროს, როცა ამ არამზადებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ასეთ თავგანწირვას მას ვერავინ მოსთხოვდა. თავგანწირვა რომ სდომოდა, გაცილებით უფრო მარტივი იქნებოდა, თვითონ გაეხადა ტანზე და მცველების ნაცვლად საკუთარი ზურგი შეეშვირა გამწკეპლავისათვის. თუმცა გამწკეპლავი ასეთ შენაცვლებას არ მიიღებდა, რადგან ამით ვერაფერს მოიგებდა, თავის მოვალეობას კი დიდად უღალატებდა, უღალატებდა ორმაგად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სანამ კ-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, სასამართლოს ვერც ერთი მოხელე ხელს ვერ ახლებდა, თუმცა არც სხვა განკარგულებების არსებობის გამორიცხვა შეიძლებოდა. ერთი სიტყვით კ-ს არაფერი არ შეეძლო ეღონა, გარდა კარის გამოჯახუნებისა, თუმცა იგი ვერც ამით იცილებდა თავიდან მოსალოდნელ საფრთხეს. სამწუხარო კიდევ ის იყო, რომ მან გასვლისას ფრანცს ხელი ჰკრა, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ბრალი იყო, რომ აღელდა.

შორიდან შიკრიკების ნაბიჯების ხმა მოესმა. კ-ს არ უნდოდა მათი ყურადღება მიექცია. ამიტომ ფანჯარა დაკეტა და საადარბაზო კიბისაკენ წავიდა. საკუჭნაოს კართან მცირე ხნით შეჩერდა და მიაყურადა. ირგვლივ სრული სიჩუმე იყო გა-

მეფებული. იმ ვაუბატონს შეეძლო მცველები ცემით სიკვდილის პირას მიეყვანა, ისინი ხომ მთლიანად მის ხელში იყვნენ. კ-მ ხელი კარის სახელურისაკენ წაიღო, მაგრამ მაშინვე გამოსწია. დახმარებით მაინც ველარავის დაეხმარებოდა, ამასობაში კი შიკრიკები წამოეწეოდნენ. სამაგიეროდ მან აღუთქვა საკუთარ თავს, რომ ამ ამბის შესახებ საჯაროდ ილაპარაკებს, ეცდება მიაკვლიოს ნამდვილ დამნაშავეებს, მაღალი რანგის მოხელეებს, რომელთაგან ჯერ ვერავინ ბედავს მასთან პირისპირ შეხვედრას და რამდენადაც ამის ძალ-ღონე შესწევს, საკადრისად დასჯის მათ. როცა კ. ბანკის გარეთა კიბეზე ჩადიოდა, ყურადღებით შეათვალიერა ყველა გამვლელ-გამომვლელი, მაგრამ არსად ჩანდა ქალიშვილი, ვინმეს ლოდინში რომ ყოფილიყო, ამგვარად ფრანცის სიტყვები, საცოლე მელოდებაო, მისატევებელი, მაგრამ მაინც ტყუილი აღმოჩნდა, რომლის მიზანი ის იყო, კიდევ უფრო შეებრალებინა თავი კ-სთვის.

მცველებზე ფიქრი კ-ს მეორე დღესაც გაჰყვა. მუშაობდა უგულისყუროდ და საქმისათვის რომ თავი გაერთმია, კაბინეტში კიდევ უფრო დიდხანს დარჩა, ვიდრე წინა დღეს. როცა შინ მიმავალმა კვლავ ჩაუარა საკუჭნაოს, კარი ახლაც გაღია. იმან, რაც მოსალოდნელი სიბნელის ნაცვლად დაინახა, სრულიად გააოგნა. საკუჭნაოში ყველაფერი ისევე დახვდა, როგორც გუშინ საღამოს დატოვა. ზღურბლს მიღმა ნაბეჭდი პროსპექტები, მელნის ბოთლები, წკეპლით შეიარაღებული გამწკეპლავი და სრულიად გაშიშვლებული მცველები დაინახა, თაროზე კი სანთელი ენთო. მცველებმა კვლავ დაიწყეს ჩივილი და ყვირილი: „ბატონო!“ კ-მ მაშინვე მიაჯახუნა კარი და მუშტებიც კი დაუშინა, თითქოს ასე უფრო მაგრად დაიკეტებოდა. ლამის ატირებული კ. მაშინვე გაიქცა შიკრიკებისაკენ, რომლებიც მშვიდად მუშაობდნენ ასლების გასამრავლებელ მანქანებზე და გაკვირვებულებმა მუშაობას თავი მიანებეს:

— ბოლოს და ბოლოს დაალაგეთ საკუჭნაო! — უყვირა კ-მ შიკრიკებს. — ჭუჭყში ვიხრჩობით.

შიკრიკები დაპირდნენ, ხვალვე გავაკეთებთ ამასო. კ-მ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, რადგან მეტისმეტად გვიან იყო და როგორც ნავარაუდევი ჰქონდა, ახლა ვერ აიძულებდა მათ, საქმეს შესდგომოდნენ. მცირე ხნით მაინც რომ გაეჩერებინა შიკრიკები, თვალის ასახვევად სკამზე ჩამოჯდა, რამდენიმე დედნის პირი ისე გადაატრიალ-გადმოატრიალა, თითქოს მათ ნამუშევარს ამოწმებდა და როცა დარწმუნდა, შიკრიკები მასთან ერთად დაწესებულებიდან გასვლას ვერ გაბედავდნენ,

დაღლილმა და შინაგანად დაცარიელებულმა შინისაკენ გასწია.

თავი მეექვსე

ბიძა ლენი.

ერთხელ ნაშუადღევს საქმეში ჩაფლული კ. წერილებზე მუშაობას ამთავრებდა და ორმა შიკრიკმა საქმიანი ქაღალდები შემოუტანა, რომ უცებ შიკრიკები იდაყვებით მისწი-მოსწია და ოთახში შემოვიდა კ-ს სოფლელი ბიძა, საშუალო შეძლების მემამულე ალბერთი. ბიძის დანახვაზე კ. ამჯერად ნაკლებად შეკრთა, ვიდრე ადრე კრთებოდა ხოლმე მხოლოდ იმის გაფიქრებაზე, რომ ბიძამისი უნდა ჩამოსულიყო. ბიძა რომ უთუოდ ჩამოვიდოდა, კ-მ უკვე ერთი თვის წინ იცოდა. ჯერ კიდევ მაშინ ხედავდა გონების თვალით, მხრებში ოდნავ მოხრილ ბიძას როგორ უჭირავს მარცხენა ხელში დაჭმუჭნული პანამის ქუდი, შორიდან გამოწვდილ მარჯვენას კი სწრაფად, ფუსფუსით მაგიდის ზემოდან უწვდის ჩამოსართმევად და თან რაც გზაზე ხვდება, ყველაფერს აქეთ-იქით ფანტავს. ბიძამისი ყოველთვის ჩქარობდა, რადგან ერთი უცნაური აზრი ჰქონდა აკვიატებული, დედაქალაქში ჩამოსულს, ყველაფერი, რაც განზრახული ჰქონდა, ერთ დღეში უნდა მოეგვარებინა და ამავე დროს, თუკი შემთხვევა მიეცემოდა, არ უნდა დაკლებოდა არცერთ საინტერესო საუბარს, საქმეს და გასართობს. კ. კი, რომელიც დიდად იყო მისგან დავალებული, როგორც მეურვისაგან, ყველაფერში უნდა დახმარებოდა, ხოლო ღამის გასათევად „სოფლის აჩრდილი“ — ასე ეძახდა კ. მას გულში — შინ უნდა წაეყვანა.

მისალმების მერე კ-მ ბიძას სავარძელი შესთავაზა, მაგრამ ბიძამისს დასაკარგი დრო არ ჰქონდა და ამიტომ კ-ს სთხოვა, სალაპარაკო მაქვს შენთან და მინდა მარტო დავრჩეთო.

— ეს აუცილებელია, — დასძინა მან და ძლივს გადაყლაპა ნერწყვი, — ჩემს დასამშვიდებლად ეს აუცილებელია. — კ-მ იმწამსვე გაისტუმრა ოთახიდან შიკრიკები და განკარგულება გასცა, მასთან არავინ შეეშვათ.

— ეს რა გავიგე, იოზეფ? — წამოიძახა. ბიძამისმა, როცა მარტო დარჩნენ. შემდეგ მაგიდაზე დაჯდა და უკეთ რომ მოკალათებულიყო. ქვეშ ქაღალდები ისე ამოიდო, ზედაც არ დაუხედავს. კ. დუმდა, იცოდა რა მოხდებოდა შემდეგ და უეცრად, დაძაბული მუშაობისაგან განტვირთული, სასიამოვნოდ მოდუნდა და ფანჯრიდან ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გახედა. იმ ადგილიდან, სადაც კ. იჯდა, სივრცის მხოლოდ პატარა, სამ-

კუთხა მონაკვეთი ჩანდა — მაღაზიის ორ ვიტრინას შორის მოქცეული სახლის ყრუ კედლის ნაწილი.

— როგორ, ფახჯაოაში იყურები? — წამოიძახა ცისკენ ხელებაპყრობილმა ბიძამისმა, — ღვთის გულისათვის, მიპასუხე, იოზეფ, ნუთუ ეს მართალია, განა შეიძლება ეს მართალი იყოს?

— ძვირფასო ბიძაჩემო, — უპასუხა კ-მ, რომელმაც ძლივს დააღწია თავი გაოგნებას, — აბა რა ვიცი, რა გნებავს ჩემგან?

— იოზეფ, — უთხრა ბიძამ ისე, თითქოს აფრთხილებსო,— რამდენადაც ვიცი, შენ ყოველთვის სიმართლის თქმა გიყვარდა, ნუთუ შენი უკანასკნელი სიტყვები ცუდის მაუწყებელია?

— ახლა მიეხვდი, რაც გაწუხებს, — უთხრა კ-მ თვინიერად, — შენ ალბათ ჩემი პროცესის ამბავს მოჰკარი ყური.

— დიახ, ასეა, — უპასუხა ბიძამ და დინჯად დაუქნია თავი, — სწორედ რომ შენი პროცესის ამბავს მოვკარი ყური.

— ვინ გაგაგებინა? — ჰკითხა კ-მ.

— ერნამ მომწერა, — უპასუხა ბიძამ, — მართალია, შენ სულ არ ეკარები, მისთვის თავს არ იწუხებ დიდად, მაგრამ მან მაინც ყველაფერი გაიგო, სწორედ დღეს მივიღე მისგან წერილი და, ცხადია, მაშინვე აქეთ გამოვემგზავრე, სხვა მიზეზი არ მქონია, მაგრამ ესეც საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზია. შემიძლია წაგიკითხო წერილის ის ადგილი, სადაც შენზე მწერს. — ბიძამ ჯიბიდან წერილი ამოიღო. — აქა მაქვს, აი, რას მწერს ერნა: „იოზეფი დიდი ხანია არ მინახავს, გასულ კვირას ბანკში შევიარე, მაგრამ ისე იყო დაკავებული, რომ მასთან არ შემიშვეს. თითქმის ერთი საათი ველოდე, შემდეგ კი შინ წავედი, რადგან მუსიკის გაკვეთილი მქონდა. სიამოვნებით ვისაუბრებდი მასთან, რა ვიცი, იქნებ სხვა დროს მოვახერხო. დღეობაზე დიდი კოლოფით შოკოლადი გამომიგზავნა, აი, რა საყვარელი და ყურადღებიანია იოზეფი. მაშინ დამავიწყდა ეს ამბავი მომეწერა თქვენთვის და მხოლოდ ახლა გამახსენდა, რადგან მეკითხებით, როგორაა. სხვათა შორის უნდა იცოდეთ, რომ შოკოლადი ჩვენს პანსიონში თვალის დახამხამებაში ქრება. ჯერ შეგნებულიც არა გაქვს კარგად, რომ შოკოლადი გაჩუქეს და უკვე გამქრალია. კიდევ ერთი რამ მინდა შეგატყობინოთ იოზეფზე. როგორც ზემოთ გწერთ, ბანკში მასთან არ შემიშვეს, რადგან სწორედ ამ დროს ვიღაც ბატონს ესაუბრებოდა. ერთხანს მშვიდად, მოთმინებით ვუცდიდი, შემდეგ კი ერთ შიკრიკს ვკითხე, დიდხანს გაგრძელდება-მეთქი საუბარი? მიპასუხა, შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რადგან ალბათ საქმე ეხება იმ პროცესს, ბატონი პროკურისტის წინააღმდეგ რომაა აღძრულიო. ვკითხე, რა პროცესზე ლაპარაკობთ, ხომ არ სცდებით-მეთქი? მან კი მიპასუხა, არ ვცდები, მის წინააღმდეგ აღძრულია პროცესი, მძიმე პროცესი და ამ საქმის თაობაზე მეტი არაფერი ვიცი. პირადად იგი თურმე სიამოვნებით დაეხმარებოდა ბატონ პროკურისტს, როგორც კარგ და სამართლიან კაცს, მაგრამ არ იცის, როგორ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და იმასლა ხატრობს, ბატონი პროკურისტისთვის იქნებ ვინმე გავლენიანმა პირმა შეიწუხოსო თავი. ალბათ ასეც მოხდება და ყველაფერი კარგად დამთავრდება, მაგრამ ჯერჯერობით, თუ ბატონი პროკურისტის განწყობილების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქმე არც ისე კარგადაა. რა თქმა უნდა, მე არაფრად ჩავაგდე შიკრიკის სიტყვები, შევეცადე კიდეც დამემშვიდებინა ის ბრიყვი, ავუკრძალე ამ ამბავზე სხვებთან ლაპარაკი და, საერთოდ, რაც მითხრა, ნალაყბევად მივიჩნიე. და მაინც, ძვირფასო მამა, კარგი იქნება, შემდეგ ჩამოსვლაზე თავად რომ გაიგებდე ყველაფერს დაწვრილებით და თუ საჭიროება მოითხოვს, უეჭველად ჩარევდე ამ ამბავში შენს გავლენიან ნაცნობებს, ხოლო თუ შენი დახმარება საჭირო არ აღმოჩნდა, და ეს ალბათ ასეც იქნება, მაშინ შენს ქალიშვილს კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცემა მოგეხვიოს, რაც დიდად გაახარებს“.

— რა კარგი გოგოა, — დასძინა ბიძამისმა, როცა ხმამაღლა კითხვა დაამთავრა და თვალზე მომდგარი რამდენიმე კურცხალი მოიწმინდა. კ-მ თავი დაუქნია, ბოლო დროს, სხვადასხვა ხელშემშლელი მიზეზის გამო, ერნა სრულიად გადაავიწყდა, მისი დღეობაც კი არ გახსენებია და ქალიშვილმა შოკოლადის ამბავი უეჭველად იმისთვის მოიგონა, ბიძისა და ბიცოლას თვალში როგორმე გაემართლებინა. ერნას საქციელმა ისე აუჩუყა გული, რომ გადაწყვიტა ამიერიდან სისტემატურად გაეგზავნა მისთვის თეატრის ბილეთები. ერნა, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტს იმსახურებდა, მაგრამ ახლა პანსიონში მისვლისა და თვრამეტი წლის გიმნაზიელ გოგონასთან საუბრის თავი არ ჰქონდა.

— ახლა რაღას იტყვი? — ჰკითხა ბიძამ, რომელიც წერილის წაკითხვის შემდეგ აღარც ფუსფუსებდა, აღარც ღელავდა და ეტყობა, ხელმეორედ კითხულობდა წერილს.

— დიახ, ბიძაჩემო, — უთხრა კ-მ.—ყველაფერი მართალია.

— მართალია? — წამოიძახა ბიძამისმა. — როგორ შეიძლება მართალი იყოს ეს, რა პროცესია აღძრული შენს წინააღმდეგ, ნუთუ სისხლის სამართლის?

— დიახ, სისხლის სამართლის პროცესი, — უპასუხა კ-მ.

— და იმ დროს, როცა შენს წინააღმდეგ სისხლის სამართ-

ლის პროცესია აღძრული, შენ აქ მშვიდად ზიხარ? — წამოიძახა ბიძამისმა, რომელიც სულ უფრო და უფრო უწევდა ხმას.

— რაც უფრო მშვიდად ვიქნები, შედეგიც უკეთესი იქნება, — უპასუხა დაღლილმა კ-მ, — ნურაფრისა ნუ გეშინია.

— ამით ვერ დამამშვიდებ! — აყვირდა ბიძამისი. — ძვირფასო იოზეფ, იფიქრე შენს თავზე, შენს ნათესავებზე, ჩვენს შეუბღალავ სახელზე. აქამდე შენით ვამაყობდით და ახლა უფლება არა გაქვს, საქვეყნოდ მოგვჭრა თავი. არა, შენი ამ საქმისადმი დამოკიდებულება, — ბიძამისმა თავი გვერდზე გადახარა და ისე შეხედა, — არ მომწონს. უდანაშაულო ბრალდებული, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევს ძალ-ღონე, ასე არ იქცევა. მითხარი ერთი სწრაფად, როგორია საქმის ვითარება, რით შემიძლია დაგეხმარო, საქმე, რა თქმა უნდა, ბანკს ეხება?

— არა, — უპასუხა კ-მ და ფეხზე წამოდგა, — მაგრამ შენ მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობ, ბიძაჩემო, შიკრიკი ალბათ კართან დგას და გვისმენს, რაც ძალიან არ მსიამოვნებს, ჯობია გავიდეთ აქედან და გიპასუხებ ყველა შენს კითხვაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მე მშვენივრად მესმის, რომ ოჯახის ინტერესებს ანგარიში უნდა გავუწიო.

— მართალია, — წამოიძახა ბიძამისმა,—უდავოდ მართალია, ოღონდ სწრაფად, იოზეფ, სწრაფად!

— მე მხოლოდ რამდენიმე განკარგულება მაქვს გასაცემი, — უთხრა კ-მ და ტელეფონით გამოიძახა მოადგილე, რომელიც რამდენიმე წამში გამოცხადდა, ბიძამ აღელვებით ანიშნა მოადგილეს, კ-მ გამოგიძახაო, რაც უამისოდაც არ იწვევდა ეჭვს. საწერ მაგიდასთან მდგომი კ. ხმადაბლა უხსნიდა ახალგაზრდა კაცს, რა უნდა გაეკეთებინა დღეს მის აქ არყოფნის დროს და თან სხვადასხვა ქაღალდს უჩვენებდა; მოადგილე ცივად, მაგრამ ყურადღებით უსმენდა. ბიძამისი მთელი ეს ხანი ცმუკავდა. ჯერ თვალებს ქაჩავდა, ტუჩებს იკვნეტდა და თუმცა მათ ყურს არ უგდებდა, ხელის შესაშლელად მარტო მისი დანახვაც კი კმაროდა. შემდეგ ოთახში დაიწყო წინ და უკან სიარული, ხან ფანჯარასთან ჩერდებოდა, ხან სურათს მიაჩერდებოდა და ამასთანავე დროდადრო რაიმე ამდაგვარს წამოიძახებდა: „მართლა ვერაფერი გამიგია!“ ან „ერთი მითხარი, რა შეიძლება მოჰყვეს ამას!“ ახალგაზრდა კაცს ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. კ-ს დავალებები მშვიდად, ყურადღებით მოისმინა ბოლომდე, ზოგი რამ ჩაინიშნა კიდეც, შემდეგ კ-სა და ბიძამისს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. კ-ს ბიძა კი ამ დროს მისკენ ზურგშექცეული იდგა, ფანჯარაში იყურებოდა და ხელებგაშლილი ფარდებს ჭმუჭნიდა.

კარი დაიხურა თუ არა, კ-ს ბიძამ წამოიძახა:

— როგორც იქნა ეს ტაკიმასხარა გავიდა აქედან, ახლა ჩვენც შეგვიძლია წავიდეთ. ძლივს არ ვეღირსე!

სამწუხაროდ, კ-მ ვერაფრით ვერ აიძულა ბიძამისი, არაფერი არ ეკითხა პროცესზე, სანამ დერეფანს მიჰყვებოდნენ, სადაც მოხელეები და შიკრიკები იდგნენ და სწორედ ამ დროს დირექტორის მოადგილე მოაბიჯებდა.

— აბა, იოზეფ,—დაიწყო ბიძამისმა და თან ყველას ზერელედ უკრავდა თავს მისალმებაზე, — მითხარი ახლა გულახდილად, რა პროცესზეა ლაპარაკი?

კ-მ ერთი-ორჯერ რაღაც წაიბურტყუნა, ერთხელ გაიცინა კიდეც და მხოლოდ კიბეზე აუხსნა ბიძამისს, სხვების თანდასწრებით გულახდილი საუბარი არ მსურსო.

— მართალია, — დაუდასტურა ბიძამისმა, — ახლა კი მიამბე.

— უპირველეს ყოვლისა, — უთხრა კ-მ ბიძას, რომელიც თავდახრილი უსმენდა და ხშირ-ხშირად აბოლებდა სიგარას,— ამ საქმეს ჩვეულებრივი სასამართლო როდი იხილავს.

— ეგ ცუდია, — თქვა ბიძამისმა.

— რატომ? — ჰკითხა კ-მ და ბიძას შეხედა.

— ჩემის აზრით, ეს ცუდია,—გაიმეორა ბიძამ, ისინი ქუჩაში გამავალ სადარბაზო კიბეზე იდგნენ და რადგან მათ შვეიცარი აშკარად უგდებდა ყურს, კ-მ ბიძამისი ძირს ჩაიყვანა და ორივენი აყაყანებულმა ქუჩამ შთანთქა. ბიძამ კ-ს ხელკავი გაუკეთა და უწინდებური დაჟინებით აღარ ეკითხებოდა პროცესის ამბავს, ერთხანს ჩუმადაც კი იარეს.

— კი, მაგრამ, როგორ მოხდა ეს ყოველივე? — ჰკითხა უეცრად ბიძამ და ისე მოულოდნელად შეჩერდა, რომ მათ უკან მომავალმა ხალხმა შიშით უკან დაიხია. — ამგვარი ამბები უეცრად არ ხდება. დიდი ხნის განმავლობაში მზადდება, უთუოდ იქნებოდა რაიმე ნიშანი ამისა, შენ კი არ მომწერე. ხომ იცი, შენთვის თავს არ დავზოგავ, ჯერაც შენს მეურვედ მიმაჩნია თავი და ამით დღემდე ვამაყობ. რა თქმა უნდა, ამჯერადაც დაგეხმარები, მაგრამ ახლა, როცა პროცესს მსვლელობა მიეცა, დახმარება უფრო გამიძნელდება. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად უმჯობესი იქნება, თუ მცირე ხნით შვებულებას აიღებ და ჩვენთან ჩამოხვალ, შენ ცოტათი გახდი, ახლაღა შეგატყვე, სოფელში ძალას მოიკრებ, რაც შენთვის აუცილებელია, ჯერ ხომ ბევრი სიძნელე გაქვს გადასალახავი. გარდა ამისა, თავს აარიდებ სასამართლოს. აქ მათ იძულების ყოველგვარი საშუალება გააჩნიათ, რასაც, საჭიროების შემთხვევაში შენს წინააღმდეგ ავტომატურად გამოიყენებენ. სოფელში კი ან უწყებათა რწმუნებულებს გამოგზავნიან, ანდა

ეცდებიან წერილებით, ტელეგრაფით ან ტელეფონით მოახდინონ შენზე გავლენა. ამგვარი რამ კი, რა თქმა უნდა, ზემოქმედების ძალას აკუსტებს და თუმცა მთლად თავისუფლად ვერ იგრძნობ თავს, ამოსუნთქვის საშუალება მაინც მოგეცემა.

— განა არ შეუძლიათ, ქალაქიდან გასვლა ამიკრძალონ? — უთხრა კ-მ, რომელიც ბიძის აზრთა დინების გავლენის ქვეშ მოექცა.

— არა მგონია, ასე მოიქცნენ, — უპასუხა ჩაფიქრებულმა ბიძამ, — სადაც არ უნდა წახვიდე, მაინც მათ ხელში იქნები.

— მე კი მეგონა, — უთხრა კ-მ და ბიძამისი რომ არ შეჩერებულიყო, მკლავში მოჰკიდა ხელი, —შენ ყოველივე ამას გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას მიანიჭებდი, ვიდრე მე, მაგრამ ახლა ვხედავ, რა ახლოს მიგაქვს გულთან.

— იოზეფ, — წამოიძახა ბიძამისმა და შეეცადა ხელიდან დასხლტომოდა და შეჩერებულიყო, მაგრამ კ-მ ხელი არ გაუშვა, — სულ შეიცვალე, შენ ხომ ყოველთვის საღად აზროვნებდი, ნუთუ სწორედ ახლა გღალატობს ჭკუა, ნუთუ გინდა პროცესი წააგო? გესმის კი რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უბრალოდ ხაზი გადაგესვას, გარდა ამისა ჩირქს მოსცხებ მთელ ნათესაობას, ყოველ შემთხვევაში, უკიდურესად დაამცირებ მათ და შენს გამო მიწასთან გასწორებენ. იოზეფ, გონს მოდი, შენი გულგრილობა ჭკუაზე მშლის. როცა გიყურებ, თითქმის მჯერა ანდაზისა: „თუ კი პროცესში გაგაბეს, საქმეს უთუოდ წააგებ“.

— საყვარელო ბიძავ, — უთხრა კ-მ, — აღელვება ჩემთვისაც უადგილოა და შენთვისაც. აღელვებით პროცესებს არ იგებენ. ცოტა ანგარიში ჩემს პრაქტიკულ გამოცდილებასაც გაუწიე, ისევე როგორც მე ვუწევდი შენსას ადრე, ვუწევ ახლაც და დიდად ვაფასებ მაშინაც კი, როცა ძლიერ მაკვირვებს. შენ ამბობ, ამ პროცესის გამო მთელ ჩვენს ოჯახს ჩაითრევენ გაწამაწიაშიო? მართალი გითხრა, პირადად მე ვერაფრით ვერ გამიგია, რა შუაშია ჩვენი ოჯახი, თუმცა მოვეშვათ ამას, თუ ასეა, მე სიამოვნებით მივიღებ ყველა შენს რჩევას, მაგრამ სოფელში გახიზვნა, იმ აზრითაც კი, შენ რომ გამოთქვი, საჭიროდ არ მიმაჩნია. ეს იქნებოდა გაქცევა, საკუთარი დანაშაულის აღიარება. გარდა ამისა, თუმცა აქ მეტად მდევნიან, ჩემს საქმეს მაინც უკეთ მივხედავ.

— მართალი ხარ, — უთხრა ბიძამ ისეთი კილოთი, თითქოს როგორც იქნა უკეთ გაუგეს ერთმანეთსო, — სოფელში გამგზავრება მხოლოდ იმიტომ შემოგთავაზე, მეგონა, თუ აქ დარჩები, შენი გულგრილობით საქმეს ავნებ და გადავწყვიტე, შენს მაგივრად მე დავტრიალდე, მაგრამ რაკიღა თავად გსურს,

ძალ-ღონე არ დაიშურო და შენს საქმეს მიხედო, რა თქმა უნდა, ეს ბევრად უკეთესი იქნება.

— მაშ ამაზე შევთანხმდით, — უთხრა კ-მ, — ახლა, თუ შეგიძლია მირჩიე, რა ვიღონო უპირველეს ყოვლისა?

— ჯერ უნდა ჩავუფიქრდე ამ საქმეს, — უპასუხა ბიძამ, — თავად განსაჯე, თითქმის ოცი წელია, ფეხმოუცვლელად ვცხოვრობ სოფელში და ცხადია, ასეთ საქმეებს ძველებურად ველარ ვართმევ თავს, გარდა ამისა, ნელ-ნელა დავკარგე ნაცნობები, რომლებიც ალბათ უკეთ ერკვევიან ამგვარ საქმეებში. ხომ იცი, სოფელში კაცი ცოტათი გარიყულია, მაგრამ თვითონ ამას მხოლოდ ისეთ ვითარებაში ამჩნევს, როგორიც ახლა დაგვიდგა. საერთოდ, ყველაფერი ეს ჩემთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო, თუმცა საოცარია, ერნას წერილის შემდეგ რაღაც ამდაგვარს უკვე მიგრძნობდა გული, ხოლო დღეს, როგორც კი დაგინახე, ამ ამბავში საბოლოოდ დავრწმუნდი. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, ახლა მთავარია, დრო არ დავკარგოთ.

ბიძა ამ სიტყვებზე ფეხის წვერებზე შედგა, მანქანას ხელი დაუქნია, კ. მანქანაში შეაგდო და მძღოლს მისამართი ხმამაღლა უთხრა.

— ახლა ჩვენ ვექილ ჰულდთან მივდივართ, — უთხრა მან კ-ს, — ჩემი სკოლის ამხანაგია. შენ რა თქმა უნდა გაგიგონია ეს გვარი? არ გაგიგონია? საკვირველია ღმერთმანი, მას ხომ დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, როგორც ღარიბთა დამცველ ვექილს. პირადად მე ჰულდს დიდად ვენდობი, განსაკუთრებით როგორც ადამიანს.

— ყველაფერზე თანხმობას ვაცხადებ, რასაც კი საჭიროდ მიიჩნევ, — უპასუხა კ-მ, თუმცა ამ საქმეში ბიძამისის აჩქარება და თავგამოდება არ სიამოვნებდა. არც ის ახარებდა დიდად, ღარიბების დამცველ ვექილთან რომ მიემგზავრებოდა მანქანით როგორც ბრალდებული. — არ ვიცოდი, — თქვა მან, — ასეთ საქმეშიც თუ შეიძლებოდა ვექილის ჩაბმა.

— აბა, როგორ, — უპასუხა ბიძამ, — ეს თავისთავად ცხადია, რატომაც არა? ახლა კი მიამბე ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა. ყველაფერი დაწვრილებით უნდა ვიცოდე.

კ-მ იმწამსვე დაიწყო მოყოლა, არაფერი დაუმალავს, სრული გულახდილობა იყო მისი ერთადერთი პროტესტი ბიძამისის ნათქვამის წინააღმდეგ, შენი პროცესი სამარცხვინოაო, ამაზე მეტს ვერ შეჰბედავდა, ფროილაინ ბიურსთნერის გვარი მხოლოდ ერთხელ ახსენა და ისიც გაკვრით, მაგრამ ამის გამო თხრობას გულახდილობა არ მოკლებია, ფროილაინ ბიურსთნერს ხომ პროცესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, თხრობის დროს კ. ფანჯარაში იყურებოდა და უეცრად შეამჩნია,

რომ ისინი სწორედ იმ გარეუბანს უახლოვდებოდნენ, სადაც სასამართლოს კანცელარიები იყო. კ-მ ბიძას უთხრა კიდეც ეს ამბავი, მაგრამ ბიძაშისმა ამ დამთხვევაში მნიშვნელოვანი ვერაფერი დაინახა. მანქანა ერთი ჩაბნელებული სახლის წინ გაჩერდა. ბიძამ ქვედა სართულის დერეფანში პირველი კარის ზარი დარეკა, სანამ პასუხს ელოდნენ, გაღიმებულმა მსხვილი კბილები დაკრიჭა და კ-ს წასჩურჩულა:

— საღამოს რვა საათი შეუფერებელი დროა ვექილთან სტუმრობისათვის, მაგრამ ჰულდი ამას არ მიწყენს.

სათვალთვალო ჭუჭრუტანაში გამოჩნდა ორი დიდი, შავი თვალი, რომელთაც მოსულები შეათვალიერეს და ისევ გაქრნენ, მაგრამ კარი მაინც არ გაიღო. ბიძამ და კ-მ ერთმანეთს ანიშნეს, თვალები ნამდვილად დავინახეთო.

— ეტყობა, ახალი მოახლეა და უცხოებისა ეშინია, — უთხრა ბიძამ კ-ს და კიდევ ერთხელ დააკაკუნა.

თვალები ისევ გამოჩნდნენ, ახლა ეს თვალები სევდიანიც კი მოეჩვენებოდა კაცს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა შემცდარიყვნენ. მათ ზემოთ გაზის ხუფიანი სანათური ხმამაღლა შიშინებდა და ოდნავ ბეჟუტავდა.

— გააღეთ! — იყვირა ბიძამ და კარს მუშტი დასცხო, — ბატონი ვექილის მეგობრები ვართ!

— ბატონი ვექილი ავადაა, — ჩაიჩურჩულა ვიღაცამ მათ ზურგს უკან. პატარა სადარბაზოს სიღრმეში, შუა კარებში იდგა საშინაო ხალათში გახვეული ვიღაც მამაკაცი; მან ეს ამბავი მეტისმეტად ხმადაბლა აცნობა მოსულთ. ხანგრძლივი ლოდინით გაგულისებული კ-ს ბიძა მკვეთრად შებრუნდა და უყვირა:

— ავადაა? თქვენ ამბობთ, ავადაა? — და ისე მრისხანედ დაიძრა მამაკაცისაკენ, თითქოს ის ყოფილიყოს ავადმყოფობა.

— კარი უკვე გაგიღეს, — უთხრა მამაკაცმა და ვექილის კარზე მიუთითა, შემდეგ ხალათის კალთები აიკეცა და გაუჩინარდა. კარი მართლაც ღია იყო, ხოლო წინკარში იდგა გრძელ და თეთრწინსაფრიანი ყმაწვილი ქალი, რომელსაც ეხლში სანთელი ეჭირა. კ-ს მაშინვე ეცნო მისი შავი, ოდნავ გამოკუსული თვალები.

— სხვა დროს კარი უფრო სწრაფად გააღეთ ხოლმე! — უთხრა ბიძამ მისალმების ნაცვლად, როცა ქალიშვილი რევერანსით მიეგება. — წამოდით, იოზეფ, — მიუბრუნდა შემდეგ კ-ს, რომელიც ცდილობდა ქალიშვილისათვის გვერდი მოხერხებულად აევლო.

— ბატონი ვექილი ავადაა,—თქვა ქალიშვილმა, რადგან კ-ს ბიძა დაუყოვნებლივ გაექანა მეორე კარისაკენ. კ-მ აღტაცებით

გააყოლა თვალი კარის დასაკეტად შებრუნებულ ქალიშვილს. მას თოჯინასავით მრგვალი სახე ჰქონდა, მარტო ფერმკრთალი ლოყები და ნიკაპი კი არა, საფეთქლებიც და შუბლიც მრგვალი ჰქონდა.

— იოზეფ! — დაუძახა ბიძამ და შემდეგ ქალიშვილს ჰკითხა: — ისევ გული აწუხებს?

— მე მგონი, გული, — უპასუხა ქალიშვილმა, მან უკვე მოასწრო სანთლით ხელში წინ გაძღოლოდა სტუმრებს და ოთახის კარი გააღო. ოთახის შორეულ კუთხეში, სადაც სანთლის შუქი ჯერ კიდევ ვერ აღწევდა, საწოლიდან წამოიწია გრძელწვერიანი პირისახე.

— ვინ არიან, ლენი? — იკითხა სანთლის შუქით დაბრმავებულმა ვექილმა, რადგან სტუმრები ვერ იცნო.

— შენი ძველი მეგობარი, ალბერთი ვარ, — უპასუხა კ-ს ბიძამ.

— აჰ, ალბერთი! — წამოიძახა ვექილმა და ისე დაეშვა ბალიშებზე, თითქოს ამგვარ სტუმრებთან თვალთმაქცობა აღარ სჭირდებოდა.

— მართლა ცუდად ხარ? — ჰკითხა ბიძამ ვექილს და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, — ვერ დავიჯერებ. ალბათ კვლავ გულმა შეგაწუხა. ნუ გეშინია, ისევე მალე გაგივლის, როგორც ადრე გაუვლია.

— შეიძლება, — უპასუხა წყნარად ვექილმა, — მაგრამ ახლა უფრო ცუდად ვგრძნობ თავს, ვიდრე ოდესმე მიგრძვნია, სუნთქვა მიჭირს, თითქმის არ მძინავს და ყოველდღიურად მაკლდება ძალა.

— ასეა საქმე? — ჰკითხა ბიძამ და პანამის ქუდი ფართო ხელით მუხლზე დაიმაგრა, — ცუდად ყოფილხარ. მაგრამ კარგად თუ გივლიან მაინც? აქაურობა ისეთი სევდითაა გამსჭვალული და ისე ბნელა... მართალია, დიდი ხანია შენთან აღარ ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ ყველაფერი უფრო ხალისიანი მეჩვენებოდა. თუ თავს არ იკატუნებს, არც შენი მომვლელი ქალიშვილია მაინცდამაინც მხიარული.

ქალიშვილი ისევ ისე იდგა კართან სანთლით ხელში. მისი თვალების გაურკვეველი გამოხედვა მიგანიშნებდა, უფრო კ-ს უყურებდა, ვიდრე ბიძამისს, მაშინაც კი, როცა ბიძა პირადად ქალიშვილზე ლაპარაკობდა. კ-ს სავარძელი ქალიშვილისკენ მიეჩოჩებინა და ახლა მის საზურგეზე დაყრდნობილი იდგა.

— ჩემისთანა ავადმყოფი კაცისთვის ყველაფერზე უკეთესია სიმშვიდე, — თქვა ვექილმა და მცირე ხნის შემდეგ დასძინა: — სრულიად არა ვარ დანაღვლიანებული, ლენი კი ყოჩაღია, კარგად მივლის.

მაგრამ ამ სიტყვებმა ბიძამისი ვერაფერში დაარწმუნა, იგი

აშკარად მომვლელი ქალიშვილის წინააღმდეგ იყო განწყობილი და თუ ავადმყოფს არ შეედავა, ქალიშვილს მკაცრ მზერას მაინც არ აცილებდა. ამ დროს ქალიშვილი საწოლთან მივიდა, სანთელი პატარა მაგიდაზე დადგა, ავადმყოფისაკენ დაიხარა და როცა ბალიშებს უსწორებდა, რაღაცა უჩურჩულა. ბიძამისს სულ დაავიწყდა ის ამბავი, რომ ავადმყოფს უნდა მოარიდებოდა, წამოდგა და ისე დაიწყო მომვლელი ქალიშვილის ზურგს უკან სიარული, კ-ს სრულიად არ გაუკვირდებოდა, ქალიშვილს რომ სწვდომოდა და საწოლისათვის მოეშორებინა. თვითონ კ. ყველაფერს მშვიდად უყურებდა და ვექილის ავადმყოფობით კმაყოფილიც კი იყო. სხვაგვარად იგი ვერაფრით ვერ აღუდგებოდა წინ ბიძამისის დაუდგრომლობას, რაკი მან მის საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ კმაყოფილი იყო, რომ ეს დაუდეგრობა მის ჩაურევლადაც შესუსტდებოდა. უეცრად, ალბათ იმ მიზნით, რომ ქალიშვილისათვის ეწყენინებინა, ბიძამისმა მომვლელს უთხრა:

— ქალიშვილო, გთხოვთ ცოტა ხნით მარტო დაგვტოვოთ, ჩემს მეგობარს პირად საქმეზე უნდა მოველაპარაკო.

ქალიშვილი ამ დროს ავადმყოფისაკენ იყო დახრილი და კედლის მხარეს ზეწარს უსწორებდა, მან მხოლოდ თავი მოაბრუნა და ბიძისაგან განსხვავებით, სიბრაზისაგან რომ ჯერ ენა დაება, შემდეგ კი სხაპასხუპით ისროდა სიტყვებს, ძალიან მშვიდად თქვა:

— ხომ ხედავთ, რა მძიმედაა ავად, განა ახლა ბატონ ვექილს შეუძლია, პირად საქმეზე გელაპარაკოთ?

ქალიშვილმა, ეტყობა, ბიძის სიტყვები ინერციით გაიმეორა, მაგრამ ეს ნათქვამი მიუკერძოებელ კაცსაც კი შეეძლო დაცინვად მიეღო, ხოლო ბიძა გველნაკბენივით წამოვარდა.

— აა, შე წყეულო! — წაიბურტყუნა მან გაურკვევლად, რადგან აღელვებისაგან პირველი სიტყვა ყელში გაეხირა. თუმცა კ. ელოდა მისგან ამგვარ გამოხდომას, მაინც შეშინებული მიიჭრა ბიძასთან იმ განზრახვით, რომ ორივე ხელი პირზე აეფარებინა. საბედნიეროდ, ავადმყოფმა, რომელიც საწოლიდან წამოიწია, ქალიშვილის ზურგს უკნიდან გამოიხედა. ბიძამისი ისე მოიღუშა, თითქოს რაღაც საზიზღრობა გადაეყლაპოს და შემდეგ უფრო მშვიდად თქვა:

— ცხადია, ჯერჯერობით არც ჩვენ დაგვიკარგავს გონება: რასაც მოვითხოვ, შეუძლებელი რომ იყოს, არც მოვითხოვდი. ახლა კი გთხოვთ, მიბრძანდეთ!

მომვლელი ქალიშვილი წელში გასწორდა, მთელი ტანით ბიძისაკენ შებრუნებული იდგა საწოლთან და ცალი ხელით, როგორც კ-ს მოეჩვენა, ვექილის ხელს ეფერებოდა.

— ლენის თანდასწრებით ყველაფრის თქმა შეგიძლია, — უთხრა ვექილმა ბიძას და მის ხმაში დაჟინებული თხოვნა იგრძნობოდა.

— საქმე მე არ მეხება, ეს არ გახლავთ ჩემი საიდუმლოება, — უთხრა ბიძამ ვექილს და ისე მკვეთრად შებრუნდა, თითქოს არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა საუბარში ჩარეულიყო, მაგრამ მოსაფიქრებლად მცირე დროს იძლეოდა.

— აბა ვის ეხება? — იკითხა ვექილმა მისუსტებული ხმით და ბალიშზე დაეშვა.

— ჩემს ძმისწულს, — უპასუხა ბიძამ, — მე იგიც თან მოვიყვანე, — და კ. ვექილს წარუდგინა: — პროკურისტი იოზეფ კ.

— ოჰ, — წარმოთქვა ავადმყოფმა ბევრად უფრო მხნედ და კ-ს ხელი გაუწოდა: — მაპატიეთ ვერ დაგინახეთ. ლენი, გადი! — უთხრა ვექილმა შემდეგ მომვლელ ქალიშვილს, რომელსაც ამჯერად არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია და თან ისე ჩამოართვა ხელი, თითქოს დიდი ხნით ემშვიდობებოდა. — ამგვარად შენ,—უთხრა ვექილმა მოგვიანებით ბიძას, რომელიც შერიგების ნიშნად საწოლს მიუახლოვდა, — ავადმყოფის სანახავად კი არა, საქმეზე მოსულხარ.

ეტყობა, აქამდე ვექილს ის აზრი თრგუნავდა, თითქოს ისე მოიკითხეს როგორც ავადმყოფი, ახლა კი უეცრად მოღონიერდა და წამდაუწუმ იდაყვს ეყრდნობოდა, რაც საკმაოდ მომქანცველი უნდა ყოფილიყო, თანაც განუწყვეტლივ ხელს ისვამდა წვერზე.

— საკმარისი იყო ეს როკაპი აქედან გასულიყო და შენ შესამჩნევად გამომჯობინდი, — უთხრა ბიძამ ვექილს, მერე შეჩერდა და წასჩურჩულა: — სანაძლეოს დავდებ, ყურს გვიგდებს! — და კართან მიირბინა. მაგრამ კარს უკან არავინ აღმოჩნდა და თუმცა ამან ვერაფერში დაარწმუნა, მაინც გაბოროტებული გამობრუნდა უკან, რადგან ქალიშვილის იქ არყოფნა ახლა კიდევ უფრო დიდ ბოროტებად მიიჩნია.

— ამ ქალიშვილის შეფასებაში სცდები, — უთხრა ვექილმა ბიძას, მაგრამ ქალიშვილის დასაცავად სიტყვა აღარ გაუგრძელებია. შეიძლება ამით იმის თქმა უნდოდა, ქალიშვილს დაცვა არ სჭირდებაო. შემდეგ კი მეტი თანაგრძნობით განაგრძო: — რაც შეეხება შენი პატივცემული ძმისწულის საქმეს, ბედნიერ კაცად ჩავთვლი თავს, თუ აღმომაჩნდება იმდენი ძალა, რომ ამ მძიმე ამოცანას თავი გავართვა. მეტისმეტად ვშიშობ, რომ ძალა არ მეყოფა. ყოველ შემთხვევაში ცდას არ დავაკლებ და თუ უძლური აღმოვჩნდი, შეგვიძლია სხვა ვინმე მოვიწვიოთ. გულწრფელად რომ გითხრა, ეს საქმე მეტისმე-

ტად მაინტერესებს და ამიტომ არ შემიძლია თავს ძალა დავატანო და საერთოდ უარი ვთქვა ამ საქმეში ყოველგვარ მონაწილეობაზე, ხოლო თუ ამას ჩემი გული ვერ გაუძლებს, ძნელია მის გასაჩერებლად უფრო ღირსეული მიზეზი გამონახოს კაცმა. კ. დარწმუნებული იყო, ვექილის ნათქვამიდან ვერაფერი გავიგეო, ბიძამისს მიაჩერდა და მისგან ელოდა ახსნა-განმარტებას, მაგრამ ბიძა სანთლით ხელში საწოლთან მდგარ პატარა მაგიდაზე იჯდა — საიდანაც ერთი წამლის ბოთლი უკვე ხალიჩაზე გადმოგორებულიყო — და თავის ქნევით ვექილს ყველაფერში ეთანხმებოდა, ხოლო დროდადრო კ-ს ისე გამოხედავდა, თითქოს მასაც სთხოვდა, შენც დაეთანხმეო. შეიძლება ბიძაშისმა ადრევე უამბო ვექილს მისი პროცესის შესახებ. მაგრამ ამგვარი რამ დაუშვებლად მიაჩნდა, რადგან ყველაფერი, რაც მანამდე მოხდა, ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა.

— ვერაფერი გავიგე, — თქვა ბოლოს კ-მ.

— არა, ეტყობა, მე ვერ გაგიგეთ, — შეაწყვეტინა სიტყვა კ-სავით გაოცებულმა და დარცხვენილმა ვექილმა. — იქნებ ავჩქარდი. მაინც რა საკითხზე გიხდოდათ ჩემთან საუბარი? ჩემის აზრით, საქმე თქვენს პროცესს ეხება, არა?

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ბიძამისმა და შემდეგ კ-ს ჰკითხა:—რა ვერ გაიგე?

— საინტერესოა, საიდან გაიგეთ რამე ჩემზე და ჩემს პროცესზე? — ჰკითხა კ-მ ვექილს.

— აი, თურმე რა ყოფილა, — უპასუხა ვექილმა ღიმილით, — მე ხომ ვექილი ვარ, სასამართლოს მოხელეთა წრეში ვტრიალებ, ვისმენ მათ ლაპარაკს სხვადასხვა, რითიმე გამორჩეულ პროცესზე, ხოლო რაც საყურადღებოა, განსაკუთრებით მეგობრის ძმისწულს თუ ეხება, ძალაუნებურად ჩაგრჩება გონებაში, საკვირველი აქ არაფერია.

— კი მაგრამ, რა გაწუხებს? — ჰკითხა კვლავ კ-ს ბიძამისმა, — რაღაცნაირი აწრიალებული ჩანხარ.

— თქვენ იმ სასამართლოს მოხელეებს შორის ტრიალებთ? — ჰკითხა კ-მ ვექილს.

— დიახ. — უპასუხა ვექილმა.

— რა ბავშვურ კითხვებს აძლევ, — უთხრა კ-ს ბიძამ.

— აბა ვის წრეში უნდა ვიტრიალო, თუ ჩემი პროფესიის ადამიანებს შორის არა? — განაგრძო ვექილმა. მისი სიტყვები ისე დამაჯერებლად ჟღერდა, რომ კ-ს პასუხი არ გაუცია.

ძალიან უნდოდა ეკითხა: რომელ სასამართლოში მუშაობთ, იუსტიციის სასახლეში რომაა თუ სხვენზეო? მაგრამ თავი ვერ აიძულა ამგვარი რამ ეკითხა.

— თავად განსაჯეთ, — განაგრძო ვექილმა ისეთი კილოთი,

თითქოს ყველაფერი ისედაც ცხადი იყო და არავითარ ახსნას არ საჭიროებდა. — თავად განსაჯეთ, მე ხომ მათ ნაცნობობას ჩემი კლიენტების სასარგებლოდ ვიყენებ მრავალმხრივ, თუმცა ეს რა სალაპარაკოა. რა თქმა უნდა, ავადმყოფობამ ცოტათი ხელი შემიშალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი კარგი მეგობრები, სასამართლოში რომ მსახურობენ, შინ მესტუმრებიან ხოლმე და რაღაც-რაღაცებს მეც ვგებულობ, შეიძლება იმათზე მეტსაც, სრულიად ჯანსაღნი რომ არიან და მთელ დღეებს სასამართლოში ატარებენ, აი, მაგალითად ახლაც მყავს ძვირფასი სტუმარი. — და მან ხელი ოთახის ბნელი კუთხისაკენ გაიშვირა.

— აბა სად? — იკითხა კ-მ ოდნავ უხეშად, რადგან მეტისმეტად გააკვირვა ამ ამბავმა. მერე გაუბედავად მიმოიხედა.

სანთლის სუსტი შუქი მოპირდაპირე კედლამდე ვერ აღწევდა. მაგრამ იმ კუთხეში მართლაც შეინძრა ვიღაც, სანთლის შუქზე, ბიძას რომ ახლა მაღლა ეჭირა, მართლაც დაინახეს პატარა მაგიდასთან მჯდომი ხანში შესული მამაკაცი. იგი ალბათ სუნთქვაშეკრული იჯდა, ასე დიდხანს რომ ვერ შეამჩნიეს. ახლა კი მოურიდებლად წამოდგა, აშკარად უკმაყოფილო იყო იმით, რომ ყურადღება მიაქციეს. მოკლე ფრთების მაგვარი ხელები ისე აამოძრავა, თითქოს უნდოდა აეცდინა ახალი ნაცნობობა და ყოველგვარი სალამ-ქალამი, თითქოს სურდა მისი აქ ყოფნით არავინ შეწუხებულიყო და დაჟინებით ითხოვდა, ისევ ბნელში დამტოვეთ და დაივიწყეთ ჩემი არსებობაო. მაგრამ მის თხოვნას არავინ გაუწია ანგარიში.

— საქმე ისაა, რომ თქვენ მოულოდნელად დაგვადექით თავზე, — აუხსნა ვექილმა სტუმრებს და ამავე დროს ხანში შესული მამაკაცი ხელით მოიხმო, მამააკცი ნელა, გაუბედავად, თვალების ცეცებით, მაგრამ მაინც დიდი ღირსებით წამოვიდა მათკენ. — ბატონო კანცელარიის დირექტორო, მაპატიეთ, რომ ერთმანეთი არ გაგაცანით, ეს გახლავთ ჩემი მეგობარი ალბერთ კ., ეს მისი ძმისწული, პროკურისტი იოზეფ კ.-ა, ხოლო ეს ბატონი კანცელარიის დირექტორია. მან იმდენი ყურადღება გამოიჩინა, რომ შინ მესტუმრა. მხოლოდ საქმეში ჩახედულმა კაცმა შეიძლება გაიგოს ამგვარი სტუმრობის ფასი. მხოლოდ იმან, ვინც იცის, რამდენი საქმე აქვს ბატონ კანცელარიის დირექტორს. მიუხედავად ამისა მაინც მესტუმრა. რამდენადაც ჩემი ჯანმრთელობა ამის საშუალებას მაძლევს, ჩვენ მშვიდად ვსაუბრობდით. მართალია, ლენისათვის სტუმრების მიღება არ აგვიკრძალავს, რადგან არავის ველოდით, მაგრამ მაინც ის გვერჩია, რომ მარტო ვყოფილიყავით. ამ დროს შენ, ალბერთ, მუშტები დაუშინე კარს და ამიტომ კანცელარიის დირექტორმა თავის სავარძელ-მაგიდიანად კუთხისაკენ დაიხია.

მაგრამ ახლა ირკვევა, რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილი გვაქვს, რომ შეგვიძლია ერთად ვიმსჯელოთ ამ საქმეზე, ხოლო ამისათვის საჭიროა ყველამ ერთად მოვიყაროთ თავი. — ბატონო კანცელარიის დირექტორო!—მიმართა ვექილმა მას თავის დახრითა და მაამებლური ღიმილით და საწოლის მახლობლად მდგარ სავარძელზე მიუთითა.

— სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე წუთი შემიძლია შემოგწიროთ,—თქვა კანცელარიის დირექტორმა თავაზიანად; მოხერხებულად ჩაეშვა სავარძელში და საათს დახედა, — საქმეები მელოდება, მაგრამ არ მინდა ხელიდან გავუშვა ჩემი მეგობრის მეგობრის გაცნობის შესაძლებლობა.

მან ძლივს დაუკრა თავი კ-ს ბიძას, რომელიც, ეტყობა, მეტისმეტად კმაყოფილი იყო ამ კაცის გაცნობით, მაგრამ სიცეტის გამო ვერ შეძლო მადლიერების გრძნობის გამოხატვა და ამიტომ კანცელარიის დირექტორის სიტყვებს მორიდებული, მაგრამ მაინც ხმამაღალი სიცილით შეეგება. პირდაპირ საზარელი სანახავი იყო! კ. მშვიდად აკვირდებოდა ყველაფერს, რადგან მას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. კანცელარიის დირექტორმა, რაკი იგი საქმეში გარიეს, ჩვეულებისამებრ, თვითონ დაიწყო ლაპარაკი, ვექილი, რომელმაც ავადმყოფობა იმისთვის მოიგონა, რომ სტუმრები თავიდან მოეშორებინა, ხელი ყურზე მიიდო და გულმოდგინედ უსმენდა კანცელარიის დირექტორს, ბიძა კი, — რომელმაც უკვე სძლია მორცხვობას და რომელსაც გამნათებლის როლი ჰქონდა დაკისრებული და სანთელს მუხლზე ათამაშებდა, რის გამოც ვექილი შეშფოთებული იყურებოდა მისკენ, — აღტაცებული იყო არა მარტო კანცელარიის დირექტორის სიტყვებით, არამედ ლაპარაკისას მისი ფრთებივით ხელების მოქნილი ტალღისებური მოძრაობითაც, საწოლის თავზე დაყრდნობილ კ-ს კანცელარიის დირექტორი განგებ არ აქცევდა ყურადღებას და ხანში შესული ბატონებისათვის იგი მხოლოდ მსმენელი იყო. თუმცა არც კ-ს ესმოდა ხეირიანად, რაზე ლაპარაკობდნენ უფროსები და ფიქრობდა მომვლელ ქალიშვილზე და იმაზე, თუ რა უმსგავსოდ მოექცა ბიძამისი ამ ქალიშვილს. ერთხელ ასეთმა აზრმაც გაუელვა, ხომ არ მინახავს სადმე კანცელარიის დირექტორი, იქნებ იმ სხდომაზე ვნახე, პირველი დაკითხვის დროს რომ გაიმართა, ან იქნებ ვცდებო, მაგრამ კანცელარიის დირექტორი საოცრად ჰგავდა პირველ რიგში ჩამწკრივებულ სხდომის მონაწილეებს, იმ თხელწვერა ვაჟბატონებს.

უეცრად ყველამ ყურები დაქვიტა, წინკარიდან ისეთი ხმაური მოისმა, თითქოს ფაიფურის ჭურჭელს ამსხვრევდნენ.

— ენახავ ერთი, რა მოხდა, — თქვა კ-მ და ისე ნელა წავიდა კარისაკენ, თითქოს დანარჩენებს დროს აძლევდა, შეეჩერებინათ. მაგრამ როგორც კი წინკარში გავიდა და თვალი დაძაბა, ეგებ ამ სიბნელეში რამე დავინახოო, მის ხელს, ჯერ კიდევ კარის სახელურზე რომ ედო, შეეხო ბევრად უფრო პატარა ხელი, ვიდრე მისი იყო და ჩუმად მიხურა კარი. მის წინ იდგა მომვლელი ქალიშვილი, რომელიც სწორედ აქ უცდიდა.

— არაფერი არ მომხდარა, — უთხრა ჩურჩულით ქალიშვილმა, — მე განგებ შევახეთქე თეფში კედელს, რომ თქვენ გამომეხმეთ.

დაბნეულმა კ-მ უთხრა: — მეც თქვენზე ვფიქრობდი.

— მით უკეთესი, — უპასუხა ქალიშვილმა, — წამობრძანდით.

მათ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს და შეჩერდნენ მქრქალმინიან კართან. ქალიშვილმა გააღო კარი და კ-ს უთხრა: „შემოდით!“

ეს უდავოდ ვექილის სამუშაო ოთახი იყო. რამდენადაც კი რაიმეს დანახვა შეიძლებოდა მთვარის შუქზე, სამი დიდი ფანჯრიდან პატარა კვადრატებად რომ ეცემოდა იატაკზე, მთელი ოთახი მძიმე, ძველებური ავეჯით იყო გაწყობილი.

— აი, აქ დაბრძანდით, — უთხრა მომვლელმა ქალიშვილმა და მოჩუქურთმებულ, ხისზურგიან მუქი ფერის სკივრზე მიუთითა. სანამ დაჯდებოდა, კ-მ ოთახი მიათვალიერ-მოათვალიერა. ამ დიდ, მაღალჭერიან ოთახში ვექილის ღარიბ კლიენტებს ალბათ თავგზა ებნეოდათ. კ-მ წარმოიდგინა, როგორ უახლოვდებიან კლიენტები მოკლე ნაბიჯებით უზარმაზარ საწერ მაგიდას, მაგრამ მას იმწამსვე დაავიწყდა ყველაფერი, გარდა მომვლელი ქალიშვილისა, რომელიც თვალებით ჭამდა და ისე ეკვროდა, რომ ლამის სკივრის სახელურს მიაჭეჭყა.

— მე კი მეგონა, — უთხრა ქალიშვილმა, — თვითონ გამოხვიდოდით ოთახიდან და გამოძახება არ დამჭირდებოდა, უცნაურია, შემოსვლის წუთიდან თვალი არ მოგიშორებიათ ჩემთვის, შემდეგ კი მალოდინეთ. ჰო, უბრალოდ ლენი დამიძახეთ, — დასძინა მან ისე სწრაფად და მოულოდნელად, თითქოს მათი საუბრის დროს ერთი წამიც არ შეიძლებოდა დაკარგულიყო.

— სიამოვნებით. — უპასუხა კ-მ, — რაც შეეხება უცნაურობას, იცით, ლენი, უცნაური აქ აღარაფერია და ასახსნელადაც ადვილია. ჯერ ერთი უნდა მომესმინა ბერიკაცების ლაქლაქი, უმიზეზოდ ხომ ვერ მივატოვებდი მათ, მეორეც, მე თავხედი კაცი არა ვარ, პირიქით, მორიდებული უფრო

მეთქმის და არც თქვენ ჰგავხართ ისეთ ქალიშვილს, ლენი, ვისი გულის მონადირებაც თვალის დახამხამებაში შეიძლება.

— არა, აქ სულ სხვა ამბავია, — უთხრა ლენიმ, მკლავი საზურგეზე გადადო და კ-ს მიაჩერდა, — უბრალოდ არ მოგეწონეთ და ალბათ არც ახლა მოგწონვართ.

— მოწონება ის სიტყვა არაა, — უპასუხა კ-მ ორჭოფულად.

— ო! — წამოიძახა ქალიშვილმა ღიმილით.

კ-ს პასუხისა და ამ ძოკლე წამოძახილის წყალობით ლენიმ თითქოს რაღაც უპირატესობა მოიპოვა. ამიტომ კ-ს აღარაფერი უთქვამს. ამასობაში თვალი სიბნელეს შეეჩვია. უკვე შეეძლო ნივთები ერთმანეთისაგან გაერჩია. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ერთმა დიდმა სურათმა, რომელიც კარის მარჯვენა მხარეს ეკიდა და უკეთ რომ დაენახა, წინ დაიხარა. სურათზე გამოსახული იყო მოსამართლის მანტიაში გახვეული მამაკაცი. იგი სამეფო ტახტივით მაღალ, ოქროთი მეტისმეტად მოვარაყებულ სავარძელში იჯდა. მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ მოსამართლე მშვიდად და ღირსეულად კი არ იჯდა, არამედ მარცხენა ხელი საზურგესა და სახელურისათვის შემოეჭდო, ხოლო მარჯვენა ხელის გულით ისე ეყრდნობოდა მეორე სახელურს, გეგონებოდა, სადაცაა ჯიქურ, შეიძლება გაავებულიც კი წამოიჭრება ფეხზე და ან გადამწყვეტ სიტყვას იტყვის, ანდა განაჩენს გამოიტანსო. ბრალდებული ალბათ დაბლა, კიბის ძირში იდგა, რადგან სურათზე მხოლოდ ყვითელი ხალიჩით დაფარული ზედა საფეხურები ჩანდა.

— იქნებ ესაა ჩემი მოსამართლე, — თქვა კ-მ და თითი სურათისაკენ გაიშვირა.

— მაგ კაცს ვიცნობ, — უთხრა ლენიმ და სურათს მანაც შეხედა, — ხშირად დადის ჩვენთან. ეს სურათი ახალგაზრდობის დროინდელია, მაგრამ არც მაშინ ყოფილა ასეთი შესახედავი, მოსამართლე ხომ ქონდრის კაცივით პატარაა. მიუხედავად ამისა, მხატვარს უბრძანა, აი, ასე გამოეჭიმა სურათზე. სხვებივით მასაც სჭამს უგუნური პატივმოყვარეობის ჭია. მეც პატივმოყვარე ვარ და ძალიან მწყინს, რომ არ მოგწონვართ.

ამ სიტყვების პასუხად კ-მ ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა, ქალიშვილმა თავი მხარზე წყნარად დაადო.

— სად მუშაობს? — ჰკითხა კ-მ ქალიშვილს და სურათზე გამოსახულ მამაკაცზე მიუთითა.

— გამომძიებელია, — უპასუხა ლენიმ და კ-ს ხელი თითებზე მოუთათუნა.

— მხოლოდ გამომძიებელი? — თქვა გულაცრუებულმა

კ-მ. — მაშასადამე, მაღალი რანგის მოხელეები იმალებიან, მაგრამ ის ხომ დიდებულ სავარძელში ზის.

— ეს ყველაფერი მოგონილია, — უპასუხა ლენიმ და სახე კ-ს ხელის გულთან მიიტანა, — სინამდვილეში იგი სამზარეულოს სავარძელში ზის, და ქვეშ დაკეცილი ძველი ასალი უფენია. კი მაგრამ, ნუთუ ყოველთვის თქვენს პროცესზე უნდა იფიქროთ?

— არა, სრულიადაც არა,—უპასუხა კ-მ, — პროცესზე, ალბათ, ძალიან ცოტას ვფიქრობ.

— თქვენ სხვა რამეში ცდებით, — უთხრა ლენიმ, — თქვენზე ამბობენ, ძალიან ჯიუტი კაციაო.

— ვინ ამბობს? — ჰკითხა კ-მ, იგი გრძნობდა, ქალიშვილი მკერდზე ეკვროდა და დაჰყურებდა მის რბილ, მუქ მაგრად განასკვულ თმას.

— ეგ რომ გითხრათ, იგივეს ნიშნავს, ბევრი რამ გაგიმხილოთ, — უპასუხა ლენიმ. — გთხოვთ გვარებს ნუ მკითხავთ, ჯობს თქვენი შეცდომა გამოასწოროთ, ნუ ხართ ჯიუტი, სულ ერთია ამ სასამართლოსთან მაინც ვერაფერს გახდებით, დანაშაული უნდა აღიაროთ. პირველ შემთხვევისთანავე უნდა ცნოთ თავი დამნაშავედ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ ხელიდან დაუსხლტეთ მათ, მხოლოდ მაშინ, თუმც სხვების დაუხმარებლად ესეც შეუძლებელია, მაგრამ ნუ გეშინიათ, მე დაგეხმარებით.

— ეტყობა, თქვენ ბევრი რამ იცით სასამართლოსა და იმ ათას მამაძაღლობაზე, აქ რომ სჭირდება კაცს, — უთხრა კ-მ და რაკი ქალიშვილი ძალზე მაგრად ეკვროდა, მუხლებზე დაისვა.

— აი, ასე კარგია, — უთხრა ქალიშვილმა და მის მუხლებზე მყუდროდ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

გყავთ? — ჰკითხა ქალიშვილმა მცირე ხნის შემდეგ.

— არა, — უპასუხა კ-მ.

— გეყოლებათ, — უთხრა ქალიშვილმა.

— მართალია, მყავს, — დაუდასტურა კ-მ, — წარმოგიდგენიათ, კინაღამ უარი ვთქვი იმ ქალზე, ვისი ფოტოსურათიც ყოველთვის თან დამაქვს.

ლენიმ სთხოვა, ფოტოსურათი მაჩვენეო. კ-მ ამოიღო ელზას სურათი. კ-ს მუხლებზე მოკალათებულმა ქალიშვილმა სურათს თვალიერება დაუწყო. ეს იყო პატარა, ნაუცბადევად გადაღებული ფოტოსურათი, ელზა თავბრუდამხვევი ცეკვის შემდეგ გადაუღიათ. მას უყვარდა თავის ღვინის სარდაფში ცეკვა. ტრიალისგან ქვედატანის დანაოჭებული კალთები ჯერ კიდევ აფრიალებული ჰქონდა, ხელები მკვრივ თეძოებზე შემოედო, იცინოდა და უკან თავგადაგდებული სადღაც იყურებოდა; სურათზე არ ჩანდა, ვის უცინოდა.

— რა მაგრად მოუჭერია ზონრები, — თქვა ლენიმ და უჩვენა ის ადგილი, სადაც მისი აზრით ელზას ზონრები ჰქონდა შემოჭერილი, — ეს ქალი არ მომწონს, მოუქნელი და ტლანქია, მაგრამ, იქნებ თქვენ მიმართაა ნაზი და თავაზიანი. სურათის მიხედვით ამგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ასეთი მაღალი, ღონიერი ქალები ხშირად მეტისმეტად თავაზიანი და ალერსიანი არიან, მაგრამ თავს თუ გასწირავს თქვენთვის?

— არა, — უპასუხა კ-მ, — იგი არც ალერსიანია, არც თავაზიანი და არც თავს გასწირავს ჩემთვის, აქამდე მე არც ერთი მომითხოვია მისგან და არც მეორე, თანაც თქვენსავით კარგად არც კი დავკვირვებივარ ამ სურათს.

— მაშასადამე, ეს ქალი დიდად არაფრად გჭირდებათ,— უთხრა ლენიმ, — და ამგვარად არც თქვენი შეყვარებული ყოფილა.

— როგორ არა,—უპასუხა კ-მ,—მე ჩემი სიტყვები უკან არ მიმაქვს.

— კეთილი, იყოს თქვენი შეყვარებული, — უთხრა ლენიმ, — მაგრამ მისი დაკარგვა დიდად არ შეგაწუხებთ, არც ის, სხვაზე ან ჩემზე რომ გაცვალოთ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კ-მ ღიმილით, — ამგვარი რამ დასაშვებია, მაგრამ მას ერთი დიდი უპირატესობა აქვს თქვენთან შედარებით, ჩემი პროცესის შესახებ არაფერი იცის და რომ იცოდეს კიდეც, ამაზე ფიქრით დიდად მაინც არ შეიწუხებდა თავს, არც იმას ეცდებოდა, ჩემთვის ერჩია, მათ ნებას დაჰყევიო.

— ეს რა უპირატესობაა, — უთხრა ლენიმ, — თუ მას

სხვა უპირატესობანი არ გააჩნია, იმედს არ ვკარგავ. რაიმე ფიზიკური ნაკლი ხომ არ აქვს?

— ფიზიკური ნაკლი? — იკითხა კ-მ.

— დიახ, — უპასუხა ლენიმ, — მაგალითად, პირადად მე პატარა ფიზიკური ნაკლი მაქვს, აბა, შეხედეთ.

მან გამალა მარჯვენა ხელის შუა და უსახელო თითი, მათ შორის შემაერთებელი კანი მოკლე თითების ზედა სახსრამდე აღწევდა. სიბნელეში კ-მ უცბად ვერც კი დაინახა, რას უჩვენებდნენ, მაგრამ ქალიშვილმა ხელი გამოართვა და თავის მოკლე თითებს შეახო.

— რას არ მოიგონებს ბუნება, — თქვა კ-მ და როცა მთელ ხელს დახედა, დასძინა: — რა ლამაზი თათია!

ლენი ერთგვარი სიამაყით უყურებდა, როგორ აერთებდა და აშორებდა ერთმანეთს გაკვირვებული კ. მის ორ თითს, ბოლოს ოდნავ შეეხო ტუჩებით და ხელი გაუშვა.

— ო! — წამოიძახა ქალიშვილმა სულმოუთქმელად, — თქვენ მე მაკოცეთ!

ლენის ოდნავ გაეღო პირი. მუხლებით შეაცოცდა მუხლებზე. კ. სრულიად დაიბნა. ქალიშვილი ისე ახლოს იყო, რომ მისი წიწაკასავით გამაღიზიანებელი სუნიც კი იგრძნო. ლენიმ. მისი თავი გულში ჩაიხუტა, დაუწყო კოცნა და კბენა კისერზე და თმაზეც კი.

— ხომ გაცვალეთ ის ქალი ჩემზე! — ყვიროდა ქალიშვილი დროდადრო, — ხედავთ, ჩემზე გაცვალეთ!

უეცრად კალთიდან მუხლი ჩაუცურდა, ლენიმ შეჰკივლა, სულ ცოტაც და ხალიჩაზე დაეცემოდა. კ. შეეცადა დაეჭირა, ხელი მოხვია, მაგრამ ქალიშვილმა ისიც დაითრია და უთხრა: — ახლა კი ჩემი ხარ.

— აი ამ სახლის გასაღები, მოდი როცა მოგესურვება.— ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ლენი კ-ს და ტუჩებით შეეხო მიმავლის ზურგს.

ალაყაფის კარებს რომ გასცდა და ქუჩაში გავიდა, ოდნავ ცრიდა. გადაწყვიტა ქვაფენილზე გადასულიყო, იქნებ ლენის ფანჯარაში კიდევ ერთხელ მოვკრა თვალი, მაგრამ ამ დროს მანქანიდან, რომელიც სახლის წინ იცდიდა და დაბნეულმა კ-მ ვერ შეამჩნია, გამოვარდა ბიძამისი, მხრებში სწვდა და ისე მიაჭეჭყა ალაყაფის კარებს, თითქოს ზედ მილურსმავს უპირებსო.

— ეჰ, ყმაწვილო, — წამოიძახა ბიძამ, — ეს რა ჩაიდინე! საქმე თითქმის მოგვარებული იყო, შენ კი შენი უსაქციელობით ღიდად ავნე საკუთარ თავს. შეძვერი სადღაც იმ პატარა, ჭუჭყიან გოგოსთან ერთად, რომელიც ალბათ

ვექილის საყვარელია და აღარ გეღირსა გამოსვლა. თანაც ვერაფერი მოიმიზეზე, დაუფარავად, ყველას თანდასწრებით გაიქეცი მასთან და მასთანვე დარჩი. ჩვენ სამნი კი — ბიძაშენი, რომელიც შენთვის ზრუნავს, ვექილი, ჩვენს მხარეზე რომ უნდა გადმოვიბიროთ და რაც მთავარია, კანცელარიის დირექტორი, დიდი კაცი, ვისაც ამჟამად უშუალოდ ეხება შენი საქმე, ვსხედვართ და ვმსჯელობთ იმაზე, როგორ გიშველოთ, მე ვექილს ველოლიავები, ის კანცელარიის დირექტორს, ამ ვითარებაში მხარი მაინც უნდა დაგეჭირა ჩემთვის. შენ კი, ნაცვლად ამისა, ადექი და დაიკარგე. ასეთ შემთხვევაში არაფრის დაფარვა არ ხერხდება. კიდევ კარგი, რომ ისინი ზრდილი, გამოცდილი ადამიანები არიან, თქმით არაფერი უთქვამთ, მე დამინდეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინიც გაბეზრდნენ და რადგან საქმეზე ლაპარაკი აღარ შეეძლოთ, ჩუმად ისხდნენ. ვინ იცის, რამდენ ხანს ვისხედით მდუმარედ და ვფიქრობდით, იქნებ გამოჩნდესო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს წამოდგა კანცელარიის დირექტორი, რომელიც იმაზე მეტ ხანს დარჩა, ვიდრე აპირებდა და გამოგვეთხოვა. აშკარად შევეცოდე, მაგრამ რით უნდა დამხმარებოდა. უჩვეულო თავაზიანობით ერთხანს მაინც შეყოვნდა კარებში და შემდეგ წავიდა. მე, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი, იქაურობა რომ მიატოვა, რადგან სუნთქვაც კი აღარ შემეძლო. ვექილზე ყოველივე ამან ისე ძლიერ იმოქმედა, რომ ამ კეთილ კაცს გამომშვიდობებისას ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს. ვექილს რომ რამე დაემართოს, შენი ბრალი იქნება, სიცოცხლეს უსწრაფებ ისეთ კაცს, ვიზედაც დამოკიდებული ხარ. მე კი, შენი ბიძა, დამტოვე აქ წვიმაში,— ნახე, ნახე, რა გალუმპული ვარ — მაცდევინე ამდენ ხანს და შენზე წუხილით გამაწამე.

თავი მეშვიდე

ვექილი.
ფაბრიკანტი.
მხატვარი.

ზამთრის ერთ დღეს — გარეთ თოვდა და ფანჯრებს ბუნდოვანი სინათლე მოსდგომოდა — კ. ქანცგაწყვეტილი იჯდა თავის კაბინეტში, თუმცა ჯერ შუადღეც არ იყო მოტანებული. დაბალი რანგის მოხელეებისაგან მაინც რომ დაეცვა თავი, შიკრიკს უბრძანა, ჩემთან არავინ შემოუშვათ, გადაუდებელი საქმეები მაქვსო. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მუშაობას შესდგომოდა, მოუსვენრად წრიალებდა სავარძელში, მაგიდაზე დალაგებულ ნივთებს ადგილს უცვლიდა, შემდეგ წინ გაწვდილი ხელი ანგარიშმიუცემლად დაუშვა მაგიდაზე, თავი ჩაქინდრა და გაქვავდა.

პროცესზე ფიქრი აღარ ასვენებდა. ხშირად გაუვლია გულში, იქნებ ჯობდა თავის გასამართლებელი წერილი დამეწერა და სასამართლოში შემეტანაო. წერილს დაიწყებდა მოკლე ავტობიოგრაფიით, ხოლო საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს დაურთავდა ახსნა-განმარტებას, ამა თუ იმ შემთხვევაში რატომ მოიქცა ასე, ამჟამინდელი თვალსაზრისით ამართლებს თუ გმობს საკუთარ საქციელს და დაასაბუთებდა როგორც ერთს, ისე მეორეს. ასეთი გასამართლებელი წერილის უპირატესობა ჩვეულებრივ დაცვასთან შედარებით, არც თუ ისე უმწიკვლო ვექილმა რომ უნდა მოაბას თავი, უდავო იყო. კ-მ აქამდე არ იცოდა, რას აპირებდა ვექილი, ყოველ შემთხვევაში, ბევრი არაფერი უღონია, ერთი თვის მანძილზე ერთხელაც არ დაუბარებია და არც ადრინდელი მოლაპარაკების დროს დარჩენია ისეთი შთაბეჭდილება, ეს კაცი ჩემთვის ბევრი რამის გაკეთებას შეძლებსო. უპირველეს ყოვლისა, თითქმის არაფერს ეკითხებოდა. საკითხავი კი მის საქმესთან დაკავშირებით ძალზე ბევრი იყო. მთავარია, შეკითხვების დასმა. კ-ს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავადაც შეეძლო დაესვა საკუთარი თავისათვის ყველა საჭირო კითხვა. ვექილი კი, პირიქით, იმის ნაცვლად რომ რაიმე ეკითხა, ან რაღაც ამბავს უყვებოდა, ანდა ჩუმად იჯდა მის წინ საწერ მაგიდაზე გადმოხრილი, — ალბათ იმიტომ, რომ ყურს აკლდა—წვერს იწიწკნიდა და ხალიჩას ზუსტად იმ ადგილას დაჰყურებდა, სადაც კ. ლენისთან ერთად იწვა. დროდადრო კ-ს ბავშვივით არიგებდა ჰკუას. ამ დარიგებასავით უსარგებლო და მოსაწყენ ლაპარაკში კ-მ მტკიცედ გადაწყვიტა ანგარიშის საბოლოო გასწორებისას ვექილისათვის ერთი ზედმეტი ჰელერიც კი არ გადაეხადა. როცა ვექილს ეგონა, კლიენტი საკმაოდ მოვტეხეო, ჩვეულებრივ ნელ-ნელა მის გამხნევებას იწყებდა. სწორედ ამ დროს ჰყვებოდა, როგორ მოიგო მთლიანად ან ნაწილობრივ ესა თუ ის პროცესი; ბევრი მათგანი თურმე კ-ს პროცესივით მძიმე როდი იყო, მაგრამ ერთი შეხედვით უფრო უიმედო ჩანდა. ამ პროცესების სია უჯრაში მიდევსო — ამ დროს მაგიდის ერთ-ერთ უჯრაზე აკაკუნებდა, — ჩანაწერების ჩვენება, სამწუხაროდ, არ შეეძლო, სამსახურებრივი საიდუმლოებაა. მიუხედავად ამისა, ის დიდი გამოცდილება, რაც მან ამ პროცესების მსვლელობის დროს შეიძინა, კ-ს უდავოდ სარგებლობას მოუტანს. რა თქმა უნდა, მუშაობას უკვე შეუდგა და პირველი შუა-

მდგომლობა თითქმის მზად აქვს. ამ შუამდგომლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან პირველი შთაბეჭდილება, დაცვა რომ მოახდენს, ხშირად საქმეს ძირფესვიანად შეატრიალებს. სამწუხაროდ — კ-მ ეს უნდა იცოდეს, — ზოგჯერ პირველ შუამდგომლობას სასამართლოში საერთოდ არ კითხულობენ. უბრალოდ საქმეში ჩააკრავენ და განაცხადებენ, წინასწარი დაკითხვა და ბრალდებულზე დაკვირვება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველაფერი, რაც ქაღალდზე წერიაო. ხოლო თუ მთხოვნელი გაჯიუტდება, მაშინ მას ეუბნებიან, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მთელ მასალას თავს მოუყრიან საქმის არსში ჩაწვდომის მიზნით, ყველა საბუთს გადასინჯავენ და მათ შორის, პირველ შუამდგომლობასაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტწილად მთლად ასე არ ხდება, პირველ შუამდგომლობას ჩვეულებრივ გადამალავენ ან საერთოდ დაკარგავენ, ხოლო თუ მაინც აღმოჩნდა სადმე, როგორც მოგვიანებით ვექილი ყურმოკრულად გებულობს, თურმე არავის არ წაუკითხავს. ეს ყველაფერი სამწუხაროა, მაგრამ ნაწილობრივ ამის გამართლებაც შეიძლება. კ-მ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ამბავი, რომ პროცესი დახურულია, რა თქმა უნდა, თუ სასამართლო ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია საქმე საჯაროდაც განიხილოს, მაგრამ ღია პროცესს კანონი არ ითვალისწინებს. ამიტომ სასამართლოს ოქმები, განსაკუთრებით კი საბრალმდებლო დასკვნა, ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის ხელმიუწვდომელია, რის გამოც საერთოდ არ იციან ან უფრო სწორად, ზუსტად არ იციან, რის წინააღმდეგ მიმართონ პირველი შუამდგომლობა და მხოლოდ შემთხვევით შეიძლება შეიცავდეს იმას, რაც საქმისათვის მნიშვნელოვანია. ხოლო ზუსტი და დასაბუთებული შუამდგომლობა შეიძლება დაიწეროს მოგვიანებით, როცა ბრალდებულის დაკითხვის დროს ბრალდების ცალკეული პუნქტები და მათი დასაბუთება უფრო ცხადად გამოიკვეთება და გასაგები გახდება. ამგვარ პირობებში დამცველის მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მეტისმეტად არახელსაყრელი და მძიმეა, მაგრამ ესეც განზრახ კეთდება. საქმე ისაა, რომ კანონს დაცვა საჭიროდ არ მიაჩნია, იგი მხოლოდ ითმენს მას და ამჟამად იმაზეც კი დავობენ, კანონში თუა ნამდვილად შესაბამისი მუხლი, რომელიც დაცვის მოთმენას ითვალისწინებს, ამიტომ, მართალი თუ გინდათ იცოდეთ, სასამართლოს მიერ აღიარებული ვექილები საერთოდ არ არსებობენ, ხოლო ის, ვინც ამ სასამართლოს წინაშე დამცველის როლში გამოდის, ძირითადად მაინც თაღლითია. რა თქმა უნდა, ამგვარი მდგომარეობა ძალზე ამცირებს ვექილებს და თუ კ-ს ამ დღეებში

კიდევ ერთხელ მოუწევს სასამართლოს კანცელარიებში ყოფნა, შეუძლია დაათვალიეროს დამცველთა ოთახიც, რათა მასზეც ჰქონდეს წარმოდგენა. მას ალბათ დააფრთხობს იქ თავმოყრილი საზოგადოება. თუ რა აბუჩად ჰყავთ აგდებული სასამართლოში ვექილები, უპირველეს ყოვლისა, ამაზე მეტყველებს მათთვის მიჩენილი ვიწრო, დაბალჭერიანი ოთახი. ამ ოთახში სინათლე ერთი ციცქნა სარკმლიდან შემოდის, სარკმელი ისე მაღლაა დატანებული, რომ თუ ვინმეს გარეთ გახედვა მოუნდება, ჯერ უნდა იპოვოს კოლეგა, რომელიც ზურგზე შეიყენებს, შემდეგ კი იქვე ამოყვანილი ბუხრის კვამლი ეცემა ცხვირში და სახეს შავად გაუმურავს. ამ ოთახის იატაკში — ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა მდგომარეობაშია იქაურობა — უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ხვრელი გაჩნდა, იმოდენა კი არა, რომ შიგ ადამიანი გაეტიოს, მაგრამ საკმაოდ დიდი იმისათვის, რომ ცალი ფეხი ჩაგივარდეს. ვექილთა ოთახი ზედა სხვენზეა, ამრიგად, თუ ვინმეს ხვრელში ფეხი ჩაუვარდება, მისი ფეხი ქვედა სხვენის ჭერზე დაეკიდება, სწორედ იმ დერეფნის თავზე, სადაც მომჩივან-მოპასუხენი სხედან.

ამიტომ რა გასაკვირია, ვექილთა წრეში ასეთი მდგომარეობა სამარცხვინოდ რომ მიაჩნიათ. უფროსებთან ჩივილი არავითარ შედეგს არ იძლევა, ვექილებს კი უმკაცრესად აუკრძალეს ამ ოთახში თავიანთი ხარჯით რაიმეს შეცვლა, მაგრამ ვექილებისადმი ამგვარი დამოკიდებულებაც დასაბუთებულია. ყველანაირად ცდილობენ, დაცვა პროცესიდან გამორიცხონ, ბრალდებული თვითონ უნდა გაუმკლავდეს თავის საქმეს. სიმართლე რომ ითქვას, ცუდი აქ არაფერია, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს ამ სასამართლოში ბრალდებულს ვექილი არ სჭირდება. პირიქით, არც ერთ სხვა სასამართლოში არ სჭირდება დამცველი ბრალდებულს ისე, როგორც აქ, რადგან საქმე არა მარტო საზოგადოებისაგან ფარულად ირჩევა, არამედ ბრალდებულისაგანაც — რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შესაძლებლობა კი აქ უამრავია. საქმე ისაა, რომ სასამართლოს ოქმები თვით ბრალდებულისთვისაც კი ხელმიუწვდომელია, ხოლო დაკითხვების მიხედვით მეტისმეტად ძნელია დასკვნა, რომელი ოქმი უდევს საფუძვლად ბრალდებას, ამ საქმეში გარკვევა განსაკუთრებით უჭირს ბრალდებულს, რომელიც არაობიექტურია და ათასგვარი საზრუნავი აქვს, რაც თავგზას უბნევს. აი, სწორედ ამ დროს ერევა საქმეში ვექილი. საერთოდ, ვექილს უფლება არა აქვს დაკითხვას დაესწროს, ამიტომ დაკითხვის შემდეგ, თუ ეს შესაძლებელია, იქვე გამომძიებლის ოთახის კართან უნდა დასცინცლოს ბრალ-

ოდებულს, რას ეკითხებოდნენ და ხშირად ამ უკვე სიზუსტეს
მოკლებული მონაცემების მიხედვით შეარჩიოს ის, რაც დაცვას გამოადგება. მაგრამ უმთავრესი არც ესაა, რადგან ამ გზით ბევრს ვერაფერს გაიგებ, თუმცა ისევე, როგორც ყველგან, გონიერი კაცი ამ შემთხვევაშიც სხვებზე მეტს მიხვდება, მაგრამ უმთავრესი მაინც ვექილის პირადი ნაცნობობაა, სწორედ ამით ფასდება დაცვის ნამდვილი ღირებულება. კ. ალბათ პირადი გამოცდილებითაც დარწმუნდა, რომ სასამართლო აპარატის ქვედა ინსტანციის ორგანიზაცია მთლად სრულყოფილი არაა, იქ მრავლადაა მოვალეობის უგულვებელმყოფელი, ქრთამის მოყვარული მოხელე, რის გამოც სასამართლოს მტკიცედ შეკრულ სისტემაში ალაგ-ალაგ ბზარი ჩნდება. მაგრამ სწორედ ეს გახლავთ ვექილთა შესაძვრომი ხვრელი, ამ ბზარის მეშვეობით ხდება მოხელეთა მოქრთამვა და სხვისი ლაპარაკის მოსმენა, ხოლო ძველ დროში თურმე სასამართლო საქმეებსაც კი იპარავდნენ. არ შეიძლება იმის უარყოფა, თითქოს ამ გზით ბრალდებულებს ცოტას მაინც არ შველოდნენ, წვრილფეხა ვექილები სწორედ ამით ამაყობენ ყველგან და ახალ-ახალ კლიენტებს იზიდავენ, მაგრამ პროცესის შემდგომი მსვლელობისათვის ეს ან სრულიად არაფერს არ ნიშნავს, ანდა თუ ნიშნავს, სახეიროს არაფერს. მაგრამ ნამდვილი ღირებულების შემცველი მხოლოდ პირადი კეთილსინდისიერი ნაცნობობაა, განსაკუთრებით მაღალი რანგის მოხელეებთან, რა თქმა უნდა, საუბარი ეხება მხოლოდ დაბალი კატეგორიის მაღალი რანგის მოხელეებს. მარტო ამ გზით შეიძლება გავლენა მოახდინო პროცესის მსვლელობაზე, ჯერ მხოლოდ შეუმჩნევლად, მერე და მერე კი თვალნათლივ. მაგრამ ამის შესაძლებლობა ვექილთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს და ამ შემთხვევაში კ-ს ბედმა გაუღიმა, მისი არჩევანი სწორი გამოდგა. მხოლოდ ორ-სამ ვექილს ჰყავს ისეთი ნაცნობები, როგორიც დოქტორ ჰულდს. შისნაირებს, რა თქმა უნდა, არაფერი საქმე არა აქვთ ვექილთა ოთახის წარმომადგენლებთან და მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სასამართლოს მოხელეებთან. დოქტორ ჰულდს არც სჭირდება სასამართლოში სიარული, საგამომძიებლო ორგანოების კარების წინ ატუზვა, ლოდინი, იქნებ რომელიმე მოხელე გამოჩნდეს და მისი გუნება-განწყობის მიხედვით რაიმე შედეგს მივაღწიოო, თანაც შედეგი თითქმის ყოველთვის მოჩვენებითია, და ზოგჯერ ამასაც ვერ აღწევ. კ-მ ხომ საკუთარი თვალით ნახა, მოხელეები და საკმაოდ მაღალი რანგის მოხელეებიც კი თავის ფეხით მოდიან აქ და სიამოვნებით აწვდიან ცნობებს შეუფარავად ან ისე, რომ ადვილი მისახვედრი იყოს, მსჯელობენ პროცესების შემდგომ ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევაში იმის ნებასაც აძლევენ, გადააჯეროს ისინი და სიამოვ-

ნებით იზიარებენ მის თვალსაზრისს. თუმცა ამ მხრივ მათ დიდად ვერ ენდობი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა დაბეჯითებით გამოთქვამენ დაცვისათვის ხელსაყრელ ახალ მოსაზრებას და ირწმუნებიან, ძველ თვალსაზრისზე საბოლოოდ აკიღეთ ხელიო, ადვილი შესაძლებელია აქედან პირდაპირ კანცელარიაში წავიდნენ და სასამართლოს მეორე დღისათვის სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება უკარნახონ, რაც შეიძლება ბრალდებულისათვის ბევრად უფრო მკაცრი აღმოჩნდეს, ვიდრე მათი პირველი დასკვნა იყო. დაცვა საერთოდაც რომ არ ცდილობდეს ამ ვაჟბატონთა კეთილგანწყობილების შენარჩუნებას, ამისაგან თავს მაინც ვერ დაიცავს, რადგან ის, რაც ერთმანეთს პირისპირ უთხრეს, ასევე რჩება პირისპირ ნათქვამად და ოფიციალურ შედეგზე გავლენას ვერ ახდენს. მეორე მხრივ, მართალია ისიც, რომ მაღალი რანგის მოხელეები უკავშირდებიან ვექილებს, ცხადია, მხოლოდ კომპეტენტურ ვექილებს, არა მარტო მეგობრული გრძნობებისა ან კაცთმოყვარეობის კარნახით, ისინი ერთგვარად დამოკიდებულნიც კი არიან დაცვაზე. სწორედ აქ მყღავნდება ნაკლი სასამართლო ორგანიზაციისა, რომელმაც იმთავითვე დააწესა ფარული სასამართლო. მოხელეები ვერ ამყარებენ ფართო კავშირს მოსახლეობასთან. მართალია, საშუალო პროცესებისათვის ისინი ჩვეულებრივ, კარგად არიან მომზადებულნი და ასეთი პროცესები შეუფერხებლად მოგორავენ თავის გზით, მხოლოდ აქა-იქ სჭირდებათ ხელის წაკვრა, მაგრამ ძალიან ადვილი და ძალიან მძიმე პროცესების დროს ხშირად უმწეონი არიან, რადგან გამუდმებით, დღე და ღამე, თავიანთი კანონების მარწუხებში მოქცეულთ სწორედ არ ესმით ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება. ასეთ შემთხვევაში კი ეს უაღრესად საჭიროა. სწორედ ამ დროს მოდიან ვექილთან რჩევის საკითხავად და უკან მოჰყვებათ შიკრიკი, რომელსაც თან მოაქვს ის საქმეები, ჩვეულებრივ საიდუმლოდ რომ ინახება. აი ამ ფანჯარასთან შეიძლებოდა თვალი მოგეკრათ ზოგიერთი ვაჟბატონისათვის, ვისთან შეხვედრასაც ყველაზე ნაკლებად მოელის კაცი ასეთ ადგილას, დაინახავდით, რა უნუგეშოდ გასცქეროდნენ ქუჩას, სანამ ვექილი საწერ მაგიდასთან იჯდა და საქმეს ჩაჰკირკიტებდა, რათა მერე გონივრული რჩევა მიეცა მათთვის. სწორედ ასეთ ვითარებაში ამჩნევენ ყველაზე უკეთ, რა სერიოზულად ეკიდებიან ეს ვაჟბატონები თავიანთ პროფესიას და რა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს ისინი იმ დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვა არ ხერხდება თვით ამ დაბრკოლებათა ბუნების გამო. დიდ მოხელეთა მდგომარეობა არც სხვა მხრივაა სახარბიელო. მათ სამსახურს რომ ადვილი უწოდო, უსამართლო კაცი უნდა იყო. სასამართლოს საფეხურები და მო-

ხელეთა რანგები უსასრულოა და ამ საკითხში გარკვევა საქმეში ჩახედულ კაცსაც კი უჭირს. საერთოდ, სასამართლოში საქმის წარმოება დაბალი რანგის მოხელეებისთვისაც კი გასაიდუმლებულია, რის გამოც მათ თითქმის არ შეუძლიათ თვალყური ადევნონ იმ საქმეთა შემდგომ მსვლელობას, თვითონ რომ ამუშავებდნენ. ამრიგად, როცა სასამართლო საქმე მათ ხელში აღმოჩნდება, ხშირად არც კი იციან, საიდან მოვიდა და ვერც იმას იგებენ, საით მიდის. მაშასადამე, პროცესის ცალკეული ეტაპების, საბოლოო გადაწყვეტილებისა და მათი მიზეზების შესწავლა ამ მოხელეებს არაფერში არგია. მათ მხოლოდ პროცესის იმ ეტაპზე მიუწვდებათ ხელი, მათთვის რომ კანონითაა შემოფარგლული, ხოლო დანარჩენზე, ანუ საკუთარი მუშაობის შედეგებზე, გაცილებით ნაკლები იციან, ვიდრე დაცვამ, რომელიც, როგორც წესი, ბრალდებულთან პროცესის დამთავრებამდეა დაკავშირებული. ამგვარად, დამცველს ამ მხრივაც შეუძლია მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდოს მათ. თუ კ. ყველაფერ ამას გაითვალისწინებს, მაშინ არ უნდა უკვირდეს, რომ მოხელეები გაღიზიანებულნი არიან და თავიანთ სიფიცხეს დაზარალებულთა მიმართ ხშირად მეტისმეტად შეურაცხმყოფელ ფორმებში ავლენენ, რაშიც ყოველი ბრალდებული საკუთარი გამოცდილების საფუძველზე რწმუნდება. მოხელეები მაშინაც კი გაღიზიანებულნი არიან, როცა მშვიდად გამოიყურებიან და ამის გამო, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად წვრილფეხა ვექილები იტანჯებიან. მაგალითად, ამბავი, რომელსაც ყვებიან, ძაილან ჰგავს სინამდვილეს. ერთი ხნიერი მოხელე, კეთილი, უწყინარი ადამიანი, მთელი დღეღამე სწავლობდა უაღრესად ძნელ საქმეს, რომელიც ვექილის შუამდგომლობების წყალობით მეტისმეტად აირ-დაირია — ამ მოხელეებს სიბეჯითეში მართლაც ვერავინ შეედრება. — მას შემდეგ, რაც ოცდაოთხი საათი თითქმის უშედეგოდ იმუშავა, დილით შემოსასვლელში კარს უკან დაიმალა და ყელა ვექილი, ვინც კი შესვლა დააპირა, კიბეზე დააგორა. ვექილებმა ქვევით, კიბის ძირში მოიყარეს თავი და მოითათბირეს, როგორ მოქცეულიყვნენ. ერთი მხრივ, მათ უფლება არ ჰქონდათ შეშვება მოეთხოვათ, ამიტომ კანონის ძალით მოხელეს ვერაფერს დააკლებდნენ, გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვით, უნდა მორიდებოდნენ იმ ამბავსაც, რომ მოხელეები თავიანთ წინააღმდეგ განეწყოთ. მეორე მხრივ კი ის დღე, როცა სასამართლოში არ მივიდოდნენ, მათთვის დაკარგული იყო, და ამიტომ სასამართლოში შეუსვლელობა ხელს არ აძლევდათ. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს მოხუცი მოექანცათ. ხან ერთ ვექილს აგზავნიდნენ მაღლა, ხან მეორეს, ვექილი კიბეს აირბენდა, მოხუცს ვითომცდა გაუძალიანდებოდა და მანამ-

დე არ ეშვებოდა, სანამ კიბიდან არ გადმოაგდებინებდა თავს, ძირს კი მას კოლეგები იჭერდნენ. ასე გრძელდებოდა დაახლოებით ერთი საათი, რის შედეგადაც ხნიერი მოხელე, რომელიც ისედაც დაღლილი იყო მთელი ღამის მუშაობით, ქანცგაწყვეტილი კანცელარიაში დაბრუნდა. ვექილებმა პირველად მისი წასვლა არც დაიჯერეს, ერთ-ერთი ვექილი აგზავნეს, გაიგე, კარს უკან ხომ არ დგასო და მხოლოდ ამის შემდეგ ავიდნენ ზევით, თავიანთ ოთახში შელაგდნენ და აბუზღუნებაც კი ვერ გაბედეს. ვექილებს — ყველაზე უმაქნის ვექილსაც კი ნაწილობრივ მაინც შეუძლია გაერკვეს საქმის ვითარებაში — აზრადაც არ მოსდით რაიმე ცვლილებები ან გაუმჯობესებანი შეიტანონ სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში. ამავე დროს კი — და ეს უაღრესად დამახასიათებელია — თითქმის ყველა ბრალდებული, ყველაზე გონებაჩლუნგიც კი, პროცესში ჩაბმისთანავე ფიქრობს იმ წინადადებებზე, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება საქმის წარმოების გაუმჯობესება და ხშირად ამაზე ხარჯავს იმ დროსა და ენერგიას, რის სხვაგვარად გამოყენება გაცილებით უკეთ შეიძლებოდა. ერთადერთი სწორი პოზიცია არსებულ ვითარებასთან შეგუებაა. ზოგიერთი წვრილმანის გაუმჯობესება შესაძლებელიც რომ იყოს, — რაც უაზრობამდე მისული ცრურწმენაა — მაშინ შესაძლოა მომავალი პროცესებისათვის მაინც გააკეთო რამე, მაგრამ ამით საკუთარ ოავს დიდად ავნებ; მოხელეთა ყურადღებას მიიქცევ და ისინიც ეცდებიან შური იძიონ. მთავარია, ყურადღება არ მიიქციო, მშვიდად მოიქცე იმ შემთხვევაშიც კი, როცა გონება გეურჩება! უნდა შეიგნო ის ამბავი, რომ სასამართლო უზარმაზარი ორგანიზაცია ყოველთვის გაურკვეველ მდგომარეობაშია და თუ შენთვის მიჩნეულ ადგილზე თვითნებურად რაიმეს შეცვლი, შეიძლება ფეხქვეშ ნიადაგი გამოგეცალოს და უფსკრულში გადაიჩეხო. დიდი ორგანიზმი კი ამ პატარა დარღვევას სხვა ადგილას — ყველაფერი ხომ ერთმანეთთანაა დაკავშირებული — იოლად მოუნახავს შემცველს. და უცვლელი რჩება, თუ კიდევ უფრო კარჩაკეტილი, ფრთხილი, მკაცრი და ბოროტი არ გახდა, რაც სულ ადვილად შეიძლება მოხდეს. საქმის წახდენას ისევ ის სჯობია, ვექილს მიენდო. საყვედურებს არავისთვის არ მოაქვს სიკეთე, მით უმეტეს მაშინ, თუ ადამიანს ვერ გააგებინებ, რა მიზეზით უსაყვედურებ და რა მნიშვნელობას ანიჭებ ამას, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ კ-მ დიდად ავნო საკუთარ თავს კანცელარიის დირექტორისადმი უდიერი მოპყრობით. ეს გავლენიანი კაცი უკვე ამოსაშლელია იმათი სიიდან, ვისაც შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია კ-სათვის. ახლა იგი განგებ იყრუებს თავს, როცა ლაპარაკი კ-ს პროცესზე ჩამოვარდება. ზოგჯერ სასამართ-

ლოს მოხელეები ბავშვებივით იქცევიან. ხშირად უმნიშვნელო რამ, სამწუხაროდ, კ-ს იმდღევანდელი მოქცევა ამგვარ კატეგორიას არ განეკუთვნება, ისე შეურაცხყოფს მათ, რომ კარგ მეგობრებსაც კი აღარ ელაპარაკებიან, შეხვედრის დროს ზურგს აქცევენ და სადაც კი ხელი მიუწვდებათ, მათ წინააღმდეგ მოქმედებენ. შემდეგ კი, სრულიად მოულოდნელად ყოვლად უმიზეზოდ, შეიძლება სულ პატარა ხუმრობაზეც კი გააცინო, რასაც მხოლოდ იმიტომ ბედავ, რომ ყველაფერზე ხელი გაქვს ჩაქნეული, და მაშინვე გირიგდებიან. მათთან ურთიერთობა ძნელიცაა და ადვილიც, რაიმე წესზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. ზოგჯერ გაკვირვებს ის ამბავი, ერთი ადამიანის სიცოცხლე როგორ ყოფნის იმდენი ცოდნის შეძენას, ზოგჯერ მაინც სამუშაოს წარმატებით გაართვა თავი. მართალია, ხანდახან, ისევე როგორც ყველას, შენც გეძალება უგუნებობა, ფიქრობ, ვერავითარ წარმატებას ვერ მივაღწიეო და გგონია, მხოლოდ ის პროცესები დამთავრდა კარგად, რომელთა კეთილად დამთავრება იმთავითვე იყო განპირობებული და ასევე დამთავრდებოდა ყოველგვარი დახმარების გარეშეც. ყველა დანარჩენი პროცესი კი, მიუხედავად სირბილისა, გარჯისა, პატარ-პატარა მოჩვენებითი წარმატებებისა, ასე რომ გახარებდა, წაგებულია. ასეთ შემთხვევაში საკუთარი თავისადმი რწმენას კარგავ და პასუხსაც კი ვერ იძლევი, როცა გეკითხებიან, მართალია თუ არა, რომ ზოგიერთი პროცესი, რომელიც კარგად უნდა დამთავრებულიყო, შენი ჩარევის შედეგად წაგებული აღმოჩნდაო. ერთადერთი, რასაც ამ დროს ებღაუჭები, რაღაცნაირი შინაგანი თავდაჯერებულობაა. ასეთი შეტევები — ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ შეტევებია და სხვა არაფერი — ვექილებს განსაკუთრებით მაშინ მოსდით, როცა ხელიდან აცლიან საქმეს, რომელსაც დიდხანს და დამაკმაყოფილებლად უძღვებოდნენ. ამაზე უარესი ვექილს არაფერი არ შეიძლება დაემართოს. საქმეს მათ ბრალდებული კი არ ართმევს, ასეთი რამ ალბათ არასოდეს მომხდარა, თუ ბრალდებულმა ვექილი ერთხელ აიყვანა, მიუხედავად ყველაფრისა, ბოლომდე მისი კლიენტია, როგორ შეუძლია მარტო გაუმკლავდეს საქმეს, თუკი ერთხელ მაინც ისარგებლა დახმარებით. ამგვარად, ბრალდებული ვექილს აცილებას არ აძლევს, მაგრამ ზოგჯერ სულ სხვა რამ ხდება, პროცესი ისეთ გზს იღებს, რომ ვექილს უფლება აღარ აქვს საქმეს მისდიოს. ვექილს ართმევენ პროცესსაც, ბრალდებულსაც და საერთოდ ყველაფერს; ამჯერად მას მოხელეებთან საუკეთესო ურთიერთდამოკიდებულებაც კი ვერ შველის, რადგან მათაც არაფერი არ იციან. პროცესი ისეთ სტადიაში შევიდა, სადაც არავითარი დახმარება აღარ შეიძლება. ახლა უკვე საქმეს მიუწვდომელი სასამართ-

ლოები იხილავენ და ვექილს ბრალდებულამდე ხელი აღარ მიუწვდება. ამის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს შინ ბრუნდები და მაგიდაზე გეხვდება ყველა ის შუამდგომლობა, ასეთი რუდუნებით რომ შეადგინე და სასამართლოში დიდი იმედით შეიტანე. ისინი მხოლოდ იმიტომ დააბრუნეს უკან, რომ პროცესის ახალ ეტაპზე მათი გამოყენება აკრძალულია და ამიტომ ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულ ქაღალდის ნაფლეთებსღა წარმოადგენენ. თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ პროცესი წაგებულია, სრულიადაც არა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვარაუდისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, უბრალოდ, პროცესის თაობაზე აღარაფერი იცი და ვერც ვერაფერს გაიგებ. საბედნიეროდ ასეთი შემთხვევები იშვიათია და კ-ს პროცესი ამგვარიც რომ აღმოჩნდეს, იგი ხომ ჯერჯერობით ძალიან შორსაა მსგავსი ეტაპისაგან. ამიტომ ვექილს ჯერ კიდევ აქვს მუშაობის ფართო გაშლის შესაძლებლობა და კ-ს ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ იგი ამ შესაძლებლობას გამოიყენებს. მართალია, როგორც უკვე ვთქვით, შუამდგომლობა ჯერ კიდევ არ არის შეტანილი, მაგრამ ეს არც ისე საჩქაროა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია წინასწარი მოლაპარაკება გავლენიან მოხელეებთან და ამ მიზნით იყო კიდეც გადადგმული გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მოლაპარაკება ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს. გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ჯერჯერობით კ-ს არ გაუმხელს ზოგ რამეს, ამან შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს მასზე, ან ძალიან დაიმედოს, ანდა ძალიან შეაშინოს, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზოგიერთმა მოხელემ საკმარისი კეთილგანწყობილება გამოიჩინა მის მიმართ და გამოთქვა მზადყოფნა დახმარება აღმოუჩინოს, ზოგიერთები კი ნაკლებად კეთილგანწყობილნი არიან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ითქმის ის, რომ დახმარებაზე უარს ამბობენ. ამგვარად, საერთო შედეგები გამამხნევებელია, მაგრამ რაიმე დასკვნის გამოტანა ჯერ ნაადრევია, რადგან ყველა წინასწარი მოლაპარაკება ერთნაირად იწყება და მხოლოდ საქმის შემდგომი განვითარება დაგვანახვებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო წინასწარი მოლაპარაკება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით დაკარგული არაფერია და თუ მიუხედავად ყველაფრისა კვლავ მოხერხდება კანცელარიის დირექტორის გულის მოგება, — ამ მხრივ უკვე საკმაოდ ბევრი ნაბიჯია გადადგმული, — მაშინ ქირურგების თქმისა არ იყოს, საქმე გვექნება სუფთა ჭრილობასთან და მშვიდად შეგვიძლია დაველოდოთ, რა მოჰყვება ამას.

ასეთი და ამდაგვარი საუბარი ვექილს არასოდეს ელეოდა და ყოველი ვიზიტის დროს მეორდებოდა. საქმე თითქოს წინ მიდიოდა, თითქოს წარმატებითაც, მაგრამ ვექილი არასოდეს

უმხელდა, მაინც რა წარმატება იყო ეს. ამავე დროს ჰულდი პირველ შუამდგომლობაზე თავაუღებლივ მუშაობდა და ვერაფრით ვერ ამთავრებდა; შემდეგი სტუმრობისას თავს იმართლებდა, კიდევ კარგი ასე მოხდა, ბოლო დღეები თხოვნის შესატანად ყველაზე არახელსაყრელი იყოო, თუმცა ამის წინასწარ განჭვრეტა არავის შეეძლო. ხოლო როცა სიტყვების ფრქვევით გადაქანცული კ. ზოგჯერ იტყოდა, ყველა სიძნელეს ვითვალისწინებ და მაინც მგონია, საქმე მეტისმეტად ნელა მიიწევს წინო, მას ეუბნებოდნენ, საქმე არც ისე ნელა მიიწევს წინ, მაგრამ გაცილებით მეტი გაკეთდებოდა, ვექილისათვის რომ დროზე მიგემართათო. სამწუხაროდ, მან დრო დაკარგა, ეს დაყოვნება კი საკმაოდ ძვირად დაუჯდება და არა მარტო დროის თვალსაზრისით.

ერთადერთი სიხარული, რასაც ვექილთან შეხვედრისას განიცდიდა, ლენის ოთახში შემოცქრიალება იყო. ქალიშვილი ყოველთვის ახერხებდა, ვექილისათვის ჩაი კ-ს იქ ყოფნის დროს მიერთმია და კ-ს ზურგს უკან გაჩერებული თავს იკატუნებდა, თითქოს მხოლოდ იმას უყურებდა, რა სიხარბით ისხამდა მოკუნტული ვექილი ჩაის ფინჯანზე და ხვრეპდა, ხოლო კ-ს უფლებას აძლევდა ხელი ხელზე მოეჭირა ფარულად. ამ დროს ოთახში სიჩუმე ისადგურებდა. ვექილი ჩაის სვამდა, კ. ლენის ხელს უჭერდა და ზოგჯერ ქალიშვილი იმასაც კი ბედავდა, ვაჟისათვის ნაზად გადაესვა ხოლმე თმაზე ხელი.

— შენ კიდევ აქა ხარ? — ეკითხებოდა ვექილი ლენის, როცა ფინჯანს დაცლიდა.

— ჭურჭელი ხომ უნდა გავიტანო,—უპასუხებდა ლენი და კ-ს კიდევ ერთხელ, უკანასკნელად მოუჭერდა ხელზე ხელს. ვექილი კი ტუჩებს მოიწმენდდა და ძალამოცემული კვლავ გაუბამდა კ-ს საუბარს.

კ-ს ვერაფრით ვერ გაეგო, ვექილი ანუგეშებდა თუ ცდილობდა გული გაეტეხა მისთვის, მაგრამ საქმე რომ საიმედო კაცის ხელში არ იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, იქნებ ყველაფერი, რასაც ვექილი უამბობდა, მართალი იყო, მაგრამ ისიც ცხადად ჩანდა, შემძლე კაცად რომ მოჰქონდა თავი და ალბათ არასოდეს არ მოუკიდია ხელი ისეთი მძიმე პროცესისათვის, როგორიც ვექილის აზრით, კ-ს პროცესი იყო. ეჭვს იწვევდა მისი პირადი ნაცნობობაც სასამართლოს მოხელეებთან, რასაც წამდაუწუმ უსვამდა ხაზს. ნეტავ ეს ნაცნობობა ერთხელ მაინც თუ გამოიყენა კ-ს სასარგებლოდ? ვექილი წარამარა ახსენებდა კ-ს, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ დაბალი რანგის მოხელეებს, ანუ სხვებზე დამოკიდებულ ადამიანებს, რომელთა დაწინაურებისათვის პროცესის მსვლელობაში ამა თუ იმ გადახრას ალბათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იქნებ ისინი ვექილს იმისათვის იყენებდნენ, რომ პროცესი ბრალდებულისათვის ასე არახელსაყრელად გადახრილიყო? იქნებ მოხელეები სხვა პროცესების დროს ასე არ იქცეოდნენ, ამგვარი რამ არც არის დასაჯერებელი, თუმცა უთუოდ გამოერეოდა ისეთი პროცესებიც, როცა მოხელეებმა ვექილს სამაგიერო მიუზღეს გაწეული სამსახურისათვის, რადგან თვითონვე იყვნენ დაინტერესებულნი, წმინდად შეენახათ ვექილის რეპუტაცია. მაგრამ თუ საქმე მართლაც ასეა, მაშინ როგორ ჩაერევიან კ-ს პროცესში, რომელიც ვექილის მტკიცებით მეტისმეტად მძიმე და მნიშვნელოვან პროცესად ითვლება და თავიდანვე მიიქცია სასამართლო ორგანოების დიდი ყურადღება? მათი შემდგომი განზრახვა ეჭვს არ იწვევდა. ამას ისიც ასაბუთებდა, რომ პირველი შუამდგომლობა ჯერაც არ იყო სასამართლოში შეტანილი, თუმცა პროცესი რამდენიმე თვე გრძელდებოდა და ვექილის თქმით ჯერ კიდევ არ გასცდენია საწყის სტადიას. ეს ამბავი კი დიდად უწყობდა ხელს იმას, რომ მოედუნებინათ ბრალდებულის ყურადღება, განეიარაღებინათ იგი და მოულოდნელად თავს დაეტეხათ განაჩენი ან უკიდურეს შემთხვევაში, ეცნობებინათ, გამოძიება თქვენ სასარგებლოდ არ დამთავრდა და საქმე უფრო მაღალ ინსტანციაში გადაიტანესო.

არა, კ. უსათუოდ უნდა ჩაერიოს საქმეში. სწორედ ზამთრის ამ დილას, როცა უზომოდ დაღლილი უნებურად კვლავ თავის პროცესზე ფიქრს მისცემოდა, დარწმუნდა, რომ სხვა გზა არ იყო. გაქრა ის ზიზღი, ადრე რომ პროცესის მიმართ ჰქონდა. მარტო რომ ყოფილიყო ამქვეყნად, პროცესს არაფრად ჩააგდებდა. მაგრამ ახლა, როცა ბიძამ ვექილთან მიათრია, ანგარიში უნდა გაეწია ოჯახური ურთიერთდამოკიდებულებისათვისაც; გარდა ამისა, მისი სამსახურებრივი მდგომარეობაც უკვე პროცესის მსვლელობაზე იყო დამოკიდებული, რადგან კ-მ წინდაუხედავად და ერთგვარი აუხსნელი თვითკმაყოფილებითაც კი თვითონ ახსენა პროცესი ნაცნობებთან, ხოლო სხვებმა რა გზით გაიგეს ეს ამბავი, ღმერთმა უწყის. ფროილაინ ბიურსტნერთან მისი დამოკიდებულებაც პროცესის მსვლელობის შესაბამისად იცვლებოდა — ერთი სიტყვით, აღარავინ ეკითხებოდა, მიიღებ თუ არა ამ პროცესსო, მან ღრმად შეტოპა და ახლა თავი უნდა დაეცვა, ხოლო თუ დაიღალა, მით უარესი მისთვის.

მიუხედავად ამისა, ზედმეტად შემაშფოთებელი ჯერჯერობით არაფერი იყო. კ-მ მოახერხა მოკლე დროში ბანკში მაგრად მოეკიდებინა ფეხი და საკმაოდ მაღალი თანამდებობა დაეკავებინა, ყველამ აღიარა მისი გამჭრიახობა, ახლა კი მთელი თავისი ნიჭი, რომლის წყალობითაც ამდენს მიაღწია, ნაწი-

ლობრივ პროცესისათვისაც უნდა გამოიყენოს და ეჭვი არ ეპარებოდა, თუ ასევე იმარჯვებდა, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, მაგრამ თუ მართლა სურს რაღაცას მიაღწიოს, ამთავითვე უნდა გამორიცხოს ყოველგვარი ფიქრი საკუთარ დანაშაულზე. არავითარი დანაშაული არ არსებობს. მთელი ეს პროცესიც, უბრალოდ, ასეთივე დიდ საქმესა ჰგავს, რომლისთვისაც კ-ს ხშირად მოუბია თავი ბანკის სასარგებლოდ და ამგვარ საქმეს, როგორც წესი, ყოველთვის თან ახლავს ყველანაირი საფრთხე, და სწორედ ეს საფრთხე უნდა აიცილოს თავიდან. ხოლო ამ მიზანს რომ მიაღწიო, არამც და არამც არ უნდა იფიქრო რაიმე დანაშაულზე, საჭიროა მხოლოდ აწონ-დაწონო, რა არის შენთვის ხელსაყრელი. აქედან თავისთავად გამომდინარეობდა ის დასკვნა, რომ ვექილი რაც შეიძლება მალე ჩამოეცილებინა გზიდან და აჯობებდა, თუ საღამოსვე გადადგამდა ამ ნაბიჯს. მართალია, ვექილის აზრით ასეთი რამ გაუგონარი პრეცედენტი იქნებოდა და თანაც უაღრესად შეურაცხმყოფელი, მაგრამ კ-ს აღარ შეეძლო მოეთმინა, მთელი მისი მეცადინეობა ამ პროცესის წასამართავად წაწყდომოდა მთელ რიგ დაბრკოლებებს, რასაც შესაძლოა თვით მისი ვექილი უწყობდა ხელს. ხოლო როცა ვექილს თავიდან მოიცილებს, შუამდგომლობას მაშინვე შეიტანს სასამართლოში და დღენიადაგ ყველაფერს იღონებს, რათა მისი შუამდგომლობა გაითვალისწინონ. ამ მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იქნება, სხვებივით დერეფანში ჯდომა და ქუდის მერხქვეშ დადება. ან პირადად მან, ან ნაცნობმა ქალებმა, ანდა საამისოდ შერჩეულმა პირმა ყოველდღე უნდა შეაწუხონ მოხელეები და აიძულონ, გისოსებიდან დერეფანში კი არ იცქირებოდნენ, არამედ თავიანთ მაგიდებს მიუსხდნენ და კ-ს შუამდგომლობა შეისწავლონ. ასეთ დროს არ უნდა მოდუნდე, ყველაფერი უნდა მოაგვარო და მოაწესრიგო, სასამართლო ერთხელ მაინც უნდა გადააწყდეს ისეთ ბრალდებულს, ვისაც თავის უფლებების დაცვა შეუძლია.

კ-ს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყოველივე ამას ხორცს შეასხამდა, მაგრამ ერთადერთი დამთრგუნველი სიძნელე შუამდგომლობის შედგენა იყო. ადრე, თუნდაც ერთი კვირის წინ, კ-ს მხოლოდ სირცხვილის გრძნობა ეუფლებოდა, როცა ფიქრობდა, შეიძლება ამგვარი ქაღალდის შედგენა დამჭირდესო; ვერაფრით ვერ წარმოედგინა, ეს საქმე თუ ასეთი ძნელი აღმოჩნდებოდა. კ-ს გაახსენდა, რომ ერთხელ დილით, როცა უამრავი სამუშაო ჰქონდა, უეცრად ყველაფერი განზე გადადო, ბლოკნოტი მოიმარჯვა და სცადა ამგვარი შუამდგომლობისათვის საჭირო აზრთა თანმიმდევრობა შავად მოეხაზა, რაც შემდეგ შეიძლება მოუქნელი ვექილისათვის გადაეცა,

მაგრამ სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა დირექტორის მოადგილე, რომელიც ხმამაღლა იცინოდა. კ-ს ძალზე უსიამო გრძნობა დაეუფლა, თუმცა დირექტორის მოადგილის სიცილის მიზეზი შუამდგომლობა კი არ იყო,— ამის თაობაზე მან არაფერი იცოდა; — ბირჟასთან დაკავშირებული ანეკდოტი უამბეს ახლახან და იმაზე იცინოდა. ანეკდოტი რომ გაგეგო, საჭირო იყო რაღაცის დახატვა, ამიტომ დირექტორის მოადგილე კ-ს მაგიდისაკენ დაიხარა, ხელიდან ფანქარი გამოსტაცა და სწორედ იმ ბლოკნოტის ფურცელზე დაიწყო ხატვა, კ-მ რომ შუამდგომლობის დასაწერად მოიმარჯვა.

მაგრამ დღეს კ-ს ამისა აღარ რცხვენოდა, შუამდგომლობა აუცილებლად უნდა დაეწერა. თუ სამსახურში საამისოდ დროს ვერ გამონახავდა, რაც სავსებით შესაძლებელი იყო, მაშინ შინ ღამ-ღამობით შეუდგებოდა წერას. თუ ღამეებიც არ ეყოფოდა, შვებულებას აიღებდა. ოღონდ არ უნდა შეჩერებულიყო შუა გზაზე, რაც არა მარტო საქმეში, არამედ ყველგან და ყველაფერში უდიდეს უგუნურობად მიაჩნდა. შუამდგომლობის შედგენა თითქმის დაუსრულებელ შრომას მოითხოვდა. კაცი ბუნებით ძალიან მხდალიც რომ არ იყოს, მაინც ადვილად დარწმუნდებოდა, რომ ასეთი ქაღალდის შედგენა საერთოდ შეუძლებელია. და არა სიზარმაცის ან მზაკვრობის გამო, რაც შეიძლება ამ საქმეში ვექილს ხელს უშლიდა, არამედ იმიტომ, რომ არ იცნობ ბრალდებას და მის დანართებს და გინდა თუ არა, დაწვრილებით უნდა აღწერო შენი ცხოვრება. გაიხსენო ყოველი უმნიშვნელო ნაბიჯი თუ მოვლენა და ძირფესვიანად გადასინჯო. აი, რა მოსაწყენი სამუშაოსათვის უნდა მოეკიდა ხელი კ-ს. ასეთი რამ შეიძლება პენსიაზე გასვლის შემდეგ გამოდგომოდა გაბავშვებული გონების დასასაქმებლად და გრძელი დღეების შესამოკლებლად. მაგრამ ახლა, როცა კ-ს გამჭრიახი გონება სამსახურისათვს სჭირდებოდა, როცა დრო უჩვეულო სისწრაფით მიჰქროდა, ხოლო თვით კ. აღმავალი გზით მიდიოდა და დირექტორის მოადგილისათვის საფრთხეს წარმოადგენდა, როცა მას ახალგაზრდა კაცს, ცხოვრებით დატკბობა ეწადა და საამისოდ მხოლოდ მოკლე საღამოები და ღამეები რჩებოდა, უნდა დამჯდარიყო და შუამდგომლობა ეწერა. კ-ს კვლავ შეეცოდა საკუთარი თავი. თითქმის უნებურად, ოღონდ კი ამგვარი ფიქრები თავიდან მოეშორებინა. მან მისაღებ ოთახში გაყვანილი ელექტროზარის ღილაკს თითი დააჭირა და საათს შეხედა. თერთმეტი სრულდებოდა. ამდენი დრო, ძვირფასი ორი საათი ფიქრს შეალია და თანაც წინანდელზე მეტად დაიღალა. თუმცა დრო უქმად

მაინც არ დაუკარგავს, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც შეეძლო მისთვის სარგებლობა მოეტანა.

ფოსტასთან ერთად შიკრიკებმა შემოუტანეს ორი სავიზიტო ბარათი, რომელთა პატრონები თურმე დიდი ხანია ელოდებიან. ისინი ბანკის ფრიად საჭირო კლიენტები იყვნენ და მათი მოცდენა არაფრით არ შეიძლებოდა, „რატომ მოვედით ასეთ შეუფერებელ დროს ან რატომ ხარჯავს ბეჯითი პროკურისტი პირად საქმეებზე სამსახურისათვის განკუთვნილ, ყველაზე ძვირფას დროს?“ — ეკითხებოდნენ ახლა ალბათ თავის თავს დახურულ კარს მიღმა მსხდომი ბატონები. მომხდარი ამბებით დაღლილი და უარესის მოლოდინით დაქანცული კ. ფეხზე წამოდგა, რათა პირველ კლიენტს შეგებებოდა.

ეს იყო პატარა, მკვირცხლი ფაბრიკანტი, რომელსაც კ. კარგად იცნობდა. ფაბრიკანტმა მოუბოდიშა, მნიშვნელოვან საქმეებს მოგაცდინეთო, თავის მხრივ კ-მაც მოუხადა ბოდიში, ასე დიდხანს გალოდინეთო, მაგრამ მისი მობოდიშება მეტისმეტად მექანიკური, ყალბად ხაზგასმული იყო და ფაბრიკანტი უთუოდ მიაქცევდა ამას ყურადღებას, საკუთარი საქმით რომ არ ყოფილიყო ასე გატაცებული. ნაცვლად ამისა, მან სწრაფად ამოიღო ყველა ჯიბიდან ანგარიშები და ცხრილები, კ-ს წინ დაუწყო და განუმარტა ცალკეული პუნქტები, შეასწორა ანგარიშში დაშვებული მცირე შეცდომა, რაც ზერელედ გადახედვის დროს მოხვდა თვალში და კ-ს შეახსენა, ამ ერთი წლის წინათ ამგვარი ხელშეკრულება უკვე დამიდეთო, შემდეგ კი ვითომდა სხვათა შორის ახსენა, ამჯერად სხვა ბანკი მზადაა უდიდესი მსხვერპლი გაიღოს, ოღონდ კი მსგავსი ხელშეკრულება დავუდოო. ბოლოს, კ-ს აზრი რომ მოესმინა, ფაბრიკანტი გაჩუმდა. თავიდან კ. დიდი ყურადღებით უსმენდა, სარფიან საქმეზე ფიქრმა ისიც გაიტაცა, მაგრამ, სამწუხაროდ, მცირე ხნის შემდეგ ყურადღება მოუდუნდა, მოეშვა, აქაქანებულ ფაბრიკანტს მხოლოდ თავს უქნევდა, მერე ამასაც მოეშვა და იმასღა დასჯერდა, ქაღალდისაკენ დახრილი მელოტი თავისათვის ეცქირა, თან საკუთარ თავს ეკითხებოდა, ბოლოს და ბოლოს როდის მიხვდება ფაბრიკანტი, ამაოდ რომ ლაქლაქებსო. როდესაც ფაბრიკანტი დადუმდა, კ-მ რატომღაც გაიფიქრა, ალბათ იმიტომ გაჩუმდა, რომ სურს გულწრფელად ვაღიარო. კარგად ვერ მოგისმინეთ-მეთქი, მაგრამ ფაბრიკანტის დაძაბულმა მზერამ მიახვედრა. კლიენტი მზად იყო ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრი მოესმინა და კ-ც სინანულით დარწმუნდა, საქმიანი ლაპარაკის გაგრძელებას ვერ გაექცეოდა. კ-მ ისე დახარა თავი, თითქოს ბრძანებას ემორჩილებოდა. ნელა უსვამდა ფანქარს ქაღალდზე, შემდეგ მცირე

ხნით შეჩერდებოდა და რომელიმე ციფრს დააშტერდებოდა. ეტყობა, ფაბრიკანტმა გულში გაივლო, ან რაღაცაში არ მეთანხმება, ან ციფრები არ არის მთლად ზუსტად ნაანგარიშევი, ანდა საქმეს ციფრები არ წყვეტენო. ამიტომ ქაღალდებს ხელი დააფარა, მეტისმეტად ახლოს მიიწია კ-საკენ და ხელახლა გააცნო საქმის ზოგადი არსი.

— ძნელი საქმეა, — უთხრა კ-მ და ტუჩები დამანჭა, რადგან ქაღალდებს, რომელთა მეშვეობითაც რაღაცის გაგება შეეძლო, ვეღარ ხედავდა. ღონემიხდილი კ. სავარძლის სახელურს დაეყრდნო.

მან მხოლოდ მაშინ ასწია ოდნავ თავი, როცა დირექტორის კაბინეტის კარი გაიღო და ბუნდოვნად, თითქოსდა ბურუსშიაო გახვეული, გამოჩნდა დირექტორის მოადგილე. ამ ამბის გამო კ-ს დიდად არ შეუწუხებია თავი, მაგრამ ფაბრიკანტის საქციელმა სიხარული მოჰგვარა. ფაბრიკანტი იმწამსვე წამოხტა სავარძლიდან და დირექტორის მოადგილისაკენ გაიქცა. კ-ს უნდოდა ფაბრიკანტი ასჯერ უფრო სწრაფი ყოფილიყო, რადგან ეშინოდა, დირექტორის მოადგილე კვლავ თვალს არ მიეფაროსო. მისი შიში ამაო აღმოჩნდა, ბატონები ერთმანეთს შეეგებნენ, ხელი ჩამოართვეს და ერთად დაიძრნენ კ-ს საწერი მაგიდისაკენ. ფაბრიკანტმა დირექტორის მოადგილეს შესჩივლა, პროკურისტი ჩემს საქმეს გულისყურით არ მოეკიდაო და კ-ზე ანიშნა. კ-მ ვერ გაუძლო დირექტორის მოადგილის მზერას და ისევ ქაღალდებისაკენ დაიხარა. ფაბრიკანტი დირექტორის მოადგილის გადაბირებას ცდილობდა, კ-ს მოეჩვენა, თითქოს ორივენი უსაშველოდ გაზრდილნი, დასდგომიან თავზე და მის ასავალ-დასავალზე ბჭობენ. რომ გაეგო რა ხდებოდა ზევით, ფრთხილად აიხედა, შემდეგ ალალბედზე მაგიდიდან ერთი ფურცელი აიღო, ხელის გულზე დაიდო, ნელ-ნელა წამოიმართა და ორივე მამაკაცს დინჯად მიუტანა სახესთან ქაღალდი. ამ წუთებში კ. არაფერზე არ ფიქრობდა, ისე იქცეოდა როგორც მისი აზრით მოიქცეოდა უაღრესად მნიშვნელოვანი შუამდგომლობის შედგენის შემდეგ, როცა ბრალდებას მოუხსნიდნენ. დირექტორის მოადგილემ, რომელიც ყურადღებით უსმენდა ფაბრიკანტს, ქაღალდს ზერელედ დახედა და არც კი წაუკითხავს, რადგან, ის, რაც პროკურისტისათვის მნიშვნელოვანი იყო, მას სრულიად არ აინტერესებდა, მაგრამ ქაღალდი მაინც გამოართვა კ-ს, უთხრა: „გმადლობთ, მე უკვე ყველაფერი ვიცი“ და მშვიდად დადო მაგიდაზე. გაგულისებულმა კ-მ ალმაცერად გახედა მას, მაგრამ დირექტორის მოადგილემ მისი მზერა ან სულ ვერ შეამჩნია ან თუ შეამჩნია, ამან მხოლოდ კარგ გუნებაზე დააყენა, წამდაუწუმ გულიანად, ხმამაღლა იცინოდა, თანაც

ერთი მოსწრებული პასუხით ფაბრიკანტი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა და ნათქვამი შეაბრუნა, ბოლოს კი ფაბრიკანტი თავის კაბინეტში მიიწვია საბოლოო მოლაპარაკებისათვის.

— მე კარგად მესმის, ეს საქმე მეტისმეტად მნიშვნელოვანია, ბატონი პროკურისტი კი... — დირექტორის მოადგილე ამ სიტყვებითაც კი მხოლოდ ფაბრიკანტს მიმართავდა — ალბათ ნაწყენი არ დაგვრჩება, თუ ამ ტვირთისაგან გავათავისუფლებთ. ეს საქმე მშვიდად განსჯას მოითხოვს. პროკურისტი კი, ეტყობა, ისედაც გადატვირთულია საქმეებით, თან მოსაცდელშიც საათობით ელოდება ხალხი.

კ-ს ძლივს ეყო ძალა, ზურგი არ შეექცია დირექტორის მოადგილისათვის და დაძაბული, მაგრამ თავაზიანი ღიმილი მხოლოდ ფაბრიკანტისათვის გაემეტებინა. სხვა მხრივ იგი სრულიად არ ჩარეულა მათ საუბარში, ოდნავ წინ გადაიხარა, ორივე ხელით ისე დაეყრდნო საწერ მაგიდას, როგორც ნოქარი დაეყრდნობა ხოლმე დახლს, და შესცქეროდა, როგორ აკრიფეს ლაპარაკში გართულმა ვაჟბატონებმა მაგიდაზე გაშლილი ქაღალდები და დირექციის კაბინეტში გავიდნენ. სანამ გაუჩინარდებოდა, ფაბრიკანტი კიდევ ერთხელ შემობრუნდა, კ-ს უთხრა, არ გემშვიდობებით, მოლაპარაკების შედეგებს მოგახსენებთ და კიდევ ერთი რამ მინდა გაუწყოთო.

ბოლოს, როგორც იქნა, კ. მარტო დარჩა. არც უფიქრია შემდეგი კლიენტის მიღება და შეგნებაში მხოლოდ ბუნდოვნად გაუელვა აზრმა, რა კარგია, მოსაცდელში მსხდომთ ჰგონიათ, ჯერ კიდევ ფაბრიკანტს ველაპარაკები და ამის გამო შიკრიკიც ვერ გაბედავს შემოსვლასო. კ. ფანჯარასთან მივიდა, რაფაზე ჩამოჯდა, ცალი ხელით სახელურს ჩაეჭიდა და მოედანს გადახედა. ისევ თოვდა, დარს პირი არ უჩანდა.

კ. დიდხანს იჯდა უძრავად და ვერ გაეგო, რა აწუხებდა, ოდნავ შემკრთალი დროდადრო თავს მიაბრუნებდა და მისაღები ოთახის კარს შეხედავდა, ეჩვენებოდა, თითქოს იქიდან რაღაც ხმაური ესმოდა, მაგრამ რადგან არავინ შემოდიოდა, ცოტათი მშვიდდებოდა. შემდეგ წამოდგა, პირსაბანთან მივიდა, ცივი წყლით პირი დაიბანა და გამოცოცხლებული ისევ ფანჯარასთან მივიდა. გადაწყვეტილება, საკუთარი თავის დაცვა თვითონ ეკისრა, ახლა უფრო დაუჯდა ჭკუაში, ვიდრე თავიდან ჰქონდა ნავარაუდევი. როცა საქმე ვექილს მიანდო, პროცესი მას ნაკლებად ეხებოდა. მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალყურს და გულთან ახლოს არ მიჰქონდა. მოუნდებოდა, შეეძლო შეემოწმებინა, როგორ მიდიოდა საქმე, თუ არადა, არც მიაკითხავდა. ახლა კი, როცა თვითონ დაიცავდა თავს, იძულებული იქნებოდა — თუნდაც დროის ამ მონაკ-

ვეთში — მთლიანად ჩაფლულიყო სასამართლოს საქმეებში, რასაც მოგვიანებით მისი სრული და საბოლოო განთავისუფლება მოჰყვებოდა. მაგრამ ამას რომ მიაღწიოს, ჯერჯერობით მაინც გაცილებით უფრო დიდ საფრთხეში უნდა ჩაიგდოს თავი, ვიდრე აქამდე ემუქრებოდა. და თუ დღემდე ამაში ეჭვი ეპარებოდა, დირექტორის მოადგილის თანდასწრებით ფაბრიკანტთან შეხვედრამ იგი საბოლოოდ დაარწმუნა ამ აზრის სისწორეში. არა, მაინც როგორ იჯდა მათ წინ გაოგნებული მხოლოდ იმის გამო, რომ გადაწყვიტა, თვითონ დაეცვა საკუთარი თავი? რა მოჰყვება ყოველივე ამას, რა დღე ელის? იპოვის კი იმ გზას, რომელიც მთელ ამ აბდაუბდაში გააღწევს და კეთილ დასასრულამდე მიიყვანს? განა ასე საგულდაგულოდ გააზრებული დაცვა — სხვა ყველაფერი უაზრობად მიაჩნია — იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენ საქმეებზე ხელი აიღოს? შეძლებს კი ამ დავიდარაბას მშვიდობიანად დააღწიოს თავი? როგორ უნდა განახორციელოს ყოველივე ეს კაცმა, რომელიც ბანკში მსახურობს! დრო არა მარტო შუამდგომლობის შესადგენად სჭირდებოდა,— ამისათვის შვებულებაც ეყოფოდა, თუმცა შვებულების აღება ახლა დიდი გამბედაობა იქნებოდა, — არამედ პროცესისთვისაც, რომელიც ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება. აი, რა გადაეღობა წინ კ-ს სამსახურებრივ კარიერას!

ასეთ მდგომარეობაში მყოფმა როგორ იმუშაოს ბანკში? კ-მ საწერ მაგიდას გადახედა: ნუთუ ახლა კლიენტები უნდა მიიღოს და ელაპარაკოს? იმ დროს, როცა პროცესი წინ მიექანება, იქ, ზევით, სხვენზე სასამართლოს მოხელეები მისი პროცესის ოქმებს ჩაჰკირკიტებენ, მან ბანკის საქმეებზე უნდა იზრუნოს? განა ეს არ ჰგავს პროცესიდან გამომდინარე სასამართლოს მიერ ნებადართულ წამებას, ყველგან რომ თან სდევს? განა ბანკში მისი მუშაობის შეფასების დროს ანგარიშს გაუწევენ მის განსაკუთრებულ მდგომარეობას? არავინ და არასოდეს. ცოტა რამ მისი პროცესის შესახებ ზოგიერთებმა უკვე ხციან, თუმცა ჯერ არ ცისე ცხადია, ვინ რა იცის და რამდენი იცის. იმედია, დირექტორის მოადგილის ყურამდე ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ხმებმა. თორემ კ. აქამდეც ცხადად დაინახავდა, როგორ ცდილობს იგი გამოიყენოს გავრცელებული ხმები მის წინააღმდეგ და ზურგი აქციოს ყოველგვარ კოლეგიალობას და ადამიანობას. ხოლო რაც შეეხება დირექტორს, იგი კ-ს მიმართ კეთილად იყო განწყობილი და თუ პროცესის თაობაზე რაიმეს ყურს მოჰკრავდა, ეცდებოდა შეძლებისდაგვარად მისი მდგომარეობა შეემსუბუქებინა, მაგრამ ახლა, როცა კ-ს სახით საპირისპირო ძალა თანდათან სუსტდებოდა და დირექტორის მოადგილის გავლენას წინააღმ-

დეგობას ვერ უწევდა, დირექტორიც ვეღარაფერს უშველიდა. ეს გავლენა თანდათან ძლიერდებოდა და ამას ისიც ერთოდა ზედ, რომ მოადგილე დირექტორის ავადმყოფობას საკუთარი ძალა-უფლების განსამტკიცებლად იყენებდა: რის იმედი უნდა ჰქონოდა კ-ს? ამგვარი აზრების ზეგავლენით შეიძლება წინააღმდეგობის ძალა აკლდებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, თავი არ უნდა მოეტყუებინა და ყველაფერი ისე ნათლად განეჭვრიტა,რამდენადაც ეს ამჟამად შესაძლებელი იყო.

კ-მ უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ გამოაღო ფანჯარა, რომ საწერ მაგიდასთან არ დაბრუნებულიყო, ფანჯარა ძნელად იღებოდა და იძულებული შეიქნა ორივე ხელით მოეტრიალებინა სახელური. მთელი ოთახი აივსო კვამლნარევი ნისლით, რომელსაც ოდნავ სიდამწვრის სუნი ასდიოდა. ქარმა ოთახში რამდენიმე თოვლის ფიფქიც შემოფანტა.

— საძაგელი შემოდგომაა, — თქვა ამ დროს კ-ს ზურგს უკან ფაბრიკანტმა, რომელიც დირექტორის მოადგილის კაბინეტიდან გამოსულიყო და შეუმჩნევლად მიახლოვებოდა ფანჯარას. კ-მ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და შეშფოთებულმა შეავლო თვალი ფაბრიკანტის პორტფელს. ახლა ალბათ პორტფელიდან ქაღალდებს ამოიღებს და მომახსენებს, როგორ დაამთავრა მოლაპარაკება დირექტორის მოადგილესთან, გაიფიქრა კ-მ. ფაბრიკანტმა კ-ს მზერა შეამჩნია, მიუხვდა, პორტფელს ხელი დაჰკრა, მაგრამ არ გაუხსნია და ისე თქვა:

— თქვენ ალბათ, გაინტერესებთ, რით დასრულდა ჩვენი მოლაპარაკება. შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულება თითქმის ჯიბეში მიდევს. დიდად მომხიბვლელი პიროვნებაა თქვენი დირექტორის მოადგილე, მაგრამ ვერ იტყვი, მამა აბრამის ბატკანიაო.

ფაბრიკანტმა გაიცინა, კ-ს მაგრად ჩამოართვა ხელი და სცადა იგიც გაეცინებინა. ახლა კ-ს მოეჩვენა საეჭვოდ, რომ ფაბრიკანტს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მისთვის ქაღალდები ეჩვენებინა და ფაბრიკანტის შენიშვნაში სასაცილო ვერაფერი დაინახა.

— ბატონო პროკურისტო, ამგვარი ამინდი თქვენზე ალბათ ცუდად მოქმედებს. დღეს მეტისმეტად დანაღვლიანებული ჩანხართ, — უთხრა ფაბრიკანტმა.

— დიახ, — უპასუხა კ-მ და ხელი საფეთქელთან მიიტანა, — თავი მტკივა, პირადი უსიამოვნების ბრალია.

— მართალი ბრძანდებით, — დაემოწმა ფაბრიკანტი. იგი მოუსვენარი კაცი იყო და მოთმინება არ ჰყოფნიდა ვინმესთვის ბოლომდე მოესმინა,—ყველას თავისი ჯვარი აქვს სატარებელი.

უეცრად კ-მ ისე გადადგა ნაბიჯი კაოისკენ, [illegible] იყო ფაბრიკანტი კაბინეტიდან გაეცილებინა, მაგრამ ამ დროს ფაბრიკანტმა უთხრა:

— ბატონო პროკურისტო, მინდა ერთი რამ გაუწყოთ, ვშიშობ, თქვენ ახლა ამისათვის არ გცალიათ, მაგრამ ბოლო დროს ორჯერ ვიყავი თქვენთან და ამის თქმა ორჯერვე გადამავიწყდა. ახლა კი ვეღარ გადავდებ სათქმელს, რადგან შემდგომ ამაზე ლაპარაკს ალბათ არავითარი აზრი აღარ ექნება. ეს კი დასანანია, ის რაც უნდა გაუწყოთ, ეგებ არც ისე უმნიშვნელო აღმოჩნდეს თქვენთვის, — სანამ კ. პასუხის გაცემას მოასწრებდა, ფაბრიკანტი სულ ახლოს მივიდა მასთან, მოკაკული თითები ოდნავ დაჰკრა მკერდზე და ჩუმად უთხრა:— პროცესში ხართ გაბმული, არა?

კ-მ უკან დაიხია და უცბად წამოიძახა:

— დირექტორის მოადგილემ გითხრათ!

— ო, არა, — უპასუხა ფაბრიკანტმა, — საიდან უნდა იცოდეს ეს ამბავი დირექტორის მოადგილემ?

— თქვენ საიდანღა იცით? — ჰკითხა კ-მ ახლა უფრო მეტი თავშეკავებით.

— მე დროდადრო რაღაც-რაღაცებს ვგებულობ სასამართლოს შესახებ, — უპასუხა ფაბრიკანტმა, — და ის, რაც უნდა გაუწყოთ, მას ეხება.

— რამდენი ხალხია სასამართლოსთან დაკავშირებული! — თქვა თავჩაქინდრულმა კ-მ და ფაბრიკანტი საწერ მაგიდასთან მიიყვანა. ისინი ზუსტად ისე დასხდნენ, როგორც წელან ისხდნენ და ფაბრიკანტმა თქვა:

— სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გაუწყებთ, მაგრამ ასეთ საქმეში მცირედის უგულვებელყოფაც არ შეიძლება. გარდა ამისა, გულით მინდა როგორმე დაგეხმაროთ, რა უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ჩემი დახმარება. ჩვენ ხომ აქამდეც მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა გვქონდა, ასე არ არის? აი, ხომ ხედავთ!

კ-ს უნდოდა ბოდიში მოეხადა დღევანდელი მოლაპარაკების დროს ჩადენილი უსაქციელობის გამო, მაგრამ ფაბრიკანტი ვერ იტანდა, როცა სიტყვას აწყვეტინებდნენ. აქაოდა, ვითომ ძალიან მეჩქარებაო, ფაბრიკანტმა პორტფელი იღლიაში ამოიჩარა და განაგრძო:

— თქვენი პროცესის შესახებ ტიტორელიმ მიამბო. იგი მხატვარია, ტიტორელი მისი ფსევდონიმია, ნამდვილი გვარი, მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, უკვე რამდენიმე წელია, რაც იგი დროდადრო ჩემს კანტორაში შემოივლის ხოლმე, მოაქვს პატარ-პატარა ნახატები და ამ ნახატებში—იგი ხომ თითქმის მათხოვარია — მოწყალებასავით ვაძლევ ცოტაო-

დენ ფულს. თუმცა ლამაზ პეიზაჟებს ხატავს, ველებს და სხვა ამდაგვარს. ჩვენს საქმიან გარიგებას ორივენი შევეჩვიეთ და შეუფერხებლადაც მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ბოლო დროს სიარულს მოუხშირა, რის გამოც საყვედური ვუთხარი, შემდეგ საუბარი გავაბით, მაინტერესებდა, როგორ ახერხებდა ამ ნახატებით თავის რჩენას, ჩემდა გასაოცრად გამოირკვა, რომ მისი შემოსავლის მთავარი წყარო პორტრეტების ხატვა ყოფილა. „სასამართლოს ვემსახურები“, — მითხრა მან. „როგელ სასამართლოს?“ — ვკითხე მე. მან დაიწყო სასამართლოზე რაღაც-რაღაცების მოყოლა. თქვენ ყველაზე უკეთ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გამაოცა მისმა ნაამბობმა. მას შემდეგ ყოველ მის სტუმრობაზე ვგებულობ რაიმე ახალს სასამართლოს შესახებ და ერთგვარი წარმოდგენაც კი შემექმნა იმაზე, რაც იქ ხდება. მართალია, ტიტორელი უბედია და ხშირად იძულებული ვხდები თავიდან მოვიშორო, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტყუის, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ საქმის კაცი ვარ, თავსატეხად ჩემი საზრუნავიც მყოფნის და არ მცალია, სხვისი საქმეებისათვის ამდენი დრო ვფლანგო. მაგრამ ამას ისე, სხვათაშორის გეუბნებით. თქვენზე კი, იცით, რა ვიფიქრე, იქნებ ის ტიტორელი რამეში დაგეხმაროთ, სასამართლოში ბევრ მოხელეს იცნობს, მართალია, პირადად მას დიდი გავლენა არა აქვს, მაგრამ ხომ შეუძლია რჩევა მოგცეთ, გასწავლოთ გზა, საიდან მიუდგეთ გავლენიან პირებს. შეიძლება მისი რჩევა არაფრად ღირდეს, მაგრამ ჩემი აზრით, პირადად თქვენ დიდად გამოგადგებათ, რადგან თითქმის ვექილი ბრძანდებით. მე ყოველთვის ვამბობ: რაღა ვექილი და რაღა პროკურისტი კ., არა მგონია, თქვენი საქმე ცუდად დამთავრდეს, მაგრამ იქნებ მაინც შეიაროთ ტიტორელისთან. ჩემი ხათრით თქვენთვის რას არ გააკეთებს. ჩემი აზრი ის გახლავთ, რომ მასთან უნდა შეიაროთ. აუცილებელი არაა დღესვე მიხვიდეთ, შეიარეთ როდისმე, როცა შემთხვევა მოგეცემათ. ცხადია, ჩემი რჩევა — ესეც მინდა იცოდეთ — არ გავალდებულებთ, აუცილებლად ინახულოთ მხატვარი. თუ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ უიმისოდაც გაართმევთ საქმეს თავს, მაშინ მოეშვით. იქნებ უკვე გაქვთ შემუშავებული მოქმედების ზუსტი გეგმა და ტიტორელის მხოლოდ ხელის შეშლა შეუძლია. არა, თუ ასეა, მაშინ ნუ მიხვალთ მასთან! რა თქმა უნდა, კაცმა თავს ძალა უნდა დაატანო, რომ ასეთი კაცისაგან რჩევა მიიღო. ერთი სიტყვით, როგორც გენებოთ, აი სარეკომენდაციო ბარათი და მისი მისამართიც.

სასოწარკვეთილმა კ-მ ბარათი გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო. ეს სარეკომენდაციო ბარათი ყველაზე ხელსაყრელ შემ-

თხვევაშიც კი ვერ მოუტანდა კ-ს იმდენ საკგებლობას, რამდენი ზარალიც მიაყენა: მისი პროცესის ამბავი ფაბრიკანტმა უკვე იცოდა და მხატვარი ამ ხმებს სხვაგანაც გაავრცელებდა.

კ-მ დიდი გაჭირვებით აიძულა თავი, კართან მისული ფაბრიკანტისათვის გამოთხოვებისას რაღაც მადლობის გამომხატველი სიტყვები ეთქვა:

— მხატვარს ვინახულებ, ანდა რადგან ამჟამად არ მცალია, მივწერ, თვითონ შემოიაროს ბანკში.

— ვიცოდი, საუკეთესო გამოსავალს რომ იპოვიდით, — უთხრა ფაბრიკანტმა, — თუმცა აქამდე ვფიქრობდი, ჯობდა, არ მოგეწვიათ ტიტორელისთანა ხალხი ბანკში და არ გესაუბრათ აქ მასთან თქვენს პროცესზე. გარდა ამისა, არც ის არის მიზანშეწონილი, ასეთ კაცს წერილი ჩაუგდოთ ხელში, მაგრამ თქვენ ალბათ ყველაფერი მოფიქრებული გაქვთ და იცით, რა დროს როგორ უნდა მოიქცეთ.

კ-მ თავი დაუქნია და ფაბრიკანტი მხოლოდ მოსაცდელ ოთახამდე გააცილა. მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, მაინც შიშმა შეიპყრო, ტიტორელის წერილს მივწერო, მხოლოდ იმიტომ უთხრა, რომ ფაბრიკანტისათვის დაენახვებინა, რომ დიდად აფასებს მის რეკომენდაციას. და ფიქრობს მხატვართან შეხვედრაზე; თუმცა თუ ტიტორელის დახმარებას სასარგებლოდ მიიჩნევდა, უყოყმანოდ მისწერდა ბარათს. მაგრამ ფაბრიკანტის შენიშვნამ დაარწმუნა, რომ ბარათის მიწერას შეიძლება სახიფათო ამბები გამოეწვია. ნუთუ ამაზე მეტად ვერ უნდა ენდოს საკუთარ ჭკუას? თუკი იმის გაფიქრება შეძლო, რომ ვიღაც საეჭვო პირი წერილობით მოეპატიჟებინა ბანკში, სადაც მის და დირექტორის მოადგილის კაბინეტს მხოლოდ კარი ჰყოფდა და ამავე დროს მისთვის რჩევა ეკითხა პროცესთან დაკავშირებით, მაშინ ისიც იყო დასაშვები და შესაძლებელი, რომ სხვა საფრთხესაც ასევე ვერ ამჩნევდა და ორივე ფეხით ებმებოდა ხაფანგში. ყოველთვის ხომ არ ეყოლება გვერდში ვინმე ისეთი, ვინც წინასწარ გააფრთხილებს. სწორედ ახლა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ძალ-ღონე მოეკრიბა და ხელი გამოეღო, სწორედ ახლა შეეპარა აქამდე გამოუცდელი ეჭვი საკუთარი გონების სიფხიზლეში. ნუთუ ისევე გაუჭირდება პროცესის წარმართვა, როგორც ამჟამად უჭირს ბანკის საქმეების წარმოება? ახლა თვითონაც აღარ ესმოდა, როგორ მოუვიდა თავში აზრი, ტიტორელისათვის წერილი მიეწერა და ბანკში მოეპატიჟებინა.

იგი ჯერ კიდევ გაოცებული აქნევდა თავს, როცა გვერდით შიკრიკი ამოუდგა და შეახსენა, მოსაცდელში სამი კაცი ზისო. ისინი უკვე დიდი ხანია ელოდნენ, როდის შეუშვებდნენ კ-სთან, როგორც კი დაინახეს, კ-ს შიკრიკი გამოე-

ლაპარაკაო, მაშინვე ფეხზე წამოდგნენ, სათითაოდ შეეცადნენ ესარგებლათ ხელსაყრელი შემთხვევით და კ-ს ხელში ჩაგდება ერთმანეთისათვის დაესწროთ. რაკი ბანკი არ მოერიდა მათ და მოსაცდელში აყურყუტეს ამდენი ხანი, აღარც მათ სურდათ მორიდებოდნენ ვინმეს.

— ბატონო პროკურისტო, — დაიწყო ერთმა, მაგრამ ამ დროს კ-მ შიკრიკს ზამთრის პალტო მოატანინა და სანამ შიკრიკის დახმარებით იცვამდა, სამივეს მიმართა:

— მაპატიეთ, ბატონებო, სამწუხაროდ, ახლა სულ არა მაქვს დრო და ვერაფრით ვერ მიგიღებთ, ძალიან გთხოვთ მაპატიოთ, გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და დაუყოვნებლივ უნდა წავიდე. თვითონ დაინახეთ, რამდენი დრო დამაკარგვინეს. იქნებ ინებოთ და ხვალ ან სხვა დროს მობრძანდეთ? ან იქნებ დამირეკოთ და საქმე ტელეფონის მეშვეობით მოვაგვაროთ? იქნებ გსურთ ახლავე მითხრათ სათქმელი მოკლედ და მე დაწვრილებით პასუხს წერილობით გაგცემთ. თუმცა ჯობია ამ დღეებში გამოიაროთ, — კ-მ იმდენი რამ შესთავაზა კაცებს, რომ ისინი გაკვირვებულები ერთმანეთს მდუმარედ შეაშტერდნენ, ნუთუ ამაოდ იცადეს ამდენი ხანი?

— მაშ შევთანხმდით, არა? — იკითხა კ-მ და შებრუნდა შიკრიკისაკენ, რომელიც ქუდს აწვდიდა. კ-ს კაბინეტის ღია კარიდან ჩანდა, გარეთ თოვამ იმატა. ამიტომ კ-მ პალტოს საყელო აიწია და ღილები ბოლომდე შეიკრა.

სწორედ ამ დროს გვერდით კაბინეტიდან დირექტორის მოადგილე გამოვიდა, ღიმილით შეხედა ზამთრის პალტოში გამოწყობილ, კლიენტებთან მოლაპარაკე კ-ს და ჰკითხა:

— თქვენ უკვე მიდიხართ, ბატონო პროკურისტო?

— დიახ, — უპასუხა კ-მ და წელში გაიმართა, — გადაუდებელი საქმე მაქვს.

მაგრამ ამასობაში დირექტორის მოადგილე მამაკაცებისაკენ შებრუნდა.

— ამ ბატონებს რას უპირებთ? ისინი, მგონი, დიდი ხანია იცდიან?

— ჩვენ ეს წუთია შევთანხმდით, — უპასუხა კ-მ, მაგრამ ამ დროს სამივე კლიენტს მოთმინებამ უღალატა, კ-ს ირგვლივ შემოეხვივნენ და განაცხადეს, ამდენ ხანს ტყუილუბრალოდ არ დაგელოდებოდით, დიდი საქმე რომ არ გვქონდეს, ახლავე საფუძვლიანად უნდა მოგელაპარაკოთო პირისპირ. დირექტორის მოადგილემ მცირე ხანს უსმინა მათ, შემდეგ ახედ-დახედა კ-ს, რომელსაც ხელში ქუდი ეჭირა და აქა-იქ მტვერს აცლიდა და ბოლოს ისევ კაცებს მიუბრუნდა:

— ბატონებო, არის ერთი უბრალო გამოსავალი, თუ ჩემთან მოლაპარაკება დაგაკმაყოფილებთ, სიამოვნებით ვიკისრებ ამას ბატონი პროკურისტის მაგივრად. ეჭვიც არ მეპარება, თქვენი საქმეები დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს, ჩვენც საქმის ხალხი ვართ და ვიცით, რა ძვირფასია დრო საქმის კაცისათვის. ხომ არ ინებებთ ჩემს კაბინეტში შემობრძანებას? — დირექტორის მოადგილემ გააღო თავისი მოსაცდელი ოთახის კარი.

როგორ ემარჯვებოდა დირექტორის მოადგილეს მიეთვისებინა ყველაფერი, რაზეც კ. ამჟამად იძულებული იყო ხელი აეღო! იქნებ კ. გაცილებით მეტს თმობდა, ვიდრე ამას აუცილებლობა მოითხოვდა? სანამ გაურკვეველი და, როგორც გულში აღიარა, ძალზე მცირე იმედით ვიღაც უცნობ მხატვართან გაიქცევა, აქ მისი ავტორიტეტი სამუდამოდ შეილახება. ალბათ ბევრად აჯობებდა, ზამთრის პალტო გაეხადა და ყოველ შემთხვევაში ის ორი კაცი მაინც მიეღო, დირექტორის მოადგილის მოსაცდელ ოთახში რომ მოუხდებოდათ ლოდინი და თავისკენ გადმოებირებინა. იქნებ კ. ასეც მოქცეულიყო, თავის კაბინეტში რომ არ დაენახა დირექტორის მოადგილე, რომელიც წიგნების თაროზე ქაღალდებში ისე იქექებოდა, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყოს. როცა აღელვებული კ. კარს მიუახლოვდა, დირექტორის მოადგილემ გამოსძახა:

— აჰა, თქვენ ჯერ არ წასულხართ? — და სახე კ-საკენ შემოაბრუნა, მისი სწორი და მკაცრი ნაოჭებით დაღარული სახე უფრო მბრძანებლური ჩანდა, ვიდრე დაბერებული. დირექტორის მოადგილე რაღაცის ძებნას განაგრძობდა და თან ამბობდა: — ვეძებ ხელშეკრულებას, ფირმის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ ასლი თქვენთან ინახება. ხომ არ დამეხმარებით მოძებნაში?

კ-მ მისკენ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ამ დროს დირექტორის მოადგილემ წამოიძახა:

— გმადლობთ, უკვე ვიპოვე, — და თავის ოთახში გაბრუნებულმა თან წაიღო ქაღალდების დიდი შეკვრა, სადაც მარტო ხელშეკრულების ასლი კი არა, ბევრი სხვა საბუთიც ინახებოდა.

— ახლა ამასთან ბრძოლის თავი არა მაქვს, — ჩაილაპარაკა კ-მ, — მაგრამ თუკი ოდესმე ჩემი პირადი გასაჭირი მოგვარდება, მე მას პირველს გადავუხდი სამაგიეროს და რაც შეიძლება მწარედაც. ამ აზრმა კ. ოდნავ დაამშვიდა და შიკრიკს, რომელსაც მისთვის უკვე კარგა ხანია გაეღო დერეფანში გამავალი კარი, დაავალა, როგორც კი შემთხვევა მოგეცემათ. დირექტორს მოახსენეთ, რომ საქმეზე წავედი.

კ. ლამის გაბედნიერებული გავიდა ბანკიდან, მადლობა ღმერთს, საკუთარ საქმეს მაინც მივხედავო რიგიანად.

კ. პირდაპირ გაემგზავრა მხატვართან, რომელიც ქალაქის გარეუბანში, სასამართლოს კანცელარიების სრულიად საწინააღმდეგო მხარეს ცხოვრობდა. ეს გარეუბანი კიდევ უფრო უბადრუკად გამოიყურებოდა, სახლები უარესად იყო ჩაბნელებული, შესახვევებში თოვლი დამდნარიყო და გუბეებში ნაგავი ცურავდა. სახლს, სადაც მხატვარი ცხოვრობდა, ალაყაფის კარების მხოლოდ ცალი საგდული ჰქონდა ღია, მეორე კი დაბლა გამოტეხილი იყო, საიდანაც სწორედ იმ დროს, როცა კ. მიუახლოვდა, რაღაცნაირი საზიზღარი, მხრჩოლავი ყვითელი სითხე გადმოიღვარა და ამ სითხის შიშით რამდენიმე ვირთხამ არხში ისკუპა. ქვემოთ, კიბის ძირში პირქვე იწვა პატარა ბავშვი და ტიროდა, მაგრამ მისი ხმა ძლივს ისმოდა. ჭიშკრის მოპირდაპირე მხარეს იდგა მეთუნუქის სახელოსნო, საიდანაც გამაყრუებელი ხმაური გამოდიოდა. სახელოსნოს კარი ღია იყო, სამი ქარგალი რომელიღაც ნაკეთობას დასტრიალებდა გარს და ჩაქუჩებს ურახუნებდნენ. კედელზე დაკიდებული დიდი, თეთრი თუნუქის ფურცლიდან არეკლილი მქრქალი შუქი ორ ქარგალს შუა ატანდა და მათ სახეებსა და წინსაფრებს ანათებდა. კ-მ მხოლოდ შეათვალიერა იქაურობა, უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მოეთავებინა საქმე, რაღაც მაინც გაეგო მხატვრისაგან და მაშინვე უკან გამობრუნებულიყო. მხატვართან მოლაპარაკების დროს თუ მცირე წარმატებას მიაღწევდა, ეს კარგ გავლენას მოახდენდა მის დღევანდელ მუშაობაზე ბანკში. მესამე სართულზე ნაბიჯს უკლო, სულს ძლივს ითქვამდა. კიბის საფეხურები და სართულებიც მეტისმეტად მაღალი იყო. მხატვარი, ეტყობა, სულ ზევით, სხვენზე ცხოვრობდა. ჰაერიც უსაშველოდ დაიხუთა. ვიწრო ხვეული და უბაქნო კიბე ორივე მხრივ კედლებს შორის იყო მოქცეული. კედლებში ჭერს ქვემოთ აქა-იქ პატარა ფანჯრები გამოეჭრათ. კ. მცირე ხნით შეჩერდა და უცებ ერთ-ერთი ბინიდან გოგონები გამოცვივდნენ და სიცილით აირბინეს კიბე. კ. ნელა გაჰყვა მათ, დაეწია ერთ-ერთს, რომელმაც კიბეზე წაიფორხილა და სხვებს ჩამორჩა, და სანამ ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებდნენ, კ-მ ჰკითხა:

— აქ ცხოვრობს მხატვარი ტიტორელი?

ცამეტიოდე წლის ოდნავ კუზიანმა გოგომ პასუხის მაგივრად მუჯლუგუნი უთავაზა და ალმაცერად ახედა. თუმცა ჯერ კიდევ ნორჩი იყო და ფიზიკური ნაკლიც ჰქონდა, მაინც ეტყობოდა, რომ უკვე სულით ხორცამდე გარყვნილია. გოგოს

არც კი გაუღიმია, კ-ს სერიოზულად, მკაცრად და გამომწვევად შესცქეროდა.

კ-მ მისი უსაქციელობა არაფრად ჩააგდო და კვლავ ჰკითხა:

— იცნობ მხატვარ ტიტორელის?

გოგომ თავი დაუქნია და ახლა თვითონ ჰკითხა:

— რა საქმე გაქვთ მასთან?

კ-მ გადაწყვიტა, ურიგო არ იქნება თუ ტიტორელზე ცოტა რამეს კიდევ შევიტყობო და გოგოს უთხრა.

— მინდა დამხატოს.

— დაგხატოთ? — ჰკითხა გოგომ, პირი დააფჩინა და კ-ს ისე დაჰკრა ხელი, თითქოს რაღაც წარმოუდგენელი სისულელე წამოროშაო, შემდეგ ორივე ხელით აიწია ისედაც ძალიან მოკლე ქვედატანი და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გაიქცა იმ გოგოებისაკენ, რომელთა ყვირილი სადღაც ზევით მიიკარგა.

მაგრამ კიბის შემდეგ მოსახვევში კ. ისევ გადაეყარა გოგოებს; კუზიანმა გოგომ, ეტყობა, ამხანაგებს უკვე აცნობა, რა განზრახვითაც მოვიდა კ. და აშკარად მას დარაჯობდნენ. კ-ს რომ თავისუფლად გაევლო, გოგონები კიბის ორივე მხარეს კედელს აკვროდნენ და ხელით წინსაფრებს ისწორებდნენ. სახეზეც, მწკრივად დგომაზეც ყველას თანაბრად ეტყობოდა ბავშვობაც და გარყვნილობაც. მეგზურობა კუზიანმა იკისრა და წინ გაიქცა, გოგოები კი კ-ს უკან შემჭიდროვდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. კ-მ კუზიანი გოგოს „წყალობით ადვილად გაიკვლია გზა. ჯერ გადაწყვეტილი ჰქონდა პირდაპირ ასულიყო ზევით, მაგრამ კუზიანმა ანიშნა, ტიტორელისთან თუ გინდა მოხვდე, გვერდით კიბეს გაჰყევიო. მხატვრის ბინისაკენ მიმავალი შვეული კიბე კიდევ უფრო ვიწრო და გრძელი აღმოჩნდა და მთელ სიგრძეზე ჩანდა, რადგან არსად უხვევდა და სწორედ ტიტორელის კართან თავდებოდა. კიბესთან შედარებით კარი უკეთ იყო განათებული სხვენზე ირიბად დატანებული ფანჯრის წყალობით, შეუღებავ ფიცრის კარზე წითელი საღებავით სქლად გამოეყვანათ ტიტორელის გვარი. კ. მთელი თავისი ამალით ჯერ კიდევ შუა კიბეზე არ იქნებოდა ასული, როცა ზევით — ეტყობა, მხატვარმა ფეხის ხმა გაიგონა — კარი ოდნავ გაიღო და გამოჩნდა მამაკაცი, რომელსაც, გეგონებოდა, მარტო ღამის პერანგი აცვიაო.

— ო!—დაიძახა მან, როცა კიბეზე ამომავალი ბრბო დაინახა და მაშინვე გაუჩინარდა. კუზიანმა სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა, ხოლო დანარჩენი გოგონები კ-ს ხელს ჰკრავდნენ, მოუჩქარეო ასვლას.

[illegible] ჯერ კიდევ [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]

თის მომტანს მხოლოდ თავისი პროცესის ამბები აინტერესებსო. ნეტავ რა მოარბენინებდა, გაგონილა ასეთი მოუთმენლობა და წინდაუხედაობა? მაგრამ ახლა რაღაც მაინც უნდა ეპასუხა მხატვრისათვის, ამიტომ მოლბერტს შეხედა და უთხრა:

— ამ სურათზე მუშაობთ?

— დიახ, — უპასუხა მხატვარმა, სურათზე გადაფარებულ პერანგს ხელი სტაცა და ისიც ბარათივით დააგდო საწოლზე, — პორტრეტს ვხატავ, ურიგო არ უნდა გამოვიდეს, მაგრამ ჯერ არ დამიმთავრებია.

ნამდვილად კ-ს სასარგებლოდ შემოტრიალდა ბედის ჩარხი: თითქოს ლანგრით მიართვესო სასამართლოზე სიტყვის ჩამოგდების საბაბი. — სურათზე აშკარად მოსამართლე იყო გამოსახული და ძალიან ჰგავდა ვექილის კაბინეტში ნანახ პორტრეტს. მართალია, ამ სურათზე სულ სხვა მოსამართლე ეხატა, მსუქან მამაკაცს დიდი და ხშირი წვერი უფარავდა სახეს, თანაც ის სურათი ზეთის საღებავებით იყო დახატული, ეს კი პასტელით, მქრქალ და ბუნდოვან ტონებში, მაინც სხვაფრივ ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, მოსამართლე ამჯერადაც სამეფო ტახტის მსგავს სავარძლის სახელურს ეყრდნობოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს დამუქრებული წამოდგომას აპირებსო.

„ეს ხომ მოსამართლეა“, — უნდოდა ეთქვა კ-ს, მაგრამ თავი შეიკავა და სურათს ისე მიუახლოვდა, თითქოს გამოწვლილვით სურდა დაეთვალიერებინა. იგი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა სამეფო ტახტივით სავარძლის საზურგეზე შუაში აღმართული დიდი ფიგურა და მხატვარს ჰკითხა, ეს რა არისო?

— ცოტა დამუშავება აკლია, — განუმარტა მხატვარმა, მაგიდიდან პასტელის ფანქარი აიღო და ფიგურის კონტურები რამდენიმე შტრიხით მოხაზა, მაგრამ კ. მაინც ვერაფერს მიხვდა.

— ეს სამართლიანობა გახლავთ, — აუხსნა მხატვარმა ბოლოს.

— ახლა კი ვიცანი, — თქვა კ-მ, — თვალებახვეულს ხელში სასწორი უჭირავს, მაგრამ ჩემის აზრით, ფრთები ქუსლებზე აქვს გამობმული და სადღაც გარბის.

— დიახ. — უპასუხა მხატვარმა, — როგორიც შემიკვეთეს, ისეთი დავხატე, მართალი რომ გითხრათ, ეს არის სამართლიანობის და გამარჯვების ქალღმერთის ერთსახეობა.

— ასეთი შერწყმა მაინცდამაინც მოსაწონი არ არის, — უთხრა კ-მ ღიმილით, — სამართლიანობა უძრავად უნდა იდგეს, თორემ სასწორი რყევას დაიწყებს და სამართლიანი განაჩენის გამოტანა შეუძლებელი გახდება.

— მე სურათის დამკვეთს ვემორჩილები, — უპასუხა მხატვარმა.

— გასაგებია, — უთხრა კ-მ, რადგან არ უნდოდა ზედმეტი შენიშვნებით მისი განაწყენება, — თქვენ ეს ქალღმერთი ალბათ ისე დახატეთ, როგორც სინამდვილეში დგას ხოლმე სავარძლის უკან.

— არა, — უპასუხა მხატვარმა, — მე არც ქალღმერთი მინახავს და არც მაღალი სავარძელი, სამეფო ტახტს რომ ჰგავს, ეს ყველაფერი მოგონილია, მაგრამ ის კი მიმითითეს, რა უნდა დამეხატა.

— როგორ? — იკითხა კ-მ და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ბოლომდე ვერ გაიგოო მხატვრის ნათქვამი, — სავარძელში ხომ მოსამართლე ზის?

— დიახ, — უპასუხა მხატვარმა, — მაგრამ ეს არ არის უზენაესი მოსამართლე, იგი არასოდეს არ მჯდარა ამგვარ სავარძელში.

— და მაინც ასეთ საზეიმო პოზაში გახატვინებთ თავს? იგი ხომ ისე ზის, თითქოს სასამართლოს თავმჯდომარე იყოს.

— დიახ, — უპასუხა მხატვარმა, — ეს ვაუბატონები დიდად პატივმოყვარენი არიან. მათ ზემო ინსტანციაში დართეს ნება, თავი ასე დაახატვინონ. თითოეულისათვის ზუსტად განსაზღვრული პოზაა შერჩეული. სამწუხაროდ, ამ სურათის მიხედვით ძნელია სამოსელისა და სავარძლის დეტალებზე მსჯელობა, რადგან ამგვარი მხატვრობისათვის პასტელი უვარგისი საღებავია.

— მართალი ბრძანდებით, — უპასუხა კ-მ, — უცნაურია, რომ პასტელის საღებავებითაა დახატული.

— თვით მოსამართლემ ისურვა ასე, — თქვა მხატვარმა, — ეს სურათი ერთ ქალბატონს უნდა მიართვას.

სურათის დანახვამ მხატვარი, ეტყობა, მუშაობის გუნებაზე მოიყვანა, სახელოები დაიკაპიწა, რამდენიმე ფანქარი მოიმარჯვა და კ-მ საკუთარი თვალით იხილა, როგორ წარმოიშვა წვერწამახული ფანქრის მთრთოლვარე მოსმით მოსამართლის თავთან მოწითალო ჩრდილი, რაც სხივებად იფანტებოდა სურათის კიდეებისაკენ. თანდათან ჩრდილთა თამაშმა მოსამართლის თავს ირგვლივ შექმნა რაღაც სამკაულისა თუ გვირგვინის მსგავსი, ხოლო სამართლიანობის ქალღმერთის ირგვლივ ერთგან ოდნავ დაბინდული შარავანდედი მაინც ნათელი დარჩა და შუქჩრდილების ამ თამაშის წყალობით ფიგურა კიდევ უფრო მკვეთრად გამოისახა. ახლა იგი აღარც სამართლიანობის ქალღმერთს ჰგავდა და აღარც გა-

მარჯვებისას, ზედგამოჭრილი ნადირობის ქალღმერთი იყო. კ. მისდა უნებურად გაიტაცა მხატვრის მუშაობამ, მაგრამ ბოლოს მაინც საკუთარ თავს უსაყვედურა, აქ დიდი ხანი დავყავი, ჩემი საქმის სასარგებლოდ კი ჯერ არაფერი გამიკეთებიაო.

— რა გვარია მოსამართლე? — ჰკითხა მან უეცრად მხატვარს.

— ამის თქმის უფლება არა მაქვს,—უპასუხა მხატვარმა და ისე დაიხარა სურათისაკენ, თითქოს არაფრად აგდებდა სტუმარს, რომელსაც სულ ახლახან მოწიწებით შეხვდა. კ-მ ასეთი საქციელი მხატვრის ჭირვეულობად მიიჩნია და გაგულისდა, რამდენ დროს მაკარგვინებსო.

— თქვენ, ალბათ ნდობით აღჭურვილი პირი ხართ სასამართლოში?—უთხრა კ-მ მხატვარს. მხატვარმა ფანქრები მაშინვე განზე გადადო, ხელები მოიფშვნიტა, კ-ს ღიმილით შეხედა და უთხრა:

— ახლა კი მოდით გულახდილად ვილაპარაკოთ. თქვენ გინდოდათ რაღაც გაგეგოთ სასამართლოს შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ასე წერია სარეკომენდაციო ბარათში და აქამდე ჩემს ნახატებზე მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობდით, რომ ჩემი გული მოგეგოთ, მაგრამ მე ეს არ მწყინს. საიდან უნდა გცოდნოდათ, რომ ჩემთან ამგვარი რამ არ გადის. ო, გთხოვთ! — წამოიძახა მან მკვახედ, როცა დაინახა, კ. გამოდავებას აპირებდა და განაგრძო: — სხვათა შორის თქვენ სწორი ვარაუდი გამოთქვით, სასამართლოში მე მართლაც ნდობით აღჭურვილი პირი ვარ.

იგი მცირე ხნით შეჩერდა, თითქოს უნდოდა კ-სათვის დრო მიეცა ამ აზრს შეჩვეოდა. კარს უკან ისევ გაისმა გოგოების ხმა. ისინი ან საკლიტესთან უნდა ყოფილიყვნენ შეჯგუფებულნი, ანდა ფიცრებს შორის ჭუჭრუტანებში იჭყიტებოდნენ. კ-ს არ დაუწყია თავის მართლება, არ უნდოდა მხატვარი მოეცდინა, მაგრამ არც ის უნდოდა, მხატვარი გაყოყოჩებულიყო და მეტისმეტად შორს დაეჭირა თავი, ამიტომ ჰკითხა:

— ეს რა, ოფიციალური თანამდებობაა?

— არა, — მოკლედ მოუჭრა მხატვარმა ისე, თითქოს ამ შეკითხვამ ლაპარაკის სურვილი დაუკარგაო, მაგრამ კ-ს არ უნდოდა, მხატვარი დადუმებულიყო და უთხრა:

— ხშირად ასეთი არაოფიციალური თანამდებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალური.

— სწორედ ასეა ჩემი საქმეც, — უპასუხა შუბლშეკრულმა მხატვარმა და თავი დაუქნია. — თქვენი პროცესის ამბავი გუშინ მოვუყევი ფაბრიკანტს და მან მკითხა, ხომ ვერ

დაეხმარებით რამეშიო. მე ვუპასუხე, შემოიაროს ამ კაცმა ერთხელ ჩემთან-მეთქი და ახლა მოხარული ვარ, რომ ასე სწრაფად მოხვედით. როგორც ჩანს, ეს საქმე ძალზე ახლოს მიგაქვთ გულთან, რაც, ცხადია, სრულიად არ მიკვირს. იქნებ ინებოთ და ჯერ პალტო გაიხადოთ?

კ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც შეიძლება ნაკლები დრო დაეკარგა, მაგრამ მხატვრის სიტყვები მაინც ძალიან ესიამოვნა. ოთახში ჰაერი სულ უფრო მეტად იხუთებოდა და გაკვირვებულმა რამდენჯერმე გახედა კიდეც კუთხეში მდგარ რკინის პატარა ღუმელს, რომელსაც, ცხადია არ ახურებდნენ და ამიტომ გაუგებარი იყო, რატომ ცხელოდა ამ ოთახში ასე ძალიან. სანამ კ. პალტოს გაიხდიდა და პიჯაკის ღილებს შეიხსნიდა, მხატვარმა მოუბოდიშა:

— ჩემთვის სითბო აუცილებელია, რა სიმყუდროვეა აქ, არა? ამ თვალსაზრისით ოთახი ძალზე მოხერხებულადაა განლაგებული.

კ-მ არაფერი უთხრა, მას სითბო კი არ აწუხებდა, სუნთქვა უჭირდა, რადგან ოთახში მეტისმეტად დახუთული ჰაერი იდგა. ეტყობა, ოთახი დიდი ხანია არ გაუნიავებიათ. უსიამოგრძნობა კიდევ უფრო გაუმძაფრდა მაშინ, როცა მხატვარმა სთხოვა, საწოლზე ჩამოჯექით, თვითონ კი მოლბერტის წინ ერთადერთ სკამზე დაჯდა. მხატვარი, ეტყობა, ვერ მიხვდა, რატომ ჩამოჯდა კ. საწოლის კიდეზე, იგი დაბეჯითებით სთხოვდა კ-ს, მოხერხებულად დაბრძანდითო, მაგრამ რაკი კ. ყოყმანობდა, თვითონ მიუახლოვდა და საბნებსა და ბალიშებში ღრმად შეჩურთა. შემდეგ ისევ თავის სკამს დაუბრუნდა და ბოლოს კ-ს პირველი საქმიანი შეკითხვით მიმართა. ამ შეკითხვამ კ-ს ყველაფერი დაავიწყა.

— თქვენ ხომ უდანაშაულო ხართ?

— დიახ, — უპასუხა კ-მ. ამ კითხვაზე სიხარულით გასცა პასუხი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მხატვარი კერძო პირი იყო და მასთან საუბარში საკუთარი სიტყვებისათვის არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. ასე გულახდილად მას ჯერ არავინ შეჰკითხვია და სიხარულის შეგრძნება რომ გაეხანგრძლივებინა, კ-მ კიდევ ერთხელ დასძინა: — სრულიად უდანაშაულო ვარ.

— თუ ასეა, — თქვა მხატვარმა და თავი ისე დახარა, თითქოს მძიმე ფიქრებს მიეცა. უეცრად ისევ ასწია თავი და თქვა: — თუ უდანაშაულო ხართ, მაშინ საქმეც მარტივად გადაწყდება.

კ-ს თვალები აემღვრა, სასამართლოს ეს ვითომდაც ნდობით აღჭურვილი პირი უმეცარი ბავშვივით ლაპარაკობდა.

— ჩემი უდანაშაულობა საქმეს არ ამარტივებს. — უთხ-

რა კ-მ. უნებურად მაინც ღიმილი მოერია და თავი ნელა გადააქნია, — ამ საქმეში უამრავი წვრილმანია, რასაც შეუძლია თვით სასამართლოც კი დააბნიოს. ბოლოს და ბოლოს რაღაც-რაღაცაში, თითქმის ცარიელ ადგილას, მოსამართლეები მძიმე დანაშაულს პოულობენ და დღის სინათლეზე გამოაქვთ.

— დიახ, დიახ, ასეა, — უთხრა მხატვარმა ისე, თითქოს კ-მ ტყუილუბრალოდ გააწყვეტინა ფიქრი, — მაგრამ თქვენ ხომ უდანაშაულო ხართ?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კ-მ.

— მთავარი სწორედ ესაა, — უთხრა მხატვარმა.

გამოდავებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად მხატვრის მტკიცე განცხადებისა, ერთი რამ მაინც გაუგებარი დარჩა: მართლა ასე სჯეროდა, თუ გულგრილობით მოსდიოდა. კ-მ გადაწყვიტა ახლავე გაერკვია ეს საკითხი და მხატვარს უთხრა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, სასამართლოზე ბევრად მეტი იცით, ვიდრე მე. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც საერთოდ სრულიად სხვადასხვა ადამიანებისაგან მსმენია, მაგრამ ერთ საკითხზე ყველა ერთი და იგივე აზრისაა — ზერელ, უსაფუძვლო ბრალდებას არავის უყენებენ და თუ სასამართლომ ვინმეს ბრალი დასდო, ეს იმას ნიშნავს, რომ მტკიცედაა დარწმუნებული ბრალდებულის დანაშაულში და მისი გადაჯერება ძალიან ძნელია.

— თქვენ ამბობთ, ძნელიაო? — შეუბრუნა მხატვარმა კითხვა და ცალი ხელი ცისკენ აღმართა, — ძნელი კი არა, შეუძლებელია, მე რომ აქ, ტილოზე ყველა მოსამართლე დავხატო ერთმანეთის გვერდით და თქვენ ამ ტილოს წინაშე თავი დაიცვათ, შეიძლება მეტ წარმატებას მიაღწიოთ, ვიდრე ნამდვილ სასამართლოში.

— „მართალს ამბობს“. ჩაილაპარაკა კ-მ და დაავიწყდა, მხოლოდ მხატვრის აზრის გაგება რომ სურდა.

გარედან ერთმა გოგომ კვლავ იკითხა:

— ტიტორელი, შენი სტუმარი მალე წავა?

— ხმა ჩაიკმინდეთ! — უყვირა ტიტორელიმ, — რატომ არ გესმით, რომ ამ ბატონთან სალაპარაკო მაქვს?

მაგრამ გოგო ამით არ დაკმაყოფილდა და ისევ ჰკითხა მხატვარს:

— მის დახატვას აპირებ? — ხოლო როცა მხატვარმა პასუხი არ გასცა, გოგომ ისევ შემოსძახა: — გთხოვ, არ დახატო ასეთი მახინჯი ადამიანი. — გოგოები მოწონების ნიშნად აყაყანდნენ და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახდნენ.

მხატვარი ერთი ნახტომით მიიჭრა კართან, ოდნავ გამოაღო — კარის ღრიჭოში გამოჩნდა გოგოების ერთმანეთზე მიჯრილი, მუდარით წინ გაწვდილი ხელები — და გოგოებს უთხრა:

— თუ არ დაწყნარდებით, კიბეზე დაგაგორებთ ყველას, ჩამოსხედით საფეხურებზე და ხმა არ გაიღოთ, — ეტყობა გოგოები იმწამსვე არ დაემორჩილნენ და მხატვარი იძულებული გახდა ებრძანებინა. — აბა ჩქარა, დასხედით! — მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვარდა სიჩუმე. — მაპატიეთ, — მოუბოდიშა მხატვარმა, როცა კ-სკენ შეტრიალდა. კ. არც კი შებრუნებულა კარისაკენ, საკუთარი თავის დაცვა მან მთლიანად მიანდო მხატვარს. თუ მფარველობის გაწევას მოისურვებდა, კიდეც მოახერხებდა ამას. იგი მაშინაც არ განძრეულა, როცა მხატვარი მისკენ დაიხარა და კიბეზე მსხდომთ რომ არ გაეგონათ, ყურში ჩასჩურჩულა: — სასამართლოსთან ამ გოგოებსაც აქვთ კავშირი.

— როგორ? — იკითხა კ-მ, თავი ჩაქინდრა და მხატვარს გვერდულად მიაჩერდა, მაგრამ ამასობაში მხატვარი ისევ სკამზე მოკალათდა და კ-ს ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად უთხრა: — სასამართლოს ამქვეყნად ყველასთან და ყველაფერთან აქვს კავშირი.

— ასეთი რამ მე ჯერ არ შემიმჩნევია, — უპასუხა კ-მ მოკლედ. ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ მხატვრის ნათქვამი გოგონებზე შემაშფოთებლად აღარ მოეჩვენა. და მაინც დროდადრო კარისაკენ იყურებოდა, რომლის მიღმაც გოგოები ჩუმად ისხდნენ საფეხურებზე. მხოლოდ ერთმა შემოჰყო ბალახის ღერო ფიცრებს შორის დარჩენილ ჭუჭრუტანაში და ზევით-ქვევით ამოძრავებდა.

— ეტყობა ჯერ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ სასამართლოზე, — უთხრა მხატვარმა, რომელსაც ფეხები ფართოდ გაეშალა და ფეხის წვერებს იატაკზე აკაკუნებდა, — მაგრამ რაკი უდანაშაულო ხართ, თქვენთვის ამის წარმოდგენა აუცილებელი არცაა, მე მარტოს შემიძლია თქვენი დახსნა.

— რა გზით? — ჰკითხა კ-მ, — ეს წუთია ბრძანეთ, სასამართლოში არავითარი მტკიცება და დასაბუთება არ ჭრისო.

— არ ჭრის მხოლოდ ის მტკიცება და დასაბუთება რომელსაც სასამართლოს წარუდგენენ, — უპასუხა მხატვარმა და საჩვენებელი თითი ისე ასწია თითქოს კ-ს ძნელად შესამჩნევი რაღაც გამორჩა, — მაგრამ ყველაფერი იცვლება, როცა ოფიციალური სასამართლოს ზურგს უკან მოქმედებ, მაგალითად, სათათბირო ოთახში, დერეფანში ან თუნდაც აქ, საველოსნოში.

ახლა კ-ს მხატვრის სიტყვები უფრო დამაჯერებელი მო-

ეჩვენა, რადგან ემთხვეოდა იმ თვალსაზრისს, სხვებისგანაც
რომ გაუგონია. ის კი არა, დაიმედდა კიდეც. თუ პირადი ურ-
თიერთობის მეშვეობით მოსამართლეებზე ადვილად შეიძ-
ლებოდა გავლენის მოხდენა, როგორც ვექილი ირწმუნებო-
და, მაშინ მხატვრის ურთიერთობა პატივმოყვარე მოსამართ-
ლეებთან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.
ყოველ შემთხვევაში, ამის უგულვებელყოფა არაფრით არ
შეიძლებოდა. ამგვარად, მხატვარი ემატებოდა იმ ადამიან-
თა რიცხვს, კ. თანდათანობით ირგვლივ რომ იკრებდა დასახ-
მარებლად. ერთხელ ბანკში ქება შეასხეს მის ორგანიზა-
ტორულ ნიჭს და ახლა, როცა საკუთარი თავის ანაბარა დარ-
ჩა, მშვენიერი შემთხვევა ეძლეოდა, ბოლომდე შეემოწმები-
ნა, მართალი უთხრეს თუ არა. მხატვარი აკვირდებოდა, რა
შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემმა სიტყვებმა კ-ზეო და შემ-
დეგ ერთგვარი შეშფოთებით უთხრა:

— ხომ შეამჩნიეთ, თითქმის იურისტივით რომ ვლაპარა-
რაკობ? ეტყობა, ჩემზე გავლენას ახდენს ბატონ მო-
სამართლეებთან ყოველდღიური ურთიერთობა. ცხადია,
მე ეს ხელს მაძლევს, მაგრამ ჩემს შემოქმედებით აღმაფრენას
ფრთები ეკვეცება.

— საინტერესოა, როგორ დაუკავშირდით პირველად მო-
სამართლეებს? — ჰკითხა კ-მ. მას უნდოდა მხატვრის ნდო-
ბა მანამდე მოეპოვებინა, სანამ მისი დახმარებით ისარგებ-
ლებდა.

— ძალზე უბრალოდ, — უპასუხა მხატვარმა, — მათთან
ურთიერთობა მემკვიდრეობით მერგო. მამაჩემიც სასამართ-
ლოს მხატვარი იყო. ამ საქმეში უცხო პირის ჩაბმა არ შეიძ-
ლება. სხვადასხვა რანგის მოხელეთა დასახატავად ნაირსახო-
ვანი, რთული და, უპირველეს ყოვლისა, საიდუმლო წესია
დადგენილი, და ეს წესი მხოლოდ თითო-ოროლა ოჯახმა
იცის. აი, ამ უჯრაში დევს მამაჩემის ჩანახატები, რომელთაც
არავის ვუჩვენებ. მხოლოდ იმას შესწევს უნარი დახატოს
მოსამართლენი, ვინც ამ მასალას იცნობს. კიდეც რომ დავ-
კარგო ჩანახატები, მაინც იმდენი წესი მახსოვს ზეპირად,
რომ თანამდებობაში ვერავინ შემეცილება. ყოველ მოსამარ-
ლეს სურს, იგი ისე დახატონ, როგორც ადრე ხატავდნენ სა-
ხელმოხვეჭილ მოსამართლეებს, ეს კი მხოლოდ მე შემიძ-
ლია.

— მოდი და ნუ შეგშურდება, — თქვა კ-მ და წარმო-
იდგინა თავისი მდგომარეობა ბანკში, — მაშასადამე, თქვენი
მდგომარეობა ურყევია?

— დიახ, ურყევია, — უპასუხა მხატვარმა და მხრები ამა-
ყად შეათამაშა. — სწორედ ეს მაძლევს უფლებას გავბედო

და დავეხმარო ხანდახან იმ საცოდავს, ვის წინააღმდეგაც
პროცესია აღძრული.

— კი მაგრამ, როგორ ახერხებთ ამას? — ჰკითხა კ-მ
ისე, თითქოს თვითონ არ ყოფილიყო იმის დღეში, წამს უკან
რომ მხატვარმა საცოდავი უწოდა. მაგრამ მხატვარს მისთ-
ვის ყურადღება არ მიუქცევია და განაგრძო:

— ავიღოთ, მაგალითად, თქვენი შემთხვევა, რაკი სრული-
ად უდანაშაულო ხართ, შემდეგნაირად ვიმოქმედებ.

მისი უდანაშაულობის განმეორებით ხსენებამ კ. გააღიზი-
ანა. ამგვარი შენიშვნებიდან გამოდიოდა, თითქოს მხატვარი
პროცესის კეთილად დამთავრებას თავის დახმარების წინა-
პირობად თვლიდა, რაღა ფასი ჰქონდა ასეთ დახმარებას! მაგ-
რამ მიუხედავად ამ ეჭვისა, კ-მ თავს ძალა დაატანა და მხატ-
ვარს სიტყვა არ შეაწყვეტინა. მან მტკიცედ გადაწყვიტა მხატ-
ვრის დახმარებაზე უარი არ ეთქვა, რადგან მხატვრის დახმა-
რება ვექილისაზე უფრო საეჭვო არ ეჩვენებოდა. ვექილთან
შედარებით მხატვარს ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა, აქ
მას დახმარებას უფრო გულწრფელად, უფრო, უანგაროდ
სთავაზობდნენ.

მხატვარმა სკამი უფრო ახლო მისწია საწოლთან, ხმას და-
უწია და განაგრძო:

— დამავიწყდა მეკითხა თქვენთვის, განთავისუფლების
როგორი ფორმა გირჩევნიათ? არსებობს სამი შესაძლებლობა:
ნამდვილი გამართლება, მოჩვენებითი გამართლება და საქმის
გაჭიანურება. რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესი ნამდვილი გა-
მართლებაა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახდენ მათზე ისეთ
გავლენას, ამგვარი გადაწყვეტილება რომ გამოვატანინო. სა-
ერთოდ, ჩემის აზრით, არ დადის ამქვეყნად ადამიანი, ვისაც
შეუძლია თავის გავლენით კაცი ნამდვილად გაამართლებინოს.
აქ ალბათ გადამწყვეტ როლს ბრალდებულის უდანაშაულობა
თამაშობს. და რადგან თქვენ უდანაშაულო ხართ, შეგიძლიათ
იმედი თქვენს უდანაშაულობაზე დაამყაროთ. მაგრამ ამ შემ-
თხვევაში არც ჩემი დახმარება გჭირდებათ და არც სხვისი.

აზრთა ასეთმა ზუსტმა ჩამოყალიბებამ კ. თავდაპირველად
შეაცბუნა, მაგრამ შემდეგ მხატვარივით დაუწია ხმას და თქვა:

— მე მგონი, თქვენ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით.

— როგორ? — ჰკითხა მხატვარმა, შემწყნარებლურად გა-
იღიმა და მიეყრდნო სკამის საზურგეს. ამ ღიმილმა კ-ს ისეთი
გრძნობა შეუქმნა, თითქოს სადაცაა თვითონ დაიწყებდა წინა-
აღმდეგობათა გამოჩხრეკას არა მხატვრის სიტყვებში, არამედ
მთელ სასამართლო პროცედურაში. მიუხედავად ამისა, მაინც
განაგრძო:

— ცოტა ხნის წინათ ბრძანეთ, სასამართლოში არავითარი

მტკიცება და დასაბუთება არ ჭრისო. შემდეგ მარწმუნებდით, ეს ეხება სასამართლოს ოფიციალურ პროცესსო, ახლა კი ამბობთ, უდანაშაულო ბრალდებულს სასამართლოში არავის დახმარება არ სჭირდებაო. მე სწორედ აქ ვხედავ წინააღმდეგობას, გარდა ამისა, ადრე თქვენ ბრძანეთ, პირადად მოსამართლეზე შეიძლება გავლენის მოხდენაო, ახლა კი ამბობთ, ნამდვილი გამართლებისათვის, როგორც თქვენ მას უწოდეთ, არავის არ შეუძლია მოსამართლეზე რაიმე გავლენა მოახდინოსო. მეორე წინააღმდეგობას, კი, აქ ვხედავ.

— ეს წინააღმდეგობანი ადვილი ასახსნელია, — უთხრა მხატვარმა,—აქ ლაპარაკია ორ სრულიად სხვადასხვა საკითხზე, იმაზე, რაც კანონში წერია და იმაზე, რასაც გამოცდილება მკარნახობს; მათი ერთმანეთში არევა არაფრით არ შეიძლება. კანონში, რომელიც მე, რა თქმა უნდა, არ წამიკითხავს, ერთი მხრივ ნათქვამია, რომ უდანაშაულო ადამიანი უნდა გაამართლონ, ხოლო მეორე მხრივ იქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მოსამართლეზე შეიძლება გავლენა მოახდინო. მაგრამ მე გამოცდილებით ვიცი, ყველაფერი პირიქით ხდება. ჯერ არ მსმენია, ვინმე ნამდვილად გაემართლებინოთ, მაგრამ მოსამართლეზე რომ გავლენა მოუხდენიათ, ბევრჯერ გამიგონია. რა თქმა უნდა, შეიძლება ყველა ჩემთვის ცნობილ შემთხვევაში უდანაშაულო არც ერთი ბრალდებული არ იყო, მაგრამ განა ეს დასაჯერებელია? ამდენი შემთხვევა და არც ერთი უდანაშაულო? ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა გაფაციცებით ვუგდებდი ყურს შინ დაბრუნებულ მამას, რომელიც პროცესების ამბებს ყვებოდა, მოსამართლეებიც როცა მასთან სახელოსნოში მოდიოდნენ, სასამართლოზე მოგვითხრობდნენ, საერთოდ, ჩვენს წრეში სხვაზე არაფერზე არ ლაპარაკობდნენ: როგორც კი სასამართლოში წასვლის შესაძლებლობა მომეცა, არც ერთი შემთხვევა არ გამიშვია ხელიდან, უამრავი პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი მომისმენია, თუ რამე დასანახი იყო, მხედველობიდან არაფერი გამომპარვია და — პირდაპირ უნდა გითხრათ — არც ერთხელ არ გამიგონია ვინმე ნამდვილად გაემართლებინათ.

— ამგვარად, ნამდვილად არავინ გაუმართლებიათ, — თქვა კ-მ ისე, თითქოს საკუთარ თავსა და საკუთარ იმედებს მიმართავდა, — ეს ზუსტად ადასტურებს იმ აზრს, სასამართლოზე რომ შემექმნა. მაშასადამე, ამ მხრივაც არ ჰქონია არავითარი აზრი, რაიმე იღონო. ერთ ჯალათს თავისუფლად შეუძლია შეცვალოს მთელი სასამართლო.

— თქვენ არა გაქვთ განზოგადების უფლება, — უთხრა უკმაყოფილოდ მხატვარმა, — მე მხოლოდ პირად გამოცდილებაზე გელაპარაკებოდით.

— ესეც საკმარისია, — უპასუხა კ-მ, — განა თქვენ გსმენიათ, რომ ძველ დროში მაინც გაემართლებინოთ ვინმე?

— არ ბრძანებენ, — უპასუხა მხატვარმა. — მაგრამ ამის დადგენა ახლა მეტისმეტად ძნელია, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებანი არ ქვეყნდება, ისინი მოსამართლეებისათვისაც კი ხელმიუწვდომელია. ამიტომ ძველ სასამართლო პროცესებზე მხოლოდ ლეგენდებიღა შემოგვრჩა. თუმცა ამ ლეგენდებში მეტწილად ლაპარაკია ნამდვილ გამართლებაზე და ეს ამბავი შეიძლება დაიჯერო კიდეც, მაგრამ დასაბუთებით ვერ დაასაბუთებ. თუმცა ისინი მთლიანად მაინც არ უნდა უგულებელყოს კაცმა, ჭეშმარიტების რაღაც ნაწილს ისინიც შეიცავენ და, გარდა ამისა, მშვენიერი მოსასმენია, მე თვითონ შევქმენი რამდენიმე სურათი, რომელთაც ამ ლეგენდების შინაარსი დაედო საფუძვლად.

— ლეგენდები მე აზრს ვერ შემაცვლევინებენ, — უპასუხა კ-მ, — მათ ალბათ სასამართლოშიც ვერ დაიმოწმებენ.

მხატვარს გაეცინა.

— მართალს ბრძანებთ, — თქვა მან.

— მაშასადამე, ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს, — უთხრა კ-მ. — მან გადაწყვიტა ბოლომდე მოესმინა მხატვრის ყველა მოსაზრება, რა დაუჯერებელი და სხვების აზრის საწინააღმდეგოც არ უნდა მოსჩვენებოდა ისინი: ახლა მას არ ჰქონდა იმის დრო, დაედგინა, მართალს ამბობდა თუ არა, არც საკამათოდ ეცალა, უდიდეს მიღწევად ჩათვლიდა, მხატვარი აეძულებინა, რამეში დახმარებოდა, თუნდაც ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონოდა. — დავანებოთ თავი ნამდვილ გამართლებაზე ლაპარაკს, — უთხრა კ-მ, — თქვენ ხომ კიდევ ორი სხვა შესაძლებლობა ახსენეთ.

— მოჩვენებითი გამართლება და საქმის გაჭიანურება. ლაპარაკი მხოლოდ ამ სახის დახმარებაზე შეიძლება, — უპასუხა მხატვარმა. — მაგრამ სანამ ამაზე ვიმსჯელებდეთ, პიჯაკის გახდას ხომ არ ინებებდით? ალბათ გცხელათ.

— დიახ, — უპასუხა კ-მ, — აქამდე იგი არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, გარდა მხატვრის ახსნა-განმარტებისა, მაგრამ სიცხის მარტო ხსენებაზეც კი, შუბლზე ძლიერმა ოფლმა დაასხა. — აუტანელი სიცხეა.

მხატვარმა ისე დაუქნია თავი, თითქოს ძალიან კარგად ესმოდა, რა უსიამო გრძნობაც უნდა ჰქონოდა კ-ს.

— ნუთუ ფანჯრის გაღება არ შეიძლება?—იკითხა კ-მ.

— არა, — უპასუხა მხატვარმა,—მინა პირდაპირ ჩარჩოშია ჩასმული, ეს ფანჯარა არ იღება.

მხოლოდ ახლა მიხვდა კ., რომ მას მთელი ეს ხანი იმის იმედი ჰქონდა, რომ ან თვითონ მივიდოდა ფანჯარასთან და

ყურთამდე გამოაღებდა, ანდა მხატვარი. იგი მზად იყო ნისლიც კი ხარბად ჩაესუნთქა. უჰაერობამ თავბრუ დაახვია, მან მსუბუქად აარტყა ხელი გვერდით დადებულ ბუმბულის საბანს და მისუსტებული ხმით თქვა:

— კი, მაგრამ, ასეთი ფანჯარა ხომ მოუხერხებელი და ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

— ო, არა, — უპასუხა მხატვარმა ისე, თითქოს თავის ფანჯარას იცავსო.—იმის გამო, რომ ფანჯარა არ იღება, ეს უბრალო მინა უკეთ ინახავს სითბოს, ვიდრე ორმაგი ფანჯარა, ხოლო როცა ოთახის განიავება მინდა, რაც არც ისე აუცილებელია, რადგან ფიცრებს შორის დარჩენილი ჰუჭრუტანებიდან ყოველთვის შემოდის საკმარისი ჰაერი, შემიძლია გავაღო ერთი ან ორივე კარი.

მხატვრის ამგვარმა განცხადებამ კ. ოდნავ დაამშვიდა და მეორე კარის აღმოსაჩენად ირგვლივ მიმოიხედა.

მხატვარმა შენიშნა კ-ს მოძრაობა და უთხრა:

— კარი თქვენს ზურგს უკანაა, იძულებული შევიქენი საწოლი მიმედგა ზედ.

კ-მ მხოლოდ ახლა დაინახა კედელში დატანებული პატარა კარი.

— სახელოსნოსთვის ეს ოთახი მეტისმეტად პატარაა, — —განაგრძო მხატვარმა ისე, თითქოს სურდა კ-სათვის საყვედურის თქმის საშუალება არ მიეცა,—მაგრამ როგორღაც ხომ უნდა მოვწყობილიყავი. რა თქმა უნდა, კარზე საწოლის მიდგმა დიდ უხერხულობას მიქმნის, მაგალითად, აი ეს მოსამართლე, ახლა რომ ვხატავ, მუდამ ამ კარით შემოდის სახელოსნოში, მე მას კარის გასაღებიც კი მივეცი იმისათვის, თუ შინ არ ვიქნები, დამიცადოს. მაგრამ ჩვეულებრივ იგი დილაადრიან მოდის, იმ დროს, როცა მძინავს. და რა მაგრადაც არ უნდა მეძინოს, მაინც მეღვიძება საწოლის უკან გაჭრილი კარის გაღებაზე. მოსამართლეებისადმი ყოველგვარი პატივისცემა დაგეკარგებათ, ის ლანძღვა-გინება რომ გაგაგონათ, რითაც დილაადრიან ჩემს საწოლზე მბობღავ მოსამართლეს ვუმასპინძლდები. მართალია, შემიძლია გასაღები წავართვა, მაგრამ მაშინ უარეს დღეში აღმოვჩნდები. აქ ძალ-ღონის დაუძაბავად შეიძლება ყველა კარი ჩამოგლიჯო ანჯამებიდან.

სანამ მხატვარი ლაპარაკობდა, კ. იმაზე ფიქრობდა, გაეხადა პიჯაკი თუ არა, ბოლოს მიხვდა, თუ არ გაიხდიდა, აქ დიდხანს ვეღარ გაჩერდებოდა. ამიტომ პიჯაკი კი გაიხადა, მაგრამ მუხლებზე დაიდო იმ მიზნით, რომ მოლაპარაკების დამთავრებისთანავე ჩაეცვა. გაიხადა თუ არა პიჯაკი, ერთმა გოგომ იმწამსვე დაიძახა:

— პიჯაკი უკვე გაიხადა!

კ-მ გაიგოხა, გოგოები ჰუჭრუტანებს მოაწყდნენ, რათა საკუთარი თვალით ეხილათ ეს სანახაობა.

— გოგოებს ჰგონიათ, თქვენ დახატვას ვაპირებ და პიჯაკი ამის გამო გაიხადეთ, — უთხრა მხატვარმა კ-ს.

— აი, თურმე რა, — თქვა კ-მ საკმაოდ უხალისოდ, რადგან თუმცა ახლა პერანგის ამარა იჯდა საწოლზე, თავს უკეთ მაინც ვერ გრძნობდა. მას ისევ დააკვიწყდა მხატვრის ნათქვამი სიტყვები და თითქმის ბუზღუნით ჰკითხა: — რა უწოდეთ იმ ორ შესაძლებლობას?

— მოჩვენებითი გამართლება და საქმის გაჭიანურება,— უპასუხა მხატვარმა, — ახლა თქვენზეა დამოკიდებული, რომელს აირჩევთ, მე ორივე შემთხვევაში შემიძლია დაგეხმაროთ, თუმცა გაურჯელად არც ეს გამოვა, განსხვავება მათ შორის ისაა, რომ მოჩვენებითი გამართლება მოითხოვს ძალ-ღონის დროებით, მაგრამ უკიდურეს დაძაბვას, საქმის გაჭიანურება კი ნაკლებ, მაგრამ ხანგრძლივ დაძაბულობას. თუ ამის სურვილი გაქვთ, თავდებად დაგიდგებით და ქაღალდზე დავწერ, რომ უდანაშაულო ხართ. ასეთი თავდებობის ტექსტი მამაჩემმა დამიტოვა და მასში არაფრის შეცვლა არ შეიძლება. ამ ქაღალდით ჩამოვუვლი ყველა ჩემს ნაცნობ მოსამართლეს, დავიწყებ იმ მოსამართლიდან, ახლა რომ ვხატავ. ამ საღამოს სეანსზე მოვა, ქაღალდს წინ დავუდებ, ავუხსნი, რომ უდანაშაულო ხართ და თქვენს უდანაშაულობაში თავდებად მე გიდგებით. თანაც ეს ზერელე, ფორმალური თავდებობა კი არ იქნება, არამედ მოვალეობის დამკისრებელი. — მხატვარმა კ-ს ისე შეხედა, თითქოს უსაყვედურა, რად გინდათ, ასეთი თავდებობის ტვირთი რომ ამკიდოთო.

— დიდად მასიამოვნებთ, — უთხრა კ-მ. — ვთქვათ და მოსამართლემ დაგიჯერათ, ნამდვილად მაინც არ გამამართლებს?

— აკი მოგახსენეთ, — უპასუხა მხატვარმა. — სხვათა შორის, სრულიად არა ვარ დარწმუნებული, რომ ყველა მოსამართლე დამიჯერებს, ზოგიერთი იმასაც კი მომთხოვს, პირადად, მიგიყვანოთ მასთან. რას იზამთ, უნდა წამომყვეთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საქმე სანახევროდ უკვე მოგებულია, რადგან საფუძვლიანად დაგარიგებთ წინასწარ, ამა და ამ მოსამართლესთან როგორ უნდა მოიქცეთ. უფრო გაგიჭირდება იმ მოსამართლეებთან ურთიერთობა, რომლებიც — ასეც ხდება ხოლმე — მაშინვე უარით გამომისტუმრებენ. მათზე უარი უნდა ვთქვათ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა გზას მოვსინჯავთ, რადგან ამგვარ საქმეში ცალკეული მოსამართლეები გადამწყვეტ როლს არ თამაშობენ. როცა თავდებობის ქაღალდზე საკმაოდ ბევრ მოსამართლეს მოვაწერინებ ხელს, მერე ამ საბუთს წავუღებ იმ მოსამართლეს, რო-

მელსაც თქვენი პროცესი მიანდეს. შეიძლება ხელი მასაც მოვაწერინო და მაშინ პროცესი ცოტათი უფრო დაჩქარდება, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება. ამის შემდეგ, საერთოდ არავითარი დაბრკოლება აღარ გადაგვეღობება, დადგება ის დრო, როცა ბრალდებული კვლავ იმსჭვალება საკუთარი თავისადმი რწმენით. საკვირველია. მაგრამ ფაქტია, რომ ამიერიდან დიდი გარჯა და მეცადინეობა საჭირო აღარაა. მოსამართლეს ხელთ აქვს მრავალი მოსამართლის მიერ ხელმოწერილი თავდებობის მოწმობა, შესაძლებლობა ეძლევა უყოყმანოდ გაგამართლოთ, რასაც სხვადასხვა ფორმალური საკითხების მოგვარების შემდეგ აუცილებლად გააკეთებს კიდეც ჩემი და სხვა ნაცნობების გულის მოსაგებად. თქვენ კი სასამართლოდან გამოდიხართ და თავისუფალი ბრძანდებით.

— ამის შემდეგ მართლა თავისუფალი ვიქნები? — ჰკითხა კ-მ ერთგვარი ყოყმანით.

— დიახ, — უპასუხა მხატვარმა, — მაგრამ ეს არის მოჩვენებითი თავისუფლება, ან ზუსტად რომ ვთქვათ, დროებითი თავისუფლება. საქმე ისაა, რომ დაბალი რანგის მოსამართლეებს, რომელთაც ჩემი ნაცნობები განეკუთვნებიან, უფლება არა აქვთ მთლიანად გაგამართლონ, ამის უფლება აქვს მხოლოდ თქვენთვის, ჩემთვის და ყველა ჩვენთაგანისათვის ხელმიუწვდომელ-სასამართლოს, როგორ გამოიყურება, იქაურობა, ჩვენ არ ვიცით და სხვათა შორის არც გვინდა ვიცოდეთ. ამგვარად, ბრალდების მოხსნის უფლება ჩვენს მოსამართლეებს არა აქვთ, მათ რჩებათ მხოლოდ ბრალდების აცილების უფლება. ეს იმას ნიშნავს, თუ თქვენ ამ ინსტანციაში გაგამართლეს ბრალდება დროებით აგაცილეს, მაგრამ იგი მაინც გაწევთ მხრებზე და როგორც კი უზენაესი ბრძანება მოვა, მაინც ყველაფერი თავიდან ამოქმედდება. სასამართლოსთან მჭიდრო ურთიერთობა უფლებას მაძლევს აგიხსნათ, რა გარეგნული ნიშნებით განსხვავდება ნამდვილი და მოჩვენებითი გამართლება სასამართლოს კანცელარიაში არსებული განკარგულებების მიხედვით. ნამდვილი გამართლების დროს პროცესის მთელ დოკუმენტაციას საქმიდან იღებენ, ისპობა არა მარტო ბრალდება დასკვნა, არამედ პროცესის ყველა ოქმიც და თვით გამამართლებელი განაჩენიც კი. სულ სხვა რამ ხდება მოჩვენებითი გამართლების დროს. დოკუმენტაცია უცვლელი რჩება, მხოლოდ ესაა, რომ ემატება უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი, გამამართლებელი განაჩენი და ამ განაჩენის დასაბუთება, საერთოდ კი პროცესი გრძელდება და როგორც ამას კანცელარიებს შორის საქმეების განუწყვეტელი გადაგზავნ-გადმოგზავნა მოითხოვს, დოკუმენტაცია იგზავნება უფრო მაღალ სასამართლოში, საიდანაც კვლავ უბრუნ-

დება უფრო დაბალ სასამართლოს და ასე მოძრაობს აქეთ-იქით ქანქარასავით, ხან მეტ-ნაკლები გაქანებით, ხანაც მეტ-ნაკლები შეყოვნებით. ეს გზები ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. გარედან მაყურებელს შეიძლება ზოგჯერ მოეჩვენოს, რომ დიდი ხანია ყველაფერი დავიწყეს, დოკუმენტაცია დაიკარგა და გამამართლებელი განაჩენი ნამდვილზე ნამდვილია, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცი ამას არ დაიჯერებს. არც ერთი დოკუმენტი არ იკარგება, სასამართლოს დავიწყება არ სჩვევია. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ამას არავინ არ მოელის, რომელიმე მოსამართლე საბუთებს მეტი ყურადღებით გადახედავს, დარწმუნდება, რომ ბრალდება ჯერ კიდევ ძალაშია და დაუყოვნებლივ გასცემს დაპატიმრების ბრძანებას. ამას რომ გეუბნებით, იმასაც ვვარაუდობ, მოჩვენებითი გამართლებასა და ხელახლა დაპატიმრებას შორის ბევრი დრო გადის. ზოგჯერ ეს მართლაც ასე ხდება, მაგრამ მე ისეთი შემთხვევებიც ვიცი, როცა გამართლებული სასამართლოდან შინ მიდის და იქ უკვე ელოდებიან რწმუნებულები, რომ ხელახლა დააპატიმრონ. ამ შემთხვევაში თავისუფლებას საბოლოოდ უნდა დაემშვიდობო.

— და პროცესი თავიდან იწყება? — ჰკითხა კ-მ, რომელსაც მთელი ამ ამბის დაჯერება უჭირდა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა მხატვარმა, — პროცესი თავიდან იწყება, მაგრამ კვლავ რჩება იმის შესაძლებლობა, რომ უწინდებურად მოჩვენებით გამართლებას მივაღწიოთ. ისევ უკიდურესობამდე უნდა დაძაბო მთელი ძალ-ღონე და არაფრით არ დანებდე მათ. — *უკანასკნელი სიტყვები მხატვარმა* ალბათ იმიტომ თქვა, რომ კ. ფრთებჩამოყრილი მოეჩვენა.

—განა მეორედ უფრო ძნელი არ არის გამოატანინო გამამართლებელი განაჩენი, ვიდრე პირველად? — იკითხა კ-მ ისე, თითქოს წინასწარვე უნდოდა თავი დაეზღვია მხატვრის შემდგომი ახსნა-განმარტებისაგან.

— ამასთან დაკავშირებით გარკვეულად არაფრის თქმა არ შეიძლება,—უპასუხა მხატვარმა,—თქვენ ალბათ გგონიათ, რომ მეორედ დაპატიმრება მოსამართლეებზე არასასურველ გავლენას იქონიებს განაჩენის გამოტანის დროს? მაგრამ ასე არ ხდება. როცა მოსამართლეებს გამამართლებელი განაჩენი მოჰქონდათ, ხელმეორედ დაპატიმრებას წინააღმდეგობა [illegible] ებდნენ და ამიტომ ეს გარემოება მათზე ნაკლებად მოქმედებდა. [illegible] სხვა უამრავი მიზეზის გამო შეიცვალოს ისევე, როგორც საქმის საშართლებრივი შეფასება იცვლება და ამიტომ მეორედ რომ გაგამართლონ, უნდა იმოქმედო შეცვლილი გარემოებების შესაბამისად და თანაც ისევე თავდაუზოგავად, როგორც

პირველი გამამართლებელი განაჩენის გამოტანამდე მოქმედებდი.

— კი მაგრამ, საბოლოო ხომ არც მეორე გამამართლებელი განაჩენია, — თქვა კ-მ და თავი ისე მიაბრუნა, თითქოს არაფრის გაგება აღარ უნდოდა.

— ცხადია, არა, — უპასუხა მხატვარმა, — მეორე გამამართლებელ განაჩენს მოსდევს მესამე დაპატიმრება. მესამე გამამართლებელ განაჩენს მეოთხე დაპატიმრება და ასე შემდეგ. ამას გულისხმობს თვით მოჩვენებითი გამართლების ცნება.—კ-ს არაფერი უპასუხია.—ეტყობა, მოჩვენებითი გამართლება დიდად არ გეჭრიანებათ,—განაგრძო მხატვარმა, — იქნებ საქმის გაჭიანურება უფრო უპრიანი მოგეჩვენოთ, აგიხსნათ მისი არსიც?

თანხმობის ნიშნად კ-მ თავი დაუქნია. მხატვარი სკამის საზურგეზე გადაწვა, ღამის პერანგი გაიღეღა, ცალი ხელი პერანგის ქვეშ შეიყო და მკერდზე და გვერდებზე მოისვა.

— საქმის გაჭიანურება, — დაიწყო მან და ერთი წუთით ისე მიაშტერდა სივრცეს, თითქოს უნდოდა უზუსტესი განსაზღვრა მოენახა, — საქმის გაჭიანურება იმას ნიშნავს, რომ პროცესი დიდხანს შეაჩეროონ ყველაზე დაბალ ინსტანციაში. ამას რომ მიაღწიო, ბრალდებულმა და მისმა ხელის შემწყობმა, განსაკუთრებით ხელის შემწყობმა, მუდმივი კონტაქტი უნდა იქონიოს სასამართლოსთან, ვიმეორებ, ამისთვის არაა საჭირო იმდენი ძალ-ღონის დახარჯვა, რამდენიც მოჩვენებითი გამართლებისათვის, მაგრამ ყურაღდების მეტ დაძაბვას მოითხოვს, მთავარია, პროცესი მხედველობიდან არ გამოგრჩეს. სისტემატურად უნდა იარო მოსამართლესთან, ყოველნაირად ეცადო შეინარჩუნო მისი კეთილგანწყობილება; თუ მოსამართლეს არ იცნობ, ნაცნობი მოსამართლეების დახმარებით უნდა მოახდინო მასზე გავლენა და თანაც ისე, რომ ამის გამო არავითარ შემთხვევაში არ აიღო ხელი პირადად მასთან მოლაპარაკების ცდაზე. თუ ამ მხრივაც არაფერი გამოგრჩა მხედველობიდან, შეგიძლია დაიმედებული იყო, რომ პროცესი პირველ სტადიას არ გასცდება. მართალია, პროცესი არ შეწყდება, მაგრამ ბრალდებული ისევეა დაზღვეული განაჩენისაგან, თითქოს თავისუფალი ადამიანი იყოს. მოჩვენებით განთავისუფლებასთან შედარებით საქმის გაჭიანურებას ის უპირატესობა აქვს, რომ ბრალდებულისათვის მომავალი უფრო გარკვეულია, მას ეეცარი დაპატიმრების საფრთხე აღარ ემუქრება და არ უნდა ეშინოდეს, რომ სწორედ იმ მომენტში, როცა მისთვის ვითარება არახელსაყრელია, ხელახლა მოუწევს იმ სიძნელეებისა და მღელვარების გადატანა, რაც მოჩვენებით გამართლებასთანაა დაკავშირებული. თუმცა საქმის გაჭიანურებასაც ახლავს ბრალდებულისათვის უსიამო, ჩრდილოვანი მხარეები, ოღონ გაუთვალისწინებლობაც არაფრით არ შეიძლება. მე ის კი არა მაქვს მხედველობაში, რომ საქმის გაჭიანურების დროს ბრალდებული ერთი წუთითაც არ გრძნობს თავს თავისუფალ კაცად, თუმცა იგი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რაც მოჩვენებითი გამართლების დროსაა თავისუფალი, ამჯერად სულ სხვაგვარ უსიამოვნებასთან გვაქვს საქმე. პროცესს ვერაფრით ვერ შეაჩერებ, თუ ამისათვის არ გაგაჩნია ცხადი ან ფარული საბაბი. ამიტომ პროცესი ფორმალურად მაინც უნდა მიმდინარეობდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროდადრო სხვადასხვა განკარგულება გასცენ. ბრალდებული დაჭეთხონ, გამოძიება აწარმოონ და ასე შემდეგ. ამგვარად პროცესი განუწყვეტლივ ხელოვნურად შემოფარგლულ ვიწრო წრეში უნდა ტრიალებდეს. ცხადია, ბრალდებულისათვის ამას ეარკვეული უსიამოვნებანი მოაქვს, მაგრამ ეს ამბავი მეტისმეტად მუქ ფერებში არ უნდა წარმოიდგინოთ, ყველაფერს მოჩვენებითი ხასიათი აქვს, მაგალითად, დაკითხვები ძალიან მცირე ხანს გრძელდება, ხოლო თუ დაკითხვაზე გამოცხადების არც დრო გაქვს და არც სურვილი, შეგიძლია მოსამართლეს ბოდიში მოუხადო. არც ის გეკრძალება, ზოგიერთ მოსამართლეს წინასწარ შეუთანხმდე და გრძელვადიანი განრიგი შეადგინო. ერთი სიტყვით, ბრალდებული ხარ და დროდადრო შენს მოსამართლესთან უნდა გამოცხადდე.

მხატვარს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ლაპარაკი დამთავრებული, როცა კ-მ ჰიჯაკი მკლავზე გადაიკიდა და წამოდგა.

— წამოდგა! — იყვირეს კარს უკან გოგოებმა.

— წასელას აპირებთ? — ჰკითხა მხატვარმა და თვითონაც წამოდგა, — ალბათ აქაური ჰაერის გამო გარბიხართ. გული მწყდება, თქვენთვის კიდევ მაქვს რაღაც-რაღაცები სათქმელი, იძულებული ვიყავი ძალიან მოკლედ მელაპარაკა, მაგრამ იმედი მაქვს, სწორედ გამიგებთ.

— ო, ეიახ, — პასუხა კ-მ, რომელმაც დიდი გაჭირვებით მოისმინა ყველაფერი და ახლა დაძაბულობისაგან თავი სტკიოდა. მოუხედავად დადებითი პასუხისა, მხატვარმა შეაჯამა ნათქვამი და ისე უთხრა კ-ს, თითქოს უნდოდა ეზა დაელოცა და ენუგეშებინა:

— ორივე მეთოდი იმით ჰგავს ერთმანეთს, რომ აბრკოლებს ბრალდებულისათვის განაჩენის გამოტანას.

— ნამდვილ გამართლებასაც ხომ უშლიან ხელს, — თქვა კ-მ ისე წყნარად, თითქოს რცხვენოდა, ამას რომ მიხვდა .

— თქვენ სწორად ჩაწვდით საქმის არსს, — ჰიუგო მხატვარმა მაშინვე.

კ. თავის პალტოს წაეპოტინა, მაგრამ ისიც კი ვერ მოიფიქრა, ჯერ ჰიჯაკი ჩაეცვა. ყველაფერს ერჩია ტანსაცმლისათვის

ხელი დაევლო და სუფთა ჰაერზე გავარდნილიყო. იგი გოგოებმაც კი ვერ აიძულეს ტანთ ჩაეცვა, თუმცა წინასწარ უყვიროდნენ ერთმანეთს, იცვამსო.

მხატვარს გულით უნდოდა, კ-ს განწყობილებას ჩასწვდომოდა როგორმე, ამიტომ უთხრა:

— თქვენ, ალბათ ჯერ კიდევ არ გაქვთ გადაწყვეტილი, ჩემი წინადადებიდან რომელი აირჩიოთ. მე ეს მომწონს. არც გირჩევთ ახლავე მიიღოთ გადაწყვეტილება. უპირატესობასა და ნაკლს შორის მხოლოდ ბეწვის ოდენა განსხვავებაა. საჭიროა ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოთ, მაგრამ არც ბევრი დროის დაკარგვა ივარგებს.

— მალე ისევ გეწვევით, — უთხრა კ-მ დაბეჯითებით, პიჯაკი სწრაფად ჩაიცვა, პალტო მხრებზე მოიგდო და იმ კარისაკენ გაეშურა, რომლის უკანაც გოგოებმა ისევ ატეხეს ყვირილი. კ-ს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მათ დახურული კარიდან ხედავდა.

— სიტყვა უნდა შეასრულოთ, — უთხრა მხატვარმა ისე, რომ მისი გაცილება არ უცდია, — თუ არადა, ამბის საკითხავად ბანკში გესტუმრებით.

— ბოლოს და ბოლოს გააღეთ კარი, — წამოიძახა კ-მ და სახელური მოქაჩა, მაგრამ იგრძნო, რომ გოგოები გარედან სახელურს მაგრად ჩაბღაუჭებოდნენ.

— თუ არ გინდათ გოგოებმა სისხლი გაგიშრონ, ამ კარით გაბრძანდით, — უთხრა მხატვარმა და საწოლის უკან, კედელში დატანებულ კარზე მიუთითა. კ. დაეთანხმა და საწოლისაკენ გაქანდა.

მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ კარი გაეღო, მხატვარი საწოლქვეშ შეძვრა და იქიდან ამოსძახა: — მოითმინეთ კიდევ ერთი წამი; ხომ არ დახედავთ სურათს, რომელიც შემიძლია მოგყიდოთ?

კ-ს არ უნდოდა უზრდელობა გამოეჩინა, მხატვარმა გულთბილად მიიღო, დაპირდა, მომავალშიც დაგეხმარებიო, გარდა ამისა, კ-ს გულმავიწყობის გამო გასამრჯელოზე არაფერი თქმულა, ამიტომ ახლა არ შეეძლო მხატვარი გაეწბილებინა და თუმცა სული ელეოდა, ოღონდ აქაურობისათვის დაეღწია თავი, მაინც დართო ნება სურათი ეჩვენებინა. მხატვარმა საწოლის ქვემოდან უჩარჩო სურათების მთელი დასტა გამოათრია. სურათები სქელი მტვრით იყო დაფარული და როცა ზედა სურათს სული შეუბერა, მტვერი კიდევ კარგა ხანს ტრიალებდა ჰაერში. კ-ს თვალთ დაუბნელდა, სუნთქვა შეეკრა.

— მინდვრის პეიზაჟია, უთხრა მხატვარმა და კ-ს სურათი გაუწოდა, სურათზე მოჩანდა ჩაშავებულ ბალახში ერთმანეთისაგან შორიშორ მდგარი ორი უდღეური ხე, მათ უკან კი ჩამავალი მზე ათასფრად ელავდა.

— ლამაზია, — უთხრა კ-მ, — ვყიდულობ. — რაკი კ-მ წინდაუხედავად ასე მოკლედ გამოხატა თავისი აზრი, გაეხარდა, რომ მხატვარი კი არ განაწყენდა, არამედ იატაკიდან მეორე სურათი აიღო.

— ეს კი არაფრით არ ჰგავს მაგ სურათს, — უთხრა მხატვარმა. შეიძლება მხატვარს მართლაც ჰქონდა განზრახული რაღაც სხვა დაეხატა, მაგრამ სურათებს შორის სხვაობის აღმოჩენა თითქმის შეუძლებელი იყო. ისეთივე ხეები, ისეთივე ბალახი, უკანა პლანზე კი ისეთივე ათასფრად მოელვარე ჩამავალი მზე. თუმცა კ-ს ეს მსგავსება ნაკლებად აწუხებდა.

— ლამაზი პეიზაჟია, — უთხრა მან მხატვარს, — ორივეს ვყიდულობ და ჩემს კაბინეტში დავკიდებ.

— თქვენ ალბათ თემა მოგწონთ, — უთხრა მხატვარმა და მესამე სურათი ვაუწოდა, — რა ბედნიერი დამთხვევაა, რომ კიდევ ერთი მსგავსი სურათი მაქვს.

მაგრამ მსგავსი კი არა წინა სურათის ზუსტი განმეორება იყო. მხატვარმა კარგად გამოიყენა შემთხვევა, ძველი სურათები გაესაღებინა.

— ამასაც ვყიდულობ,—უთხრა კ-მ, — რა ღირს სამივე?

— ფასზე ამ დღეებში მოვილაპარაკებთ, — უპასუხა მხატვარმა, — თქვენ ახლა გეჩქარებათ, ჩვენ ხომ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. სხვათა შორის მიხარია, რომ სურათები მოგეწონათ, თან გაგატანთ ყველა სურათს, რაც ამ საწოლის ქვეშ მაქვს. აქ მხოლოდ მინდვრის პეიზაჟებია, ამგვარი პეიზაჟი ბევრი მაქვს. ზოგიერთს არ მოსწონს ასეთი სურათები, მეტისმეტად პირქუში ეჩვენება. მაგრამ ზოგს, მათ შორის თქვენც, სწორედ პირქუში სურათები მოგწონთ.

მაგრამ კ-ს ახლა სულაც არ აინტერესებდა მათხოვარი მხატვრის პროფესიული გამოცდილება.

— შეფუთეთ ყველა ერთად! — უყვირა კ-მ მხატვარს და სიტყვა შეაწყვეტინა, — ხვალ შიკრიკს გამოვგზავნი და წამოიღებს.

— რა საჭიროა, — უთხრა მხატვარმა, — ვიმედოვნებ, ახლავე ვიშოვი კაცს, რომელიც თან წამოგყვებათ. — ბოლოს, როგორც იქნა, მხატვარმა საწოლზე გადააბიჯა და კარი გააღო. — ნუ გერიდებათ, პირდაპირ საწოლზე ამოდით, ასე დადის აქ ყველა, — გამოსძახა მან.

მაგრამ კ-ს თხოვნა არც დასჭირვებია, ის იყო ცალი ფეხი უკვე უბოდიშოდ შედგა ბუმბულის საბანზე და ღია კარიდან გარეთ გაიხედა, რომ ფეხი ისევ ძირს ჩამოიღო.

— რა არის ეს? — ჰკითხა მან მხატვარს.

— რამ გაგაკვირვათ? — ჰკითხა ახლა უკვე თავად გაკვირვებულმა მხატვარმა. — ეს ხომ სასამართლოს კანცელარიებია. განა არ იცოდით, რომ აქ სასამართლოს კანცელარიებია? სასამართლოს კანცელარიები ხომ ყველა სხვენზეა და რაღა ამ სხვენზე არ უნდა იყოს? მართალი რომ გითხრათ, ჩემი სახელოსნოც კანცელარიებს ეკუთვნის, მაგრამ სასამართლომ ერთი ოთახი პირადად მე დამითმო.

კ. იმან კი არ შეაშინა, რომ აქაც სასამართლოს კანცელარიები აღმოჩნდა, არამედ უმთავრესად იმან, რომ ასეთი უმეცარი იყო სასამართლოს საქმეებში. მას ეგონა, ბრალდებულის ქცევის ძირითადი წესია, ყველაფრისთვის მზად იყოს, არაფერმა გააკვირვოს, გულუბრყვილოდ არ გაიხედოს მარჯვნივ, როცა მარცხნივ მის გვერდით მოსამართლე დგას — მაგრამ რატომღაც სწორედ ამ ძირითად წესს არღვევდა ყოველთვის. მის წინ გაჭიმულიყო გრძელი დერეფანი, საიდანაც ისეთი ჰაერი შემოდიოდა, რომელთან შედარებითაც სახელოსნოს ჰაერი გამაცოცხლებელი ეჩვენებოდა. დერეფნის ორივე მხარეს ზუსტად ისე ჩაემწკრივებინათ მერხები, როგორც მისთვის ნაცნობი კანცელარიის მოსაცდელ ოთახში. ეტყობა, კანცელარიების მოსაწყობად ზუსტი მითითებები არსებობდა. ამ კანცელარიაში ამჟამად მაინცდამაინც დიდი მიმოსვლა არ იყო, ვიღაც მამაკაცი მერხზე თითქმის წამოწოლილიყო, სახე ხელებში ჩაერგო და ალბათ ეძინა. მეორე კი ნახევრად ბნელი დერეფნის ბოლოში იდგა. კ-მ საწოლს გადააბიჯა, მხატვარმა კი სურათები ამოიღლიავა და თან გაჰყვა. მალე სასამართლოს შიკრიკს გადააწყდნენ. კ. ახლა ადვილად სცნობდა სასამართლოს ყველა შიკრიკს იმ ოქროს ღილის წყალობით, სამოქალაქო პიჯაკის ჩვეულებრივი ღილებისაგან რომ გამოირჩეოდა. მხატვარმა შიკრიკს დაავალა კ-ს გაცილება და სურათების წაღება. კ. უფრო ბარბაცებდა, ვიდრე მიდიოდა, პირზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული. ისინი თითქმის გასასვლელ კართან იყვნენ მისულნი, როცა წინ კვლავ ის გოგოები შემოეფეთნენ. კ-მ ვერც ამ გზით დააღწია მათ თავი. ეტყობა, გოგოებმა დაინახეს, როგორ გაიღო სახელოსნოს მეორე კარი და იმ მხრიდან რომ დახვედროდნენ, დერეფანს სირბილით შემოუარეს.

— მე ვეღარ შევძლებ თქვენს გაცილებას! — მიაძახა გოგოებით გარშემორტყმულმა მხატვარმა სიცილით, — ნახვამდის! — ფიქრს ნუ გადაყვებით.

კ-ს არც მიუხედავს მისკენ. ქუჩაში გასულმა პირველივე ეტლი დაიქირავა. უნდოდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, თავიდან მოეცილებინა შიკრიკი, რომლის ოქროს ღილი წამდაუწუმ თვალში ეჩხირებოდა, თუმცა სხვები ამას ალბათ ვერც

ამჩნევდნენ. დაუზარელი შიკრიკი უკვე აპირებდა კოფოზე აბობღებას, მაგრამ კ-მ ძირს ჩააგდო. როცა ბანკში მივიდა, შუადღე დიდი ხნის გადასული იყო. ძალიან უნდოდა სურათები ეტლში დაეტოვებინა, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ შემთხვევით მხატვარმა მოიკითხოსო და კაბინეტში შეიტანა, ხოლო ერთხანს დირექტორის მოადგილის ცნობისმოყვარე მზერისაგან საიმედოდ რომ დაეცვა, მაგიდის სულ ქვედა უჯრაში ჩაკეტა.

თავი მერვე

კომერსანტი ბლოკი.
ვექილისათვის უარის თქმა.

ბოლოს კ-მ მაინც გადაწყვიტა ვექილისათვის უარი ეთქვა პროცესში მონაწილეობაზე. მართალია, ეჭვი მაინც ღრღნიდა, ვაითუ სწორად არ ვიქცევიო, მაგრამ შინაგანმა რწმენამ გადაძლია, ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელიაო.

უარის სათქმელად ვექილთან წასვლაზე ფიქრმა იმ დღეს მეტისმეტად მოქანცა, ამიტომ უაღრესად ნელა მუშაობდა, გვიანობამდე დარჩა სამსახურში და როცა ვექილის კარს მიადგა, თერთმეტი უკვე დაწყებული იყო. სანამ ზარს დარეკავდა, დაფიქრდა, იქნებ ჯობდეს ვექილს ტელეფონით ან წერილობით ვუთხრა უარიო, რადგან პირადად მასთან ამაზე საუბარი დიდად საჩოთირო ეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, ვექილთან მოლაპარაკებაზე ხელის აღება მაინც არ ისურვა. კ-მ წინასწარ იცოდა, რანაირადაც არ უნდა ეთქვა უარი, ვექილი ან სულ არაფერს ეტყოდა, ანდა ერთი-ორი არაფრისმთქმელი სიტყვით დაკმაყოფილდებოდა და ლენის ჩაურევლად, კ. ვერასოდეს გაიგებდა, როგორ მიიღო ვექილმა მისი გადაწყვეტილება და ვექილის აზრით რა შედეგები მოჰყვებოდა ამ ნაბიჯს კ-სთვის; ვექილის აზრი კი ანგარიშგასაწევი იყო. თუ ვექილი კ-ს პირისპირ იჯდება და მისი უარი გააკვირვებს, თუნდაც ბევრი არაფერი დასცდეს. საკმარისია კ. მისი სახის გამომეტყველებასა და ქცევას დააკვირდეს, მაშინვე მიხვდება ყველაფერს, რაც აინტერესებს. არც ის იყო გამორიცხული, ამ საუბრის დროს კ-ს ჭკუაში დასჯდომოდა, დაცვა ისევ ვექილისათვის მიენდო და ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

როგორც ყოველთვის, პირველი ზარის დარეკვა ვექილის ბინაში უშედეგო აღმოჩნდა. „ნუთუ ლენის არ შეუძლია უფრო ჩქარა მოირბინოს“, — გაიფიქრა კ-მ, მაგრამ ამჯერად იმითაც კმაყოფილი იყო, რომ სხვა მდგმურები არ ჩარეულან საქმეში, არც დილის ხალათში გამოწყობილ მამაკაცს შეუწუ-

ხებია თავი და არც სხვა ვინმეს. სანამ კ. მეორედ დააჭერდა თითს ღილაკს, მოპირდაპირე კარს შეხედა. ამჯერად ისიც დაკეტილი იყო. ბოლოს კარის საჭვრეტში გამოჩნდა ორი თვალი, მაგრამ ეს არ იყო ლენის თვალები. ვიღაცამ კარი გააღო, მაგრამ შიგნიდან მაინც მოაწვა ხელით, მერე სადღაც სიღრმისკენ დაიძახა: „ის არის!“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუშვა კარს ხელი.

კ. კარს მიაწვა, რადგან მოესმა, რა სწრაფად გადააბრუნეს მის ზურგს უკან საკლიტეში გასაღები. ბოლოს, როცა ბინის კარი გაუღეს, იგი თითქმის შევარდა წინკარში და მხოლოდ იმის დანახვა მოასწრო, როგორ გაირბინა პერანგის ამარა ლენიმ დერეფანში. კარის გამღების გამაფრთხილებელ ძახილზე. კ-მ ქალიშვილს თვალი გააყოლა და შემდეგ კარის გამღებისაკენ შემობრუნდა. მის წინ იდგა მჭლე, წვერმოშვებული, ჩია კაცი სანთლით ხელში.

— აქ მსახურობთ? — ჰკითხა კ-მ.

— არა, — უპასუხა მამაკაცმა, — მე აქ უცხო კაცი ვარ, საქმე მაქვს, რჩევისათვის მოვედი ვექილთან.

— უპიჯაკოდ? — ჰკითხა კ-მ და ხელით ანიშნა. ცოტა არ იყოს შილიფადა ხართ ჩაცმულიო.

— აჰ, მაპატიეთ! — თქვა მამაკაცმა და სანთელი ისე მიინათა, თითქოს თვითონაც პირველად ხედავდა, როგორ იყო მოკაზმული.

— ლენი თქვენი საყვარელია? — ჰკითხა კ-მ ჯიქურად. იგი ოდნავ ფეხგადგმული იდგა და ზურგს უკან გადაჯვარედინებულ ხელებში ქუდი ეჭირა. ამ მჭლე, ჩია კაცთან შედარებით მას ისიც კი ანიჭებდა უპირატესობას, რომ მდიდრული პალტო ეცვა.

— ო, ღმერთო, — წამოიძახა შეშინებულმა მამაკაცმა და სახეზე ისე აიფარა ხელები, თითქოს ვიღაცისაგან თავს იცავდა, — არა, არა, როგორ გეკადრებათ ამის თქმა!

— სანდო კაცი ჩანხართ, გიჯერებთ, — უთხრა კ-მ ღიმილით, — მაგრამ მაინც გამომყევით. — კ-მ ქუდი დაუქნია და წინ გაუშვა. — რა გვარი ხართ? — ჰკითხა გზაში.

— ბლოკი, კომერსანტი ბლოკი გახლავართ, — უპასუხა ჩია კაცმა და რომ გასცნობოდა, შემობრუნდა, მაგრამ კ-მ გაჩერების საშუალება არ მისცა.

— ეს თქვენი ნამდვილი გვარია? — ჰკითხა კ-მ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კაცმა, — კი მაგრამ, რატომ შეგეპარათ ეჭვი?

— რატომღაც ვიფიქრე, გვარის დამალვის რაღაც მიზეზი უნდა გქონდეთ, — უპასუხა კ-მ. იგი თავისუფლად გრძნობდა თავს უცხოეთში მოხვედრილი კაცივით, უბრალო ხალხთან

ლაპარაკისას გულში რომ ინახავს საკუთარ საწუხარს, სხვებს კი გულგრილად ეკითხება, რა უჭირთ და რა ულხინთ, მათ საკუთარ თვალში ამაღლებს, ხოლო თუ მოესურვება, მათი დამცირებაც შეუძლია.

კ. ვექილის სამუშაო ოთახთან შეჩერდა, კარი გააღო და კომერსანტს, რომელიც მორჩილად განაგრძობდა გზას, მიაძახა: — სად მიგეჩქარებათ, აბა ერთი აქაურობა გაანათეთ!

კ. ფიქრობდა, იქნებ ლენი კაბინეტში იმალებაო და ამიტომ კომერსანტი აიძულა ყველა კუთხე-კუნჭული გაენათებინა, მაგრამ ოთახში არავინ აღმოჩნდა მოსამართლის პორტრეტის წინ კ-მ კომერსანტს შარვლის სამხრეებში ხელი მოჰკიდა და მოქაჩა.

— ამას თუ იცნობთ? — ჰკითხა მან და საჩვენებელი თითი პორტრეტისაკენ გაიშვირა.

კომერსანტმა სანთელი ასწია, თვალები მოჭუტა, ზევით აიხედა და თქვა:

— ეს მოსამართლეა.

— უზენაესი მოსამართლე? — ჰკითხა კ-მ და რომ დაენახა, რა შთაბეჭდილება მოახდინა კომერსანტზე პორტრეტმა, მის გვერდით გაჩერდა.

კომერსანტი აღტაცებული მისჩერებოდა პორტრეტს.

— დიახ, უზენაესი მოსამართლეა.

— ვერაფერი გულთმისანი ყოფილხართ, — უთხრა კ-მ.— დაბალი რანგის სასამართლოს გამომძიებელთა შორის იგი ყველაზე პატარაა.

— ჰო, გამახსენდა, — თქვა კომერსანტმა და სანთელი დაუშვა, — ეს მე ერთხელ უკვე მითხრეს.

— რა თქმა უნდა, — წამოიძახა კ-მ, — სრულიად გამომრჩა მხედველობიდან, რომ თქვენთვის ეს უნდა ეთქვათ.

— რატომ, რატომ გგონიათ ასე? — ჰკითხა კომერსანტმა, სანამ კ-ს ჯიკავ-ჯიკავით კარისაკენ მიჰყავდა.

როცა დერეფანში გავიდნენ, კ-მ ჰკითხა:

— თქვენ ალბათ იცით, სად იმალება ლენი?

— იმალება? — იკითხა კომერსანტმა, — რატომ უნდა იმალებოდეს, ალბათ სამზარეულოშია და ვექილს წვნიანს უხარშავს.

— რატომ თავიდან არ მითხარით? — გაუწყრა კ.

— იქით მიმყავდით, მაგრამ თქვენ უკან დამაბრუნეთ, — უპასუხა ამდენი ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძანებით დაბნეულმა კომერსანტმა.

— თქვენ, ეტყობა, ეშმაკი კაცი გგონიათ თავი, — უთხრა კ-მ, — კარგი, გამიძეხით წინ!

კ. არასოდეს არ ყოფილა სამზარეულოში, იგი არაჩვეუ-

ლებრივად დიდი და კარგად მოწყობილი აღმოჩნდა. ქურაც კი ჩვეულებრივზე სამჯერ დიდი იყო. იმის დეტალურად დათვალიერება, თუ რა იდგა სამზარეულოში, ძალიან ჭირდა, რადგან იქაურობას ანათებდა პატარა ნათურა, რომელიც შესასვლელში ეკიდა. ქურასთან იდგა თეთრწინსაფარიანი ლენი და სპირტქურაზე დადგმულ ქვაბში კვერცხებს ახლიდა.

— საღამო მშვიდობისა, იოზეფ, — უთხრა ლენიმ და ალმაცერად გამოხედა.

— საღამო მშვიდობისა, — უპასუხა კ-მ და კომერსანტს მოშორებით მდგარ სავარძელზე ანიშნა, დაჯექიო; კომერსანტი მორჩილად დაეშვა სავარძელში. კ. ლენის ზურგიდან მიუახლოვდა, მისი მხრისკენ დაიხარა და ჰკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

ლენიმ ცალი ხელით წვნიანს მოურია, მეორეთი კი კ-ს მოეხვია, თავისკენ მიიზიდა და უთხრა:

— ერთი საცოდავი კაცია, გაღარიბებული კომერსანტი, ვინმე ბლოკი, აბა ერთი შეხედე.

ორივემ ბლოკისაკენ მიიხედა. კომერსანტი იმავე სავარძელში იჯდა, კ-მ რომ მიუჩინა. სულის შებერვით ჩააქრო სანთელი, რომლის შუქი ზედმეტი იყო და ნამწვს ხრჩოლვა რომ არ დაეწყო, თითებით მოსრისა.

— რატომ იყავი პერანგის ამარა? — ჰკითხა კ-მ ლენის და თავი ხელით ქურისაკენ მიაბრუნებინა. ლენიმ არაფერი უპასუხა.

— შენი საყვარელია? — განაგრძო კ-მ, ლენის უნდოდა ქვაბისათვის მიეხედა, მაგრამ კ-მ ორივე ხელი დაუჭირა და უთხრა: — მიპასუხე!

— წავიდეთ კაბინეტში, იქ ყველაფერს აგიხსნი, — უთხრა ლენიმ.

— არა, — გაჯიუტდა კ., — მინდა აქვე ამიხსნა. — ქალიშვილი კისერზე ჩამოეკიდა, ცდილობდა ეკოცნა, მაგრამ კ-მ ხელით მოიშორა და უთხრა: — არ მინდა, ახლა მაკოცო.

— იოზეფ, — თქვა ლენიმ და კ-ს მუდარით, მაგრამ პირდაპირ შეხედა თვალებში: — ნუთუ ბატონ ბლოკზე ეჭვიანობ? რუდი! — მიუბრუნდა უეცრად ქალიშვილი კომერსანტს, — დამეხმარე, ხომ ხედავ, ცილს მწამებენ, მოეშვი მაგ სანთელს!

თავიდან ისე ჩანდა, თითქოს ბლოკი მათ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მის სმენას არაფერი გამოპარვია.

— არ ვიცი, რა გაქვთ საეჭვიანო, — უთხრა კომერსანტმა კ-ს ოდნავ გამომწვევად.

— სიმართლე რომ გითხრათ, არც მე ვიცი, — უპასუხა კ-მ და ღიმილით შეხედა კომერსანტს.

ლენიმ ხმამაღლა გაიცინა, კ-ს უყურადღებობით ისარგებლა, მკლავზე ჩამოეკიდა და წასჩურჩულა:

— თავი დაანებე, ხომ ხედავ, რა კაციცაა. ცოტათი შემეცოდა, რადგან ვექილისათვის სარფიანი კლიენტია, ეს იყო და ეს. შენ როგორ ხარ? დღესვე გინდა ელაპარაკო ვექილს? დღეს ძალიან ავადაა, მაგრამ თუ მისი ნახვა გინდა, ახლავე მოვახსენებ. ღამე კი აუცილებლად ჩემთან დარჩები. დიდი ხანია არ ყოფილხარ, ვექილმაც კი გიკითხა. ნუ მიუშვებ პროცესს თავის ნებაზე! შენთვის ბევრი რამ მაქვს სათქმელი, რაღაცრაღაცეებს ყური მოვკარი, მაგრამ ჯერ პალტო გაიხადე!

ლენი კ-ს პალტოს გახდაში მოეხმარა, შემდეგ ქუდიც ჩამოართვა, წინკარისაკენ გაიქცა, ჩამოკიდა, იმწამსვე შემობრუნდა, და წვნიანს დახედა.

— ჯერ ის მოვახსენო, რომ მოხვედი თუ ჯერ წვნიანი მივართვა?

— ჯერ ის მოახსენე, რომ მოვედი, — უთხრა კ-მ.

კ. გულმოსული იყო, უნდოდა ჯერ ლენის მოთათბირებოდა გულდასმით განსაკუთრებით იმ საჭოჭმანო საკითხზე, უარი რომ უნდა ეთქვა ვექილისათვის, მაგრამ კომერსანტის იქ ყოფნამ ყოველგვარი სურვილი ჩაუხშო. მიუხედავად ამისა, საქმე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, ჩია კომერსანტის გამო რაიმეს შეცვლა სიბრიყვედ მიიჩნია, ამიტომ დაუძახა დერეფანში გასულ ლენის, მობრუნდიო;

— ჯერ დააპურე, — უთხრა მან ლენის, — დაე, მოლონიერდეს, ჩემთან საუბრის დროს ბევრი ძალ-ღონე დასჭირდება.

— თქვენც ამ ვექილის კლიენტი ბრძანდებით? — ჰკითხა კუთხეში მიყუჟულმა ბლოკმა ხაზგასმით, მაგრამ კომერსანტის სიტყვებმა ორივეს უკმაყოფილება გამოიწვია.

— რა თქვენი საქმეა, — უთხრა კ-მ, ხოლო ლენიმ დასძინა:

— ვერ გაჩუმდები! — შემდეგ კი კ-ს მიუბრუნდა: — მაშ ჯერ წვნიანს მივუტან, — და წვნიანი მათლაფაზე გადმოიღო. — ოღონდ მეშინია მალე არ ჩაეძინოს, ჭამის შემდეგ ყოველთვის იძინებს.

— არა უშავს, ჩემი სიტყვები ძილს გაუფრთხობს, — უპასუხა კ-მ.

უნდოდა ლენი მიეხვედრებინა, ვექილისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელიო, ლენი გულის თქმაში ჩავარდებოდა, არ მოეშვებოდა და ისიც მხოლოდ მაშინ ჰკითხავდა რჩევას. მაგრამ ლენი მისი განკარგულების აღსრულებას შეუდგა და როცა სავსე მათლაფით გვერდით ჩაუარა, ალერსიანად წაჰკრა იდაყვი და წასჩურჩულა:

— როგორც კი წვნიანს შეხვრიპავს, მაშინვე მოვახსენებ შენს შესახებ, რაც შეიძლება მალე რომ ჩაგიგდო ხელში.

— კარგი, წადი! — უთხრა კ-მ, — წადი, წადი!

— ნუ ხარ უკმეხი, — უპასუხა კართან მისულმა ლენიმ და კიდევ ერთხელ შემობრუნდა მთელი ტანით მისკენ მათლაფიანად.

კ-მ თვალი გააყოლა; ახლა უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა ხელი აეღო ვექილზე. იქნებ უკეთესიც კი იყო, რომ ლენისთან მოლაპარაკება ვერ მოასწრო. მაინც ვერ გაერკვეოდა მთელ ამ ამბავში, დაუწყებდა გადაჯერებას, ალბათ ამჯერად მართლა ააღებინებდა ხელს გადაწყვეტილებაზე და კვლავ გააწამებდა ეჭვები და გაურკვევლობა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი მაინც სისრულეში მოიყვანდა თავის განზრახვას, რადგან ამის დიდი ხნით გადადება არაფრით არ შეიძლებოდა. რაც უფრო სწრაფად განახორციელებდა ჩანაფიქრს, მით უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა საკუთარ თავს. შეიძლება კომერსანტსაც აქვს რამე სათქმელი ამ ამბავთან დაკავშირებით.

როგორც კი კომერსანტმა შეამჩნია, კ. ჩემკენ შემობრუნდაო, მაშინვე წამოდგომა დააპირა.

— ბრძანდებოდეთ! — უთხრა კ-მ და სავარძელი მისკენ მიაჩოჩა. — დიდი ხანია ამ ვექილის კლიენტი ხართ?

— დიახ, — უპასუხა კომერსანტმა, — ძალიან დიდი ხანია.

— რამდენი წელია, რაც თქვენს ინტერესებს იცავს? — ჰკითხა კ-მ.

— არ ვიცი, რა აზრით მეკითხებით ამას. თუ ჩემს საქმიანობას გულისხმობთ — მე მარცვლეულით ვვაჭრობ—ჩემს სამართლებრივ უფლებებს იგი იმ დროიდან იცავს, რაც ამ საქმეს მოვკიდე ხელი და კაი ოცი წელიწადი იქნება, ხოლო ჩემს პირად პროცესში, რასაც თქვენ ალბათ გულისხმობდით, თავიდანვეა ჩაბმული და მას შემდეგ ხუთ წელზე მეტი გავიდა. დიახ, ხუთ წელზე მეტი, — დასძინა მან და ჯიბიდან ძველი საფულე ამოიღო, — აი, აქ მაქვს ყველაფერი ჩაწერილი; თუ გნებავთ ზუსტ თარიღებსაც მოგახსენებთ, ზეპირად ყველაფრის დამახსოვრება ძნელია. ჩემი პროცესი ალბათ გაცილებით მეტ ხანს გრძელდება, რადგან თითქმის ჩემი მეუღლის გარდაცვალებისთანავე დაიწყო, მას შემდეგ კი ხუთნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა.

კ-მ კიდევ უფრო ახლოს მიაჩოჩა კომერსანტისაკენ სავარძელი.

— მაშ ვექილი ჩვეულებრივ სამოქალაქო საქმეებსაც ჰკიდებს ხელს? — ჰკითხა კ-მ. იმ ამბავმა, რომ სასამართლო და

უფლებრივი ნორმები ურთიერთკავშირში იყვნენ, კ. საოცრად დაამშვიდა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კომერსანტმა და ჩურჩულით განაგრძო, — ამბობენ, სამოქალაქო საკითხებში იგი უფრო ერკვევა, ვიდრე სხვაგვარ საქმეებშიო.

მაგრამ ბლოკმა მაშინვე ინანა, ეს სიტყვები რომ წამოსცდა, კ-ს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ძალიან გთხოვთ ნუ გამცემთ.

კომერსანტი რომ დაემშვიდებინა, კ-მ მუხლზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— როგორ გეკადრებათ, მე გამცემი როდი ვარ.

— შურს იძიებს, სამაგიეროს გადამიხდის, — უთხრა კომერსანტმა.

— არა მგონია, თქვენისთანა ერთგულ კლიენტს რამე დაუშავოს, — უპასუხა კ-მ.

— რას ბრძანებთ, როცა გაჯავრებულია, გარჩევა არ იცის. გარდა ამისა, არც ისე ერთგული ვარ მისი, — უთხრა კომერსანტმა.

— როგორ თუ არა ხართ? — ჰკითხა კ-მ.

— არ ვიცი, გენდოთ თუ არა, — თქვა კომერსანტმა ყოყმანით.

— მე მგონი, შეგიძლიათ მენდოთ, — უპასუხა კ-მ.

— კარგი, — უთხრა კომერსანტმა, — ნაწილობრივ გენდობით, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენც უნდა გამანდოთ რაიმე საიდუმლო, რომ ვექილის წინააღმდეგ პირი შევკრათ.

— მეტისმეტად ფრთხილი ყოფილხართ, — უპასუხა კ-მ, — მაგრამ მართლა გაგანდობთ ერთ ისეთ საიდუმლოს რაც საბოლოოდ დაგამშვიდებთ. ამგვარად, რაშიც გამოიხატება თქვენი ორგულობა?

— მე, — დაიწყო კომერსანტმა ყოყმანით და ისეთი ხმით განაგრძო, თითქოს სამარცხვინო ამბავში უნდა გამოტყდესო, — მის გარდა კიდევ მყავს ვექილები.

— მერე რა არის აქ ცუდი? — ჰკითხა ოდნავ შემცბარმა კ-მ.

— აქ ასე მიაჩნიათ, — უთხრა კომერსანტმა, რომელიც საიდუმლოს გამხელის მერე ჯერ კიდევ მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ რაკი კ-მ გაამხნევა, უფრო მიმნდობი გახდა. — ეს დაუშვებელია. განსაკუთრებით დაუშვებელია, ეგრეთ წოდებულ ვექილთან ერთად იატაკქვეშ მომუშავე ვექილების დაქირავება. მე კი სწორედ ეს გავაკეთე და მის გარდა კიდევ ხუთი ვექილი ავიყვანე.

— ხუთი! — წამოიძახა გაოცებულმა კ-მ, რა ამბავია ამდენი, — ამის გარდა კიდევ ხუთი ვექილი?

კომერსანტმა თავი დაუქნია:

— ამჟამად მეექვსესთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას.

— კი მაგრამ, რად გინდათ ამდენი ვექილი? — ჰკითხა კ-მ.

— ყველა მჭირდება, — უპასუხა კომერსანტმა.

— ვერ ამიხსნით, რისთვის?

— სიამოვნებით, — უთხრა კომერსანტმა. — უპირველეს ყოვლისა არ მინდა პროცესი წავაგო, ეს თავისთავად ცხადია. ამიტომ არაფერი არ მინდა გამომრჩეს მხედველობიდან ისეთი, რაც ჩემთვის სასარგებლო იქნება; გარკვეულ შემთხვევაში, როცა რაიმე სარგებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მაინც არა მაქვს უფლება იმედი გადავიწყვიტო. ამიტომ ყველაფერი რაც მებადა, პროცესს მოვახმარე. მაგალითად, ამოვიღე მთელი ფული, საქმეში რომ მქონდა დაბანდებული. უწინ ჩემს კანტორას თითქმის მთელი სართული ეჭირა, ახლა კი დამრჩა ერთი პატარა ოთახი სახლის უკანა მხარეს, სადაც ჩემს შეგირდთან ერთად ვმუშაობ. ჩემი საქმეები ასე ცუდად იმიტომ კი არ წავიდა, რომ მთელი-ფული დავხარჯე, არამედ იმის გამო, რომ ყველა ჩემი ხელქვეითი დავითხოვე. თუ გინდა პროცესი შენს სასარგებლოდ წარმართო, სხვა რამისათვის ვერ მოიცლი.

— სასამართლოშიც თქვენ დარბიხართ? — ჰკითხა კ-მ, — სწორედ ამის შესახებ მინდოდა გამეგო რამე.

— ამაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, — უპასუხა კომერსანტმა, — თავიდან ვცადე, დავრბოდი, მაგრამ შემდეგ მოვეშვი. მეტისმეტად დამქანცველია და თითქმის უშედეგო. იქაც მერბინა და მოლაპარაკებაც მეწარმოებინა, ამდენს ვერ გავწვდი, მარტო ჯდომა და ლოდინიც კი დიდ დაძაბულობას მოითხოვს. თქვენ თვითონ კარგად იცით, რა მძიმე ჰაერია კანცელარიებში.

— თქვენ საიდან იცით, რომ მე იქ ნამყოფი ვარ? — ჰკითხა კ-მ.

— მე მოსაცდელ ოთახში ვიჯექი, თქვენ რომ ჩაიარეთ.

— რა დამთხვევაა! — წამოიძახა კ-მ. იგი ამ ამბავმა ისე გააკვირვა, რომ სრულიად დაავიწყდა, რა უბადრუკი მოეჩვენა კომერსანტი წეღან. — ასე რომ, თქვენ გინახივართ! მოსაცდელ ოთახში იჯექით, როცა ჩავიარე? დიახ, ერთხელ ჩავიარე.

— ეს არც ისეთი მოულოდნელი დამთხვევაა, — უთხრა კომერსანტმა, — მე თითქმის ყოველდღე იქ ვარ.

— ამიერიდან ალბათ მეც უფრო ხშირად მომიწევს მისვლა, — თქვა კ-მ, — მაგრამ ახლა ისეთი მოწიწებით აღარ მიმიღებენ, როგორც მაშინ. ყველა ფეხზე წამოხტა, მე მათ ალბათ მოსამართლე ვეგონე.

— არა, — უპასუხა კომერსანტმა, — ჩვენ მივესალმეთ სასამართლოს შიკრიკს. თქვენ რომ ბრალდებული ხართ, უკვე ვიცოდით. ასეთი ცნობა ელვის სისწრაფით ვრცელდება.

— მაშ თქვენ ეს უკვე იცოდით? — იკითხა კ-მ, — მაშინ ჩემი ქცევა ქედმაღლური მოგეჩვენებოდათ, ითქვა ამაზე რამე?

— არა, — უპასუხა კომერსანტმა, — პირიქით. თუმცა ეს სისულელეა.

— რას ჰქვია სისულელეა? — ჰკითხა კ-მ.

— რატომ მეკითხებით ასეთ რამეს? — უთხრა გაღიზიანებულმა კომერსანტმა, — იმ ხალხს, ეტყობა, ჯერ არ იცნობთ და ბევრი რამე შეიძლება არასწორად გაიგოთ. ერთი რამ უნდა გაითვალისწინოთ, როცა ამგვარ სასამართლოსთან გაქვს საქმე, საუბრის დროს ისეთი ამბები ირკვევა, რასაც გონება ვერ სწვდება უბრალოდ, ძალიან იღლები, საქმეს გულს ვერ უდებ და ამის ასანაზღაურებლად ცრურწმენას იშველიებ. მართალია, მე სხვებზე ვლაპარაკობ, მაგრამ მათზე უკეთესი არაფრით არა ვარ. ამგვარი ცრურწმენის ნიმუში, მაგალითად, ისაა, რომ ბევრი ირწმუნება, ბრალდებულის სახის გამომეტყველებისა და განსაკუთრებით ტუჩების მოხაზულობის მიხედვით შეიძლება ამოიცნო, რით დამთავრდება პროცესიო. ჰოდა, ისინიც ამტკიცებენ, თქვენი ტუჩების მოხაზულობა ისეთია, რომ მალე გამოგიტანენ განაჩენს. ვიმეორებ, ეს სასაცილო ცრურწმენაა და უმეტეს შემთხვევაში ფაქტები ძირფესვიანად აკამტვერებენ მას. მაგრამ როცა ამგვარ საზოგადოებაში ცხოვრობ, ძნელია მსგავს შეხედულებებს თავი აარიდო. აბა, ერთი დაუკვირდით, რა ძლიერ გაიდგა ფესვი ამ ცრურწმენამ. გახსოვთ, იქ ერთ კაცს რომ გამოელაპარაკეთ? მან ძლივს გაგცათ პასუხი. მოსაცდელში, რა თქმა უნდა, მრავალი მიზეზი არსებობს იმისათვის, კაცს თავგზა აებნეს, მაგრამ ყველაზე მეტად იგი თქვენმა ტუჩებმა გააოგნა. მოგვიანებით, იცით, რა გვითხრა? მისი ტუჩების მოხაზულობაში საკუთარი განაჩენიც ამოვიკითხეო.

— ჩემი ტუჩების მოხაზულობაში? — იკითხა კ-მ, ჯიბის სარკე ამოიღო და ჩაიხედა. — ჩემი ტუჩების მოხაზულობაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, თქვენ ხედავთ?

— ვერც მე, — უპასუხა კომერსანტმა. — სრულიად ვერაფერს ვხედავ.

— რა ცრუმორწმუნენი ყოფილან! — წამოიძახა კ-მ.

— რას გეუბნებოდით? — უთხრა კომერსანტმა.

— ნუთუ ბრალდებულნი ასე ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და თავიანთ აზრებს უზიარებენ? — ჰკითხა კ-მ. — მე კი აქამდე განზე ვიდექი.

— არც ისე ხშირად, — უპასუხა კომერსანტმა, — იმდენ-

ნი არიან, რომ ეს შეუძლებელიც კია. გარდა ამისა, ინტერესთა დამთხვევაც იშვიათად ხდება. ზოგჯერ რომელიმე ჯგუფი ირწმუნებს, საერთო ინტერესები გვაქვსო. მაგრამ მალე ირკვევა, რომ ეს შეცდომა იყო. ამ სასამართლოს წინააღმდეგ ჯგუფური მოქმედებით ვერაფერს გააწყობ. ყველა შემთხვევას ცალკე იძიებენ. ეს ხომ ყოვლად კეთილსინდისიერი სასამართლოა. ამგვარად, ჯგუფური მოქმედებით ვერაფერს გახდები, მხოლოდ ერთეულები აღწევენ ზოგჯერ მცირე წარმატებას და ისიც მალულად; ამ ამბავს მხოლოდ მოგვიანებით გებულობენ სხვები, მაგრამ არავინ იცის, რა როგორ მოხდა. ერთი სიტყვით, საერთო ინტერესები მათ არ გააჩნიათ. მართალია, დროდადრო ისინი ერთმანეთს ხვდებიან მოსაცდელ ოთახში, მაგრამ იქ დიდ სჯა-ბაასს ვერ გააბამ. ცრურწმენა კი ძველი დროიდან დამკვიდრდა და თავისთავად მრავლდება.

— მე ხომ ვნახე ის ადამიანები მოსაცდელში, — უთხრა კ-მ კომერსანტს, — მათი ლოდინი მეტისმეტად უაზრო მომეჩვენა.

— არა, ლოდინი უაზრო არ არის, — უპასუხა კომერსანტმა, — უაზრო მხოლოდ ისაა, შენთავად რომ ჩაერევი საქმეში. ხომ გითხარით, ამ ვექილის გარდა, კიდევ ხუთი ვექილი მყავს-მეთქი დაქირავებული. თავიდან მეც მეგონა, შეიძლებოდა საქმის მთლიანად მათთვის მინდობა, მაგრამ ასე რომ მოვქცეულიყავი, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. ახლა კიდევ უფრო მიძნელდება საქმე მთლიანად მათ მივანდო, ვიდრე მაშინ, როცა ერთი ვექილი მყავდა ეს ყველაფერი თქვენთვის ალბათ გაუგებარია?

— მართალს ბრძანებთ, — უპასუხა კ-მ და რომ შეეჩერებინა და დაემშვიდებინა კომერსანტი, რომელიც მეტისმეტად ჩქარა ლაპარაკობდა, ხელზე ხელი დაადო. — ჩემი თხოვნაა ცოტა ნელა ილაპარაკოთ, ეს ყოველივე ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, აზრის გამოტანა კი მიჭირს.

— კიდევ კარგი რომ შემახსენეთ, — უპასუხა კომერსანტმა, — თქვენ ხომ ახალბედა, დამწყები ხართ, თქვენი პროცესი მხოლოდ ნახევარი წლისაა, ხომ ასეა? დიახ, ყური მოვკარი, მეტისმეტად ახალგაზრდა პროცესიაო. მე კი ყოველივე ამაზე უთვალავჯერ მიფიქრია და ამიტომ ჩემთვის ეს ამქვეყნად ყველაზე ბუნებრივი რამ არის.

— ალბათ, გიხარიათ, თქვენმა პროცესმა რომ ასე წაიწია წინ? — ჰკითხა კ-მ, მას არ უნდოდა პირდაპირ ეკითხა კომერსანტისათვის, როგორ მიდიოდა მისი საქმეები, მაგრამ გარკვეული პასუხი არც მიუღია.

— ხუთი წელია ჩემს პროცესს ვაჭიანურებ, — უპასუხა

კომერსანტმა და თავი დახარა, — ეს მცირე მიღწევა არ გეგონოთ.

კომერსანტი მცირე ხანს დადუმდა. კ-მ მიაყურადა, ლენი ხომ არ მოდისო. ერთი მხრივ არ უნდოდა, ლენი გამოჩენილიყო, საკითხავი ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა და არ სურდა ამ გულახდილ საუბარს ქალიშვილი დასწრებოდა, ხოლო მეორე მხრივ ბრაზობდა, თვითონ აქ იყო, ლენი კი დიდხანს დარჩა ვექილთან, გაცილებით უფრო დიდხანს, ვიდრე ეს საჭირო იყო წვნიანის მისართმევად.

— კარგად მახსოვს ის დრო, — დაიწყო ისევ კომერსანტმა და კ-ც მაშინვე სმენად იქცა, — როცა ჩემი პროცესი დაახლოებით იმ ხნის იყო, რამდენისაც ახლა თქვენია. მაშინ მხოლოდ ეს ვექილი მყავდა, მაგრამ დიდად კმაყოფილი არ ვიყავი.

— „ახლა კი ყველაფერს შევიტყობ“ — გაიფიქრა კ-მ და ისე ენერგიულად დაუქნია თავი, თითქოს სურდა ამით კომერსანტი გაეთამამებინა და ეთქმევინებინა ყველაფერი, რისი გაგებაც საჭიროდ მიაჩნდა.

— ჩემი პროცესი, — განაგრძო კომერსანტმა, — ადგილიდან არ იძროდა და ეს მაშინ, როცა გამოძიება ტარდებოდა, არც ერთი დაკითხვა არ გამიცდენია, ვაგროვებდი მასალას, სასამართლოს წარვუდგინე ყველა ჩემი საბუღალტრო დავთარი, რაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, საჭირო არ ყოფილა, ყოველდღე მოვრბოდი ვექილთან, მასაც შეჰქონდა სხვადასხვა შუამდგომლობა სასამართლოში...

— სხვადასხვა შუამდგომლობა? — ჰკითხა კ-მ.

— დიახ, სხვადასხვა, — უპასუხა კომერსანტმა.

— ამის გაგება ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია, — უთხრა კ-მ, — ჩემს საქმეზე ჯერ კიდევ პირველ შუამდგომლობას ადგენს. აქამდე სხვა არაფერი გაუკეთებია. ახლა ვხედავ, რომ უტიფრად მომაგდო ქვა.

— შუამდგომლობა რომ ჯერ მზად არ არის, შეიძლება სხვადასხვა საპატიო მიზეზით იყოს გამოწვეული, — უპასუხა კომერსანტმა. — გარდა ამისა, ბოლოს გამოირკვა, რომ შუამდგომლობებს არავითარი ფასი არ ჰქონია. სასამართლოს თავაზიანი მოხელის წყალობით ერთი შუამდგომლობა მეც კი წავიკითხე. მართალია, განსწავლულობის კვალი აჩნდა, მაგრამ უშინაარსო იყო. უპირველეს ყოვლისა, ვექილს ლათინური სიტყვებით აეჭრელებინა, მე კი ლათინურისა არაფერი გამეგება. გარდა ამისა, მთელი გვერდები ჰქონდა დათმობილი სასამართლოსადმი შიშართვებს, შემდეგ ეპირფერებოდა ცალკეულ მოხელეებს, რომლებიც დასახელებულნი არ იყვნენ, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცი მაშინვე მიხვდე-

ბოდა, ვისზე იყო ლაპარაკი, მერე თავს იქებდა, რითაც ძალ-
ლივით იმცირებდა თავს სასამართლოს წინაშე და ბოლოს ერ-
თვოდა გამოკვლევები წარსულში ჩატარებულ იმ სასამართ-
ლო პროცესებზე, ჩემსას რომ წააგავდა. ეს პროცესები რამ-
დენადაც შემეძლო მივმხვდარიყავი, საგულდაგულოდ იყო
გამოკვლეული. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, ვექილი რამე-
ში დავადანაშაულო. ის შუამდგომლობა, მე რომ წავიკითხე,
მრავალთაგან ერთ-ერთი იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში,
ახლა სწორედ ამაზე მინდა გელაპარაკოთ, მაშინ ჩემი პრო-
ცესი ადგილიდან არ იძროდა.

— მაინც რა წინსვლას ელოდით? — ჰკითხა კ-მ.

— გონივრული კითხვაა, — უპასუხა კომერსანტმა ღიმი-
ლით, — ამ სასამართლოში საქმე იშვიათად იძვრის ადგილი-
დან, მაშინ მე ეს არ ვიცოდი, კომერსანტი გახლავართ, იმ
დროს კი უფრო მეტად ვიყავი ჩაფლული კომერციულ საქ-
მეებში, ვიდრე დღეს ვარ. ამიტომ მინდოდა პროცესი თვალ-
საჩინოდ დაძრულიყო ადგილიდან, ან დასასრულს მიახლოვე-
ბოდა, ანდა წესისა და რიგის თანახმად წინ წაწეულიყო. ამის
მაგივრად თითქმის ერთი და იმავე შინაარსის დაკითხვები გა-
უთავებლად გრძელდებოდა; პასუხები მამაოჩვენოსავით გა-
ვიზეპირე; კვირაში რამდენჯერმე ჩემს სავაჭრო დაწესებუ-
ლებაში, ბინაში, ყველგან, სადაც კი ჩემი ნახვა შეეძლოთ,
სასამართლოს შიკრიკები მაკითხავდნენ; ცხადია, ეს ხელს მიშ-
ლიდა (ამ მხრივ ახლა საქმე უკეთესადაა, ტელეფონით გა-
მოძახება ნაკლებად მაცდენს). ამასობაში ჩემს დამკვეთებსა
და ნათესავებში თანდათან გავრცელდა ხმა ჩემს პროცესზე,
ამან დიდად დამაზარალა, ამავე დროს არავითარი ნიშანი არ
ჩანდა იმისა, რომ უახლოეს დროში სასამართლოს პირველ
სხდომას მაინც დანიშნავდნენ, მაშინ ვექილთან მივედი და ეს
ამბავი შევჩივლე. მან ბევრი რამ ამიხსნა, მაგრამ მტკიცედ
განაცხადა უარი ჩემი მოთხოვნისამებრ ემოქმედა, ასე მიპა-
სუხა, სულ ერთია, საქმის დაჩქარება მაინც არავის შეუძლია,
ხოლო იმის მოთხოვნა შუამდგომლობაში, რაც თქვენ გსურთ,
გაუგონარი ამბავია და თქვენც დაგღუპავთ და მეცო. ჩემთვის
გავიფიქრე: რისი გაკეთებაც ამ ვექილს არ უნდა ან არ ძა-
ლუძს, სხვა მოინდომებს და შეძლებს-მეთქი. ამგვარად, სხვა
ვექილების ძებნას შევუდექი. წინდაწინვე მინდა გითხრათ:
ვერც ერთმა ვერ გაბედა სასამართლოსათვის მოეთხოვა საქ-
მის გარჩევის დანიშვნა, ეს მართლაც შეუძლებელია, თუმცა
გამონაკლისის სახით ასეთი რამეც მომხდარა და ამის შესახებ
მერე მოგახსენებთ: აქედან გამომდინარე ჩემს ვექილს მე არ
მოვუტყუებივარ. თუმცა არ მინანია, სხია ვექილებს რომ
მივმართე. დოქტორი ჰულდი ალბათ თქვენც გეტყოდათ რა-

ლაც-რალაცებს იატაკქვეშა ვექილებზე. ეჭვი არ მეპარება, სა-
ზიზღრად დაგიხასიათებდათ მათ და მართლაც ასეთები არი-
ან. მაგრამ, როცა ჰულდი მათზე ლაპარაკობს და საკუთარ
თავსა და კოლეგებს ადარებს, ერთ პატარა შეცდომას უშვებს
და შევეცდები მოკლედ აგიხსნათ, რა ხასიათისაა ეს შეცდომა.
ჩვეულებრივ, როცა იგი თავისი წრის ვექილებზე ლაპარა-
კობს, მათ მსხვილ ვექილებს ეძახის, ეს კი მართალი არაა,
რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია თავის თავს „მსხვილი“
უწოდოს, თუკი ამას მოისურვებს, მაგრამ ამ შემთხვევაში
გადამწყვეტი სასამართლოს თვალსაზრისია. თუ სასამართ-
ლოს დავუჯერებთ, იატაკქვეშა ვექილების გარდა, არსებობენ
მსხვილი და წვრილფეხა ვექილები. ჩვენი ვექილი და მისი
კოლეგები ეკუთვნიან წვრილფეხა ვექილთა რიცხვს, ხოლო
მსხვილი ვექილები, რომელთა შესახებ მხოლოდ მსმენია, ნახ-
ვით კი არასოდეს მინახავს, რანგით გაცილებით უფრო მაღლა
დგანან წვრილფეხა ვექილებზე, ვიდრე წვრილფეხანი საძულ-
ველ იატაკქვეშეთელებზე.

— ვინ არიან ეს მსხვილი ვექილები? — ჰკითხა კ-მ. —
როგორ შეიძლება კაცი მათთან მოხვდეს?

— მაშ თქვენ მათ შესახებ აქამდე არაფერი გსმენიათ? —
თქვა კომერსანტმა. — არ არსებობს თითქმის არც ერთი
ბრალდებული, რომელიც გარკვეული ხნის მანძილზე არ ოც-
ნებობდეს მათთან მოხვედრაზე იმ დღიდან, რაც მათი არსე-
ბობა გაიგო. ჯობია ნუ აჰყვებით ცდუნებას. ვერ დაგისახე-
ლებთ ვერც ერთ შემთხვევას, რომელზედაც დანამდვილებით
შეიძლება ითქვას, საქმეში მართლაც მსხვილი ვექილები ჩა-
ერევნენო. ვიღაც-ვიღაცებს თურმე კი იცავენ. მაგრამ საკუ-
თარი სურვილით ამას ვერ მიაღწევ. ისინი მხოლოდ იმას იცა-
ვენ, ვისი დაცვაც სურთ. საქმე, რომელსაც ისინი ხელს ჰკი-
დებენ, დაბალი ინსტანციიდან უკვე მაღალ ინსტანციაშია გა-
დატანილი. მაგრამ უმჯობესია მათზე არ იფიქრო, რადგან მა-
შინ სხვა ვექილებთან მოლაპარაკება, მათი რჩევა და დარი-
გება გულისამრევი და უაზრო მოგეჩვენება. მე ეს საკუთარ
თავზე გამოვცადე. ამის შემდეგ გინდა ყველაფერს მიაფურ-
თხო. ლოგინში ჩაწვე და ყურები დაიხშო. მაგრამ ესეც დი-
დი სისულელეა, რადგან დიდხანს ვერც ლოგინში მოისვენებ.

— მაშ თქვენ არც ადრე გიფიქრიათ მსხვილ ვექილებზე? —
ჰკითხა კ-მ.

— ვფიქრობდი, მაგრამ ცოტა ხანს, — უპასუხა კომერ-
სანტმა და კვლავ გაიღიმა, — სამწუხაროდ, მათი მთლიანად
გულიდან ამოგდება არ ხერხდება; ამგვარი ფიქრები განსა-
კუთრებით ღამღამობით აგეშლება ხოლმე. მაგრამ მაშინ მე

მინდოდა დაუყოვნებლივ მიმეღწია სასურველი შედეგისათვის და ამიტომ იატაკქვეშა ვექილებს მივმართე.

— რა მეგობრულად მოგიკალათებიათ!—გაისმა ამ დროს ლენის ხმა. იგი მათლაფიანად დაბრუნებულიყო უკან და კარებში გაჩერებულიყო. ისინი მართლაც გვერდიგვერდ ისხდნენ და ოდნავ მობრუნებაზეც შეიძლებოდა თავით ერთმანეთს შეხლოდნენ. ისედაც ტანდაბალი კომერსანტი მოკუნტული იჯდა და ყველაფერი რომ კარგად გაეგონა, კ. იძულებული შეიქნა მისკენ დახრილიყო.

— ერთი წუთი გვაცალე! — გასძახა კ-მ ქალიშვილს, მას ლენის თავიდან მოცილება უნდოდა და მოუთმენლად შეუტოკდა ხელი, რომელიც ისევ ვაჭრის ხელზე ედო.

— მთხოვა, თქვენს პროცესზე მიამბეთო, — უთხრა კომერსანტმა ლენის.

— უამბე, უამბე, — წაახალისა ქალიშვილმა. ლენი კომერსანტს ალერსიანადაც მიმართავდა და ქედმაღლურადაც, რაც კ-ს არ მოეწონა. იგი მიხვდა, რომ კომერსანტი მაინც ღირსეული პიროვნება იყო, ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება არ აკლდა, ამბის მოყოლაც მშვენივრად ეხერხებოდა და აბუჩად ასაგდები არაფერი სჭირდა. ეტყობა, ლენი ცდებოდა მის შეფასებაში. გულმოსული კ. უყურებდა, როგორ გამოართვა ლენიმ კომერსანტს სანთელი, აქამდე რომ მაგრად ეჭირა ხელში, როგორ გაუწმინდა წინსაფრით ხელი, მერე კი მის გვერდით ჩაცუცქდა და წმენდა დაუწყო შარვალზე დაწვეთებულ სანთლის ნაღვენთს.

— თქვენ რაღაცას მიყვებოდით იატაკქვეშა ვექილებზე,— უთხრა კ-მ კომერსანტს და ყოველგვარი შენიშვნის ვარეშე გასწია ლენის ხელი განზე.

— რა გინდა! — შეუბღვირა ლენიმ კ-ს, მსუბუქად გაჰკრა ხელი და თავის საქმე განაგრძო.

— დიახ, იატაკქვეშა ვექილებზე, — თქვა კომერსანტმა და შუბლზე ისე გადაისვა ხელი, თითქოს აღარ ახსოვდა, რას უყვებოდა. კ-მ გადაწყვიტა კომერსანტს მიხმარებოდა და უთხრა:

— გინდოდათ დაუყოვნებლივ მიგეღწიათ სასურველი შედეგისათვის და ამიტომ იატაკქვეშა ვექილებს მიმართეთ.

— მართალს ბრძანებთ, — უპასუხა კომერსანტმა, მაგრამ სიტყვა აღარ გაუგრძელებია.

„იქნებ ლენის თანდასწრებით არ სურს ამ თემაზე საუბარი“, — გაიფიქრა კ-მ და თუმცა უსაშველოდ უნდოდა ახლავე გაეგო ყველაფერი, სურვილი დაიოკა და კომერსანტს აღარ ჩასციებია.

— ვექილს მოახსენე, რომ აქა ვარ? — ჰკითხა კ-მ ლენის.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ქალიშვილმა, — გელოდება. დაანებე ახლა ბლოკს თავი, მასთან საუბარს მერეც მოასწრებ, იგი ხომ აქ რჩება.

კ. ერთხანს მერყეობდა, მაგრამ შემდეგ მაინც ჰკითხა კომერსანტს:

— თქვენ აქ რჩებით?

კ-ს უნდოდა კომერსანტს თვითონ გაეცა პასუხი, არ მოსწონდა, ლენი რომ ისე ლაპარაკობდა კომერსანტზე, თითქოს აქ არ მჯდარიყოს. საერთოდ დღეს ისედაც გულმოსული იყო ლენიზე.

მაგრამ პასუხი ისევ ლენიმ გასცა:

— მას ხშირად სძინავს აქ.

— აქ სძინავს? — წამოიძახა კ-მ. მას კი ეგონა, სანამ ვექილს სწრაფად ეტყოდა სათქმელს, ბლოკი აქ დაელოდებოდა, შემდეგ კი ერთად გავიდოდნენ აქედან და სადმე სხვაგან, სადაც ხელს არავინ შეუშლიდათ, ყველაფერზე საფუძვლიანად მოილაპარაკებდნენ.

— დიახ, — უთხრა ლენიმ კ-ს, — ყველას შენსავით როდი უშვებენ, იოზეფ, ნებისმიერ დროს ვექილთან, შენ მგონი არც გიკვირს, რომ მიუხედავად ავადმყოფობისა, ვექილი ღამის თერთმეტ საათზე გღებულობს. ყველაფერს, რასაც შენი მეგობრები შენთვის აკეთებენ, ისე იფერებ, თითქოს ასეც უნდა იყოს. რა თქმა უნდა, შენი მეგობრები ყველაფერს სიამოვნებით აკეთებენ, განსაკუთრებით მე. მართალი გითხრა, არც ვთხოულობ არავითარ საზღაურს გარდა იმისა, რომ გიყვარდე.

„მიყვარდე?“ — გაიფიქრა კ-მ ანაზდად, მაგრამ მაშინვე ასეთმა აზრმა გაუელვა: — ცხადია, მიყვარს“. — და მაინც ხმამაღლა სულ სხვა რამ უთხრა ლენის:

— ვექილი იმიტომ მღებულობს, რომ მისი კლიენტი ვარ. მასთან შესვლაზეც თუ სხვისი დახმარება დამჭირდა, მაშინ ყოველ ნაბიჯზე უნდა ვიმათხოვრო და მადლობა ვიხადო.

— რა ცუდია დღეს, არა? — უთხრა ლენიმ კომერსანტს.

„ახლა ჩემზეც ისე ლაპარაკობს, თითქოს აქ არ ვიყო“, — გაიფიქრა კ-მ.

ლენის უზრდელობას კომერსანტმაც აუბა მხარი და თქვა:

— ვექილი მას იმის გამოც ღებულობს, რომ მისი პროცესი ჩემსაზე უფრო საინტერესოა. გარდა ამისა, ბატონი კ-ს პროცესი ახლახან დაიწყო და ჯერ კიდევ არ არის მაინცდამაინც აბურდულ-დაბურდული, ამიტომაც სიამოვნებით მოჰკიდა ხელი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვლება.

ამაზე კ. გაბრაზდა.

— დიახ, დიახ, — თქვა ლენიმ სიცილით და კომერსანტს

შეხედა, — თმლად ენად არ გაიკრიფა! მგარამ შენ ამას არაფერი დაუჯერო. — მიმართა ლენიმ ახლა უკვე კ-ს.

— საყვარელი კაცი კია, მაგრამ საშინელი ყბედია. შეიძლება ვექილი სწორედ ამის გამო ვერ იტანს. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ ღებულობს, როცა კარგ გუნებაზეა. რა არ ვიღონე იმისათვის, რომ ეს მდგომარეობა შემეცვალა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. წარმოიდგინე, ზოგჯერ მოვახსენებ, ბლოკი მოვიდა-მეთქი და იგი მას მხოლოდ მესამე დღეს ღებულობს. მაგრამ თუ ბლოკი აქ არ აღმოჩნდა იმ დროს, როცა ვექილი მის მიღებას მოისურვებს, ყველაფერი წყალში იყრება და მისი აქ ყოფნა ხელახლა უნდა მოვახსენო. ამიტომაც დავრთე უფლება ბლოკს, აქ დაიძინოს. ზოგჯერ ისეც ხდება, ვექილი ღამით დარეკავს და ბლოკს მოიკითხავს ხოლმე. ახლა ბლოკი ღამეც მზადაა მასთან გამოსაცხადებლად. მაგრამ ზოგჯერ ვექილი რომ გაიგებს, ბლოკი აქაა, თავის გადაწყვეტილებას ცვლის და მიღებაზე უარს ეუბნება.

კ-მ კომერსანტს ისე გახედა, თითქოს ეკითხებოდა, მართალია ეს თუ არაო. აქამდე სირცხვილისაგან ნირწამხდარმა კომერსანტმა თავი დაუქნია და ისევ გულახდილად უთხრა, როგორც წეღან ელაპარაკებოდა:

— დიახ, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ხარ დამოკიდებული ვექილზე.

— ბლოკი განზრახ წუწუნებს, — თქვა ლენიმ. — აქ სიამოვნებით ათევს ხოლმე ღამეს, თვითონ უთქვამს არაერთხელ. — ლენი პატარა კართან მივიდა და ხელის კვრით გაღო: — გინდა ნახო, სად სძინავს?

კ. ლენის მიუახლოვდა და ზღურბლიდან შეიხედა დაბალჭერიან, უფანჯრო ოთახში, რომელიც მთლიანად დაეკავებინა ვიწრო საწოლს. დასაძინებლად საწოლის თავიდან უნდა გადამძვრალიყავი. სასთუმალთან კედელში პატარა თახჩა ჩანდა. თახჩაზე წესიერად დაელაგებინათ სანთელი, სამელნე, კალმისტარი და ქაღალდების დასტა, რაც ალბათ პროცესისათვის საჭირო საბუთები იყო.

— მოახლის ოთახში გძინავთ? — ჰკითხა კ-მ კომერსანტს და მისკენ შებრუნდა.

— ეს ოთახი ლენიმ დამითმო, ძალზე მოხერხებულია, — უპასუხა ბლოკმა. კ. დიდხანს შესცქეროდა ბლოკს. ეტყობა, პირველი შთაბეჭდილება, კომერსანტმა რომ მასზე მოახდინა, უფრო შეესაბამებოდა სიმართლეს, ბლოკს გამოცდილება არ აკლდა, მისი პროცესი ხომ დიდი ხანია გრძელდება, მაგრამ ეს გამოცდილება ძვირად უჯდებოდა. უეცრად კ-მ იგრძნო, რომ ამ კაცის დანახვა აღარ შეეძლო.

— თუ ასეა, ჩააწვინე ლოგინში, — უყვირა კ-მ ლენის, რომელიც, ეტყობა, ვერაფერს მიხვდა.

კ-მ გადაწყვიტა თვითონ შესულიყო ვექილთან და დაცვაზე ხელი აეღებინებინა, რაც არა მარტო მისგან გაანთავისუფლებდა, არამედ ლენისა და კომერსანტისგანაც.

მაგრამ სანამ კართან მივიდოდა, კომერსანტმა წყნარად დაუძახა:

— ბატონო პროკურისტო! — კ. გაცეცხლებული შემობრუნდა. — პირობა დაგავიწყდათ, — თქვა კომერსანტმა და სავარძლიდან მუდარით წამოიწია. — აკი შემპირდით ერთ საიდუმლოს გაგიმხელთო.

— მართალია, — უპასუხა კ-მ და თვალი შეავლო ლენისაც, რომელიც ყურადღებით უმზერდა, — მაშ მომისმინეთ, თუმცა ახლა ეს საიდუმლოება აღარცაა. ვექილთან იმისთვის მივდივარ, რომ ჩამოვიშორო.

— უარს ეუბნება! — წამოიძახა კომერსანტმა, სავარძლიდან წამოხტა და ხელებშემართულმა სამზარეულოში დაიწყო სირბილი. — ვექილს უარს ეუბნება! — ყვიროდა იგი დროგამოშვებით.

ლენის უნდოდა კ-ს მივარდნოდა, მაგრამ კომერსანტმა გზა გადაუღობა და ამისათვის ლენის მუშტებიც დაიმსახურა, ამასობაში კ. დერეფნისაკენ დაიძრა, მუშტებშეკრული ლენი უკან დაედევნა, მაგრამ კ-მ საკმაოდ გაასწრო და როცა ლენი დაეწია, იგი უკვე ვექილის ოთახში იყო შესული. კ-მ კარის დაკეტვა დააპირა, მაგრამ ლენიმ კარს ფეხი დაუდო, მერე კ-ს იდაყვში ჩააფრინდა და ცდილობდა ოთახიდან გამოეთრია, მაგრამ კ-მ ისე მაგრად მოუჭირა მაჯაში ხელი, რომ ქალიშვილს კვნესა აღმოხდა და იძულებული გახდა ხელი გაეშვა. ლენიმ ოთახში შესვლა ვერ გაბედა, კ-მ ამით ისარგებლა და კარი შიგნიდან გასაღებით ჩაკეტა.

— რამდენი ხანია გელოდებით, — უთხრა მწოლიარე ვექილმა. ქაღალდი, რომელსაც სანთლის შუქზე კითხულობდა, საწოლთან პატარა მაგიდაზე დადო, სათვალე გაიკეთა და დაკვირვებით მიაჩერდა კ-ს. მობოდიშების ნაცვლად კ-მ უთხრა:

— მალე გავბრუნდები უკან.

ვექილს მისი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და რადგან კ-მ ბოდიში არ მოუხადა, უპასუხა:

— სხვა დროს ასე გვიან არ მიგიღებთ.

— ჩემი სურვილიც ეს არის, — უთხრა კ-მ.

გაკვირვებულმა ვექილმა კ-ს თვალი შეავლო და შემდეგ უთხრა:

— დაბრძანდით.

— რაჯი თქვენ ასე გსურთ, — უპასუხა კ-მ, საწოლთან მდგარ მაგიდასთან სავარძელი მიაჩოჩა და დაჯდა.

— მომეჩვენა, თუ მართლა ჩაკეტეთ კარი გასაღებით? — ჰკითხა ვექილმა.

— დიახ, ჩავკეტე, — უპასუხა კ-მ, — ლენის გამო. — კ. არავის დანდობას არ აპირებდა.

— კვლავ გაბეზრებთ თავს? — ჰკითხა ვექილმა.

— რა თქვით, მაბეზრებს?—გაიმეორა კ-მ.

— დიახ, — უთხრა ვექილმა და გაიცინა, სიცილისაგან ხველა აუტყდა და როცა გაუარა, ისევ გაიცინა. — ალბათ თავადაც შეამჩნიეთ, რა გადაკიდება იცის, — განაგრძო ვექილმა და შემცბარ კ-ს ხელზე მოუთათუნა ხელი, მაგიდაზე რომ ედო. კ-მ ხელი მაშინვე უკან წაიღო. — ეტყობა, ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, — უთხრა ვექილმა, როცა კ-სგან პასუხი ვერ მიიღო და განაგრძო: — კიდევ კარგი, თორემ ბოდიშის მოხდა დამჭირდებოდა. ეს ლენის უცნაურობაა, და სხვათა შორის, დიდი ხანია ვაპატიე. არც ახლა ვიტყოდი რამეს, თქვენ რომ კარი არ ჩაგეკეტათ. ამ უცნაურობას მე არ უნდა გიხსნიდეთ, მაგრამ ისე შემცბარი მიყურებთ, იძულებული ვარ გაგარკვიოთ. მისი უცნაურობა ისაა, რომ ბრალდებულთა უმრავლესობა ლამაზ ადამიანებად მიაჩნია. იგი ყველას კისერზე ეკიდება, ყველა უყვარს. თუმცა როგორც ვხედავ, ლენიც უყვარს ყველას. მე რომ გამართოს, ზოგჯერ მათ შესახებ რაღაც-რაღაცებს მიყვება, ცხადია, ჩემი ნებართვით. პირადად მე ეს ამბავი სრულიად არ მიკვირს. აი, თქვენ კი გიკვირთ. თუ თვალი გიჭრის, ბრალდებული შეიძლება მართლაც ლამაზი მოგეჩვენოს, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით ეს ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, თვით ბრალდება სრულიად არ იწვევს რაიმე მკვეთრ ზუსტად განსაზღვრულ ცვლილებებს გარეგნობაში. აქ ხომ ისეთი რამ არ ხდება, როგორც სხვა სასამართლო საქმეებში უმეტესობა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, ჰყავთ კარგი ვექილი, რომელიც მთელ საზრუნავს თავის თავზე იღებს, და ასეთ შემთხვევაში პროცესიც კი არაფერში უშლით ხელს. და მაინც ამ საქმეში დიდად გამოცდილი კაცი უზარმაზარ ბრბოშიც კი სათითაოდ გამოიცნობს ყოველ ბრალდებულს. თქვენ ალბათ მკითხავთ, რა ნიშნებითო. ჩემი პასუხი, რა თქმა უნდა არ დაგაკმაყოფილებთ. უბრალოდ, ბრალდებულნი ყველანი ლამაზები არიან. მაგრამ მათ დანაშაული კი არ ალამაზებს, ყოველ შემთხვევაში ვალდებული ვარ ასე ვილაპარაკო, თუნდაც იმიტომ, რომ ვექილი ვარ და ყველანი დამნაშავედ როდი მიმაჩნია, არც დამსახურებული სასჯელის მოლოდინი ანიჭებთ მათ სილამაზეს, რადგან ყველას არ სჯიან, ამიტომ მიზეზი უნდა ვეძიოთ მხოლოდ მათ წინააღმდეგ აღძრულ საქმეში, რაც რაღაცნაირ დაღს ასვამს მათ. მართალია, ამ ლამაზ ადამიანებს შორის არიან ულამაზესნიც, მაგრამ საერთოდ ყველა ლამაზია, ბლოკიც კი, ეს საცოდავი ჭია.

როცა ვექილმა სათქმელი დაამთავრა, კ. ისევ გონს მოეგო, ვექილის უკანასკნელი სიტყვების პასუხად გამომწვევადაც კი დააქნია თავი, თითქოს ამით თავის ადრინდელ თვალსაზრისს ადასტურებდა: ვექილი როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცდილობს ზოგადი საუბრით გამართოს, ისეთი რაღაც მითხრას, რასაც საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვს, გვერდს უვლის მთავარ საკითხს — პროცესის სასარგებლოდ იღონა თუ არა რამე. ეტყობა, ვექილმა შეამჩნია, რომ ამჯერად კ. უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევდა, ვიდრე სხვა დროს და, დადუმდა, იქნებ თავად წამოიწყოსო ლაპარაკი, მაგრამ რაკი კ. ხმას არ იღებდა, ისევ თვითონ ჰკითხა:

— თქვენ დღეს გარკვეული მიზნით ხართ მოსული ჩემთან?

— დიახ, — უპასუხა კ-მ და ვექილი რომ უკეთ დაენახა, სინათლის შუქი ხელით ოდნავ მოიჩრდილა, — მე იმის სათქმელად მოვედი, რომ დღეიდან აღარ გაძლევთ უფლებას, ჩემი ინტერესები დაიცვათ სასამართლოში.

— ყური ხომ არ მატყუებს? — ჰკითხა ვექილმა, საწოლზე სანახევროდ წამოჯდა და ცალი ხელით ერთმანეთზე დაწყობილ ბალიშებს დაეყრდნო.

— არა, მგონია, — უპასუხა კ-მ, რომელიც წელგამართული და გაფაციცებული იჯდა.

— რა გაეწყობა, შეგვიძლია ეს გეგმაც განვიხილოთ,—უთხრა ვექილმა კ-ს მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— ეს აღარ არის გეგმა, — უპასუხა კ-მ.

— შეიძლება ასეცაა, მაგრამ, მოდით ჩვენ მაინც ნუ ავჩქარდებით, — უთხრა ვექილმა და სიტყვა „ჩვენ“ ისე წარმოთქვა, თითქოს კ-ს ხელიდან გაშვებას არ აპირებდა და, თუ მისი ინტერესების დაცვის უფლება არ ექნებოდა, უნდოდა მის მრჩევლად მაინც დარჩენილიყო.

— მე არ ავჩქარებულვარ, — უპასუხა კ-მ, შემდეგ ნელა წამოდგა და სავარძლის უკან გაჩერდა, — ამაზე დიდხანს ვფიქრობდი, შეიძლება მეტისმეტად დიდხანსაც და ამიტომ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა.

— რაკი ასეა, რამდენიმე სიტყვის თქმის უფლება მომეცით, — თქვა ვექილმა, ბუმბულის საბანი გადაიძრო და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. შიშველი, ჭაღარა ბალნით დაფარუ-

ლი ფეხები სიცივისაგან უკანკალებდა, ამიტომ კ-ს სთხოვა დივანზე დაგდებული პლედი მომაწოდეთო.

კ-მ პლედი მოუტანა და უთხრა:

— ტყუილუბრალოდ რად იცივებთ თავს.

— რას ჰქვია ტყუილუბრალოდ. საქმე ფრიად მნიშვნელოვანია, — უთხრა ვექილმა, სანამ ბუმბულის საბანს ტანზე შემოიხვევდა, შალს კი ფეხებზე, — ბიძათქვენი ჩემი მეგობარია და ამ ხნის მანძილზე თქვენც შემიყვარდით. ამას გულახდილად ვაღიარებ, სამარცხვინო აქ არაფერია.

კ-ს ერთობ ეზოთირა, მოხუცს რომ ასეთი გულისამაჩუყებელი სიტყვები დასცდა, ეს ამბავი იძულებულს ხდიდა დაწვრილებით აეხსნა ყველაფერი, რასაც სიამოვნებით აარიდებდა თავს. გარდა ამისა, როგორც საკუთარ თავს გულახდილად გამოუტყდა, ამგვარმა სიტყვებმა თავგზა აუბნია, თუმცა გადაწყვეტილება არ შერყევია.

— მადლობას მოგახსენებთ, ჩემდამი რომ ასე კეთილად ხართ განწყობილი, — უთხრა კ-მ. — მე იმასაც ვაღიარებ, რომ გულით მოეკიდეთ ჩემს საქმეს და რაც შეგეძლოთ, ყველაფერი იღონეთ, რათა საქმე ჩემს სასარგებლოდ წაგემართათ. რა თქმა უნდა, ვერ ვავბედავ და თავს ვერ მოგახვევთ ჩემს თვალსაზრისს, ჩემზე ბევრად უფროსი და გამოცდილი კაცი ბრძანდებით და თუ ოდესმე უნებურად შეგბედეთ რამე, მაპატიეთ, მაგრამ საქმე, როგორც თქვენ ბრძანეთ, საკმაოდ მნიშვნელოვანია და ჩემი ღრმა რწმენით, უფრო აქტიურ ჩარევას მოითხოვს პროცესში, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

— მესმის თქვენი, — უპასუხა ვექილმა, — მოუთმენელი ბრძანებულხართ.

— რა შუაშია მოუთმენლობა, — უთხრა ცოტათი გაღიზიანებულმა კ-მ და თავაზიან სიტყვა-პასუხს მოეშვა. — ჩემი პირველი სტუმრობის დროს, როცა აქ ბიძაჩემთან ერთად მოვედი, ალბათ, შეამჩნიეთ, რომ ამ პროცესით დიდად დაინტერესებული არ ვიყავი და თუ ძალად არ შემახსენებდნენ, პირწმინდად მავიწყდებოდა. მაგრამ ბიძაჩემმა დაიჟინა, ჩემი საქმის დაცვა თქვენთვის მომენდო და ხათრი ვერ გავუტეხე. ამის შემდეგ მეგონა, პროცესი ჩემთვის ნაკლებად შემაწუხებელი იქნებოდა, ვიდრე მანამდე იყო, ვექილს ხომ იმისთვის ქირაობენ, ნაწილობრივ მაინც შეიმსუბუქონ ტვირთი, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. არასოდეს არ მქონია იმდენი თავსატეხი ამ პროცესთან დაკავშირებით, რამდენიც მას შემდეგ გამიჩნდა, რაც თქვენ ჩემს საქმეს ხელი მოჰკიდეთ. როცა მარტო ვიყავი, პროცესისათვის თითიც არ გამინძრევია და თითქმის ვერაფერს ვგრძნობდი, მას შემდეგ კი, რაც თქვენ მოგენდეთ, საქმე ისე მიდიოდა, თითქოს რაღაც უნდა მომ-

ხდარიყო, ყოველდღიურად შეუნელებელი დაძაბულობით ველოდი თქვენს ჩარევას, მაგრამ ამაოდ, მართალია, სასამართლოს შესახებ ბევრი რამ მაცნობეთ ისეთი, რასაც სხვა ვერავინ მეტყოდა, მაგრამ ახლა, როცა პროცესი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩასაფრებულივით გვიახლოვდება, ეს საკმარისი აღარ არის.

კ. მთელი ტანით წამოიმართა, სავარძელი გასწია და პიჯაკის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო.

— როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს,—უპასუხა ვექილმა ხმადაბლა და მშვიდად,—გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული პროცესში არსებითი და ახალი არაფერი ხდება. თქვენსავით რამდენი კლიენტი მდგარა პროცესის ამ ეტაპზე ჩემს წინ და იგივე უთქვამთ.

— ეს იმას ნიშნავს, — უთხრა კ-მ, — რომ კლიენტებიც ჩემსავით მართალი იყვნენ. თქვენმა სიტყვებმა მე ვერაფერში დამარწმუნა.

— არც ვცდილვარ თქვენს დარწმუნებას, — უპასუხა ვექილმა, — დამატებით მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ თქვენგან მეტ გონიერებას მოველოდი, ვიდრე სხვებისაგან, რადგან უფრო ღრმად ჩაგახედეთ სასამართლოს არსსა და ჩემს მოღვაწეობაში, ვიდრე რომელიმე სხვა კლიენტი. ახლა კი ვხედავ, რომ მიუხედავად ყველაფრისა მაინც არ მენდობით ისე, როგორც საჭიროა და სრულიად არ მიადვილებთ საქმეს.

ვექილი მეტისმეტად იმცირებდა თავს კ-ს წინაშე და სულ დააგიწყდა პროფესიული თავმოყვარეობა, ყველაზე მეტად სწორედ ასეთ დროს რომ ილახება. რატომ იქცეოდა ასე? ეტყობა კლიენტები ბლომად ჰყავდა, სიმდიდრე არ აკლდა და ერთი კლიენტის დაკარგვა დიდად არ დააზარალებდა, გარდა ამისა, ხშირად ავადმყოფობდა და თვითონვე უნდა ცდილიყო ნაკლებად დაეტვირთა თავი. და მაინც კ-ს ებღაუჭებოდა! რისთვის? ბიძამისის ხათრით, თუ პროცესი მართლაც უჩვეულო ეჩვენებოდა და იმედი ჰქონდა, თავს გამოიჩენდა? მაგრამ ვის წინაშე? კ-ს წინაშე — არც ეს იყო გამორიცხული — თუ სასამართლოს თანამშრომლების წინაშე? კ. მოურიდებლად, გაფაციცებული აკვირდებოდა ვექილს, მაგრამ მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა. კაცს ეგონებოდა, ვექილმა განგებ მიიღო ასეთი შეუვალი გამომეტყველება და ელოდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა კ-ზე. მაგრამ კ-ს დუმილი მან აშკარად თავის სასარგებლოდ ახსნა და ისევ ალაპარაკდა:

— თქვენ ალბათ შეამჩნიეთ, თუმცა დიდი კანცელარია მაქვს, თანაშემწეები არა მყავს. ადრე საქმე სხვაგვარად იყო,

მაშინ რამდენიმე ახალგაზრდა იურისტი მემსახურებოდა, ახლა კი მარტო ვმუშაობ. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია ჩემი პრაქტიკის შეცვლით, ანუ იმით, რომ ძირითადად იმგვარი სასამართლო საქმეებით შემოვიფარგლე, როგორიც თქვენია, ნაწილობრივ კი იმით, რომ ამ შემთხვევებმა გამოცდილება შემმატეს. ბოლოს მივხვდი, თუ არ მინდა ცოდვა ჩავიდინო ჩემი კლიენტების წინაშე და ვუღალატო იმ მოვალეობას, თავს რომ ვიდე, უფლება არა მაქვს სხვებს მივანდო საქმე. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას, პირადად მეწარმოებინა ყველა საქმე, ბუნებრივი შედეგებიც მოჰყვა: იძულებული შევიქენი დაცვაზე უარი მეთქვა თითქმის ყველა კლიენტისათვის და მხოლოდ იმათ არ ვისტუმრებდი უარით, ვისი საქმეც საინტერესო მეჩვენებოდა, მაგრამ რა გამოლევს ამქვეყნად პირუტყვს, ისინი ჩემს მახლობლადაც ბევრნი არიან და ჩემი გადაყრილი ნამცეცებით იკვებებიან, ბოლოს გადავიღალე, ავად გავხდი. და მაინც არ ვნანობ, ამგვარი გადაწყვეტილება რომ მივიღე, იქნებ უფრო მეტი კლიენტისათვის უნდა მეთქვა უარი, მაგრამ ის ამბავი, რომ მთელი სულითა და გულით ჩავები პროცესებში, რომელთა წარმოებაც თავს ვიდე, აუცილებელი აღმოჩნდა და წარმატებითაც დაგვირგვინდა. ერთ დოკუმენტში წავიკითხე შესანიშნავად ჩამოყალიბებული განსაზღვრა, რა განსხვავებაა ჩვეულებრივ სასამართლოსა და ამ სასამართლოში ბრალდებულის ინტერესების დაცვას შორის. იმ დოკუმენტში ეწერა: პირველ შემთხვევაში ვექილს კლიენტი ძაფზე გამობმული მიჰყავს განაჩენამდე, მეორე შემთხვევაში კი ზურგზე იკიდებს განაჩენამდე და ასე გრძელდება განაჩენის შემდეგაც. ეს მართლაც, ასეა. თუმცა მთლად მართალი არ ვიყავი, როცა გითხარით, არასოდეს არ მინანია ასეთი მძიმე შრომა რომ ვიტვირთე-მეთქი. ცოტაოდენი სინანულის გრძნობა მხოლოდ მაშინ მიპყრობს, როცა ასე უარყოფენ ჩემს შრომას.

ამგვარმა ლაპარაკმა კ. უფრო გააღიზიანა, ვიდრე დაარწმუნა. მოეჩვენა, თითქოს ვექილის კილოს მიხედვითაც შეეძლო განესაზღვრა, რა მოელოდა, თუ დათმობაზე წავიდოდა. ისევ დაიწყებოდა დაიმედება, გადაკვრით ლაპარაკი იმაზე, რომ შუამდგომლობაზე მუშაობა წინ მიიწევს, რომ სასამართლოს მოხელეები უკეთ არიან განწყობილნი მის მიმართ და რა თქმა უნდა, იმ დიდ სიძნელეებზე, მუშაობას რომ აბრკოლებს — ერთი სიტყვით, ვექილი კვლავ გამოიყენებდა ნაცნობ, გულის ამრევ ხერხებს იმისათვის, რომ კ. ბუნდოვანი იმედით მოეტყუებინა და გაურკვეველი მუქარით გაეწამებინა. „ერთხელ და სამუდამოდ ამას ბოლო უნდა მოეღოს“, — გაიფიქრა კ-მ და თქვა:

— რას იღონებთ, საქმე რომ თქვენს ხელში დავტოვო?

ვექილი ამ შეურაცხმყოფელ შეკითხვასაც შეურიგდა და უპასუხა:

— იმასვე განვაგრძობ, რასაც აქამდე ვაკეთებდი.

— ასეც ვიცოდი, — თქვა კ-მ, — ამიტომ ლაპარაკს აზრი აღარ აქვს.

— არა, მე კიდევ ერთხელ შევეცდები, — უთხრა ვექილმა ისე, თითქოს ის, რის გამოც კ. ღელავდა, პირადად მას შემთხვეოდეს და არა კ-ს. — იცით, მე მგონია, რომ არა მარტო ჩემი პროფესიული ალღოს შეუფასებლობა, არამედ მთელი თქვენი ქცევა გამოწვეულია ერთი ამბით: თუმცა ბრალდებული ხართ, აქამდე მაინც კარგად გეპყრობოდნენ, ან უფრო ზუსტად, გეპყრობოდნენ მოჩვენებითი დაუდევრობით. მაგრამ ამასაც აქვს თავისი მიზეზი; ზოგჯერ ჯობს ბორკილი გედოს, ვიდრე თავისუფლად დადიოდე. ამიტომ მინდა დაგანახოთ, როგორ ექცევიან სხვა ბრალდებულებს, იქნებ ამის შემდეგ დაფიქრდეთ და ჭკუა ისწავლოთ. ახლავე დავუძახებ ბლოკს, გააღეთ კარი და აი, ამ პატარა მაგიდასთან დაჯექით.

— სიამოვნებით, — უპასუხა კ-მ და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ვექილმა უთხრა; იგი მუდამ მზად იყო, რამე ესწავლა.

— თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჩემი ინტერესების დაცვისაგან განთავისუფლებთ? — უთხრა კ-მ ვექილს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი დაეზღვია.

— დიახ, — უპასუხა ვექილმა, — მაგრამ შეიძლება დღესვე შეიცვალოთ აზრი.

ვექილი ისევ საწოლში ჩაწვა, ბუმბულის საბანი ნიკაპამდე დაიფარა, კედლისაკენ შებრუნდა და ზარი მხოლოდ ამის შემდეგ დარეკა.

ლენი იმწამსვე შემოვიდა ოთახში ზარის ხმაზე, სწრაფად შეათვალიერა იქაურობა და შეეცადა გაეგო, რა მოხდა. რომ დაინახა კ. მშვიდად ზის ვექილის საწოლთან, დაწყნარდა, და ღიმილით დაუკრა თავი კ-ს, რომელიც თვალს არ აშორებდა.

— ბლოკი მოიყვანე, — უთხრა ვექილმა ლენის.

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოსაყვანად წასულიყო, ლენი მხოლოდ კართან მივიდა და დაიძახა:

— ბლოკ, ვექილი გიხმობს! — ლენიმ ისარგებლა იმით, რომ ვექილი კედლისკენ იყო შებრუნებული, — ყურადღებას არაფერს აქცევდა და კ-ს სავარძლის უკან გაძვრა. იმ წუთიდან მოსვენებას აღარ აძლევდა, ხან სავარძლის ზურგზე გადმოიხრებოდა, ხან თმაზე ეფერებოდა მეტისმეტად ნაზად და ფრთხილად, ხანაც ლოყაზე უთათუნებდა ხელს. გაბეზრებულმა კ-მ გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამისათვის, ხელში

სწვდა და თუმცა ქალიშვილი ცოტათი გაუძალიანდა, ხელი მაინც არ დაანება.

ბლოკი დაძახებისთანავე გამოცხადდა და ისე გაჩერდა კარებში, თითქოს არ იცოდა, შესულიყო თუ არა. შემდეგ წარბები მაღლა აზიდა, თავი დახარა და გაინაბა, ვექილთან გამოცხადდიო, კიდევ ხომ არ მიბრძანებენო. კ-ს შეეძლო გაემხნევებინა, ეთქვა შემოდიო, მაგრამ გადაწყვიტა მარტო ვექილთან კი არა, ყველაფერთან გაეწყვიტა კავშირი, რაც ამ ოთახში ხდებოდა და ამიტომ გაუნძრევლად იჯდა. ხმას არც ლენი იღებდა. ბლოკი დარწმუნდა, ჩემს გაგდებას არავინ აპირებსო და ფეხის წვერებზე შემდგარი შემოვიდა ოთახში. სახედაძაბულს ხელები ზურგსუკან ჰქონდა გადაჭდობილი. კარი ღია დატოვა, იქნებ უკან დახევა დამჭირდესო. კ-სკენ საერთოდ არ გაუხედავს, მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო ბუმბულის რბილი საბნისაკენ, რის ქვეშაც თითქმის კედელს მიკრული ვექილი არც კი ჩანდა.

მაგრამ უეცრად ოთახში მისი ხმა გაისმა:

— ბლოკი აქ არის? — იკითხა მან. ამ სიტყვების გაგონებისთანავე ბლოკი, რომელიც უკვე საკმაოდ ახლოს იდგა საწოლთან, ისე შეტორტმანდა, თითქოს ჯერ მკერდში ჰკრეს ხელი, შემდეგ კი ზურგზე და ასად მოკეცილმა მორჩილად თქვა:

— მიმსახურეთ.

— რა გინდა? — ჰკითხა ვექილმა, — ისევე უდროო დროს მოხვედი.

— მე ხომ დამიძახეს? — უთხრა ბლოკმა უფრო საკუთარ თავს, ვიდრე ვექილს, შემდეგ ხელები თავდაცვის მიზნით წინ აიფარა და გასაქცევად მოემზადა.

— მართალია, დაგიძახეს, მაგრამ შენ მაინც უდროო დროს მოხვედი, — გაუმეორა ვექილმა, მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა: — ყოველთვის უდროო დროს მოდიხარ.

იმ წუთიდან, რაც ვექილმა ხმა ამოიღო, ბლოკი საწოლისაკენ აღარ იყურებოდა, კუთხეს მიშტერებოდა და ისე უგდებდა ყურს, თითქოს ვექილისაკენ გახედვა თვალს მოსჭრიდა და ამას ვერ გაუძლებდა. მაგრამ ადვილი არც ყურისგდება იყო, რადგან კედლისკენ შებრუნებული ვექილი ჩუმად და ჩქარა ლაპარაკობდა.

— თუ გნებავთ, წავალ, — თქვა ბლოკმა.

— რაკი აქა ხარ, დარჩი! — უთხრა ვექილმა.

კაცი იფიქრებდა, ვექილმა ბლოკის სურვილი კი არ დააკმაყოფილა, არამედ გაროზგვით დაემუქრაო, რადგან ბლოკი მთელი სხეულით აკანკალდა.

— გუშინ მესამე მოსამართლესთან ვიყავი,—თქვა ვექილ-

მა, — ჩემს მეგობრებთან და საუბარში ნელ-ნელა შენზე შევაპარე სიტყვა. გინდა იცოდე, რა თქვა?

— ძალიან მინდა, გთხოვთ, — უპასუხა ბლოკმა, რადგან ვექილმა პასუხი მაშინვე არ გასცა, ბლოკმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თხოვნა და ისე მოიკუნტა, თითქოს მუხლებზე დამხობას აპირებსო. მაგრამ ამ დროს კ-მ დაუყვირა:

— რას აკეთებ?

ლენიმ სცადა კ. გაეჩუმებინა, მაგრამ მან მეორე ხელიც დაუჭირა მაგრად. ეს არ იყო სიყვარულით ხელის მოჭერა, ძალით აკავებდნენ, ქალიშვილი კვნესოდა და ხელების განთავისუფლებას ცდილობდა. მაგრამ კ-ს შეძახილისათვის ისევ ბლოკი დაისაჯა, რადგან ვექილმა მაშინვე ჰკითხა:

— ვინ არის შენი ვექილი?

— თქვენს გარდა არავინ, — უპასუხა ბლოკმა.

— ჩემს გარდა კიდევ ვინა გყავს? — ჰკითხა კვლავ ვექილმა.

— თქვენს გარდა არავინ, — უპასუხა ბლოკმა.

— ამიტომ ნურავის ნუ უგდებ ყურს, — უთხრა ვექილმა.

ბლოკმა ეს ბუნებრივად მიიჩნია, კ-ს მწყრალად შეხედა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. მისი ქცევა რომ სიტყვებით ყოფილიყო გამოხატული, უხეში ლანძღვა-გინება გამოვიდოდა, აი, ასეთ კაცთან აპირებდა კ. საკუთარი საქმეზე მეგობრულად საუბარს!

— აღარ შეგიშლი ხელს, — უთხრა კ-მ კომერსანტს და სავარძლის ზურგს მიეყრდნო, — გინდა მუხლებზე დაემხე და გინდა დაოთხილმა იცოცე, რაც გინდა ის ქენი. შენთვის თავს აღარ შევიწუხებ.

მაგრამ, ეტყობა, ბლოკს კიდევ შერჩა რაღაც თავმოყვარეობის მაგვარი, რადგან კ-ს სიტყვები იუკადრისა, მუშტების ქნევით დაიძრა მისკენ და თუმცა ვექილის რიდი ჰქონდა, მაინც უყვირა:

— რა უფლება გაქვთ ასე მელაპარაკოთ, რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას? და ისიც ბატონი ვექილის თანდასწრებით, რომელიც ჩვენ ორივეს, თქვენცა და მეც, მხოლოდ იმიტომ გვითმენს, რომ ვებრალებით. რით ხართ ჩემზე უკეთესი ადამიანი? თქვენც ჩემსავით ბრალდებული ბრძანდებით და პროცესი თქვენს წინააღმდეგაცაა აღძრული. ხოლო თუ თქვენი თავი დიდ კაცად მიგაჩნიათ, მაშინ მეც დიდი კაცი ვარ და იქნებ თქვენზე უფრო დიდიც, ამიტომ კეთილ ინებეთ და ასე ნულარ დამელაპარაკებით. დიახ! შესაძლოა მხოლოდ იმითა ხართ ჩემზე წინ, რომ ზიხართ აქ სავარძელში და მშვიდად ისმენთ ყველაფერს, მე კი იძულებული ვარ, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, დაოთხილმა ვიცოცო; თუ ასე ფიქრობთ, მა-

შინ მინდა გაგახსენოთ ერთი ძველი სამართლებრივი შეგონება: ეჭვმიტანილისათვის მოძრაობა სიმშვიდეზე უკეთესია, რადგან როცა მშვიდად ხარ, შეიძლება ვერ გრძნობდე, რომ სასწორზე აღმოჩნდი და მთელი შენი ცხოვრებიანად საცაა აგწონიან.

კ-ს არაფერი უპასუხნია, მხოლოდ გაოცებული მიაჩერდა ამ თავგზააბნეულ კაცს. როგორ შეიცვალა სულ რაღაც ერთ საათში! ნუთუ პროცესმა ისე მოშალა, რომ აღარც კი იცის, ვინ მტერია და ვინ მოყვარე? ნუთუ ვერ ხედავს, ვექილი რომ განგებ ამცირებს და ამჯერად მისი ერთადერთი მიზანია, კ-ს თავი მოაწონოს უფლებამოსილებით და ამ გზით მისი დამორჩილებაც სცადოს?! მაგრამ თუ ბლოკს ამის მიხვედრის უნარი არ შესწევს ან ისე ეშინია ვექილის, რომ მიხვედრის უნარიც ვერას არგებს, მაშინ როგორ ბედავს, როგორ ახერხებს ვექილის მოტყუებას და იმის დამალვას, რომ მის გარდა კიდევ ხუთი ვექილი ჰყავს? ან რისი იმედით ესხმის თავს პირადად კ-ს, ვისაც ყოველ წუთს შეუძლია მისი საიდუმლო გათქვას?

მაგრამ ბლოკმა მარტო ეს კი არ გაბედა, ვექილის საწოლთანაც მივიდა და პირიქით კ-ზე დაუწყო ჩივილი.

— ბატონო ვექილო, ხომ გესმით, როგორ მელაპარაკება ეს კაცი. მისი პროცესი იმდენი საათი გრძელდება, რომ შემიძლია თითებზე ჩამოვთვალო და უკვე გაუჩნდა იმის სურვილი, ჭკუა მასწავლოს მე, ვინც პროცესს ხუთი წელია თავს დავტრიალებ. თანაც ილანძღება, არაფერი არ იცის და ილანძღება, მე კი თავი არ დამიზოგავს, ზუსტად შევისწავლე ყველაფერი, რასაც წესიერება, მოვალეობა და სასამართლო პრაქტიკა მოითხოვს.

— ნურავის ნუ აქცევ ყურადღებას, — უთხრა ვექილმა. — ისე მოიქეცი, როგორც სწორად მიგაჩნია.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ბლოკმა ისე, თითქოს საკუთარ თავს ამხნევებსო, შემდეგ ალმაცერად გაიხედა გვერდზე და საწოლის წინ მუხლებზე დაემხო: — ჩემო ვექილო, მე უკვე დავემხე მუხლებზე.

მიუხედავად ამისა ვექილმა ხმა მაინც არ ამოიღო. ბლოკმა ცალი ხელი ფრთხილად გადაუსვა ბუმბულის საბანს. ამასობაში ლენიმ ხელები გაინთავისუფლა და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ მისი ხმა გაისმა:

— ხელები მატკინე, გამიშვი, ბლოკთან მივდივარ!

ქალიშვილი მართლაც გადავიდა მათ მხარეს და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ბლოკი ძლიერ გაახარა მისმა თანადგომამ და გახალისებულმა მუნჯურად ანიშნა მაშინვე, სიტყვა შემაწიე ვექილთანო. ეტყობა, ბლოკს დიდად სჭირდებოდა დაეტყუ-

ებინა ვექილისათვის. რა თქვა მასზე მოსამართლემ, ალბათ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ეს ცნობები სხვა ვექილებს მის საწინააღმდეგოდ გამოეყენებინათ. ლენიმ, ჩანს, ზუსტად იცოდა, რით შეიძლებოდა ვექილის გულის მოგება. ბლოკს თვალებით ვექილის ხელზე მიანიშნა და ტუჩები ისე დაამრგვალა, თითქოს საკოცნელად ემზადებაო. ბლოკმა იმწამსვე აკოცა ვექილს ხელზე და ლენის ნიშანზე კიდევ ორჯერ დაეკონა. მაგრამ ვექილი მაინც ჯიუტად დუმდა. მაშინ ლენი ვექილისკენ დაიხარა, საწოლზე ისე გადაწვა, რომ მთლიანად გამოჩნდა მისი ლამაზი სხეული, ხელი ვექილისაკენ წაიღო და გრძელ, ჭაღარა წვერზე მიეფერა. ვექილმა ამას ვეღარ გაუძლო და ხმა ამოიღო:

— ვერ გადამიწყვეტია, ვუთხრა თუ არა, — თქვა ვექილმა და ლენის შეხება რომ უკეთ ეგრძნო, თავი ოდნავ გააქნია. ბლოკი თავჩაქინდრული უსმენდა ვექილს და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც უკანონობას სჩადიოდა.

— რატომ ვერ გადაგიწყვეტია? — ჰკითხა ლენიმ ვექილს. კ-ს ეჩვენებოდა, თითქოს დასწავლილ საუბარს ისმენდა, რაც ბევრჯერ განმეორებულა და კიდევ მრავალჯერ განმეორდება, მაგრამ ბლოკისათვის მაინც არ კარგავდა სიახლეს.

— როგორ იქცეოდა დღეს? — ჰკითხა ვექილმა ლენის პასუხის ნაცვლად.

სანამ ლენი თავის აზრს გამოთქვამდა, ბლოკს შეაცქერდა, რომელსაც მისკენ მუდარით გაეწვდინა ხელები და ერთ ხანს აკვირდებოდა, ბოლოს ლენიმ დინჯად დაუქნია თავი ბლოკს, ვექილისაკენ შებრუნდა და უთხრა:

— დღეს დამიჯერა და მუყაითი იყო.

ხანში შესული, გრძელწვერა კომერსანტი ახალგაზრდა ქალს ემუდარებოდა, კეთილი სიტყვა შემაწიეო. იქნებ ბლოკს ფარული აზრი ამოძრავებდა, მაგრამ მაინც არავითარ გამართლებას არ იმსახურებდა მოყვასის თვალში. როგორ იფიქრა ვექილმა, რომ ამგვარი სანახაობა კ-ს გადაწყვეტილებაზე ხელს ააღებინებდა. ადრევე რომ არ ეთქვა ვექილისათვის უარი, ამ ამაზრზენი სცენის შემდეგ მაინც ჩამოიშორებდა, რადგან ასეთი საქციელი მაყურებელსაც კი ამცირებდა. მაშასადამე, ვექილის მეთოდი იყო — კიდევ კარგი ამ მეთოდის ზეგავლენას მალე აარიდა თავი — კლიენტი ისეთ დღეში ჩაეგდო, რომ ბოლოს ყველაფერი დავიწყებოდა და იმ იმედით დასდგომოდა მცდარ გზას, პროცესის დამთავრებამდე როგორმე მივჩანჩალდებიო. თუმცა ბლოკი კლიენტი აღარ იყო, იგი ძაღლად იქცა და ვექილს რომ მისთვის ებრძანებინა. საწოლის ქვეშ შეძვერი როგორც საძაღლეში და აყეფდიო, ბლოკი სიამოვნებით გააკეთებდა ამას. კ. ისეთი ყურადღებით,

ისეთი დაფიქრებული ისმენდა ყველაფერს, თითქოს დაავალეს ზუსტად დაემახსოვრებინა, შემდეგ რომელიღაც მაღალ ინსტანციაში მოეხსენებინა და წერილობითი ახსნა-განმარტება დაერთო ზედ.

— რას აკეთებდა მთელი დღე? — ჰკითხა ვექილმა ლენის.

— ჩემთვის რომ მუშაობაში ხელი არ შეეშალა, მოახლის ოთახში ჩავკეტე, — უპასუხა ლენიმ, — სადაც ჩვეულებრივ არის ხოლმე. დროდადრო ჭუჭრუტანაში ვიხედებოდი, მინდოდა გამეგო, რას აკეთებდა. მთელი დღე მუხლმოდრეკილი იდგა საწოლზე, დოკუმენტები, შენ რომ ათხოვე, ფანჯრის რაფაზე გაეშალა და კითხულობდა. მისი საქციელით დიდად კმაყოფილი დავრჩი; საქმე ისაა, რომ ფანჯარა სავენტილაციო ჭაურშია გაჭრილი და სინათლე თითქმის არ შემოდის. მიუხედავად ამისა, ბლოკი მაინც კითხულობდა, ამან დამარწმუნა, რომ მეტისმეტად გამგონეა.

— ძალზე მიხარია ამის გაგონება, — თქვა ვექილმა, — მაგრამ ესმოდა კი, რასაც კითხულობდა?

ამ საუბრის დროს ბლოკი განუწყვეტლივ აცმაცუნებდა ტუჩებს, წინასწარ ადგენდა იმ პასუხებს, ლენისაგან რომ სურდა მოესმინა.

— ამ კითხვაზე რა თქმა უნდა ზუსტ პასუხს ვერ გავცემ, — უპასუხა ლენიმ, — ყოველ შემთხვევაში, როცა ოთახში ვიყურებოდი, ვხედავდი, რა ყურადღებით კითხულობდა მთელი დღე ერთსა და იმავე გვერდს და სტრიქონებს თითს აყოლებდა. შევიხედავ ოთახში და მესმის მისი ოხვრა, ეტყობა, წაკითხულის გაგება უჭირდა. დოკუმენტები, შენ რომ ათხოვე, ალბათ ძნელი გასაგებია.

— დიახ, — უპასუხა ვექილმა, — მართლაც ძნელი გასაგებია, არც მჯერა, რამე გაიგო. დოკუმენტებმა მხოლოდ წარმოდგენა უნდა შეუქმნას იმაზე, თუ რა ძნელია ბრძოლა, მის დასაცავად რომ ვეწევი. და მერე ვისთვის ვიბრძვი ასე თავდადებით? თითქმის სასაცილოც კია ამის თქმა — ბლოკისათვის. დაე, იმასაც მიხვდეს, თუ რას ნიშნავს ეს. შეუსვენებლად კითხულობდა?

— თითქმის შეუსვენებლად, — უპასუხა ლენიმ, — მხოლოდ ერთხელ მთხოვა წყალი, ჭიქა პატარა სარკმლიდან მივაწოდე. რვა საათზე გამოვუშვი და ცოტა დავაპურე.

ბლოკმა ისე ალმაცერად შეხედა კ-ს, თითქოს მასზე სასიქადულო ამბებს ჰყვებოდნენ და ამოწმებდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა კ-ზეო. ეტყობა, ბლოკს ისევ მოეცა იმედი, რადგან უფრო თავისუფლად მოძრაობდა და მუხლებზეც კი დაიწყო ფოფხვა.

— შენ ამას აქებ, — უთხრა ვექილმა ლენის, — და სწორედ ამიტომ მიჭირს ლაპარაკი. მოსამართლეს კარგი არაფერი უთქვამს არც ბლოკზე და არც მის პროცესზე.

— კარგი არაფერი? — ჰკითხა ლენიმ, — კი მაგრამ, რატომ?

ამ სიტყვების გაგონებაზე ბლოკი გახევდა და ისეთი მუდარით შეხედა ლენის, თითქოს ქალიშვილს შესწევდა უნარი, მის სასარგებლოდ შეეცვალა მოსამართლის მიერ კარგა ხნის წინ ნათქვამი სიტყვები.

— დიახ, კარგი არაფერი, — განაგრძო ვექილმა, — მას სახეც კი დაემანჭა, როცა ბლოკზე ჩამოვუგდე სიტყვა. „ნურაფერს მეტყვით მაგ ბლოკზე“, — მითხრა მან. „ჩემი კლიენტია-მეთქი“, — ვუპასუხე მე. „იგი თქვენ ბოროტად გიყენებთო“, — მითხრა მოსამართლემ. „ეს საქმე უიმედოდ არ მიმაჩნია-მეთქი“ — ვუთხარი მე. „დიახ, იგი თქვენ ბოროტად გიყენებთ“, — გამიმეორა მან. „არა მგონია“, — ვუთხარი მე. — ბლოკი გულმოდგინედ ეკიდება პროცესს და ყოველთვის საქმის კურსშია-მეთქი. რომ არაფერი გამორჩეს, თითქმის დასახლდა ჩემთან. ასეთი გულმოდგინება იშვიათია. მართალია, პირადად არასასიამოვნო პიროვნებაა, საზიზღარი ჩვევები აქვს, ბინძურია. მაგრამ პროცესუალური თვალსაზრისით უზადოა-მეთქი. უზადო იმიტომ ვუთხარი, რომ ფასი ამეწია. ამის პასუხად კი მან, აი, რა მითხრა: „ბლოკი უბრალოდ, ეშმაკი კაცია, დიდი გამოცდილება შეიძინა და იცის, როგორ გააჭიანუროს პროცესი, მაგრამ მისი უმეცრება ბევრად აღემატება მის ეშმაკობას. საინტერესოა, რას იტყვის, როცა გაიგებს, რომ მისი პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, ის კი არა, პროცესის დაწყების მაუწყებელი ზარიც კი არ დარეკილა“. მშვიდად ბლოკ. — უთხრა ვექილმა, როცა შეამჩნია, მუხლებში ძალაგამოცლილმა ბლოკმა წამოდგომა და ახსნა-განმარტების მოთხოვნა დააპირა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, ვექილი რომ უშუალოდ ბლოკს დაელაპარაკა. ვექილის დაღლილი თვალები ხან სივრცეს მისჩერებოდნენ, ხანაც ბლოკს, კომერსანტმა ამგვარ მზერასაც კი ვერ გაუძლო და ნელ-ნელა ისევ მუხლებზე დაეშვა.

— შენთვის არაფითარი მნიშვნელობა არა აქვს მოსამართლის აზრს, — უთხრა ვექილმა ბლოკს, — და ყოველ სიტყვაზე შიშით ნუ კვდები. თუ ამგვარი რამ კიდევ ერთხელ განმეორდა, აღარაფერს გეტყვი. კაცს სიტყვა ვერ უთქვამს, ისეთი თვალებით მიაშტერდები ხოლმე, თითქოს სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანესო. ჩემი კლიენტისა მაინც შეგრცხვეს! ლამის ნდობა დააკარგვინო ჩემი. საერთოდ რა გინდა? ჯერ-ჯერობით ცოცხალი ხარ და ჩემი მფარველობის ქვეშ იმყო-

ფები. რამ დაგაფრთხო ასე უსაშველოდ. შენ ალბათ, სადღაც წაიკითხე, რომ ზოგჯერ ასეც ხდება, სასიკვდილო განაჩენს მოულოდნელად გამოგიტანს ნებისმიერი პირი ნებისმიერ დროს. მართალია, ეს ასეა, მაგრამ სხვა მრავალი პირობაცაა გასათვალისწინებელი, ამავე დროს მართალია ისიც, რომ შენი სიმხდალე ზიზღს მგვრის და ამ სიმხდალეში მე საჭირო ნდობის ნაკლებობას ვხედავ. ბოლოს და ბოლოს რა გითხარი ასეთი? გავიმეორე ერთი მოსამართლის სიტყვები, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ სასამართლოს ყოველი საქმის ირგვლივ იმდენი სხვადასხვაგვარი აზრი იყრის თავს, რომ რაიმეს გარკვევით დანახვა შეუძლებელია. მაგალითად, ზემოხსენებული მოსამართლე პროცესის დასაწყისად სხვა თარიღს მიიჩნევს, მე კი სხვას. აი, მას ჰქვია აზრთა სხვადასხვაობა. ძველი ჩვეულების მიხედვით, როცა პროცესი გარკვეულ სტადიაში შევა, ზარი რეკავს. მოსამართლის აზრით პროცესი სწორედ ამ წუთიდან იწყება. ახლა ვერ აგიხსნი ყველაფერს, რაც ამ აზრის უარმყოფელია, თუმცა შენ ამას მაინც ვერ გაიგებ, შენთვის ისიც საკმარისია, რომ საწინააღმდეგო აზრიც ბევრი არსებობს.

შეცბუნებული ბლოკი საწოლის წინ დაგებულ ხალიჩას წიწკნიდა, ეტყობა, მოსამართლის ნათქვამმა ისე დააფრთხო, სულ დაავიწყდა ვექილის მონა-მორჩილი რომ იყო, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და მოსამართლის სიტყვებს ყოველმხრივ უსინჯავდა კბილს.

— ბლოკ, — უთხრა ლენიმ გამაფრთხილებელი კილოთი, საყელოში ხელი ჩაავლო და ოდნავ წამოსწია, — თავი გაანებე ხალიჩის წიწკნას და ვექილს დაუგდე ყური.

(ეს თავი დამთავრებული არ არის)

თავი მეცხრე

ტაძარში.

კ-ს დაავალეს, ეჩვენებინა ხელოვნების ზოგიერთი ძეგლი ამ ქალაქში პირველად ჩამოსული იტალიელი კლიენტისათვის, რომელსაც ბანკი დიდად აფასებდა. სხვა დროს ამგვარ დავალებას კ. საპატიოდ მიიჩნევდა, მაგრამ ახლა, როცა ბანკში პრესტიჟის შენარჩუნება მისგან დიდ დაძაბულობას მოითხოვდა, უხალისოდ დათანხმდა. კაბინეტის კედლებს მიღმა გატარებული ყოველი საათი მოსვენებას უკარგავდა; უწინდელივით ველარც სამუშაო დროს იყენებდა შედეგიანად, ზოგჯერ საათები მიიზლაზნებოდა და კ. ძლივს ახერხებდა, სხვებისათვის მოეჩვენებინა, მართლაც მუშაობაში ვარ ჩაფ-

ლული, მაგრამ მით უფრო ძლიერი მოუსვენრობა ეუფლებოდა, როცა ბანკიდან გადიოდა. ამ დროს ეჩვენებოდა, თითქოს ხედავს, როგორ შედის მის კაბინეტში დირექტორის მოადგილე, რომელიც ისედაც მუდამ თვალს ადევნებდა, როგორ ჯდება მის მაგიდასთან, იქექება მის ქაღალდებში, ღებულობს იმ კლიენტებს, ვისთანაც კ-ს წლების მანძილზე მეგობრობა აკავშირებდა და ცდილობს ისინი მის წინააღმდეგ გაანწყოს, იქნებ მის ნაწერებში შეცდომებსაც პოულობს, რაც ბოლო დროს მუშაობაში ყოველ მხრივ საფრთხეს უქმნიდა და რასაც ვერაფრით ვერ დააღწია თავი. ამიტომ, როცა კ-ს ავალებდნენ ესა თუ ის საქმე მოეგვარებინა ან მცირე ხნით სადმე გამგზავრებულიყო, თუნდაც ეს დავალება დიდად საპატიო ყოფილიყო — ბოლო დროს კი ამგვარმა დავალებებმა სრულიად შემთხვევით იმატა, — მუდამ ეჭვი ებადებოდა, განგებ ხომ არ მისტუმრებენ კაბინეტიდან, რომ ჩემი მუშაობა შეამოწმონ ან იმას ხომ არ ფიქრობენ, უიმისოდაც იოლად გავართმევთ საქმეს თავსო. კ-ს თავისუფლად შეეძლო ბევრ ასეთ დავალებაზე უარი ეთქვა, მაგრამ ვერ ბედავდა; თუ მის ეჭვებს მცირედი საფუძველი მაინც ჰქონდა, მაშინ უარის თქმა სიმხდალის აღიარება იქნებოდა. ამიტომ სხვების თვალის ასახვევად დავალებას გულგრილად ღებულობდა. ამას წინათ, როცა ორი დღით მივლინებაში უნდა გამგზავრებულიყო რომელიღაც საქმის მოსაგვარებლად, კ-მ არ გაამხილა რომ ძალიან იყო გაცივებული, რადგან არ უნდოდა მივლინება გაეუქმებინათ მისთვის შემოდგომის წვიმიანი ამინდის გამო.

როცა მივლინებიდან საშინელი თავის ტკივილით დაბრუნდა, ბანკში ამბავი დაახვედრეს, ხვალ იტალიელ სტუმარს უნდა გაუწიო მეგზურობაო. კინაღამ აჰყვა გულისთქმას, ამჯერად მაინც ეთქვა უარი, მით უმეტეს, რომ თავს მოხვეული დავალება უშუალოდ არ იყო დაკავშირებული მის სამსახურებრივ მოვალეობასთან. მართალია, ბანკისათვის ამ საზოგადოებრივი დავალების შესრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ პირადად მისთვის არაფერს ნიშნავდა; მან კარგად იცოდა, რომ სამსახურის შენარჩუნება მხოლოდ ნაყოფიერი შრომით შეიძლებოდა და თუ ამას ვერ მოახერხებდა, მაშინ იმასაც კი არ ექნებოდა ფასი, იტალიელი მოულოდნელად რომ მოეჯადოვებინა კიდეც; კ-ს არ უნდოდა, თუნდაც ერთი დღით მოწყვეტოდა სამუშაო გარემოს, რადგან ძალზე ეშინოდა, აქაურობას აღარ გამაკარებენო. თუმცა ისიც ესმოდა, რამდენად გაზვიადებული იყო მისი შიში, მაგრამ გული საგულეში მაინც არ უჩერდებოდა, ამჯერად თითქმის შეუძლებელი იყო უარის სათქმელად საპატიო მიზეზის გამონახვა. თუმცა კ-მ იტალიური ძალიან კარგად არ იცოდა, მაგრამ თავს

არ შეირცხვენდა და რაც მთავარია, ახალგაზრდობიდანვე ერკვეოდა ხელოვნების ისტორიის საკითხებში; ეს ამბავი კიდევ უფრო გააზვიადეს ბანკის თანამშრომლებმა, როცა გაიგეს, ერთ დროს კ., თუმცა საქმიანი მოსაზრებების კარნახით, მაგრამ მაინც ქალაქის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრი ყოფილა. და რადგან იტალიელი, როგორც ხმა გავრცელდა, ხელოვნების მოყვარული აღმოჩნდა, თავისთავად ცხადია, გიდის როლი მას უნდა ეკისრა.

როცა მომავალ დღეზე ფიქრით გაღიზიანებული კ. დილის შვიდ საათზე კაბინეტში შევიდა, გარეთ წვიმდა და ქარი ქროდა; რომ არ მომცდარიყო, კ-ს უნდოდა სტუმრის მოსვლამდე ცოტა წაემუშავა, მაგრამ უსაშველოდ დაღლილი იყო. ცოტათი მაინც რომ გაწაფულიყო, შუაღამემდე იტალიური ენის გრამატიკას ჩაჰკირკიტებდა; საუბედუროდ, ფანჯარა, რომელთანაც ბოლო დროს ძალიან ხშირად იჯდა, უფრო იზიდავდა, ვიდრე საწერი მაგიდა, მიუხედავად ამისა, სურვილი დაიოკა და მუშაობას შეუდგა. სამწუხაროდ, მალე შიკრიკი შემოვიდა და მოახსენა, დირექტორმა გამომგზავნა, გამიგეთ, ბატონი პროკურისტი თუა აქ და თუ არის, ხომ არ ინებებს ჩემს მოსაცდელ ოთახში შემობრძანებას, იტალიელი სტუმარი უკვე მოსულიაო.

— მოვდივარ, — უთხრა კ-მ, პატარა ლექსიკონი ჯიბეში ჩაიდო, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა ალბომი, სტუმრისათვის რომ უნდა ეჩუქებინა, ამოიღლიავა და დირექტორის მოადგილის კაბინეტის გავლით დირექტორის მოსაცდელ ოთახისაკენ გაემართა. იგი თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ ასე ადრე გამოცხადდა სამუშაოზე და იმწამსვე შეეძლო დირექტორის განკარგულების აღსრულება, რასაც ალბათ არავინ არ ელოდა. დირექტორის მოადგილის კაბინეტი, ცხადია, ჯერჯერობით ისევე ცარიელი იყო, როგორც გვიან ღამით. იქნებ დირექტორმა მასაც გაუგზავნა შიკრიკი და თავის მოსაცდელ ოთახში მიიპატიჟა, მაგრამ მოადგილე ადგილზე არ აღმოჩნდა. როცა კ. მოსაცდელ ოთახში შევიდა, მასთან შესახვედრად ღრმა სავარძლებიდან ორი მამაკაცი წამოდგა. დირექტორმა ხალისიანად გაუღიმა, ეტყობოდა, ძალიან გაუხარდა მისი მოსვლა და იმწამსვე წარუდგინა იტალიელს, იტალიელმა მაგრად ჩამოართვა ხელი და ღიმილით ვიღაცას ხის წვერზე მძინარე ჩიტი უწოდა. კ. თავიდანვე ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა იტალიელი, აზრიც რაღაცნაირი გაუგებარი იყო და მხოლოდ მოგვიანებით ჩასწვდა მისი სიტყვების შინაარსს. კ-მ რამდენიმე არაფრის მთქმელი ფრაზა წარმოთქვა. იტალიელმა კვლავ გაიცინა და რამდენჯერმე გადაისვა ნერვულად ხელი ყორნის ფრთასავით შავ, ჭაღარაშერეულ ხშირ ულვაშებზე.

უდაგო იყო, რომ იტალიელს ულვაშზე ნამდვილად სუნამო მიეპკურებინა, კაცს ძალაუნებურად მოგინდებოდა მიახლოვებოდი და დაგეყნოსა. როცა სამივენი დასხდნენ და შესავლის მაგვარი, მოკლე საუბარი გააბეს, კ-ს ელდა ეცა, იტალიელის ნათქვამიდან ბევრი რამ არ ესმოდა. როცა იტალიელი მშვიდად ლაპარაკობდა, თითქმის ყველაფერს იგებდა, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, რადგან სტუმრის სიტყვები მეტწილად ნაკადულივით მოსჩქეფდა და თან ხალისიანად იქნევდა თავს, უფრო უარესი ის იყო, რომ სწრაფად ლაპარაკის დროს წარამარა რომელიღაც დიალექტს იშველიებდა, რასაც იტალიურის ნიშან-წყალიც კი არ ეცხო; სამაგიეროდ დირექტორს მშვენივრად ესმოდა მისი და იტალიელს ამ დიალექტზე ესაუბრებოდა კიდეც. თუმცა კ-ს ეს ამბავი უნდა გაეთვალისწინებინა, სტუმარი წარმომობით სამხრეთ იტალიელი იყო, ხოლო დირექტორი ხომ იქ რამდენიმე წელი ცხოვრობდა. ყველ შემთხვევაში, კ. მიხვდა, იტალიელთან საერთო ენის გამონახვა საკმაოდ გაუჭირდებოდა, იტალიელი ვერც ფრანგულად ლაპარაკობდა მაინცდამაინც გასაგებად, ამასთანავე ტუჩებს ულვაში უფარავდა, თორემ იქნებ კ-ს ტუჩების მოძრაობაზე მაინც ამოეცნო მისი სიტყვები. კ. მიხვდა, ბევრ უსიამოვნებას ვადაეყრებოდა და ჯერჯერობით მოეშვა იმის ცდას, იქნებ იტალიელს რამე გავუგოო — ესეც არ იყოს, დირექტორის თანდასწრებით, რომელსაც მშვენივრად ესმოდა იტალიელის ლაპარაკი. ეს ძალ-ღონის ტყუილუბრალო ხარჯვა იქნებოდა, — და მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ გაგულისებული აკვირდებოდა, რა მოხდენილად იჯდა იტალიელი ღრმა სავარძელში, როგორ ქაჩავდა ხშირ-ხშირად კარგად მორგებული მოკლე პიჯაკის კალთას, როგორ აღმართა უცბად ხელები, თავისუფლად გაქნ-გამოიქნია და ცდილობდა გამოეხატა რაღაც ისეთი, რასაც კ. ვერაფრით ვერ ხვდებოდა. თუმცა მთელი ტანით წინ გადახრილიყო და იტალიელის ხელებს თვალს არ აშორებდა. მაგრამ ბოლოს კ-მ, რომელიც უსაქმურობისაგან უაზროდ შესცქეროდა ხან ერთ ხან მეორე მოსაუბრეს, წელანდელი დაღლილობა იგრძნო და გულგახეთქილმა, საბედნიეროდ, დროზე შეიკავა თავი, რომ ყურადღებაგაფანტული არ წამომდგარიყო, მათთვის ზურგი არ შეექცია და ოთახიდან არ გასულიყო. ამ დროს იტალიელმა საათს დახედა და წამოხტა. იგი დირექტორს გამოემშვიდობა, ხოლო კ-სთან ისე ახლოს მივიდა, სავარძელი უკან რომ არ დაეწია, ვერ წამოდგებოდა. დირექტორმა კ-ს გამოხედვაზე შეატყო, რა გაჭირვებაც ადგა ამგვარი იტალიურის გამო და ლაპარაკში ჩაერია, თანაც ისე თავაზიანად და გონივრულად, თითქოს უმნიშვნელო რჩევა-დარიგებას აძლევდა თავის ხელქვეითს, სი-

ნამდვილეში კი მოკლედ უხსნიდა, რას ამბობდა იტალიელი, რომელიც დირექტორს წამდაუწუმ სიტყვას აწყვეტინებდა. დირექტორისაგან კ-მ გაიგო, რომ უპირველეს ყოვლისა იტალიელს რაღაც საქმე აქვს მოსაგვარებელი, სწუხს, რომ ცოტა დრო რჩება და არამც და არამც არ სურს ზერელედ დაათვალიეროს ყველა ღირსშესანიშნაობა და თუ კ. დათანხმდება, გადამწყვეტი სიტყვა ხომ კ-ს ეკუთვნის — განზრახული აქვს დაათვალიეროს მხოლოდ ტაძარი, მაგრამ რაც შეიძლება საფუძვლიანად. იგი დიდად ნასიამოვნები იქნება, თუ ტაძარს დაათვალიერებს ასეთი თავაზიანი და განათლებული ადამიანის თანხლებით — ეს სიტყვები ეხებოდა კ-ს, რომელიც იტალიელს ყურს არ უგდებდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, დირექტორის ახსნა-განმარტებას ჩასწვდომოდა — ამიტომ სთხოვს, თუ კ-საც სცალია, შეხვდეს ტაძარში ორი საათის შემდეგ, დაახლოებით ათ საათზე, თავად მას კი იმედი აქვს, ამ დროისათვის აუცილებლად მივა ტაძარში. კ-მ ის უპასუხა, რაც ასეთ ვითარებაში მიღებულია, ამის შემდეგ იტალიელმა ჯერ დირექტორს ჩამოართვა ხელი, შემდეგ კ-ს, მერე ისევ დირექტორს და ორივეს თანხლებით, სანახევროდ მათკენ შემობრუნებული, ლაპარაკ-ლაპარაკით კარისაკენ წავიდა. კ. მცირე ხანს კიდევ დარჩა დირექტორთან, რომელიც დღეს ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. დირექტორმა იფიქრა, კ-სთან ბოდიში მაქვს მოსახდელიო, და უთხრა — ისინი შინაურულად იდგნენ ერთმანეთის გვერდით — თავიდან განზრახული ჰქონდა თვითონ გავყოლოდი იტალიელს, მაგრამ შემდეგ — დირექტორს მიზეზი არ დაუსახელებია — გადავწყვიტე თქვენ გამესარჯეთ, მაინცდამაინც ნუ დაიბნევით თუ უცებ ვერ გაუგებთ იტალიელს, დარწმუნებული ვარ, მალე გამონახავთ საერთო ენას, და თუ ზოგ რამეს ვერ გაიგებთ, არც ეს არის დიდად სავალალო, რადგან იტალიელისათვის მნიშვნელობა არ აქვს გაუგებენ თუ არა. გარდა ამისა, არ მოველოდი, თუ ასე კარგად იცოდით იტალიური და ამიტომ ეჭვი არ მეპარება, მშვენივრად გაართმევთ საქმეს თავსო.

ამის შემდეგ დირექტორმა კ. დაითხოვა. დარჩენილ დროში კ-მ ლექსიკონიდან ამოიწერა იშვიათი სიტყვები, ტაძრის დათვალიერების დროს რომ გამოადგებოდა. ეს საქმე საოცრად გულის გამაწყალებელი იყო, თანაც შიკრიკებს შემოჰქონდათ ფოსტა, მოხელეები ცნობების მისაღებად შემოდიოდნენ და რომ ხედავდნენ, კ-ს არ სცალიაო, კარებში ჩერდებოდნენ და იქამდე არ იცვლიდნენ ფეხს ადგილიდან, ვიდრე კ. არ მოუსმენდა. სხვებსაც დირექტორის მოადგილე ჩამორჩა და ცდილობდა ხელი შეეშალა კ-სათვის. იგი განზრახ შემოდიოდა ოთახში, ხელიდან ართმევდა ლექსიკონებს და უაზროდ ფურცლავდა, ხოლო როცა კარი იღებოდა, ნახევრად ბნელ მისაღებ ოთახში მომლოდინე კლიენტები ჩანდნენ. ისინი გაუბედავად უკრავდნენ თავს — იქნებ ყურადღება მოგვაქციოსო, მაგრამ დარწმუნებულნი არ იყვნენ ხედავდა თუ არა მათ პროკურისტი, — ყველაფერი ეს ისე ტრიალებდა კ-ს ირგვლივ, თითქოს ცენტრი ყოფილიყოს; ამასობაში ჩამოწერა საჭირო სიტყვები, შემდეგ მონახა ლექსიკონებში, ამოიწერა, გამოთქმაში ივარჯიშა და ბოლოს შეეცადა ზეპირადაც დაესწავლა. მაგრამ ერთ დროს კარგი მეხსიერება ახლა თითქოს ღალატობდა. კ. დროდადრო ისე ბრაზობდა იტალიელზე, ვისი გულისთვისაც ამდენს წვალობდა, რომ ლექსიკონს ქაღალდებქვეშ დებდა მტკიცე გადაწყვეტილებით, აღარ ავიღებ ხელშიო, მაგრამ შემდეგ გულში გაივლებდა, გაჩუმებული ხომ ვერ ვივლი იტალიელთან ერთად ტაძარში, მუნჯივით ხომ ვერ მივაჩერდები ხელოვნების ნაწარმოებებსო და კიდევ უფრო გაცოფებული გამოაძრობდა ლექსიკონს ქაღალდებიდან.

ზუსტად ათის ნახევარზე, ის იყო წასვლა დააპირა, რომ ტელეფონმა დარეკა. ლენიმ დილა მშვიდობისა უსურვა და ჰკითხა, თავს როგორ გრძნობო. კ-მ საჩქაროდ გადაუხადა მადლობა და უთხრა, ახლა სალაპარაკოდ არ მცალია, ტაძარში მივდივარ და მეჩქარებაო.

— ტაძარში? — გაუკვირდა ლენის.

— დიახ, ტაძარში.

— კი მაგრამ, რა გინდა ტაძარში?

კ-მ სცადა მოკლედ აეხსნა საქმის ვითარება, მაგრამ დაწყებაც კი ვერ მოასწრო, რომ ლენიმ მაშინვე გააწყვეტინა სიტყვა:

— ამოგხადეს სული?

კ. ვერ იტანდა მეტიჩრულ და მოულოდნელ თანაგრძნობას, ამიტომ ლენის ორიოდე სიტყვით დაემშვიდობა, მაგრამ როცა ყურმილს ჰკიდებდა, მაინც ჩაილაპარაკა თავისთვის ან იქნებ უკვე შორს მყოფი ქალიშვილის გასაგონად, რომელსაც მისი ხმა ვეღარ მისწვდებოდა:

— დიახ, ამომხადეს სული.

ამასობაში დრო გავიდა, შესაძლებელია დაგვიანებოდა კიდეც. ქუჩაში მანქანა დაიქირავა, უკანასკნელ წუთში გაახსენდა ალბომი, რომელიც ვერ იქნა და ვერ გადასცა იტალიელს და ამიტომ ახლა თან მოჰქონდა. ალბომი მუხლებზე ედო და მთელი გზა მოუსვენრად უკაკუნებდა თითებს. წვიმამ იკლო. მაგრამ ირგვლივ ნესტი. სიცივე და სიბნელე იყო გამეფებული. ტაძარში ალბომ რაიმეს დანახვა გაჭირდებოდა და, რა თქმა უნდა, ისედაც გაცივებული ქვის ცივ ფილებზე დიდხანს დგომისაგან უარესად იგრძნობდა თავს.

ტაძრის მოედანი დაცარიელებული დახვდა. კ-ს გაახსენდა, ჯერ კიდევ ბავშვობაში შეამჩნია, რომ ვიწრო მოედნის ირგვლივ სახლებში ფანჯრებზე ფარდები მუდამ ჩამოშვებული იყო. თუმცა ასეთ ამინდში ეს უფრო ბუნებრივი ეჩვენებოდა, ვიდრე სხვა დროს. ტაძარშიც კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ალბათ არც არავის მოუვიდოდა აზრად ამ დროს აქ მოსულიყო. კ-მ შემოიარა ორივე გვერდითი ეკვდერი და თავშალმოხეული დედაბრის მეტი არავინ შეხვედრია. დედაბერი მუხლებზე იდგა ღვთისმშობლის ხატის წინ და თვალს არ აცილებდა, შორიდან კ-მ დაინახა კიდევ, როგორ გაუჩინარდა კედელში დატანებულ კარს უკან ამ ტაძრის კოჭლი მსახური, კ. ზუსტად დროზე მოვიდა, როცა ტაძარში შედიოდა, საათმა ათი დარეკა, მაგრამ იტალიელი ჯერ არსად ჩანდა. კ. მთავარ შესასვლელთან დაბრუნდა, მცირე ხანს იქ იდგა მორიდებით, შემდეგ კი, მიუხედავად წვიმისა, ტაძარს ირგვლივ შემოუარა, უნდოდა დარწმუნებულიყო იტალიელი რომელიმე გვერდით შესასვლელთან ხომ არ მელოდებაო, მაგრამ ვერც აქ დალანდა. ნუთუ დირექტორმა სწორად ვერ გაიგო, რა დრო დაუნიშნა იტალიელმა? თუმცა რას გაუგებ ასეთ ადამიანს? ასეა თუ ისე, ნახევარი საათი მაინც უნდა დაელოდოს. რადგან ძალიან დაღლილი იყო, დაჯდომა მოუნდა და ისევ ტაძარში შევიდა. კიბის ერთ საფეხურზე ხალიჩის პატარა ნაგლეჯი დაინახა, ფეხის წვერით მერხთან მიაჩოჩა. პალტო მჭიდროდ შემოიტმასნა ტანზე, საყელო აიწია და მერხზე ჩამოჯდა. გასართობად ალბომი გადაშალა, მცირე ხანს ფურცლა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა ამაზედაც ხელი აეღო, რადგან ისე ჩამობნელდა, რომ გვერდით ეკვდერშიც კი არაფერი ჩანდა.

შორს, მთავარ საკურთხეველთან დიდ სამკუთხედად ჩადგმული სანთლები ციმციმებდნენ. კ. ვერ იტყოდა დანამდვილებით, ეს სანთლები ადრევე დაინახა თუ არა. იქნებ მხოლოდ ახლა აანთეს. ეკლესიის მსახურნი ისე უხმოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობასაც, ვერც შეამჩნევდი. როცა კ-მ შემთხვევით უკან მიიხედა, სვეტზე დამაგრებული, მაღალი, მსხვილი სანთელი დაინახა. თუმცა სანთელი ლამაზი სანახავი იყო, მაგრამ საკურთხევლის მხატვრობის გასანათებლად სრულიად არ კმაროდა; სურათები მეტწილად წყვდიადში ეკიდა საკურთხევლის მარცხნივ და მარჯვნივ, სუსტი შუქი მხოლოდ ამუქებდა წყვდიადს. იტალიელი რომ არ მოვიდა, უზრდელად კი მოიქცა, მაგრამ გონივრულად; მაინც ვერაფერს დაინახავდა და სურათების დათვალიერება ნაწილ-ნაწილ მოუხდებოდა კ-ს ჯიბის ელექტროფარნის შუქზე. რომ შეემოწმებინა, რა ნაყოფს გამოიღებდა ამგვარი დათვალიერება, კ.

გვერდით ეკვდერში გავიდა, რამდენიმე საფეხურით მარმარილოს დაბალ მოაჯირამდე ავიდა და მოაჯირზე გადახრილმა ჯიბის ფარანი მიანათა საკურთხევლის კედელზე გამოსახულ სურათს. საკურთხევლის წინ მოციმციმე უქრობი კანდელი მხოლოდ ხელს უშლიდა. პირველი, რაც კ-მ ნაწილობრივ დაინახა და ნაწილობრივ გამოიცნო, სურათის კიდეზე დახატული ჯავშანში ჩამჯდარი რაინდის უზარმაზარი ფიგურა იყო. რაინდი შიშველ, მიწაში ჩარჭობილ მახვილს ეყრდნობოდა. მიწის ზედაპირზე აქა-იქ მხოლოდ ბალახის რამდენიმე ღერო ჩანდა. ეტყობოდა, რაინდი ყურადღებით აკვირდებოდა რაღაცას, რაც მის წინ ხდებოდა, უცნაური ის იყო, რომ გაქვავებული იდგა და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. დარაჯად ხომ არ დაეყენეს აქ, გაიფიქრა კ-მ. კარგა ხანია, სურათისათვის თვალი არ შეუვლია და ახლა დიდხანს ათვალიერებდა რაინდს, თუმცა ფარნის აუტანელ მწვანე შუქზე თვალებს წამდაუწუმ ახამხამებდა. როცა კ-მ ფარნით სურათის დანარჩენი ნაწილი გაანათა, დაინახა ქრისტეს კუბოში ჩასვენების ჩვეულებრივი ვარიანტი, თუმცა სურათი საკმაოდ ახალი იყო. კ-მ ფარანი ისევ ჯიბეში ჩაიდო და თავის ადგილზე დაბრუნდა.

იტალიელის ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ ქუჩაში უთუოდ კოკისპირულად წვიმდა და რადგან ტაძარში არც ისე ცივდა, როგორც კ-ს ეგონა, გადაწყვიტა წვიმის გადაღებას აქ დალოდებოდა. მის გვერდით აღმართული იყო მთავარი კათედრა, რომლის პატარა, მრგვალ თაღზე იდო ორი ოქროსკონტურებიანი ჯვარი, ჯვრები ისე იყო დახრილი, რომ თავებით ერთმანეთს ეხებოდა, მოაჯირის გარე კედელზე და საყრდენი სვეტისაკენ მიმართულ გადასასვლელზე ამოტვიფრული იყო მწვანე ფოთლები. ფოთლებისათვის ხელი ჩაეჭიდათ პატარა ანგელოზებს, ზოგს ხალისიანად, ზოგსაც მშვიდად. კ. კათედრას მიუახლოვდა და ყოველი მხრიდან დაკვირვებით შეათვალიერა. ქვა არაჩვეულებრივი ოსტატობით იყო დამუშავებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მუქი ჩრდილები დაეტყვევებინათ და ფოთლებსა და ფონში ჩაექსოვათ.

კ-მ ხელი ბნელ ღრმულში ჩაჰყო და ქვა ფრთხილად მოსინჯა, ადრე მან არც კი იცოდა, აქ თუ ასეთი კათედრა არსებობდა. უეცრად კ-მ მომდევნო მერხების რიგს მიღმა შემთხვევით თვალი მოჰკრა ეკლესიის მსახურს, რომელსაც გრძელი, ფართონაოჭებიანი ტანსაცმელი ეცვა, მარცხენა ხელში ბურნუთის კოლოფი ეჭირა და კ-ს თვალს ადევნებდა. „ნეტავ რა უნდა ამ კაცს? — გაიფიქრა კ-მ, — საეჭვო პიროვნებად ხომ არ ვეჩვენები? იქნებ ფულს ელის ჩემგან?“ მაგრამ ამ დროს მსახურმა დაინახა, რომ კ-მ შეამჩნია და მარჯვენა ხე-

ლით, რომლის ორი თითით ჯერ კიდევ ბურნუთის მწიკვი ეჭირა, კ-ს საითკენღაც გაურკვეველი მიმართულებით მიანიშნა, კ. ვერ მიხვდა, რა უნდოდა მსახურს, მცირე ხანს შეიცადა, მაგრამ მსახური ისევ ხელით საითკენღაც უთითებდა და თავსაც დაბეჯითებით უქნევდა.

— ნეტავ რა უნდა, — ჩაილაპარაკა კ-მ ჩუმად, რადგან დაძახება ვერ გაბედა. ბოლოს ჯიბიდან საფულე ამოიღო და მსახურამდე რომ მიეღწია, მახლობელ მერხებს შორის გაძვრა.

მაგრამ მსახურმა უარის ნიშნად ხელი გააქნია, მხრები აიჩეჩა და კოჭლობით გაეცალა იქაურობას. იგი სწრაფად ჩაბუქნავდა და გაიმართებოდა ხოლმე. ასე ბუქნავდა კ. ბავშვობაში, როცა გაჭენებულ ცხენზე ამხედრებულ კაცს ბაძავდა. „ბერიკაცი ეტყობა გაბავშვდა, გაიფიქრა კ-მ, ახლა ჭკუა ალბათ მხოლოდ იმისათვის ჰყოფნის, ეკლესიას ემსახუროს, რა უცნაურად ჩერდება, როცა მე ვჩერდები და როგორ მამოწმებს, მივდევ თუ არა“, კ. ღიმილით გაჰყვა უკან მსახურს გვერდით ეკვდერის გასწვრივ თითქმის მთავარ საკურთხევლამდე, ბერიკაცი კი ისევ და ისევ ანიშნებდა რაღაცას, მაგრამ კ. განზრახ არ აბრუნებდა თავს იქითკენ. ეტყობა, ამ მინიშნებას ის მიზანი ჰქონდა, რომ კ-სთვის გზა-კვალი აერია. ბოლოს კ. ჩამორჩა. არ უნდოდა მეტისმეტად დაეფრთხო ბერიკაცი. გარდა ამისა, თუ იტალიელი მოვიდოდა, კარგი იქნებოდა ეს ღირსშესანიშნაობაც ეჩვენებინა.

როცა კ. მთავარ სამლოცველოში დაბრუნდა და იპოვა ის ადგილი, სადაც ალბომი დატოვა, ერთ-ერთ სვეტთან, საკურთხევლის ზემოთ, პატრონიკეს მახლობლად დაინახა პატარა, სადა გვერდითი კათედრა, რომელიც მოთეთრო ქვისაგან იყო გამოთლილი. კათედრა ისე პატარა ჩანდა, რომ შორიდან ცარიელ თახჩას ჰგავდა, სადაც წმინდანის ქანდაკების დადგმა დავიწყებიათ. მქადაგებელი ალბათ ერთი ნაბიჯითაც ვერ მოსცილდებოდა მოაჯირს. გარდა ამისა, ქვის თაღი, რომელსაც არავითარი ორნამენტი არ ამშვენებდა, მეტისმეტად დაბლა იწყებოდა, თანდათან მაღლა მიიწევდა. იგი ისე იყო დახრილი, რომ საშუალო ტანის მამაკაცი წელში ვერაფრით ვერ გაიმართებოდა, მოაჯირზე გადმოხრილი უნდა მდგარიყო. გეგონებოდა, ეს კათედრა მქადაგებლის გასაწამებლად არის შექმნილი. კ. ვერაფრით ვერ მიხვდა, რა დანიშნულება ჰქონდა ამ კათედრას, როცა გვერდით დიდი და ოსტატურა დმოჩუქურთმებული კათედრა იდგა.

კ. ცხადია, ვერ შეამჩნევდა ამ პატარა კათედრას, ზევით ლამპა რომ არ დაემაგრებინათ, რომელსაც ჩვეულებრივ ქადაგების წინ ანთებდნენ. ნუთუ ახლა ამ ცარიელ ტაძარში ვინმე ქადაგებას დაიწყებს? კ-მ დახედა კიბეს, რომელიც სვეტს ეკვროდა და კათედრისაკენ მიდიოდა. კიბე ისე ვიწრო იყო, რომ სვეტის სამკაულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ასასვლელ-ჩამოსასვლელს. ამ დროს კ-მ გაოცებისაგან გაიღიმა, რადგან კიბის ძირში მართლაც იდგა მღვდელი და ხელი ისე დაედო მოაჯირზე, თითქოს კათედრაზე ასვლას აპირებსო. მღვდელი ერთხანს უყურებდა, შემდეგ ოდნავ დაუქნია თავი, რის პასუხადაც კ-მ ჭირჯვარი გადაიწერა და წელში მდაბლად მოიხარა, თუმცა წესით პირველი თვითონ უნდა მისალმებოდა, უეცრად მღვდელი შებრუნდა და სწრაფად ავიდა კათედრაზე. ნუთუ მართლა იწყება ქადაგება? ეტყობა, ეკლესიის მსახური მთლად გამოტვინებული არ ყოფილა, ასე მინიშნებ-მინიშნებით კ. მქადაგებელთან რომ მიიყვანა, რაც სწორედ რომ საჭირო იყო ამ ცარიელ ტაძარში. ნეტავ ის დედაბერიც აქ მოეყვანა, ღვთისმშობლის ხატთან რომ იდგა მუხლმოყრილი. კარგი, ვთქვათ და ქადაგება მართლა იწყება, რატომ არ უკრავს ორგანი? მაგრამ ორგანი დუმდა და სადღაც მაღლა დიად უკუნეთში სუსტად ბრწყინავდა.

კ-მ გაიფიქრა, ხომ არ ჯობს, რაც შეიძლება სწრაფად გავეცალო აქაურობას, ახლა თუ არ წავედი, ქადაგების დაწყების შემდეგ გვიან იქნება და მანამდე მომიწევს დარჩენა, სანამ ქადაგება არ დამთავრდებაო. მან კი ისედაც ბევრი დრო დაკარგა სამსახურის გარეთ და აღარ იყო მოვალე იტალიელს დალოდებოდა. კ-მ საათს დახედა. თერთმეტი შესრულებულიყო. ნუთუ მართლა დაიწყება ქადაგება, ნუთუ მარტო კ. გასწევს მთელი მრევლის მაგივრობას? ხომ შეიძლებოდა უცხოელი ყოფილიყო, რომელსაც მხოლოდ ტაძრის დათვალიერება სურდა. აკი სინამდვილეშიც ამისთვის მოვიდა აქ. უგუნურობა იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ ახლა, თერთმეტ საათზე, სამუშაო დღეს, ამ საშინელ ამინდში აქ ქადაგება დაიწყებოდა. ღვთისმსახური — ეს ახალგაზრდა, სახეგადატკეცილი, შავგვრემანი კაცი, უდავოდ მღვდელი იყო—ალბათ იმისთვის ავიდა კათედრაზე, რომ შეცდომით ანთებული ლამპა ჩაექრო.

მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარად წარიმართა. მღვდელმა ლამპის შუქი შეათვალიერა, პატრუქს კიდევ უფრო აუწია, შემდეგ ნელა დაიხარა მოაჯირისაკენ და ორივე ხელით ჩაეჭიდა გამოშვერილ კიდეს. ერთხანს ასე, თავმიუბრუნებლად იდგა და ტაძარს ათვალიერებდა. კ-მ კარგა დიდი მანძილით დაიხია უკან და იდაყვებით წინა მერხს დაეყრდნო. მან თვალი მოჰკრა, ზუსტად ვერც კი იტყოდა სად, მხრებში მოხრილ ეკლესიის მსახურს, რომელიც თითქოსდა მნიშვნელოვანი დავალების შესრულების შემდეგ მშვიდად მოკრუნჩხულიყო თავისთვის. ტაძარში საოცარი სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ კ. იძუ-

ლებული გახდა ეს სიჩუმე დაერღვია, რადგან სულაც არ სურდა, აქ დარჩენილიყო; თუ მღვდელს ევალებოდა განსაზღვრულ საათებში ექადაგა გარემოებისდა მიუხედავად, მაშინ კ-ს დაუხმარებლადაც შეძლებდა ამას, მით უმეტეს, რომ კ-ს აქ ყოფნა ქადაგების ზემოქმედების ძალას ვერ გაზრდიდა.

ამრიგად კ. ნელა, ფეხაკრეფით, ხელის ფათურით დაიძრა ადგილიდან, მერხებს შორის გაიარა, გავიდა ფართო შუა გასასვლელში და აქაც დაუბრკოლებლად გაიკვლია გზა. მხოლოდ ეს იყო, ქვის იატაკი ფეხის ოდნავ დაკარებაზეც ხმიანობდა, თაღებში კი სუსტად, მაგრამ განუწყვეტლივ, მრავალგზის და თანაზომიერად ისმოდა ნაბიჯების გამოძახილი. კ-მ ერთგვარი სიმარტოვე იგრძნო, როცა ცარიელ მერხებს შორის თავისთვის მიიკვლევდა გზას, — მღვდელი ალბათ თვალს არ აშორებდა, — ისიც იგრძნო, ადამიანი უძლური იყო გამკლავებოდა ამ ტაძრის სიდიადეს. ბოლოს იმ ადგილთან მივიდა, სადაც იჯდა. მერხზე დარჩენილ ალბომს სწრაფად დაავლო ხელი, ის იყო მერხებს გასცდა და გასასვლელისაკენ დაიძრა, რომ პირველად მოესმა მღვდლის ძლიერი, ნავარჯიშები ხმა. როგორ ამოავსო ამ ხმამ მთლიანად მომლოდინე ტაძარი! მაგრამ მღვდელმა მრევლს როდი უხმო, ძახილი გარკვევით გაისმა და მისგან თავის დაღწევა არაფრით არ შეიძლებოდა.— იოზეფ კ.! — დაიძახა მღვდელმა.

კ. წაბორძიკდა და იატაკს დაეჩერდა. ვიდრე ჯერ კიდევ თავისუფალი ერქვა, შეეძლო გზა განეგრძო, გასულიყო საიდანმე ერთ-ერთ პატარა, მახლობელ ჩამუქებულ ხის კარში და აქაურობას გასცლოდა: ვითომ დაძახება ვერ გაიგონა ან თუ გაიგონა, არაფრად ჩაეგდო. რომ შემობრუნებულიყო, მაშინვე თავს გასცემდა, მაშასადამე, მიხვდა მე მიხმობენ და მზადა ვარ დავემორჩილო ძახილსო. მღვდელს რომ კიდევ ერთხელ დაეძახა, კ. უეჭველად გავიდოდა ტაძრიდან, მაგრამ მიუხედავად კარგა ხნის ლოდინისა, ირგვლივ მხოლოდ სიჩუმე სუფევდა და მან ოდნავ მოაბრუნა თავი, უნდოდა დაენახა, რას აკეთებდა ამჟამად მღვდელი. იგი უწინდებურად მშვიდად იდგა კათედრაზე. მაგრამ კ-ს თავის მოძრაობა კი ნამდვილად შეამჩნია. კ. რომ ახლა მთელი ტანით არ შემობრუნებულიყო, ეს ამბავი ბავშვების დამალობანას თამაშს დაემსგავსებოდა. ამიტომ შემობრუნდა და მღვდელმაც მაშინვე თითით მოიხმო. რაკი ყველაფერს ფარდა აეხადა. კ-მ ჩქარი, გრძელი ნაბიჯებით მიირბინა კათედრასთან — ცნობისმოყვარეობაც ჰკლავდა და თანაც უნდოდა საქმე არ გაჭიანურებულიყო. კ. პირველი რიგის მერხების წინ შეჩერდა, მაგრამ მღვდელს, ეტყობა, ეს მანძილი ეშორა, ხელი წინ გაიშვირა და საჩვენებელი თითით გარკვევით ანიშნა, აქ გაჩერდიო. კ. მის

ნებას დაჰყვა, კათედრასთან ისე ახლოს მივიდა, მღვდელი რომ დაენახა, უკან თავგადაგდებული უნდა მდგარიყო.

— შენა ხარ იოზეფ კ.?—ჰკითხა მღვდელმა და ცალი ხელი მოაჯირზე უცნაურად შეათამაშა, მაღლა ასწია.

— დიახ, — თქვა კ-მ და გაიფიქრა, რა თავისუფლად წარმოთქვამდა წინათ თავის გვარს და რა მძიმე ტვირთად დააწვა ბოლო დროს, ახლა მისი გვარი იმ ადამიანებმაც იცოდნენ, ვისაც პირველად ხვდებოდა. რა ჯობდა იმას, ადრე, როცა ვინმეს გაიცნობდა, ჯერ ეტყოდა ხოლმე, ესა და ეს გახლავართო.

— შენ ბრალდებული ხარ, — უთხრა მღვდელმა მეტისმეტად ჩუმად.

— დიახ, — თქვა კ-მ, — ასე გამომიცხადეს.

— მაშ შენ ის კაცი ყოფილხარ, ვისაც ვეძებ. — უთხრა მღვდელმა, მე ციხის კაპელანი ვარ.

— აი, თურმე რა, — თქვა კ-მ.

— შენი თავი მე დავაბარებინე აქ, მინდოდა შენთან მესაუბრა, — უთხრა მღვდელმა.

— მე ეს არ ვიცოდი, — უპასუხა კ-მ, — მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ერთი იტალიელისათვის ტაძარი უნდა დამეთვალიერებინა.

— მოეშვი მაგ წვრილმანებზე ლაპარაკს, — უთხრა მღვდელმა, — რა გიჭირავს ხელში? ლოცვანი?

— არა, — უპასუხა, კ-მ, — ეს გახლავთ ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა ალბომი.

— დადე სადმე! — უბრძანა მღვდელმა და კ-მ ისე მაგრად მოისროლა ალბომი, რომ წიგნი გადაიშალა და დაჭმუჭნული ფურცლებით იატაკზე გასრიალდა. — თუ იცი, რომ შენი პროცესის საქმე ცუდადაა? — ჰკითხა მღვდელმა.

— მეც ასე მგონია, — უპასუხა კ-მ, — ბევრი რამ ვიღონე, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. თუმცა შუამდგომლობა ჯერ კიდევ არა მაქვს შედგენილი.

— როგორ წარმოგიდგენია დასასრული?—ჰკითხა მღვდელმა.

— ადრე მეგონა, ყველაფერი კარგად დამთავრდება-მეთქი, — უპასუხა კ-მ, — მაგრამ ახლა ეჭვი მეპარება. არ ვიცი, საქმე რით დამთავრდება, შენ იცი?

— არა, — უპასუხა მღვდელმა,—მაგრამ ვშიშობ, რომ ცუდად დამთავრდება. დამნაშავედ გთვლიან. შენი პროცესი შეიძლება დაბალი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არ გასცილდეს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მიაჩნიათ, რომ შენი დანაშაული დამტკიცებულია.

— კი მაგრამ, მე ხომ უდანაშაულო ვარ, — უთხრა კ-მ,—

შეცდომაა. და საერთოდ, როგორ შეიძლება ადამიანი დამნაშავე იყოს, ჩვენ კი აქ ყველა ადამიანები ვართ, რა მე და რა სხვა.

— მართალია, — უპასუხა მღვდელმა, — მაგრამ დამნაშავენი ყოველთვის ასე ლაპარაკობენ.

— შენც ჩემს წინააღმდეგ ხარ განწყობილი? — ჰკითხა კ-მ.

— არა, მე არ ვარ შენს წინააღმდეგ განწყობილი, — უპასუხა მღვდელმა.

— გმადლობთ, — უთხრა კ-მ, — აი, დანარჩენები კი, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს, ჩემს წინააღმდეგ არიან განწყობილი. ამ აზრს იმათაც უნერგავენ, ვინც პროცესში არ მონაწილეობს. ჩემი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება.

— შენ ვერ ერკვევი საქმის არსში, — უთხრა მღვდელმა, — განაჩენი ერთბაშად არ გამოაქვთ. საქმის გარჩევა თანდათან გადაიზრდება ხოლმე განაჩენში.

— აჰ, ასეა, — თქვა კ-მ და თავი დახარა.

— რის გაკეთებას აპირებ შენი საქმისათვის ახლო მომავლში? — ჰკითხა მღვდელმა.

— კვლავ განვაგრძობ იმათ ძებნას, ვინც დამეხმარება, — უპასუხა კ-მ და რომ დაენახა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა სიტყვებმა მღვდელზეო, თავი ასწია, — არის კიდევ სხვა შესაძლებლობანი, რომლებიც არ გამომიყენებია.

— შენ სულ დახმარებას ეძებ, განსაკუთრებით ქალების იმედი გაქვს, — უთხრა მღვდელმა გამკიცხავი ხმით, — ნუთუ ვერ ხვდები, რომ ამგვარი დახმარება ნამდვილი არაა.

— ზოგ რამეში, ის კი არადა, ბევრ რამეშიც გეთანხმები,— უთხრა კ-მ, — მაგრამ ყველაფერში არა. ქალები დიდ ძალას წარმოადგენენ. რომ შემეძლოს გავლენა მოვახდინო ზოგიერთ მათგანზე, ყველანი ერთად ჩემს სასარგებლოდ ვამუშაო, ჩემსას გავიტანდი. განსაკუთრებით ამ სასამართლოში, რომელიც თითქმის მთლიანად მექალთანეთაგან შედგება. დაანახე მოსამართლეს ქალი თუნდაც შორიდან და იგი მზადაა მაგიდასაც გადაახტეს და ბრალდებულსაც, ოღონდ ქალი ხელიდან არ გაუშვას.

მღვდელმა თავი მოაჯირისაკენ დახარა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა. თითქოს კათედრის თაღის სიმძიმე მხოლოდ ეს წუთია იგრძნოო. რა ცუდი ამინდია ალბათ გარეთ. ახლა იქ მოქუფრული დღე კი არა, უკუნეთი ღამე იდგა. დიდი ფანჯრების ვიტრაჟები ერთი ბეწოთითაც კი ვერ ანათებდნენ ბნელ კედელს. სწორედ ამ დროს ეკლესიის მსახურმა ზედიზედ ჩააქრო სანთლები მთავარ საკურთხეველზე.

— მიწყრები? — ჰკითხა კ-მ მღვდელს, — ეტყობა, არ ვიცი, როგორ სასამართლოს ემსახურები.

მღვდელს პასუხი არ გაუცია.

— რაც გითხარი, ჩემი გამოცდილების ნაყოფია, — განაგრძო კ-მ.

მღვდელი ხმას არ იღებდა.

— შენი განაწყენება არ მინდოდა, — დასძინა მან.

უეცრად მღვდელმა ზემოდან უყვირა: — ნუთუ ორ ნაბიჯზეც ვერაფერს ხედავ?

ყვირილი გაისმა მრისხანედ. მაგრამ ეს იყო იმ ადამიანის მრისხანება, ვინც ხედავს, როგორ ეცემა მეორე ადამიანი და რადგან თვითონაც შეშინებულია, უნებურად ყვირის.

ორივენი დიდხანს დუმდნენ. რა თქმა უნდა, მღვდელს არ შეეძლო ჩამოწოლილ სიბნელეში დაენახა ქვემოთ გაჩერებული კ., სამაგიეროდ კ. გარკვევით ხედავდა მღვდელს პატარა ლამპის შუქზე. რატომ არ ჩამოდის ძირს? სულ ერთია, ქადაგება მაინც არ წაუკითხავს, მხოლოდ ზოგი რამ შეატყობინა, რაც კ-ს, თუ კაცი კარგად ჩაუკვირდებოდა, უფრო ავნებს, ვიდრე დაეხმარება. კ-ს ეჭვი არ ეპარებოდა მღვდლის კეთილ განზრახვაში, იმასაც კი ფიქრობდა, მალე დაბლა ჩამოვა და ყველაფერში შევთანხმდეთო. იქნებ მღვდელმა ისეთი მნიშვნელოვანი რჩევა მომცეს, რასაც გამოვიყენებ, მაგალითად, მასწავლის არა იმას, რა გზით მოვახდინო ზემოქმედება პროცესზე, არამედ საერთოდ როგორ ავუარო გვერდი პროცესს, როგორ დავუძვრე ხელიდან, როგორ ვიცხოვრო მის გარეშე, ხომ უნდა არსებობდეს ამგვარი გზაც, ბოლო დროს კ. ხშირად ფიქრობდა ამაზე. თუ მღვდელმა იცის, ვთხოვ და იქნებ გამიმხილოს, რა გზას დავადგეო. მერე რა რომ სასამართლოს მოხელეა და როცა კ-მ სასამართლო გათათხა, თავაზიანობა დაივიწყა და უყვირა კიდეც.

— ძირს ხომ არ ჩამოხვალ? — ჰკითხა კ-მ, — ქადაგების წაკითხვა მაინც არ მოგიწევს. ჩამოდი დაბლა.

— ახლა მართლაც შემიძლია ჩამოვიდე,—უთხრა მღვდელმა. ალბათ სინდისი ქენჯნიდა, რომ უყვირა. მღვდელმა კაუჭიდან ლამპა ჩამოხსნა და დასძინა: — პირველად შორიდან უნდა მელაპარაკა შენთან, რადგან ადვილად ვექცევი სხვისი გავლენის ქვეშ და ჩემი მოვალეობა მავიწყდება.

კ. ქვემოთ, კიბესთან ელოდა. ჩამოსვლისას მღვდელმა ჯერ კიდევ ზედა საფეხურიდან გამოუწოდა ხელი.

— ცოტა დროს ხომ ვერ დამითმობთ? — ჰკითხა კ-მ.

— იმდენს, რამდენიც დაგჭირდება, — უთხრა მღვდელმა და პატარა ლამპა ხელში მიაჩეჩა, წამოიღეო. მღვდელს ახლოდანაც რაღაც საზეიმო ელფერი დაჰკრავდა.

— დიდ გულითადობას იჩენ ჩემ მიმართ, — უთხრა კ-მ, როცა მათ გვერდიგვერდ დაიწყეს წინ და უკან სიარული ბნელ ეკვდერში,— შენ გამონაკლისი ხარ სასამართლოს მოხელეთა შორის, იმათზე მეტ ნდობასაც იმსახურებ, ვისაც კი ვიცნობ. შენთან შემიძლია გულახდილად საუბარი.

— სცდები — უთხრა მღვდელმა.

— მაინც რაში ვცდები? — ჰკითხა კ-მ.

— სასამართლოს შეფასებაში, — უპასუხა მღვდელმა,— კანონთა კრებულის წინასიტყვაობაში ამ შეცდომის შესახებ, აი, რა არის ნათქვამი: კანონის კარის წინ დარაჯი დგას. მოდის ერთი სოფლელი კაცი და სთხოვს, კანონთან შემიშვიო. მაგრამ მეკარე ეუბნება, ჯერ შესვლის უფლებას ვერ მოგცემო. სოფლელი ერთხანს დაფიქრდება, შემდეგ შეეკითხება, მერე თუ მექნება შესვლის უფლებაო. შესაძლოა, უპასუხებს მეკარე, მაგრამ ახლა შესვლა არ შეიძლებაო. რადგან კანონის კარი, როგორც ყოველთვის, ღია იყო, ხოლო მეკარე განზე გადგა, სოფლელი დაიხარა და ცდილობდა კანონის საუფლოში შეეხედა. ამის დამნახავმა მეკარემ გაიცინა და სოფლელს უთხრა: თუ ასე გაინტერესებს ჩემს აკრძალვას ყურადღებას ნუ მიაქცევ და შიგ შესვლა სცადე, მაგრამ დაიმახსოვრე: დიდია ძალა ჩემი, თუმცა ყველაზე დაბალი რანგის დარაჯად ვითვლები, იქაც დარბაზიდან დარბაზამდე ერთიმეორეზე ძლიერი დარაჯნი დგანან. მესამე დარაჯის დანახვას შეც კი ვერ ვუძლებო. სოფლელი ამგვარ დაბრკოლებას არ მოელოდა, კანონი ხომ ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მუდამო, გაიფიქრა მან და დაკვირვებით შეათვალიერა ბეწვის ქურქში გახვეული მეკარე, შეხედა მის დიდ, წაწვეტებულ ცხვირს, გრძელ, შავ და თხელ თათრულ წვეროს და გადაწყვიტა მანამდე დაეცადა აქ, სანამ კანონთან შესვლის უფლებას არ მისცემდა. მეკარემ ჯორკო გაუწოდა და ნება დართო კარის შორიახლო დამჯდარიყო. და ზის იგი იქ დილიდან საღამომდე, წლიდან წლამდე. თხოვს და თხოვს მეკარეს, შემიშვიო კანონთან, თავს აბეზრებს, მაგრამ ამაოდ. დარაჯმა მრავალჯერ დაკითხვა მოუწყო, ჰკითხა მშობლიური კუთხის ამბები, ამ მთისა და იმ ბარისა, მაგრამ ეკითხებოდა გულგრილად, როგორც ეს დიდ კაცებს სჩვევიათ და მუდამ ერთსა და იმავეს უმეორებდა, ჯერ ვერ შეგიშვებო. სოფლელი, რომელმაც საგზლად ბევრი რამ წამოიღო, არაფერს იშურებდა, ოღონდ დარაჯი მოექრთამა, მეკარე კი ყველაფერს ართმევდა და ეუბნებოდა: ამას მხოლოდ იმიტომ გართმევ, არ იფიქრო, რამე ხომ არ გამომრჩაო. გავიდა წლები, სოფლელს კი მთელი გულისყური მხოლოდ ამ დარაჯისკენ ჰქონდა მიპყრობილი, სულ დავიწყდა, რომ სხვა დარაჯებიც დგანან კანონის მისადგომებთან და ეს მცველი მიაჩნდა ერთადერთ დაბრკოლებად. პირველ ხანებში სოფლელი ქაქანებდა და თავგზას იწყვეტდა, მერე სიბერე მოეძალა და თავისთვისღა ბუზღუნებდა რაღაცას. ბოლოს გაბავშვდა და რადგან დიდი ხანია დარაჯს აკვირდებოდა და მისი ბეწვის ქურქის საყელოში ყოველ რწყვილიც კი იცოდა, ახლა ამ რწყვილებსაც ეხვეწებოდა, დამეხმარეთ დარაჯის გულის მოგებაშიო. ამასობაში თვალის ჩინი დააკლდა და ვეღარ არჩევდა, ირგვლივ მართლა სიბნელემ დაისადგურა თუ თვალი ატყუებდა. სწორედ ამ დროს შეამჩნია, რომ კანონის საუფლოდან ჩაუქრობელი ნათელი გამოკრთოდა. მისი სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა. სიკვდილის წინ ყველაფერი, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე განიცადა, მის გონებაში ერთ შეკითხვად შეიკრა, ამგვარი შეკითხვით მას ჯერ მეკარისათვის არ მიუმართავს. სოფლელი თავის გაშეშებულ სხეულს ვეღარ ერეოდა და წამოდგომის თავი აღარ ჰქონდა. მეკარე ხელით მოიხმო. მეკარე იძულებული გახდა მეტისმეტად დაბლა დახრილიყო, რადგან სოფლელი საოცრად დაილია. „კიდევ რისი გაგება გსურს? — შეეკითხა დარაჯი სოფლელს, — შე უძღებო ადამიანო!“ „ყველა ხომ კანონს ეძებს — თქვა მომაკვდავმა, — როგორ მოხდა, რომ ამდენი წლის მანძილზე ჩემს მეტს არავის მოუთხოვია ამ კარში შეშვება?“ დარაჯი ხედავდა, რომ სოფლელი სულს ღაფავდა და სმენადახშულს რომ გაეგონა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ყურში ჩასძახა: „აქ შემოსვლის უფლება არავის არ ჰქონდა, ეს კარი მხოლოდ შენთვის იყო განკუთვნილი, ახლა კი წავალ და დავკეტავ“.

— გამოიღეს, მეკარემ სოფლელი მოატყუა, — თქვა კ-მ სულმოუთქმელად, რადგან ამ ოგავმა დიდად გაიტაცა.

— ნუ ჩქარობ, — უთხრა მღვდელმა, — და სხვის თვალსაზრისს შეუმოწმებლად ნუ გაიზიარებ. ოგავი ზუსტად ისე გიამბე, როგორც წინასიტყვაობაში წერია. მოტყუებაზე იქ არაფერია ნათქვამი.

— კი მაგრამ, ეს ხომ ცხადზე ცხადია, — უპასუხა კ-მ,— და შენი პირველი განმარტება სავსებით სწორი იყო. მეკარემ მხოლოდ მაშინ გაუმხილა სოფლელს რა ახსნიდა, როცა ვეღარაფერი უშველიდა.

— მართალია, მაგრამ ადრე მისთვის ეს არ უკითხავთ, — უთხრა მღვდელმა, — ნურც იმას დაიჯერებ. რომ იგი მხოლოდ მეკარე იყო და თავისი ვალი პირნათლად მოიხადა.

— რატომ გგონია, რომ თავისი ვალი მოიხადა? — ჰკითხა კ-მ, — ჩემის აზრით მას თავისი ვალი პირნათლად არ მო-

უხდია, მისი მოვალეობა შესაძლოა ის იყო, რომ არც ერთი გარეშე პირი არ შეეშვა კარში, მაგრამ ის სოფლელი კაცი კი, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს კარი, უნდა შეეშვა.

— შენ საკმარის პატივს არ სცემ კანონთა კრებულს, — უთხრა მღვდელმა, — და ამიტომ გადაასხვაფერე ეს იგავი. იგავში კი დარაჯი ორჯერ ახსენებს კანონის საუფლოში შესვლის პირობას: ერთს თავში, მეორეს ბოლოში. პირველ შემთხვევაში იგი სოფლელს ეუბნება, ახლა ვერ მოგცემ შესვლის უფლებასო, ხოლო მომაკვდავს უთხრა, ეს შესასვლელი მხოლოდ შენთვის იყო განკუთვნილიო. ამ ორ განცხადებას შორის რომ რაიმე წინააღმდეგობა იყოს, მაშინ შენ მართალი იქნებოდი, და ვიტყოდით, მეკარემ მართლაც მოატყუა სოფლელიო, მაგრამ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. პირიქით, პირველი მეორეს არ გამორიცხავს, იმის თქმაც კი შეიძლება, რომ მეკარე მხოლოდ მაშინ ღალატობს თავის მოვალეობას, როცა სოფლელს იმედს აძლევს, მომავალში შეგიშვებენ კანონთანო. იმჟამად მისი ერთადერთი მოვალეობა იყო, სოფლელი არ შეეშვა კარებში და კანონთა კრებულის წინასიტყვაობის ბევრ განმმარტებელს მართლაც აკვირვებს, მეკარეს რომ საერთოდ ამგვარი რამ დასცდა, რადგან უყვარს სიზუსტე და დაკისრებულ მოვალეობას მკაცრად ასრულებს. მას ხომ მრავალი წლის მანძილზე არ მიუტოვებია საგუშაგო და კარი მხოლოდ სულ ბოლოს დაკეტა; მეკარეს ღრმად აქვს შეგნებული თავისი სამსახურის მნიშვნელობა და პირდაპირ აცხადებს: დიდია ძალა ჩემიო; იგი უფროსების წინაშე მოწიწებას იჩენს და ამბობს: ყველაზე დაბალი რანგის დარაჯად ვითვლებიო; იგი არც ყბედია, რადგან მრავალი წლის მანძილზე როგორც იგავშია ნათქვამი, სოფლელს მხოლოდ ცალი ყბით ეკითხებოდა ხან რას ხან რას. ამავე დროს მოუსყიდველიცაა, როცა საჩუქარს იღებდა, პირდაპირ ეუბნებოდა: ამას მხოლოდ იმიტომ გართმევ, არ იფიქრო, მხედველობიდან რამე ხომ არ გამომრჩაო, ხოლო როცა მოვალეობის აღსრულებაზე მიდგება საქმე, მას ვერც გულს მოულბობს ვინმე და ვერც გააშმაგებს: იგავში პირდაპირაა ნათქვამი, თხოვნით მეკარეს თავი მოაბეზრაო, და ბოლოს მის პედანტურ ხასიათზე მისი გარეგნობაც მეტყველებს: დიდი, წაწვეტებული ცხვირი, გრძელი, შავი და თხელი თათრული წვერი. განა შეიძლება არსებობდეს დარაჯი, მოვალეობის გრძნობა უფრო ღრმად რომ ჰქონდეს გამჯდარი ძვალ-რბილში? მაგრამ მეკარეს სხვა არსებითი თვისებებიც გააჩნია, რაც მეტისმეტად ხელსაყრელია იმისთვის, ვინც კანონთან შეშვებას თხოულობს და გასაგებს ხდის, თუ რატომ გადაუხვია თავის

მოვალეობას მეკარემ ოდნავ, როცა სოფლელს მომავალში კანონთან შეშვების იმედი მისცა. რა დასამალია, იგი ცოტათი გონებაშეზღუდულია და ამიტომ ცოტათი მედიდურიც. თუ მისი სიტყვები საკუთარი და სხვა დარაჯების სიძლიერეზე, რომელთა დანახვას თვითონაც კი ვერ უძლებს, თუ მისი სიტყვები-მეთქი სიმართლეს, შეესაბამება, მაინც ისეთნაირად გამოთქვამს თავის აზრს, ცხადად ჩანს, რომ მის აღქმას სიჩლუნგისა და მედიდურობის დაღი აზის. ამის თაობაზე განმმარტებლები ამბობენ: საკითხის სწორი გაგება და ამავე საკითხის მცდარი გაგება ერთმანეთს მთლიანად არასოდეს არ გამორიცხავენო. თუმცა უნდა ვაღიაროთ, სულ მცირე გონებაშეზღუდულობა და მედიდურობაც კი დარაჯს ნაკლად ეთვლება და ხელს უშლის შესასვლელი მტკიცედ დაიცვას. გარდა ამისა, უნდა ითქვას, მეკარე ბუნებით უგულო კაცი არაა, რადგან ყოველთვის ისე არ იქცევა, როგორც ოფიციალური პირი. პირველ წუთებში თავს ირთობს და სოფლელს ეპატიჟება, შედიო, თუმცა ეს მკაცრად აკრძალულია და განკარგულების დარღვევას არ აპირებს, ხოლო ამის შემდეგ კი არ ისტუმრებს, არამედ ჯორკოს აწვდის და კართან შორიახლო დაჯდომის უფლებას აძლევს. ახლა მის მოთმინებას არ იკითხავ, წლების მანძილზე უძლებს სოფლელის მუდარას, ხანდახან თვითონ ეკითხება რაღაცას, იღებს მისგან საჩუქრებს და რა კეთილშობილურად ითმენს სოფლელის წყევლას და ჩივილს საკუთარ უიღბლობაზე, რაღა სწორედ ეს დარაჯი დააყენეს აქ კარის მცველადო — ეს ყველაფერი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეკარე სოფლელს თანაუგრძნობდა. მის ადგილას ყველა ასე არ მოიქცეოდა. და ბოლოს, მომაკვდავმა სოფლელმა ხელით რომ მოიხმო, მეტისმეტად დაბლა დაიხარა მისკენ, რათა უკანასკნელი შეკითხვა გაეგონა. ცოტაოდენ მოუთმენლობას — მეკარემ ხომ იცის, რომ ყველაფერი გათავებულია — მაშინ ამჟღავნებს, როცა სოფლელს მიმართავს, შე უძღებო ადამიანო. ზოგიერთებს ამ წამოძახილის განმარტებისას მეტისმეტი მოსდით და მიაჩნიათ, რომ სიტყვებში „შე უძღებო ადამიანო“ თავისებური მეგობრული აღტაცებაც კია გამოხატული, რასაც თან ახლავს ერთგვარი შემწყნარებლური დამოკიდებულება. ყოველ შემთხვევაში, მეკარის სახე სულ სხვაგვარად იკვეთება, ვიდრე შენ წარმოგიდგენია.

— შენ ეს იგავი უფრო დიდი ხანია იცი და უკეთესადაც იცი, ვიდრე მე, — უთხრა კ-მ. ისინი მცირე ხანს მდუმარედ დადიოდნენ. — მაშ შენ გგონია, რომ სოფლელი არ მოუტყუებიათ? — ჰკითხა კ-მ.

— უკუღმა ნუ გესმის ჩემი სიტყვები,—უთხრა მღვდელ-

მა, — მე მხოლოდ გაგაცანი ყველა ის თვალსაზრისი, რაც ამ საკითხზე არსებობს, მაგრამ სხვების აზრებს დიდი ყურადღება არ უნდა მიაქციო. კანონთა კრებულის წინასიტყვაობა უცვლელია, ამის გამო ხშირად სასოწარკვეთილებას ეძლევიან და თვალსაზრისთა სხვადასხვაგვარობაც მხოლოდ ამის შედეგია. არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც მეკარე რჩება მოტყუებული.

— ამის მთქმელს მეტისმეტი მოსვლია,—უთხრა კ-მ, — კი მაგრამ, როგორ ასაბუთებს ამას?

— დასაბუთებას საფუძვლად უდევს მეკარის გონებრივი შეზღუდულობა. იგავში ნათქვამია, რომ მეკარემ არ იცის, **რა ხდება კანონის საუფლოში**, მისთვის მხოლოდ ის ბილიკია ცნობილი, კარის წინ რომ ტკეპნის დღე და ღამე. მისი წარმოდგენა კანონის საუფლოზე ბავშვურად მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ თვითონ დარაჯს ეშინია იმისა, რითაც სოფლელს აშინებს. უფრო მეტიც, მისი შიში ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე სოფლელისა, რადგან სოფლელს მას შემდეგაც სურს შევიდეს კარში, როცა გაიგებს, რა საშინელნიც არიან იქაური დარაჯები, მეკარეს კი არავითარი სურვილი არა აქვს შესვლისა, ყოველ შემთხვევაში ამაზე არაფერია ნათქვამი იგავში. თუმცა ზოგიერთები ამბობენ, რაკი ის კანონის სამსახურში ჩააყენეს, ოდესღაც ნამყოფი უნდა იყოს კანონის საუფლოში, აბა სხვაგვარად როგორ დანიშნავდნენო. მაგრამ ამაზე სხვები პასუხობენ, ალბათ მეკარედ დანიშნა ვიღაცის ხმამ, რომელიც კანონის საუფლოს წიაღიდან მოისმაო, და გარდა ამისა, ეს დარაჯი კანონის საუფლოში ღრმად არასოდეს შესულა, **რადგან მესამე დარაჯის დანახვასაც კი ვერ გაუძლოო.** იგავი არაფერს გვამცნობს იმაზეც, რომ მეკარეს მრავალი წლის მანძილზე დარაჯების ხსენების გარდა რაიმე დასცდენოდეს კანონის საუფლოზე. შეიძლება აკრძალული ჰქონდა, მაგრამ არც ამ აკრძალვაზე უთქვამს რამე. აქედან კი ასკვნიან, რომ მან არ იცის, რა ხდება კანონის საუფლოში; არც ის, რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას და ამიტომ ცდება ხოლმე, იმასაც ვარაუდობენ მეკარე სოფლელთან ურთიერთობაშიც ვერ გაერკვა, რადგან თვითონაც არ იცოდა, ისე ემორჩილებოდა მას. მეკარე რომ სოფლელს ისე ეჭცევა, როგორც ხელქვეითს, ამაზე ბევრი რამ მიგვითითებს და შენ ალბათ ჯერ კიდევ გახსოვს, მაგრამ ამ თვალსაზრისიდან ასევე ნათლად გამომდინარეობს ის ფაქტიც, რომ თვითონ ეჭვემდებარება სოფლელს. უპირველეს ყოვლისა თავისუფალი ადამიანი ხელფეხშეკრულზე მაღლა დგას. სოფლელი უდავოდ თავისუფალი ადამიანია და შეუძლია სადაც უნდა წავიდეს, მას მხოლოდ კანონთან შესვლა აქვს აკრძალული და

იმასაც ერთადერთი კაცი, მეკარე უკრძალავს. სოფლელი კარის შორიახლო ჯორკოზე ჯდება და მთელ სიცოცხლეს იქ ატარებს, ეს ხდება ნებაყოფლობით, იგავში არაფერია ნათქვამი იძულებაზე. მეკარე კი პირიქით თავის თანამდებობის გამო მიჯაჭვულია საგუშაგოს და უფლება არა აქვს გაეცალოს იქაურობას, მაგრამ როგორც დავინახეთ, არც კანონის საუფლოს წიაღში შესვლის უფლება აქვს. თუნდაც ძალიან ნდომოდა იქ შესვლა, გარდა ამისა, მართალია, იგი კანონის მსახურია. მაგრამ მხოლოდ ამ შესასვლელს ემსახურება, ესე იგი, იმ სოფლელს, ვისთვისაც შესასვლელია განკუთვნილი. ეს ფაქტიც იმას ადასტურებს, რომ მეკარე სოფლელს ემსახურება. ახლა ესეც გავითვალისწინოთ, მეკარე მრავალი წელი, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ტყუილად მსახურობდა, რადგან იგავში ნათქვამია, **რომ მასთან მოვიდა სოფლელი კაცი**, მაშასადამე, დავაკაცებული მამაკაცი, მეკარე კი იძულებული იყო დიდხანს ეცადა, სანამ თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდა, ეცადა იმდენ ხანს, რამდენიც სოფლელს მოესურვებოდა, იგი ხომ თავის ნებით მოვიდა, მაგრამ მეკარის სამსახურის დასასრულსაც სოფლელის სიცოცხლის დასასრული განაპირობებს, ამრიგად იგი ბოლომდე ემსახურება მას. ამავე დროს, იგავში არაერთხელაა ხაზგასმული, რომ მეკარის ამ მორჩილებაზე წარმოდგენა არა აქვს. მაგრამ ამ ამბავში განმმარტებლები განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავენ, რადგან ამ თვალსაზრისით მეკარე კიდევ უფრო მწარედ ცდება, როცა საქმე მის სამსახურს ეხება. სახელდობრ, ბოლოში იგი ამბობს, ახლა კი წავალ და დავკეტავ კარსო. მაგრამ იგავის დასაწყისში ნათქვამია, **რომ** კანონის კარი, **როგორც** ყოველთვის, ღია იყო, ხოლო თუ მუდამ ღიაა, მიუხედავად იმ სოფლელი კაცის სიცოცხლის ხანგრძლივობისა, ვისთვისაც იგი განკუთვნილია, მაშინ მეკარე ვერ დაკეტავს მას. აქ აზრი იყოფა: რისი თქმა უნდა მეკარის, როცა აცხადებს, კარი უნდა დავკეტოო, მხოლოდ პასუხი გასცეს მომაკვდავს, სამსახურებრივი მოვალეობით თავი მოიწონოს თუ სიკვდილის ჟამს სოფლელს სინანულის გრძნობა აღუძრას და დაამწუხროს. მაგრამ ერთ აზრს ყველა იზიარებს, კერძოდ იმას, რომ მეკარის კარის დაკეტვა არ შეუძლია. ზოგი იმასაც კი თვლიან, სიკვდილის ჟამს სოფლელმა ჭეშმარიტების ძიების თვალსაზრისითაც დაჩაგრა მეკარე, რადგან კანონთა წიაღიდან გამომკრთალი ჩაუქრობელი ნათელი იხილა. ხოლო მეკარე, რომელიც ალბათ ზურგით იდგა კარისაკენ, არაფრით არ ამჟღავნებს, რომ რაიმე ცვლილება შეამჩნიოს.

— ყველაფერი ეს კარგადაა დასაბუთებული, — უთხრა

კ-მ და ამავე დროს თავისთვის ჩუმად იმეორებდა ცალკეულ ადგილებს მღვდლის ახსნა-განმარტებებიდან,—მართლაც კარგადაა დასაბუთებული და ახლა მეც მჯერა, რომ მოტყუებულია მეკარე, მაგრამ ჩემი მტკიცება მაინც ძალაში რჩება, რადგან ნაწილობრივ ორივე აზრი ერთმანეთს ემთხვევა. არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მეკარეს ნათლად ესმის ყველაფერი ეს თუ ტყუვდება. მე გითხარი, სოფლელია მოტყუებული-მეთქი. თუ მეკარეს ნათლად ესმის ყველაფერი, მაშინ ეს საეჭვო იქნებოდა, მაგრამ თუ მეკარე მოტყუებულია, ეს მოტყუება აუცილებლად ვრცელდება სოფლელზეც. ამ შემთხვევაში მეკარე მატყუარა არ არის, მაგრამ იმდენად გონებაჩლუნგია, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაეთხოვათ სამსახურიდან. ისიც გაითვალისწინე, ტყუილი, რომლის ხლართებშიც მეკარეა გაბმული, პირადად მას არაფერს ვნებს, სოფლელს კი დიდად.

— ამ საკითხშიც სრულიად საწინააღმდეგო აზრს წააწყდები, — უთხრა მღვდელმა. — ბევრი განმმარტებლის აზრით, იგავი არავის არ აძლევს მეკარის განსჯის უფლებას. როგორიც არ უნდა მოგეჩვენოს, მაინც კანონის მსახურია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონთანაა დაკავშირებული და ადამიანებს მისი განსჯის უფლება არა აქვთ. ამ შემთხვევაში ვეოარც იმას ვიტყვით, რომ მეკარე სოფლელს ემორჩილება. იგი კანონთან თუნდაც იმითაა დაკავშირებული, რომ მცველად დგას კართან და ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამქვეყნაო თავისუფლად ცხოვრება. სოფლელი მხოლოდ მოდის კანონთან, ხოლო მეკარე უკვე იქ დგას, კანონმა იგი მსახურად გაიხადა და ამიტომ მეკარის ღირსებებში ეჭვის შეტანა თვით კანონში დაეჭვებას ნიშნავს.

— აი, ამ აზრს კი ვერ დავეთანხმები, — უთხრა კ-მ და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია, — რადგან თუ ამას აღიარებ, მაშინ ყველაფერი, რასაც მეკარე ამბობს, სიმართლედ უნდა მიიჩნიო.. შენ კი აგერ ახლა საფუძვლიანად დაასაბუთე, რომ ეს შეუძლებელია.

— არა, — უპასუხა მღვდელმა, — სავალდებულო არაა ყველაფერი სიმართლედ მიიჩნიო, მაგრამ ამის აუცილებლობა უნდა შეიგნო.

— სავალალო თვალსაზრისია, — უთხრა კ-მ. — მაშინ ხომ მსოფლიო წესრიგს სიცრუე დაედება საფუძვლად.

კ-მ ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს ამით ყველაფერს აჯამებდა, მაგრამ საბოლოო დასკვნა მაინც ვერ გამოეტანა. ბოლომდე რომ განეჭვრიტა, რა აზრი გამომდინარეობდა ამ იგავიდან, მეტისმეტად დაღლილი იყო; გარდა ამისა, აზრთა ამგვარი დინება ეჩოთირებოდა, რაღაც არარეალურს

შეიცავდა და ამ საკითხებზე სასამართლოს მოხელეთა წრეში უკეთ იმსჯელებდნენ, ვიდრე თვითონ. უბრალო იგავმა სახე დაკარგა, კ-ს უნდოდა აღმოეფხვრა იგი მეხსიერებიდან და მღვდელმა, რომელმაც დიდი გულისხმიერება და მოთმინება გამოიჩინა, უკანასკნელ შენიშვნაზე არაფერი უპასუხა, თუმცა გუნებაში ალბათ არ ეთანხმებოდა მის აზრს.

ერთხანს მდუმარედ დადიოდნენ. კ. ცდილობდა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო მღვდელთან, რადგან არ იცოდა, სად იმყოფებოდა. ლამპა დიდი ხანია ჩაუქრა ხელში. უეცრად ზუსტად მის პირდაპირ რომელიღაც წმინდანის ვერცხლის ქანდაკებაზე ვერცხლისავე ანარეკლი აციაგდა და მაშინვე სიბნელეში დაინთქა. კ-ს არ უნდოდა მთლიანად მღვდელზე ყოფილიყო დამოკიდებული და ამიტომ ჰკითხა:

— ჩვენ მგონი კარიბჭის მახლობლად ვართ?

— არა, — უპასუხა მღვდელმა, — ჩვენ ძალზე შორსა ვართ კარიბჭიდან, შენ რა, წასვლას აპირებ?

ერთი წუთის წინ კ-ს წასვლა აზრად არ მოსვლია, მაგრამ ახლა აჩქარებით უპასუხა:

— დიახ, წასვლას ვაპირებ. ბანკში პროკურისტად ვმუშაობ, იქ კლიენტები მელოდებიან. აქ იმისათვის მოვედი, რომ ერთი უცხოელი კომპანიონისათვის ტაძარი დამეთვალიერებინა.

— რა გაეწყობა, — უთხრა მღვდელმა და კ-ს ხელი გაუწოდა, — თუ ასეა, წაბრძანდი!

— ამ სიბნელეში მარტო გზას ვერ გავიკვლევ!

— გაჰყევი მარცხენა კედელს, — ურჩია მღვდელმა, — ნუ მოსცილდები, პირდაპირ იარე და გასასვლელთან გახვალ.

მღვდელმა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრო, კ-მ ძალიან ხმამაღლა დაუყვირა:

— გთხოვ მოიცადო!

— ვიცდი, — უპასუხა მღვდელმა.

— ჩემგან მეტი არაფერი გინდა? — ჰკითხა კ-მ.

— არაფერი, — უპასუხა მღვდელმა.

— შენ მე კეთილად მომექეცი.—უთხრა კ-მ,—ყველაფერი ამიხსენი. ახლა კი ისე მიშორებ, თითქოს სრულიად არ გაინტერესებს ჩემი ბედი.

— აკი წასვლა გინდოდა. — უპასუხა მღვდელმა.

— მართალი ხარ. —უთხრა კ-მ. — შენ ეს უნდა გაიგო.

— ჯერ შენ უნდა გაიგო, ვინ ვარ მე, — თქვა მღვდელმა.

— შენ ციხის კაპელანი ხარ,—უპასუხა კ-მ და კვლავ მიუახლოვდა მღვდელს, ისე დასცდა, თორემ სულაც არ ეჩქარებოდა ბანკში დაბრუნება. შეეძლო კიდევ რამდენიმე ხანს [illegible]ენილიყო აქ.

— მაშასადამე, სასამართლოს ვემსახურები, — უთხრა მღვდელმა. — რა უნდა მინდოდეს შენგან, სასამართლოს შენგან არაფერი არ უნდა. როცა მოდიხარ, სასამართლო გღებულობს, როცა მიდიხარ, გიშვებს.

თავი მეათე

დასასრული.

დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე, როცა ქუჩაში სიჩუმე სუფევდა, — მეორე დღეს კ-ს ოცდათერთმეტი წელი უსრულდებოდა — კ-ს ბინაში ორი მამაკაცი შევიდა, კაცებს სერთუკები ეცვათ. გაფითრებულნი და ჩასუქებულნი იყვნენ, ცილინდრები ისე ეხურათ თავზე, თითქოს დაწებებული ჰქონდათ. ბინის შესასვლელ კართან მცირე ხნით შეყოვნდნენ, ერთმანეთს გზას უთმობდნენ, იგივე განმეორდა კ-ს ოთახის კართანაც, ოღონდ თავპატიჟს უფრო დიდხანს იდებდნენ. თუმცა კ. არავის გაუფრთხილებია, სტუმრად გეწვევითო. იგი მაინც შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ისე იჯდა სავარძელში კარის მახლობლად, თითქოს სტუმრებს ელოდა და ნელ-ნელა ირგებდა თითებზე ახალ ვიწრო ხელთათმანებს. კ. მაშინვე წამოდგა სავარძლიდან და მამაკაცებს ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა სახეში:

— მაშ თქვენ ჩაგბარეს ჩემი თავი? — ჰკითხა კ-მ მათ.

კაცებმა თავი დაუქნიეს და ცილინდრიანი ხელი ერთმანეთისაკენ გაიშვირეს. კ. თავს გამოუტყდა, სულ სხვა ხალხს ველოდიო. იგი ფანჯარასთან მივიდა და კიდევ ერთხელ გახედა ბნელ ქუჩას. მოპირდაპირე მხარეს თითქმის ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო. ზოგიერთებს ფარდებიც კი ჩამოეშვათ, ზედა სართულის ერთ-ერთ განათებულ ფანჯარასთან, გისოსებს უკან პატარა ბავშვები თამაშობდნენ, მათ ჯერ კიდევ არ შესწევდათ ძალა დამოუკიდებლად გაევლოთ და პაწია ხელებს ერთმანეთს უთათუნებდნენ.

„მობერებულნ, ყავლგასული მსახიობები გამოუგზავნიათ, — ჩაილაპარაკა კ-მ და კიდევ ერთხელ რომ დარწმუნებულიყო თავის მოსაზრებაში, უკან მოიხედა. — რა იაფფასიანი ხერხით ცდილობენ მომიღონ ბოლო“. უეცრად კ. მთელი ტანით შემობრუნდა და მამაკაცებს ჰკითხა:

— რომელ თეატრში თამაშობთ?

— თეატრში? — მიმართა ერთმა მამაკაცმა მეორეს, ისე თითქოს რჩევას ეკითხებაო და ტუჩის კუთხეები შეუტოკდა. მეორე იმ მუნჯივით დაიმანჭა, რომელიც ყოველნაირად ცდილობს დასძლიოს საკუთარი უძლურობა. „ეტყობა, ასეთ

კითხვებზე პასუხის გასაცემად მომზადებული არ არიან“. — ჩაილაპარაკა კ-მ ისევ და ქუდის ასაღებად გაიდა.

მამაკაცებს ჯერ კიდევ კიბეზე უნდოდათ მისთვის მკლავში მკლავი გაეყარათ, მაგრამ კ-მ თქვა:

— აქ არა, მხოლოდ ქუჩაში, მე ავადმყოფი როდი ვარ.

როგორც კი ჭიშკარს მიაღწიეს, მამაკაცები ისეთნაირად ჩამოეკიდნენ მკლავებზე, კ-ს რომ არ მოსწრებია თავის სიცოცხლეში; უკნიდან მხრებით მჭიდროდ მიეკვრნენ მხრებზე, მკლავები მკლავებზე შემოჰხვიეს და ათასგზის გაწაფულ-ნავარჯიშები ხელები მაჯებში სალტესავით მოუჭირეს. კ. წელში გამართული მიაბიჯებდა მათ შორის და სამივე ისე იყო შეკრული ერთ სხეულად, ერთისთვის რომ დაგერტყა, სამივეს მოხვდებოდა. ასეთი მთლიანობა მხოლოდ უსულო საგნებისთვისაა დამახასიათებელი.

თუმცა ასეთ გადაჭდობილ სიარულში ძნელი იყო თავის მობრუნება, კ. მაინც ყოველი ლამპიონის შუქზე ცდილობდა, უკეთ შეეთვალიერებინა თანამგზავრები, ვიდრე ეს თავის ბინდით მოსილ ოთახში მოახერხა. „იქნებ ტენორები არიან“, — გაიფიქრა კ-მ და თვალი შეავლო მათ მძიმე ღაბაბებს, მამაკაცების სუფთად გაპარსული სახეები ზიზღს გვრიდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იმ ხელს ხედავდა, მათ რომ თვალის უპეები ამოუწმინდა, ტუჩები დაუზილა და ნიკაპზე დაყრილი ნაოჭებიდან ჭუჭყი ამოუფხიკა.

როგორც კი კ-მ ეს შეამჩნია, მაშინვე შეჩერდა, შეჩერდნენ მისი თანამგზავრებიც. ისინი იდგნენ დაცარიელებული, ნარგავებით გამწვანებული ფართო მოედნის კიდესთან.

— რაღა მაინცდამაინც თქვენ გამოგგზავნეს! — კი არ ჰკითხა, უფრო უყვირა კ-მ მათ. მამაკაცებმა არ იცოდნენ, რა ეპასუხათ და ხელებჩამოშვებულნი ისე ელოდნენ კ-ს, როგორც სანიტრები ელიან სულის მოსათქმელად შეჩერებულ ავადმყოფს.

— აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, — თქვა კ-მ მათ გამოსაცდელად. მამაკაცებს პასუხის გაცემა არ უფიქრიათ, ოღონდ უფრო მაგრად მოუჭირეს ხელი და ძალით შეეცადნენ ადგილიდან დაეძრათ, მაგრამ კ-მ წინააღმდეგობა გაუწია. „ამიერიდან ძალ-ღონე არაფერში დამჭირდება, ამიტომ ახლა უნდა გამოვიყენო მთლიანად“, — გაიფიქრა კ-მ და გაახსენდა როგორ მოსწყდებათ ხოლმე ბუზებს ფეხები, როცა ცდილობენ წებოვან წკეპლას თავი დააღწიონ. „ამ ბატონებს დიდი ჯაფა ადგებათ“.

უეცრად პატარა კიბეზე, რითაც ერთ-ერთი ქუჩა მოედანს უერთდებოდა, ფროილაინ ბიურსტნერი გამოჩნდა. კ. მთლად დარწმუნებული არ იყო, მართლა მას ხედავდა თუ სხვას, მაგ-

რამ ჰგავდა კი ძალიან. თუმცა ახლა კ-სთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს ქალი ფროილაინ ბიურსთნერი იყო თუ სხვა ერთი კია, იმწამსვე შეიგნო, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა. ვერაფერი გმირობა იქნებოდა, ამ ვაჟბატონებს თუ გაუძალიანდებოდა, ზედმეტად გააწვალებდა, თავს დაიცავდა და ეცდებოდა სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკლის გაელვებით დამტკბარიყო. ამიტომ ადგილიდან დაიძრა და ის სიხარული, რაც ამით თანამგზავრებს მიანიჭა, ცოტათი მასაც გადაედო. ამჯერად კაცები დაჰყვნენ კ-ს ნებას— გზა თვითონ აერჩია და კ-ც იმ ქუჩას გაჰყვა, ქალიშვილი რომ მიაბიჯებდა, მაგრამ არა იმიტომ, დასწეოდა და რაც შეიძლება დიდხანს ედევნებინა თვალი მისთვის, არამედ უნდოდა არ დაევიწყებინა ის ავისმომასწავებელი ნიშანი, ამ ქალის დანახვისას რომ იგრძნო. „ერთადერთი, რის გაკეთებაც მე ახლა შემიძლია“, უთხრა კ-მ საკუთარ თავს, და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მისი და თანამგზავრთა თანაზომიერი ნაბიჯები მის აზრს ადასტურებდნენ, „ერთადერთი, რის გაკეთებაც მე ახლა შემიძლია, ბოლომდე უნდა შევინარჩუნო ნათელი აზრი და საღი გონება. ყოველთვის ვცდილობდი ოცი ხელით ჩავბღაუჭებოდი სამყაროს, თანაც არც ისე სანაქებო მიზნით, ეს კი სწორი არ იყო. ნუთუ ახლა ვინმეს უნდა დავანახო, რომ ერთი წლის პროცესმაც კი ჭკუა ვერ მასწავლა? ნუთუ ამ ქვეყნიდან გონებაჩლუნგი ადამიანის სახელით უნდა წავიდე? ნუთუ ვინმეს უნდა ვთქმევინო, პროცესის დასაწყისში მისი დამთავრებისკენ ილტვოდა, ახლა კი, ბოლოში, ისევ მისი დაწყება სურსო? არა, არ მინდა ჩემზე ეს თქვან. მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ ამ გზაზე ნახევრად მუნჯი, შეუსმენელი ვაჟბატონები გამომაყოლეს და შემიძლია საკუთარ თავს ის ვუთხრა, რაც საჭიროდ მიმაჩნია“.

ამასობაში ქალიშვილმა გვერდით ქუჩაზე გაუხვია, მაგრამ ახლა კ-ს იგი აღარ სჭირდებოდა და მხლებლების ნებას დამორჩილდა. სამივემ ერთსულოვნად გადაიარეს მთვარით განათებული ხიდი. ორივე მამაკაცი მდუმარედ მიჰყვებოდა კვალში კ-ს და როცა იგი მოაჯირისაკენ შეტრიალდა, ისინიც მთელი ტანით იქითკენ შებრუნდნენ. მთვარის შუქით მოსარკულ და მოლივლივე წყალს შუაზე ჰყოფდა ერთი პატარა კუნძული, სადაც ხშირფოთლოვანი ხეები და ბუჩქები ერთმანეთს ჩაწნოდნენ. ხრეშმოყრილი ბილიკები — ახლა ისინი არსად ჩანდა — მიიმართებოდა მოხერხებული სკამებისკენ, რომლებზეც ზაფხულობით კ. ხშირად იშხლართებოდა და სიამოვნებისაგან იზმორებოდა.

— სულაც არ მიფიქრია აქ შევჩერებულიყავი, — უთხრა მხლებლებს მათი დამყოლი ხასიათით დარცხვენილმა კ-მ. მას

მოეჩვენა, რომ ერთმა კაცმა მის ზურგს უკან მეორეს ოდნავ უსაყვედურა, ვერ მივუხვდით და შევჩერდითო, ამის შემდეგ კვლავ დაიძრნენ ადგილიდან.

მათ გაიარეს რამდენიმე აღმართს შეყოლილი ქუჩა, — აქაიქ პოლიციელები ხვდებოდნენ, ი'ინი ან თავიანთ პოსტზე იდგნენ ანდა დასეირნობდნენ და სამეული ხან შორიდან ჩაუვლიდა ზოგს, ხან სულ ახლოს. ერთ ხშირულვაშა პოლიციელს, რომელსაც ხელი ხმლის ვადაზე ედო, სამეული საეჭვო ჯგუფად მოეჩვენა და მიუახლოვდა. მამაკაცები შეყოვნდნენ და ის იყო პოლიციელს რაღაცა უნდა ეთქვა, რომ კ-მ ღონივრად გაიწია წინ და თანამგზავრებიც თან გაიყოლია, დაწინაურებული კ. მალიმალ ფრთხილად იყურებოდა უკან, პოლიციელი ხომ არ მოგვდევსო, ხოლო როცა პოლიციელს თავი ო

აიწიეს და ქუჩის კუთხეში შეუხვიეს, კ-მ სირბილით განაგრძო გზა, აქლოშინებული მამაკაცებიც იძულებული გახდნენ ადევნებოდნენ.

მალე ისინი ქალაქგარით აღმოჩნდნენ, სადაც ტრიალი მინდვრები იწყებოდა. პატარა მიტოვებული და გაპარტახებული ქვის სამტეხლო ჯერ კიდევ შემორჩენილ ერთი ქალაქური ტიპის სახლის მახლობლად მდებარეობდა. ორივე მამაკაცი შეჩერდა. მათ ან წინასწარ შეარჩიეს ის ადგილი, ანდა ძალიან დაიღალნენ და სირბილის თავი აღარ ჰქონდათ. მამაკაცებმა კ-ს ხელი შეუშვეს და იგი ახლა უხმოდ ელოდა, რას მოიმოქმედებდნენ. მათ ცილინდრები მოიხადეს და სანამ ქვის სამტეხლოს თვალს მოაცილებდნენ, ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდეს: ირგვლივ ყვავილფერს მთვარის ისეთი ბუნებრივი და უშფოთველი შუქი დაჰნათოდა, როგორიც არც ერთი სხვა შუქი არ შეიძლება იყოს.

მას შემდეგ, რაც მამაკაცებმა ზრდილობიანად გაარკვიეს, ვის უნდა შეესრულებინა დავალების მომდევნო ეტაპი — ეტყობა, მათი მოვალეობა თავიანთ არ იყო ზუსტად განსაზღვრული. — ერთი მათგანი კ-სთან მივიდა და ჯერ პიჯაკი გახადა. შემდეგ ჟილეტი და ბოლოს პერანგიც კი. კ. სიცივისაგან უნებურად შეკრთა, მამაკაცმა გასამხნევებლად ზურგზე ხელი დაჰკრა. იმავე მამაკაცმა ის გულმოდგინედ დაკეცა მისი ტანსაცმელი, თითქოს კიდევ ჩაიცვამდა ვინმე, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. ცივ ღამეში რომ სულ უმოძრაოდ არ მდგარიყო. მამაკაცმა კ-ს მკლავში ხელი გაუყარა და მასთან ერთად დაიწყო წინ და ოან სიარული. ამასობაში მეორე მამაკაცი ქვის სამტეხლოში მოხერხებულ ადგილს ეძებდა. როგორც კი იპოვა. მათ ხელი დაუქნია და პირველმა მამაკაცმა კ. იმ ადგილას მიიყვანა. სანგრევი კედლის ახლოს ჩამოტეხილი ქვა ეგდო. მამაკაცებმა კ. მიწაზე დასვეს, კედელთან მი-

აწვინეს და თავი ქვაზე დაადებინეს. რა არ იღონეს, კ-ც ეხმარებოდა, პოზა მაინც ნაძალადევი და არაბუნებრივი ჰქონდა. ამიტომ ერთმა კაცმა მეორეს სთხოვა, მე მაცალე და უფრო მოხერხებულად დავაწვინო, მაგრამ ვერც ამან მიაღწია სასურველ შედეგს. ბოლოს მოეშვნენ და როგორც იწვა, ისე დატოვეს, თუმცა ამაზე უკეთაც შეიძლებოდა დაეწვინათ. ამის შემდეგ ერთმა მამაკაცმა სერთუკი შეიხსნა და ქარქაშიდან, ჟილეტის ზემოთ შიმორტყმულ ქამარზე რომ ეკიდა, ამოიღო ყასბის ვრძელი, წვრილი, ორლესული დანა, მაოლა ასწია და შუქზე გახედა, კარგად თუა გალესილიო. მამაკაცებმა ისევ დაიწყეს ზიზღისმომგვრელი პატიჟი. ჭირვეულმა დანა კ-ს თავზე გადაატარა და მეორეს გადასცა, მეორემ ასევე დაუბრუნა უკან. უეცრად კ. მიხვდა, იმასაც ავალებდნენ მათთვის დანა წაერთმია, მის თავს ზემოთ ხელიდან ხელში რომ გადადიოდა და საკუთარ გულში ჩაეცა. მაგრამ კ. ასე არ მოიქცა, ამის მაგივრად მოაბრუნა კისერი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეხებოდნენ და ირგვლივ მიმოიხედა. ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო გამოცდას, ხელისუფალთა მთელი სამუშაოს შესრულება არ იკისრა და ამ უკანასკნელი შეცდომისათვის პასუხი იმან უნდა აგოს, ვინც ამისათვის საჭირო ძალ-ღონის უკანასკნელი მისხალი დააკლო. ბ-ნი მზერა ქვის სამტეხლოს მომიჯნავე სახლის ბოლო სართულს მისწვდა. უეცრად, როგორც შუქი გამოკრთება საიდანღაც. ისე გაიღო იმ სახლის ერთი ფანჯარა და ვიღაც სულიერი, ამ სიშორეზე სუსტი და თხელი რომ ჩანდა, სხარტად გადმოიხარა ფანჯრიდან ღა ხელები კიდევ უფრო შორს გაიწვდინა. ნეტავ ვინ იყო? მეგობარი? კეთილი ადამიანი? ვინმე ისეთი, ვინც თანაუგრძნობს? ვინმე ისეთი, ვისაც სურს დაეხმაროს? მარტო იყო? თუ გვერდში ყველანი ედგნენ? კიდევ ეშველება რამე? იქნებ იყო ერთი-ორი არგუმენტი, რითაც მათ გააკამტვერებდა, და გამორჩათ? ცხადია, იქნებოდა, თუმცა ლოგიკა ურყევია, მაინც ვერ აღუდგება წინ იმ ადამიანს, ვისაც სიცოცხლე სწყურია. სად არის მოსამართლე, რომელსაც არასოდის უნახავს? სად არის უზენაესი სასამართლო, სადაც ვერაფერით ვერ მოახერხა შეღწევა? კ-მ ხელები ასწია და ათივე თითი გაფარჩხა.

მაგრამ ამ დროს კ-ს ყელზე ერთ-ერთი მამაკაცის ხელები შემოეჭდო, მეორემ კი დანა ღრმად ჩაასო გულში და ორჯერ გადაატრიალა. კ-მ შიმჭრალი თვალებით დაინახა, როგორ ადევნებდნენ თვალს მის აღსრულებას ლოყა-ლოყაზე მიდებული მამაკაცები.

— ძაღლივით დამკლეს, — თქვა კ-მ ისე, თითქოს ეს სირცხვილი მასზე მეტხანს იარსებებდა.